ნინო დობორჯგინიძე
ლევან ცაგარელი
ოლივერ რაისნერი
გიორგი ქავთარაძე

ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში

GEORGIAN CULTURAL TRACES IN GERMANY



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2019

ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში
GEORGIAN CULTURAL TRACES IN GERMANY

ნინო დობორჯგინიძე
ლევან ცაგარელი
ოლივერ რაისნერი
გიორგი ქავთარაძე

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № HE 15 - 021). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № HE 15 - 021). All ideas expressed herewith are those of authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

სამეცნიერო რედაქტორი: ნინო დობორჯგინიძე
რედაქტორი: რუსუდან კოტეტიშვილი
დამკაბადონებელი: სოფიო კევლიშვილი

© 2019, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-330-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა 1
ნინო დობორჯგინიძე

თავი I 15
ლევან ცაგარელი
გერმანულ-ქართული
ლიტერატურის ისტორიისთვის

Levan Tsagareli
TOWARDS THE HISTORY OF GERMAN-GEORGIAN
LITERATURE

თავი II 87
ოლივერ რაისნერი
ქართველი სტუდენტები გერმანიაში

Oliver Reisner
GEORGIAN STUDENTS IN GERMANY

თავი III 109
გიორგი ქავთარაძე
ქართველთა კულტურული ნაკვალევი გერმანიაში –
საისტორიო პერსპექტივა

Giorgi Kavtaradze
GEORGIAN CULTURAL TRACES IN GERMANY:
HISTORICAL PERSPECTIVE

თავი IV 166

ნინო დობორჯგინიძე

ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს
ევროპული პროექცია

Nino Doborjginidze

EUROPEAN PROJECTION OF GEORGIAN KING
EREKLE THE II (PRINCE HERACLIUS) AND HIS REIGN

დამატება 219

იოვანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი ხელნაწერი
(სინური პალიმსესტის ფრაგმენტები გოტინგენის
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან)

Supplement

A MANUSCRIPT COPY MADE BY IOVANE ZOSIME
(FRAGMENTS OF A SINAITIC PALIMPSEST PRESERVED
AT THE UNIVERSITY LIBRARY OF GÖTTINGEN

წინასიტყვაობა

პროექტი *„ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში“* (HE 15-021) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ხორციელდებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2018 წლებში. მასში ჩართულმა მკვლევრებმა, თამარ კალხიტაშვილმა, ლევან ცაგარელმა, ოლივერ რაისნერმა, გიორგი ქავთარაძემ და ნინო დობორჯგინიძემ, სხვადასხვა მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან დაამუშავეს გერმანიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებში, მუზეუმებსა და არქივებში დაცული XVIII-XX საუკუნეების წყაროები, რომლებიც შეიცავს ცნობებს გერმანიაში მოღვაწე ქართველთა საქმიანობის შესახებ. ამასთანავე, მათ გამოავლინეს და პირველად აღწერეს გერმანიის ბიბლიოთეკებსა და სიძველეთსაცავებში დაცული დღემდე უცნობი არაერთი ქართული ხელნაწერი.

კვლევა კომპლექსური იყო, რომლის ფარგლებში შეიქმნა გერმანიაში ქართველთა კულტურული კვალის ამსახველი ერთიანი მონაცემთა ბაზა, დამუშავდა და შერჩევით ითარგმნა აქამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საისტორიო-ლიტერატურული, ბიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური თუ ზოგადად, კულტურის კვლევების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პირველწყაროები.

კვლევის შედეგები აისახა სამეცნიერო სტატიებში (მათ შორის სამი ქვეყნდება საერთაშორისო-რეფერირებად ჟურნალებში); 2018 წლის შემოდგომაზე გერმანელ და ავსტრიელ კოლეგებთან და რეგენსბურგის ლაიბნიცის სახელობის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტთან (IOS, Leibniz Institute for East and Southeast European Studies) თანამშრომლობით ჩატარდა ამავე სახელწოდების საერთაშორისო

კონფერენცია,[1] რომლის მოხსენებები, მათ შორის აღნიშნული კვლევის შედეგები, კრებულის სახით დაიბეჭდება გერმანიაში (Kaukasienstudien, Reichert Verlag, Wiesbaden). პროექტზე მუშაობისას გამოვლენილი უცნობი ან ნაკლებად ცნობილი წყაროების მიხედვით შეიქმნა ამავე სახელწოდების დოკუმენტური ფილმი. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ კვლევის შედეგებს.

1. პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში.* იხ. http://qakuna.iliauni.edu.ge/ka (თ. კალხიტაშვილი, ნ. დობორჯგინიძე)

აღნიშნული ბაზა და ვებგვერდი პროექტის მნიშვნელოვანი შემაჯამებელი (ციფრული) შედეგია; შეიქმნა ღირებული კვლევითი და წყაროთმცოდნეობითი რესურსი ქართულ-გერმანული ურთიერთობების, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ქართველი და გერმანელი პოლიტიკური ფიგურების, გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტებისა და საზოგადო მოღვაწეების საკვლევად. ამ ეტაპზე დამუშავდა და ბაზაში განთავსდა სტრუქტურირებული ინფორმაცია 700-მდე გერმანული და ქართულენოვანი წყაროდან, მათ შორის 400-ზე მეტი ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობი დოკუმენტი პრუსიის საიდუმლო სახელმწიფო არქივიდან (Geheimes Staatsarchiv. Preußischer Kulturbesitz) და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივიდან (Politisches Archiv des Auswärtigen Amtes).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ წყაროებში შემონახული დღემდე ნაკლებად ცნობილი ინფორმაცია ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების, მიხაკო წერეთლის, გიორგი მაჩაბლის, თედო სახოკიას, ლეო და გიორგი კერესელიძეების, აკაკი ჩხენკელის, კარლო ჩხეიძის, პავლე ყიფიანის, პეტრე და ალექსანდრე სურგულაძეების, მელიტონ ქარცივაძის, ასევე ცნობილი გერმანელი დიპლომატებისა და სამხედრო პირების, ჰანს ფონ ვან-

---

1 კონფერენციის მასალები, მოხსენებათა აბსტრაქტები, ასევე, პროექტის ფარგლებში საქართველოში გამოქვეყნებული სტატიები იხ. პროექტის ვებგვერდზე http://qakuna.iliauni.edu.ge/ka/conference კონფერენციის ვრცელი მიმოხილვა რეგენსბურგელმა კოლეგებმა ასევე გამოაქვეყნეს ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საისტორიო მეცნიერებების ელექტრონულ პლატფორმაზე. იხ. https://www.hsozkult.de/conferencereport/id/tagungsberichte-7956

გენჰაიმის, ლუის მოზელის, რუდოლფ ნადოლნის, ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკის, ფრიდრიხ ფონ შულენბერგის, ჰაინრიხ ბერგფელდის, ბეთმან ჰოლვეგისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სხვა პირთა შესახებ.

ამ დოკუმენტების, განსაკუთრებით ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობის შესახებ არაერთი გამოკვლევა დაიწერა; ყველაზე სრულად 1914-1918 წლების გერმანული წყაროები ლაშა ბაქრაძეს აქვს განხილული. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, პოლიტიკურ არქივში, ზოგადად, გერმანიისა და ავსტრიის ბიბლიოთეკებსა და სიძველეთსაცავებში ჯერაც ბევრი დღემდე უცნობი, ან ნაკლებად შესწავლილი მნიშვნელოვანი საისტორიო დოკუმენტი ინახება.[2]

პროექტის ფარგლებში დამუშავდა და დასახელებულ პროსოპოგრაფიულ ბაზაში შევიდა გერმანიაში ქართველი სტუდენტებისა თუ იქ მოღვაწე პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების, ქართული ორგანიზაციების შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 400-ზე მეტი დოკუმენტი დასახელებული ფონდებიდან:

R 21008-2 Bd. 1, 1914 წ.	R 21008-3 Bd. 1, 1914 წ.
R 21008-3 Bd. 2, 1914 წ.	R 21009-1 Bd. 2, 1914 წ.
R 21009-2 Bd. 2, 1914 წ.	R 21011-1 Bd. 4, 1914 წ.
R 21012-1 Bd. 5, 1914 წ.	R 21012-2 Bd .5, 1914 წ.
R 21012-3 Bd. 5, 1914 წ.	R 21013-1 Bd. 6, 1914 წ.
R 21014-1 Bd. 7, 1915 წ.	R 21014-2 Bd. 7, 1915 წ.
R 21014-3 Bd. 7, 1915 წ.	R 21015-1 Bd. 8, 1916 წ.
R 21015-3 Bd. 8, 1916 წ.	R 21016-1 Bd. 9, 1914 წ.

პროექტის ამოცანა, ერთი მხრივ, იყო დღემდე სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული ლიტერატურის აკუმულირება ერთ საძიებო სივრცეში და, მეორე მხრივ, ახალი წყაროების, უცნობი მასალების გამოვლენა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

---

2 იხ. ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წლებში, თბილისი 2010, გვ. 15.

პროსოპოგრაფიულ ბაზაში დოკუმენტირება და სიღრმისეული შესწავლა.

კვლევითი საქმიანობა წარიმართა ციფრული ჰუმანიტარიის უახლესი ტენდენციებისა და სტანდარტების მიხედვით; ეს უკანასკნელი წარმოადგენს კვლევის, სწავლებისა და შემოქმედების სფეროს, რომელშიც ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინები კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან გადაიკვეთება. დღეს ციფრული ჰუმანიტარია ტრადიციული ჰუმანიტარული დარგების (ლინგვისტიკა, ფილოსოფია, არქეოლოგია, ისტორია, კულტურის მეცნიერებები) მეთოდოლოგიითა და კომპიუტერული ტექნოლოგიების (ინფორმაციის ვიზუალიზაცია, კომპიუტერული ანალიზი, ციფრული გამოცემა) საშუალებით იკვლევს როგორც გაციფრებულ (ნაბეჭდის ციფრულ ვარიანტს), ისე ციფრულად შექმნილ (ე.წ. Born-digital) დოკუმენტებს. ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით მუშაობისას მთავარი კვლევის მეთოდის სიზუსტე და მკვლევრის ანალიზის უნარია. დღეს უკვე არსებობს მონაცემთა სრულყოფილი, სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზების შექმნის საშუალება,[3] რაც მკვლევარს არა მხოლოდ მონაცემებისა თუ ფაქტების ზედმიწევნითი სიზუსტით დამახსოვრების აუცილებლობას უხსნის, არამედ ამ ფაქტებისა და მონაცემების ანალიზისათვის სრულიად ახალ გზებს სთავაზობს.

გერმანიის ქართველთა პროსოპოგრაფიული ბაზის შექმნა საშუალებას მისცემს საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს, ადვილად მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, გადაამოწმონ დასკვნები, დააკვირდნენ სტატისტიკას, მონაცემთა რუკებს, რომელთა გენერირება შესაძლებელია მკვლევრის ინტერესების მიხედვით და ბაზაში დაცული მონაცემებიდან გამომდინარე. ბაზის სამართავი პანელი იმგვარად არის მოწყობილი, რომ შემდეგში შესაძლებელი გახდება მისი განვრცობა და შევსება ახალი მასალებით; სამომავლოდ ვგეგმავთ აღნიშნულ ბაზაში სოციალური ქსელის ანალიზატორის ჩაშენებას; ამის გამოცდილება უკვე არსებობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.[4]

---

3 ბაზის საძიებო სისტემისა და ინფორმაციის ვიზუალიზაციის თვალსაზრისით ჩვენთვის ამოსავალი იყო შემდეგი ბაზები: https://www.poms.ac.uk და https://projects.iq.harvard.edu/cbdb

4 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის ჯგუფმა, რომელიც მონაცემების ვიზუალიზაციაზე მუშაობს (რ.

პროსოპოგრაფია მოვლენებს სწავლობს ცალკეული პირის (πρόσωπον) სხვადასხვა სოციალური ჯგუფის პერსპექტივიდან; შესაბამისად, იგი სხვადასხვა წყაროში, მათ შორის სერიულ დოკუმენტებში, ასახული ინფორმაციის მიხედვით აგებს ე. წ. ფაქტოიდებს, ფაქტებს, მოკლე, მკაცრად სტრუქტურირებულ ინფორმაციას ამა თუ იმ პირის, ერთმანეთთან დაკავშირებული პირების ყოფის ამსახველ მცირე ამბებს შესაბამისი წყაროს მითითებით. ამის გათვალისწინებით, პროსოპოგრაფიულ ბაზას ოთხი მთავარი სტრუქტურული ერთეული აქვს: პირი, ფაქტი, წყარო, ადგილი.



იხ. ვებგვერდის თავფურცელი

ცალკეული პირები, რომელთაც ბაზაში მინიჭებული აქვთ უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, ანბანურ რიგზეა დალაგებული (გვარი, სახელი, მამის სახელი, თუ წყაროში მითითებულია); მათი მოძიება შესაძლებელია როგორც სრული ჩამონათვალიდან, ისე ძიების ველიდან როგორც ქართული, ისე ინგლისური ან გერმანული დაწერილობით.

გუმაშვილი, თ. მინდიაშვილი, ა. თაბუკაშვილი) უკვე ჩააშენა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოპოგრაფიულ ბაზაში სოციალური ქსელის ანალიზატორი (იხ. http://society.iliauni.edu.ge/network). იგი მომზადებულია სოციოგრამების ვიზუალიზაციისა და ანალიზისთვის შექმნილი ღია წვდომის პლატფორმის, Gephi-ის გამოყენებით.



პირთა ანბანური ჩამონათვალი

ფაქტის ველი დაყოფილია შემდეგ თემატურ ჯგუფებად: ავტორობა, ღონისძიება, მფლობელობა, მოგზაურობა, განათლება, თანამდებობა, პირადი ინფორმაცია, სტატუსი, გარდაცვალება.



ფაქტის ტიპები

კონკრეტული პირის მოძიებისას ბაზიდან ნაჩვენები იქნება ამ პირის შესახებ ბაზაში დოკუმენტირებული ყველა ფაქტი რუკაზე შესაბამისი ადგილისა და ასევე წყაროს მითითებით. წყაროს მეტამონაცემებია: წყაროს თარიღი, შექმნის ადგილი, წყაროს ტიპი, ენა და დაცვის, შენახვის ადგილი.

აღნიშნული ბაზა ეყრდნობა საქართველოსა (საქართველოს სახელმწიფო არქივი, ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და გერმანიაში დაცულ საარქივო დოკუმენტებს (პრუსიის სახელმწიფო საიდუმლო არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი), გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში დაარსებული საქართველოს განთვისუფლების კომიტეტების მასალებს, გერმანიის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ფონდების იმატრიკულაციის ოქმებს, ქართულ და გერმანულ პრესას და ა.შ.).

სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ჩვენი ისტორია დღემდე რჩება იმპერიული პროექტის ფარგლებში შექმნილ ნარატივად და ვერ ხერხდება მისი სისტემური გადასინჯვა.[5] ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის, რომ ქართულენოვანი, ზოგადად, საქართველოს შესახებ არსებული საკვლევი მასალა დოკუმენტირებული არ არის თანამედროვე ციფრული სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, რთულია მათი კვლევა და გააზრება თანამედროვე მეცნიერების პარადიგმების მიხედვით.



პირის მიხედვით ძიების შედეგი: რუდოლფ ნადოლნი

5 იხ. 2016 წელს ბიოლის ფონდის მიერ მოწყობილი არაერთი დისკუსია და ს. ასათიანის წერილი: https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-salome-asatiani-istoriebi/27277461.html (გლობალური ისტორია და ჩვენი ხმაწართმეული ისტორიები).

ბაზაში დოკუმენტირებული ყველა ფაქტი რუკაზე შესაბამისი ადგილისა და ასევე წყაროს მითითებით. წყაროს მეტამონაცემებია: წყაროს თარიღი, შექმნის ადგილი, წყაროს ტიპი, ენა და დაცვის, შენახვის ადგილი.

აღნიშნული ბაზა ეყრდნობა საქართველოსა (საქართველოს სახელმწიფო არქივი, ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და გერმანიაში დაცულ საარქივო დოკუმენტებს (პრუსიის სახელმწიფო საიდუმლო არქივი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი), გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში მეოცე საუკუნის დასაწყისში დაარსებული საქართველოს განთვისუფლების კომიტეტების მასალებს, გერმანიის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ფონდების იმატრიკულაციის ოქმებს, ქართულ და გერმანულ პრესას და ა.შ.).

სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ჩვენი ისტორია დღემდე რჩება იმპერიული პროექტის ფარგლებში შექმნილ ნარატივად და ვერ ხერხდება მისი სისტემური გადასინჯვა.[6] ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის, რომ ქართულენოვანი, ზოგადად, საქართველოს შესახებ არსებული საკვლევი მასალა დოკუმენტირებული არ არის თანამედროვე ციფრული სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, რთულია მათი კვლევა და გააზრება თანამედროვე მეცნიერების პარადიგმების მიხედვით.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პროსოპოგარფიული ბაზა[7], ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების

---

6 იხ. 2016 წელს ბიოლის ფონდის მიერ მოწყობილი არაერთი დისკუსია და ს. ასათიანის წერილი: https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-salome-asatiani-istoriebi/27277461.html (გლობალური ისტორია და ჩვენი ხმაწართმეული ისტორიები).

7 თანამედროვე ციფრული მეცნიერების განითარება, განსაკუთრებით ციფრული ჰუმანიტარიის მეთოდების დანერგვა კვლევაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებაა. აღნიშნული ბაზა ერთ-ერთია ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ 2012 წლიდან დანერგილ ციფრულ პროექტებს შორის. იხ. ქართული ენის მონოლინგვური და ბილინგვური კორპუსი (http://corpora.iliauni.edu.ge/); პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წ.) პროსოპოგრაფიული ბაზა (http://prosopography.iliauni.edu.ge/); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოპოგრაფია (http://society.iliauni.edu.ge/); საქართველოს ეპიგრაფიკის კორპუსი (http://epigraphy.iliauni.edu.ge/).

კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც აღჭურვილია მოქნილი საძიებო სისტემით. ამ ტიპის მონაცემთა ბაზის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალური კლასტერების ანალიზისა და ისტორიული სოციალური ჯგუფების აქამდე უხილავი კავშირების დასანახად. ბაზის სტრუქტურა დაგეგმილია პროექტის ახალგაზრდა მეცნიერის, თამარ კალხიტაშვილის მიერ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის სახელოსნოს მკვლევართა ჯგუფთან ერთად იგი 2014 წლიდან ახორციელებს კვლევას ციფრული ჰუმანიტრიის სხვადასხვა მიმართულებით.

ქართველთა კულტურული კვალის ამსახველი ახალი მასალების მოძიება, ისევე როგორც უკვე გამოვლენილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყაროების თარგმნა, ბაზის შევსება და ტექნიკურად დახვეწა პროექტის დასრულების შემდეგაც იგეგმება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

2. კრებული *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში*

გარდა პროსოპოგრაფიული ბაზისა, პროექტის ფარგლებში შემაჯამებელი ბეჭდური ნაშრომის გამოქვეყნებაც იყო დაგეგმილი წინამდებარე კრებულის სახით. მასში პროექტის მონაწილე მეცნიერებმა გააერთიანეს და გარკვეულწილად გადაამუშავეს 2015-2018 წლების კვლევის შედეგები; კრებული ოთხი თავისგან შედგება, აქვე იბეჭდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირველწყაროის, გოტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული იოვანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი ხელნაწერის ფოტოასლები.

ა. ქართულ-გერმანული ლიტერატურის ისტორიისთვის (ლ. ცაგარელი)

გერმანიაში ქართული დიასპორების კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია იმ ქართველ ავტორთა შემოქმედება, რომლებიც მეოცე საუკუნის განმავლობაში გერმანიაში მოღვაწეობდნენ ან გერმანულ ენაზე ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად დამუშავდა გრიგოლ რობაქიძის, გივი მარგველაშვილისა და ნინო ხარატიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ ავტორთა შემოქმედების შესახებ არსებულ კვლევებში ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოსა და, ზოგადად, ქართველების რეპრეზენტაციის იმაგოლოგიური ასპექტები. მართალია, არსებობს კვლევები ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ (მაგ. ნელი საგინაშ-

ვილის *ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია*), მაგრამ მათში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში გერმანულენოვანი ლიტერატურის, ან პირიქით, გერმანიაში ქართულენოვანი ლიტერატურის რეცეფციაზე და არა ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციის თავისებურებებზე. ალბათ, ერთადერთი დიდტანიანი ნაშრომი, რომელიც ევროპულ წყაროებში საქართველოს რეპრეზენტაციის შესწავლას ემსახურება, არის ალექსანდრე თვარაძის მონოგრაფია *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე*. თუმცა, ამ უკანასკნელის საკვლევი ობიექტი არ სცდება XII-XVI საუკუნეების ტექსტობრივ მასალას.

ამრიგად, საქართველოსა და ქართველების რეპრეზენტაციის თავისებურებები მეოცე საუკუნის გერმანულენოვან ლიტერატურაში დღემდე შეუსწავლელ საკითხად რჩებოდა. წინამდებარე კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქართველ ემიგრანტ მწერალთა მიერ თავიანთი ქვეყნის აღქმის სპეციფიკის წარმოჩენა და იმის გარკვევა, როგორ იცვლება ეროვნული იდენტობის მახასიათებლები ემიგრაციის კონტექსტში. ამგვარი კვლევის ღირებული კომპონენტია ასევე იმ ტრანსფორმაციის შეფასება და დახასიათება, რომელიც განიცადა ქართულმა ლიტერატურულმა ავტო-ხატმა ქართველ მიგრანტთა გერმანულენოვან ლიტერატურაში მეოცე საუკუნის განმავლობაში.

ბ. ქართველი სტუდენტები გერმანიაში (ოლივერ რაისნერი)

საკითხის სიღრმისეულმა კვლევამ აჩვენა, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტობის მთავარი ამოცანა იყო არა იმდენად გერმანიაში აკადემიური კარიერის შექმნა, არამედ სამეცნიერო სფეროში საქართველოს კულტურისა და ისტორიის სპეციფიკის აღიარების მიღწევა და ამ გზით რუსეთის კულტურული გავლენებისგან დისტანცირება.

სტატიაში ნაჩვენებია, როგორ ცდილობდნენ ქართველი სტუდენტები სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბრუნებას და სხვადასხვა ფენის, იერარქიის მობილიზებას კულტურისა და განათლების მიზნების ირგვლივ; მიზნებისა, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო საზოგადოების ყველა პოტენციური წევრისთვის, როგორც კულტურული ერთიანობა.

სწორედ აკადემიური ცოდნის დახმარებით გახდა შესაძლებელი ერის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბება და მისი გავრცობა ქართველებში ქვეყნის მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის საზოგადო ინსტიტუტის, პირველი ქართული უნივერსიტეტის სახით. მის შექმნაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის გერმანიაში განათლებამიღებულ ქართველ სტუდენტებას.

კვლევამ აჩვენა, როგორ მოხერხდა საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის ამ გამოცდილების მეხსიერებიდან წაშლა: უცხოეთში, მათ შორის გერმანიაში განათლებამიღებული ქართველების დიდი ნაწილი 1924-1926, შემდეგ კი 1937-1938 წლების დიდ ტერორს ემსხვერპლა. ამით დავიწყებას უნდა მისცემოდა ის წარმოდგენები, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს გასაბჭოებამდე შეიქმნა და, შესაბამისად, უნდა წაშლილიყო მოგონებები დაკარგული დამოუკიდებლობის, როგორც „საერთო ნიადაგის“ შესახებ.

გ. ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში – საისტორიო პერსპექტივა (გიორგი ქავთარაძე)

ისტოიოგრაფიული თვალსარისით კვლევა, ძირითადად, სამი მიმართულებით წარიმართა:

ა. ქართული პირველწყაროების მოძიება. პროექტის ფარგლებში ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მიკვლეულ და შესწავლილ იქნა ადრეული ახალი პერიოდის სამი ქართული ხელნაწერი წიგნი, რომელთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა. ესენია: 1. მინიატურული სახარება (Hs. or. 14561), 2. დავითის ფსალმუნი (Hs. or. 7931) და 3. ქართული ზღაპარი (Ms. or. oct. 169). ხელნაწერები აღიწერა და შევიდა ერთიან კატალოგში.

ბ. საქართველოს შესახებ არსებული XVIII-XIX საუკუნეების გერმანული წყაროების ისტორიულ-შედარებითი კვლევა. იგულისხმება ერეკლე მეორის შესახებ არსებული ქართული წყაროებისა მისი თანამედროვე გერმანული ისტორიოგრაფიის შედარებითი შესწავლა. განსაკუთრებით 1793 წელს გამოცემული წიგნისა: "Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und Beschreibung des gegenwärtigen Zustandes von Georgien" (მოკლე ისტორია პრინცი ერეკლეს და თანამედროვე საქართველოს მდგომარეობისა), რომლის შესახებ დღემდე მხოლოდ წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები არსებობდა.

გ. XX საუკუნის დასაწყისში ქართველთა გერმანიაში მოღვაწეობის ამსახველი წყაროების ისტორიოგრაფიული ანალიზი. მოძიებულ და შესწავლილ იქნა გერმანიაში დაცული წყაროები ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, მიხაკო წერეთლის, ასევე გერმანიასა და თურქეთში XX საუკუნის დასაწყისში მოქმედი ქართველთა განმათავისუფლებელი კომიტეტის შესახებ.

დ. ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია (ნინო დობორჯგინიძე)

ნაშრომში გაანალიზებულია XVIII-XIX საუკუნეების ევროპული, მათ შორის გერმანული ისტორიოგრაფია, იტალიური, ბრიტანულ-ირლანდიური წყაროები და პრესა, როგორც ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია. ამ წყაროების შედარებითმა კვლევამ შესაძლებელი გახადა ერეკლეს შესახებ ევროპულ წყაროებში კარგად დოკუმენტირებული, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გამქრალი სურათის რეკონსტრუქცია. აღნიშნული წყაროები სტატიაში ორი მეთოდოლოგიური პერსპექტივიდანაა განხილული:

ა. ერეკლე მეორის ეპოქა, როგორც საქართველოში **მოდერნულობის** საწყისი ეტაპი, მოდერნულობის სემანტიკის დამკვიდრება; ამ თვალსაზრისით ქართული გვიანი შუა საუკუნეები, ფეოდალური საზოგადოების რღვევისა და ახლის ჩამოყალიბების რეალური ნიშნები ნაკლებადაა ნაკვლევი.

ბ. ერეკლესა და მისი სამეფოს შესახებ ბოლო პერიოდში გამოვლენილი ევროპული წყაროები, როგორც **მეხსიერების კვლევის** ობიექტი, უფრო ზუსტად, მეხსიერებიდან წაშლილი, გამქრალი დასავლური პერსპექტივის რეკონსტრუქციის საშუალება.

კრებულს ერთვის გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერის ასლები.

ნინო დობორჯგინიძე
კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი

Introduction

The project *Georgian Cultural Traces in Germany* (HE 15-021) was implemented from 2015 to 2018 by a team of researchers from Ilia State University – Tamar Kalkhitashvili, Levan Tsagareli, Oliver Reisner, Giorgi Kavtaradze and Nino Doborjginidze – with the financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. The team worked on 18th to 20th century sources available in German research institutions, museums and archives to collect and process information about the activities of Georgian scholars and public figures in Germany. A number of hitherto unknown Georgian manuscripts preserved in German libraries and antiquities were revealed and described.

Among the project goals was the creation of a unified database to reflect Georgian cultural evidence in Germany. The materials collected and processed during the three years are valuable for historical, literary, biographical, ethnographic, political and more broadly, cultural studies. Selected materials were translated into Georgian.

Research findings were reflected in several publications, three of which appeared in international journals. In autumn 2018, an international conference *Georgian Cultural Traces in Germany* was held in cooperation with German and Austrian counterparts and the Leibniz Institute for East and Southeast European Studies (IOS) in Regensburg. The conference papers were published in a series *Caucasian Studies*, Reichert Verlag, Wiesbaden, Germany. Previously unknown or less known sources revealed during the research were also reflected in a documentary with the same title. Below is a brief overview of the research results and findings.

Prosopographical Database "Georgian Cultural Traces in Germany".
URL: http://qakuna.iliauni.edu.ge/ka

Main project outputs include a website and a digital database which is a valuable resource for studying Georgian-German relations, especially for those interested in the history of independence of Georgia at the beginning of the twentieth century. The database contains structured information from 700 German and Georgian sources, including more than 400 documents from the secret state archives of Prussia (Stiftung Preussischer Kulturbesitz) and the political archives of the German Ministry of Foreign Affairs (Politisches Archiv des Auswärtigen Amtes). It

offers detailed information about Georgian and German political figures as well as Georgian students and public figures living in Germany.

It is particularly important to bring to light unknown or less known facts about Georgian public and political figures such as Mikhako Tsereteli, Giorgi Machabeli, Tedo Sakhokia, Leo and Giorgi Kereselidze, Akaki Chkhenkeli, Karlo Chkheidze, Pavle Kipiani, Petre and Aleksandre Surguladze, Meliton Kartsivadze, Solomon Vatkuri) as well as prominent German diplomats and military officials, Hans von Wangenheim, Louis Moselle, Rudolf Nadolni, Otto Günther von Wesendonck, Friedrich Graf von Schulenberg, Heinrich Bergfeld, Bethmann-Holweg and others who fought for Georgia's independence.

Collection of papers *Georgian Cultural Traces in Germany*

This collection consolidates and revises the project findings (2015-2018). It consists of four chapters:

1. Towards the History of German-Georgian Literature, Levan Tsagareli

2. Georgian Students in Germany, Oliver Reisner

3. Georgian Cultural Traces in Germany: Historical Perspective, Giorgi Kavtaradze

4. European Projection of Georgian King Erekle the II (Prince Heraclius) and His Reign, Nino Doborjginidze

English abstracts are provided at the end of each chapter.

Photocopies of some Georgian manuscripts preserved in Germany are published in the annex.

თავი I

გერმანულ-ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის

ლევან ცაგარელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

გერმანიაში ქართული დიასპორების კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია იმ ქართველ ავტორთა შემოქმედება, რომლებიც მეოცე საუკუნის განმავლობაში გერმანიაში მოღვაწეობდნენ და გერმანულ ენაზე ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. მათი რაოდენობა მცირეა, მაგრამ ამით ოდნავაც არ კნინდება მათი მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ქართულ ლიტერატურისა და კულტურისთვის, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ-გერმანული ანდა ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობებისა და კავშირებისთვის. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილდება სამი ქართველი მწერლის თითო რომანზე, რომლებშიც, ჩვენი აზრით, საუკეთესოდ წარმოჩნდება გერმანულ-ქართული ლიტერატურის ზოგადი მახასიათებლები და ამ მახასიათებელთა ისტორიული დინამიკა. ეს რომანებია გრიგოლ რობაქიძის მიერ მისი ემიგრანტობის წლებში გამოცემული *მცველნი გრალისა*,

გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიული ტრილოგიის *კაპიტანი ვაკუში* პირველი წიგნი სათაურით – *დოიქსილანდში*, და ნინო ხარატიშვილის საოჯახო საგა, *მერვე ცხოვრება (ბრილკასთვის)*.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე უფრო კარგადაა შესწავლილი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება. მის ირგვლივ მოიპოვება სამეცნიერო ნაშრომები როგორც ქართულ, ისე გერმანულ ენაზე. მათი უმრავლესობა ეთმობა გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ზოგად მიმოხილვას (ბაქრაძე 1999, Gagnidse/ Schuchard 2011, Kirschke 2014), მისი შემოქმედების ფილოსოფიური ასპექტებისა და მითოსური საფუძვლების გარკვევას (ბაქრაძე 1999, თავხელიძე/ირემაძე 2011, ბრეგაძე 2013,), მისი ტექსტების ენობრივი სტილის თავისებურებებისა (ცხადაძე 1997) და ესეისტიკის შესწავლას (მეფარიშვილი 2005). ქართულენოვან ნარკვევებში უმეტესწილად უგულებელყოფილია ან ძალზე ზედაპირულადაა განხილული გრიგოლ რობაქიძის მიერ ემიგრაციის დროს შექმნილი ნაწარმოებები. ამ მხრივ, გამონაკლისია რომანი *ჩაკლული სული*, რომელიც ყველაზე უფრო ადრე, 1991 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე ალექსანდრე კარტოზიას მიერ. რომანები *მცველნი გრალისა*, *მეგი. ქართველი გოგონა* და *ქალღმერთის ძახილი* მხოლოდ 2012 წელს გახდა ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი, რითაც აიხსნება ამ ნაწარმოებების სამეცნიერო რეცეფციის სიმწირე ქართულ აკადემიურ სივრცეში.

გივი მარგველაშვილის ტექსტების ლიტერატურულ-კრიტიკული რეცეფცია ძირითადად შემოიფარგლება ცალკეულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული გერმანულენოვანი რეცენზიებით[1], რომლებიც 1990-იანი და 2000-იანი წლებით თარიღდება, რაკი გივი მარგველაშვილის თხზულებათა გამოცემა გერმანიაში სწორედ 90-იან წლებში დაიწყო. გივი მარგველაშვილის შემოქმედების მკვლევართათვის ფასდაუდებელია კარსტენ განზელის რედაქტობით გამოცემული კრებული (1992), რომელშიც განხილულია როგორც მწერლის შემოქმედება, ისე მისი ონტოტექსტობრივი ფილოსოფია და პოეტიკა. ამჟამად არსებული სამეცნიერო სტატიების ფოკუსში მოქცეულია გივი მარგველაშვილის რომანი *მუცალი* და მისი მიმართება ვაჟა ფშაველას *ალუდა ქეთელაურთან* (Andronikashvili 2005), გივი მარგველაშვილის ტექსტებში

1 იხ. http://www.giwi-margwelaschwili.de/rezensionen.html (20.03.2019)

გამოყენებული მეტაფიქციური სტრატეგიები (Grub 2010), ასევე ენობრივი თამაშები (Kartosia 1997) და ავტოფიქციური ელემენტები (Eder 2016), რომლებიც ამ ნაწარმოებებში გვხვდება.

ნინო ხარატიშვილი თანამედროვე ავტორია, რომელიც მხოლოდ 2000-იანებში გამოდის ლიტერატურულ სარბიელზე, და, ამრიგად, მისი შემოქმედების შესახებ მხოლოდ კრიტიკული წერილები და რეცენზიებია დაწერილი. მოიპოვება ასევე მისი ინტერვიუები (Müller-Wesemann 2010) და მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევები მის შესახებ (Amodeo 2011), მაგრამ მისი ნაწარმოებების სამეცნიერო კვლევა ჯერ არ განხორციელებულა. წინამდებარე ნაშრომი ნინო ხარატიშვილის შემოქმედების ამგვარი შესწავლის პირველი ცდა გახლავთ.

ამ მწერალთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ არსებულ კვლევებსა და კრიტიკულ გამოხმაურებებში უგულებელყოფილია საქართველოსა და ქართველების რეპრეზენტაციის იმაგოლოგიური ასპექტები. მართალია, მოიპოვება კვლევები ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ (საგინაშვილი 2011), მაგრამ მათში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფციაზე ან გერმანიაში ქართულენოვანი ლიტერატურის რეცეფციაზე და არა ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციის თავისებურებებზე. ნოდარ კაკაბაძის მიერ 1963 წელს გამოცემული მოკლე, მიმოხილვითი ხასიათის ნარკვევების შემდეგ, რომლებშიც უმეტესწილად საქართველოში მოგზაურ გერმანელთა და ავსტრიელთა (ბერტა და არტურ ზუტნერები, რობერტ ბლაიჰშტაინერი და სხვები) თვალით დანახული საქართველოა აღწერილი, ერთადერთი დიდტანიანი ნაშრომი, რომელიც ევროპულ წყაროებში საქართველოს რეპრეზენტაციის შესწავლას ემსახურება, არის ალექსანდრე თვარაძის მონოგრაფია (2004). თუმცა ამ უკანასკნელის საკვლევი ობიექტი არ სცდება XII-XVI საუკუნეების ტექსტობრივ მასალას.

უაღრესად დასაფასებელია უკანასკნელ წლებში ქართველი გერმანისტების ძალისხმევა გერმანულ-ქართული მწერლობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მაგალითად, 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოიცა ჯგუფური ნაშრომი სათაურით „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“

(რედაქტორი: ალექსანდრე კარტოზია), რომელშიც ერთი თავი ეთმობა „გერმანულენოვან ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობას". მასში გადმოცემულია ბიოგრაფიული ცნობები გივი მარგველაშვილის, ნინო ხარატიშვილისა და ლევან ბერიძის შესახებ და მოკლედაა განხილული ამ მიგრანტ მწერალთა შემოქმედების თემატიკა და პოეტიკა. გივი მარგველაშვილისა და ნინო ხარატიშვილის შემოქმედების შესახებ მსგავსი მიმოხილვა გვხვდება ასევე ნუგეშა გაგნიძის *ნარკვევებში მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან* (2017).

ჩამოთვლილი ნაშრომები ლოგიკური წინაპირობაა იმისთვის, რათა შეიქმნას და აღიწეროს მეოცე საუკუნის გერმანულ-ქართული ლიტერატურის თავისებურებები კულტურათშორის ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე არსებული თეორიული მოდელის მიხედვით (Chiellino 2007) და აიხსნას ქართული ეროვნული იდენტობის ლიტერატურულ რეპრეზენტაციათა (ე.წ. ავტო-ხატების) მახასიათებლების ისტორიული დინამიკა / ტრანსფორმაცია ქართველ მიგრანტ მწერალთა გერმანულენოვან ნაწარმოებებში. სწორედ ამგვარი მოდელის შექმნა და ანალიზი არის წინამდებარე ნარკვევის მთავარი მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება ის ორი თეორიული მიდგომა, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული იდენტობის კვლევებთან, სახელდობრ, 1. იმაგოლოგიისა და კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებში შემუშავებული კატეგორიები და 2. კულტურული და კოლექტიური მეხსიერების კვლევების (ინგლ. Memory Studies) გავლენით ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული ანალიტიკური ინსტრუმენტები.

1. თეორიული წანამძღვრები და კვლევის მეთოდი

1.1. კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობისა და იმაგოლოგიის მიდგომები

ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობისგან განსხვავებით, რომელიც ენათმეცნიერებასთან ერთად მიიჩნეოდა ფილოლოგიის ქვედარგად და ე.წ. ეროვნული (ქართული, ინგლისური, გერმანული და სხვა) ფილოლოგიების ფარგლებს არ სცდებოდა,

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომების გამოყენება დაიწყო კულტურული პროცესებისა და პრაქტიკების – ზეპირი გადმოცემის, აუდიო-ვიზუალური დოკუმენტების, არტეფაქტების, სადღესასწაულო რიტუალების, მითოსური და რელიგიური წარმოდგენების საკვლევად. ლიტერატურათმცოდნეობა იქცა კულტურის კვლევების ნაწილად. ამ დისციპლინათშორისი განვითარების შედეგია ე.წ. კულტურისმცოდნეობითი ლიტერატურათმცოდნეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს კულტურისა და ტექსტის გაიგივება. ეროვნული ფილოლოგიების ადგილს ბოლო დროს სწორედ კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობა იკავებს, რითაც ეროვნული ფილოლოგიები სულ უფრო მეტად უახლოვდებიან შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას (კომპარატისტიკას). ამ უკანასკნელისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს საკითხებს, ცნებებსა და თეორიებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია კულტურათა კომპლექსური კონტაქტებისა და ურთიერთქმედებების აღწერა და ანალიზი.

კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობის როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი კომპარატისტიკის ერთ-ერთი დარგის საკვლევი საგანია კულტურულ იდენტობათა და განსხვავებათა წარმოების, მიწერის, დაკვირვების, (კრიტიკული) განსჯისა და ცვლილების პროცესები ლიტერატურაში. კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებში ლიტერატურულ ტექსტს ენიჭება კულტურის რეპრეზენტაციის ფუნქცია. ლიტერატურული სიუჟეტების, თემების, ჟანრებისა და ეპოქების ურთიერთშედარების საფუძველზე უნდა წარმოჩნდეს შესაბამისი კულტურის თავისებურებები. ტექსტთა ამგვარი ურთიერთშედარების დანიშნულებაა იმ ლიტერატურული ტექსტების გაგება, რომლებიც სხვა კულტურულ კონტექსტში წარმოიქმნა (კულტურათშორისი ჰერმენევტიკა). კულტურათშორისი იმაგოლოგიის (ლათ. imago – გამოსახულება, ხატი) ამოცანა კი ეროვნული ავტო- და ჰეტეროხატების (ე.ი. თავისი და სხვისი კულტურების აღქმის კოლექტიური და უმეტესად სტერეოტიპული მოდელების) ანალიზია, ე.ი. იმის გარკვევა, როგორ აღიქვამს რომელიმე ერი თავს და სხვა ერებს და როგორ აისახება ეს ლიტერატურაში.

კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი ანალიტიკური კატეგორიაა სიუცხოვე (ინგლ. alterity), რომელმაც ლიტერატურულ ტექსტში შეიძლება თავი იჩინოს თე-

მატურად ან მოტივის სახით, ან კულტურული კონტაქტების გადმოცემით მიგრანტთა მოგონებებსა და სამოგზაურო ჩანაწერებში, ან ენის დევიაციური გამოყენებითა და თხრობის განსხვავებული სტილით. რა არის სიუცხოვე? იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული განსხვავება ისევე, როგორც კულტურული იგივეობრივობა (იდენტობა), სხვა არაფერია, თუ არა კონსტრუქცია, რომელიც სხვადასხვა კულტურის შეხვედრის დროს წარმოიქმნება, ხოლო ნებისმიერი კულტურული იდენტობა არის არა მდგრადი, ერთიანი ერთეული, არამედ სხვადასხვა კულტურის ფარგლებში არსებული განსხვავებული ტენდენციების ნარევი, სიუცხოვე არამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის, ნივთის ან ადგილის ობიექტურად მოცემულ თვისებად. სიუცხოვე არის რაღაც, რაც გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილზე არ შეესაბამება სუბიექტის გამოცდილებასა და მოლოდინს. სიუცხოვის გამოცდილება შეიძლება უკავშირდებოდეს ნაცნობი გარემოცვის მიტოვებას, მოგზაურობას, დაპყრობას, კოლონიზაციას ან ლაშქრობებს.

ლიტერატურულ კონტექსტში სიუცხოვე ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური თავისებურებაა. ტექსტებში, რომლებშიც სიუცხოვეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხშირად იჩენს თავს ე.წ. ჰიბრიდიზაცია და კრეოლიზაცია. ჰიბრიდიზაცია წარმოიქმნება სხვადასხვა ენობრივი და მსოფლმხედველობრივი ელემენტის ურთიერთშერევის შედეგად. ამის მაგალითებია მრავალენოვანი ტექსტები, ჟანრობრივი კომბინაციები, ტექსტის სხვადასხვა სახეობებიდან ციტატების ჩართვა. კულტურათშორის ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ე.წ. „კულტურათშორის ლიტერატურებს“: ეს უკანასკნელი მოიცავს ტექსტებს, რომელთა თემაც კულტურათა შეხვედრა, კულტურული საზღვრების გადალახვა და კულტურული კონფლიქტებია (მაგალითად, პოსტკოლონიური ლიტერატურა, მიგრანტთა მწერლობა, უმცირესობათა ლიტერატურა ან ემიგრაციაში მყოფი მწერლების შემოქმედება). პოსტკოლონიური ლიტერატურის თემაა კოლონიალიზმი და მის შედეგად ძალადობრივად განხორციელებული აღრევა კულტურებისა. ემიგრაციაში მყოფ მწერალთა ლიტერატურაში გადმოცემულია ემიგრაციაში ცხოვრების გამოცდილება (გაქცევა, იზოლაცია, უსამშობლობა, სოციალური დაცემა...). მიგრანტთა ლიტერატურაში კი წინა პლანზეა წამოწეული მიგრანტთა იდენტობის პრობლემა მათ ახალსა და

ძველ სამშობლოებში. „კულტურათშორისს“ უწოდებენ იმ ავტორებს, რომლებიც ორ ქვეყანას შორის გადაადგილდებიან და რომელთა შემოქმედებაც მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული მათი კულტურათშორისი წარმომავლობითა და ბიოგრაფიით, ასევე იმ ავტორებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა კულტურასთან შეხებისა და კულტურული საზღვრების გადაკვეთის გამოცდილება. კულტურათშორის მოცემულობათა გადმოსაცემად და განსასჯელად უცხოენოვნებისა და მრავალენოვნების გამოყენების დამატებითი საშუალებაა ე.წ. „ეგზოფონიის“ გამოყენება ლიტერატურაში. ამ შემთხვევაში, ავტორები ითავსებენ ერთგვარი დამკვირვებლის როლს უცხოური ენისა და უცხო კულტურების მიმართ და წერენ არა მშობლიურ ენაზე, არამედ იმ ქვეყნის ენაზე, რომელშიც იმყოფებიან (შდრ. Zemanek / Nebrig 2012: 256).

იმაგოლოგიაში იკვლევენ, როგორ აღიქვამს უცხოელი რაიმე ქვეყანას, ჯგუფს ან კოლექტივს. სუბიექტის აღქმაზე მოქმედებს ის (სტერეოტიპული) წინარეცოდნა (ან არცოდნა), რომელიც მას აქვს ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ. უცხო სივრცეში მოხვედრის შედეგად სუბიექტის წარმოდგენები ამ ქვეყნის შესახებ შეიძლება დადასტურდეს ან მცდარი აღმოჩნდეს. კომპარატისტის ამოცანაა იმ წინარეცოდნის რეკონსტრუქცია, რომელიც ჰქონდა სუბიექტს, ვიდრე უცხო სივრცეში აღმოჩნდებოდა, რის საფუძველზეც უნდა გაირკვეს ე.წ. „ჰეტეროხატის“ რევიზიისა და ტრანსფორმაციის დინამიკა.

კულტურათშორის იმაგოლოგიაში „ჰეტეროხატებად“ იწოდება უცხო ქვეყნების, ხალხებისა და კულტურების პრეზენტაცია ლიტერატურულ ნაწარმოებში. ავტორები პირდაპირ ან ირიბად (მეტაფორული აღწერის მეშვეობით) გამოთქვამენ თავიანთ განაჩენს იმის შესახებ, რაც მათ ეუცხოებათ ან უცნაურად ეჩვენებათ სხვა ხალხთა გარეგნობაში, აღმსარებლობაში, წეს-ჩვეულებებსა და სოციალურ ურთიერთობებში (შდრ. Beller 2013, 94). „ეროვნული მახასიათებლები“ ლიტერატურულ ნაწარმოებში თავს იჩენს როგორც დადებითად ან უარყოფითად შეფასებული თვისებები, რომლებიც ამა თუ იმ ერს მიეწერება სტერეოტიპებისა და კლიშეების სახით. ჰეტეროხატების საპირისპიროდ, ავტოხატები მოიცავს თვისებებს, რომლებსაც ავტორები თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში, პოლიტიკურ ესეისტიკასა და მედიებში თავიანთი ერისა და კულტურის

წარმომადგენლებსა და ქვეყანას მიაწერენ. ჰეტერო- და ავტოხატების ურთიერთმიმართება დამყარებულია ტოპოსებზე, სტერეოტიპებსა და თვისებათა სტერეოტიპულ წყვილებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ბეჯითი / ზარმაცი, სუფთა / ბინძური, გაბედული / მხდალი და ა.შ.

საცნაურია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს უცხოელი სუბიექტი აღიქვამს არა ინდივიდებად, არამედ ტიპებად, რომლებსაც გარკვეული (კოლექტიური) თვისებები მიეწერება. თუმცა ესაა თვისებების ძალზე მცირე ნაკრები. მაგალითად, იტალიელი აღიქმება ვნებიან მიჯნურად, გერმანელი კი – ცივ, უტემპერამენტო რაციონალისტად და ა.შ. აშკარაა, რომ ამგვარ წარმოდგენებში გამარტივებული და ზოგჯერ დამახინჯებულია ამა თუ იმ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების თვისებები. ეს განპირობებულია იმით, რომ სუბიექტის (ავტორის) მიერ უცხო ქვეყნის აღქმა ზედაპირულია (რაკი მოგზაურობის დროს მისი შეხვედრები ხანმოკლე და ფრაგმენტულია), ან იმით, რომ სუბიექტი მიზანმიმართულად დეფორმირებულად აღწერს თავის ჩანაწერებში უცხო ქვეყანას, რადგან სურს, უარყოფითი წარმოდგენა შექმნას მასზე. ამგვარ, დეფორმირებულ სურათებს იმაგოლოგიაში „მირაჟები“ ეწოდება (შდრ. Dyserinck 1966). მათ ავტორები გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად შეიძლება ქმნიდნენ. სურათის დეფორმირებულობის ხარისხი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს – მსუბუქი ირონიიდან მტკიცე პროპაგანდამდე. მირაჟისგან განსხვავებით უცხოს ხატით (ინგლ. image) აღინიშნება სხვის / უცხოს შედარებით ნეიტრალური რეპრეზენტაცია ლიტერატურულ ნაწარმოებში. ნებისმიერ შემთხვევაში, სტერეოტიპები, უცხოს ხატები და მირაჟები, რომლებიც ლიტერატურულ ტექსტებში გვხვდება, არის უცხოს გაშუალებული (და არა უშუალო) სურათები. გაშუალებულობის ხარისხი სხვა ფაქტორებთან ერთად ტექსტის სახეობაზეა დამოკიდებული. სწორედ ამგვარ სტერეოტიპიზაციათა კვლევაა კომპარატისტული იმაგოლოგიის ერთ-ერთი ამოცანა.

ავტო- და ჰეტეროხატების კვლევა მიმართულია იმ სტერეოტიპებისა და კლიშეების ანალიზისკენ, რომლებსაც ერები და სოციალური ჯგუფები მიაწერენ ერთმანეთს. რა არის სტერეოტიპი? – სტერეოტიპი არის წინასწარი ვარაუდი ან უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც არაკრიტიკული, მცდარი განზოგადების საფუძველზე წარმოიქმნება, შემოწმებას არ ექვემდებარება

და მდგრადობით ხასიათდება. სტერეოტიპები არ არის ობიექტურად მოცემული ფაქტები, ისინი სუბიექტური წარმოდგენები და ვარაუდებია. ისინი კონსტრუქციებია, რომელთა დანიშნულებაც კულტურულ განსხვავებათა ახსნაა. ე.წ. „ეროვნული ხასიათი“ კი სხვა არაფერია, თუ არა მორალურ პოლარიზაციათა კომბინაცია. ამგვარი ჯგუფური და ეროვნული იდენტობები გამყარებულია, ერთი მხრივ, ენებისა და დიალექტების არსებობით გეოპოლიტიკურად შემოსაზღვრულ სივრცეში, და მეორე მხრივ, საერთო ისტორიული გამოცდილებით, კულტურული ჩვევებითა და მსოფლმხედველობით.

აღმოჩენებისა და დაპყრობითი ლაშქრობების აღწერები და ზოგადად, სამოგზაურო ლიტერატურა სტერეოტიპების კვლევის ძირითადი წყაროა. სუფთა სახით ავტო- და ჰეტეროხატები გვხვდება თხრობითსა და დრამატულ ლიტერატურაში. მაგალითად, კომიკური მოქმედი პირები ხშირად სწორედ ეროვნული სტერეოტიპების მატარებლები არიან. თანამედროვე რეჟისორებიც იყენებენ ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპების ამბივალენტურობას ირონიული „მეტა-ხატების“ შესაქმნელად.

გამოიყოფა ავტოხატების რამდენიმე ტიპი (იხ. Beller 2013, 98):

1. „განუსჯელი ავტოხატი“ საფუძვლად უდევს ეთნოცენტრიზმს.
2. განსჯის შედეგად ხორციელდება ავტოხატის კონტრასტული შედარება სხვა ერთა ჰეტეროხატებთან.
3. კოლონიზებული ხალხების მიერ მათში ძალადობრივად გავრცელებული ჰეტეროხატების გათავისება განაპირობებს „ავტო-ეგზოტიზმს“, ე.ი. სხვის მიერ განსაზღვრული ავტოხატის ჩამოყალიბებას.

სწორედ ამის გამოა ეგზოტისტური, კოლონიური და პოსტკოლონიური ლიტერატურა იმაგოლოგიის საკვლევი ობიექტი. სავარაუდოდ, მიგრაციული გადაადგილებისა და უმცირესობების მიმართ მზარდი ყურადღების შედეგად ლიტერატურათმცოდნეობის ამ დარგს უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე სამყაროში მიგრაციისა და გლობალიზაციის გათვალისწინებით საჭიროა, ერთმანეთისგან განირჩეს ლიტერატურული ენები, რომლებიც გარკვეულ გეოგრაფიულ-ისტორიულ სივრცესთანაა დაკავშირებული, ენებისგან, რომლებიც ამგვარ

სივრცეს მოწყვეტილია. ამგვარ მდგომარეობაში ნებისმიერი ენა შეიძლება აღმოჩნდეს და მას ეწოდება დეტერიტორიალიზაცია. დეტერიტორიალიზაცია ნიშნავს ლიტერატურისა და კულტურის მოწყვეტას გარკვეული სივრციდან და მის დაკავშირებას გლობალურ სივრცესთან. თუმცა რაკი ლიტერატურა არა მხოლოდ ძველი იდენტობების რღვევას ასახავს, არამედ ახალი იდენტობების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს, გლობალურ სამყაროში გასათვალისწინებელია ტეროტორიალიზაციის შემთხვევებიც.

კულტურათშორისი ლიტერატურა გლობალური ლიტერატურის ნაწილია. გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ულფრიდ რაიხარტი თავის ნაშრომში ახალი მსოფლიო ლიტერატურის შესახებ გამოყოფს გლობალურ ლიტერატურათა სამ ჯგუფს (Reichardt 2010: 161-176): პირველ ჯგუფს განეკუთვნება ლიტერატურები, რომლებშიც კულტურებისა და ენების მიზანმიმართული შერევით, მშობლიურის მაგივრად უცხოური ენის გამოყენებით (ეგზოფონიით) რეპრეზენტაციისა და განსჯის საგნად იქცევა „გლობალურობა". ამგვარი ლიტერატურის მაგალითია სალმან რუშდის რომანები. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია „გლობალიზაციის ფიქციები", როგორიცაა, მაგალითად, დონ დელილოს *კოსმოპოლისი*. სამოგზაურო ლიტერატურა, ეკოლოგიური თრილერები და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებები, რომლებშიც ალტერნატიული სამყაროებია წარმოდგენილი, ამავე ჯგუფს განეკუთვნება. მესამე ჯგუფი მოიცავს ნაწარმოებებს, რომლებშიც მთლიანი სამყაროს მოდელებია წარმოდგენილი, თუმცა გლობალიზაციის საკითხი მხოლოდ ირიბადაა დასმული. ამგვარია ჰერმან მელვილის *მობი დიკი*, ასევე დიდტანიანი ეპიკური ჟანრები – ეპოსები და რომანები. ამრიგად, ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა, ერთი მხრივ, მონაწილეობს გლობალიზაციის პროცესში, მეორე მხრივ კი კრიტიკული განსჯის საგნად აქცევს მას.

1.2. მეხსიერების კვლევების მიდგომა ლიტერატურათმცოდნეობაში

ლიტერატურული ტექსტები კოლექტიური მეხსიერების მედიებია, რომლებიც არა მხოლოდ ასახავენ კოლექტივის მეხსიერებას, არამედ ზემოქმედებენ მასზე. სხვა სიმბოლური ფორმების (ერნსტ კასირერი) – მითოსის, რელიგიის, სამართლისა და მეც-

ნიერების მსგავსად ლიტერატურა გვიქმნის წარმოდგენას გარდასული დროების შესახებ, ემსახურება წარსულის კონკურენტულ ვერსიათა შეპირირისპირებას და შეიცავს განსჯას კოლექტიური მეხსიერების პროცესებისა და პრობლემების შესახებ.

კოლექტიურ მეხსიერებასთან ლიტერატურას აკავშირებს სელექციურობის პრინციპი: წარსულში მომხდარი ფაქტების, თარიღებისა და მათ მიერ აღძრული შთაბეჭდილებების სიმრავლიდან გასახსენებლად შეირჩევა მხოლოდ რამდენიმე ელემენტი, რომლებიც გახსენების პროცესში ხელახლა უკავშირდება ერთმანეთს, ე.ი. წარსულიდან შერჩეული ფრაგმენტები გადამუშავდება, ვიდრე მეხსიერების ობიექტად იქცეოდეს. წარსულის გადამუშავება მოიცავს თხზვას, თხრობასა და ჟანრობრივ სქემებში მოქცევას.

თხზვა მეხსიერების კულტურის უმნიშვნელოვანესი ხერხია, რომლის საფუძველზეც წარსულში მომხდარი რთული მოვლენები ჩვენს მეხსიერებაში კონკრეტული ტოპოსების, სურათებისა და პიროვნებების სახითაა რეპრეზენტირებული. ამავე დანიშნულებას ასრულებს ლიტერატურაში მეტაფორები, ინტერტექსტუალობა და ალეგორიები: მეხსიერების ამა თუ იმ ტოპოსის ამოსაცნობად და გასაგებად საჭიროა, ვიცნობდეთ შესაბამისი მეხსიერების მქონე კოლექტივის ისტორიულ კონტექსტს.

კოლექტიური მეხსიერების საფუძველია თხრობა. რაკი კოლექტიურ მეხსიერებას არ ძალუძს, შემოინახოს და გადმოსცეს ყველაფერი, რაც მოხდა, მასში ინფორმაციის მხოლოდ შეზღუდული ნაწილი გროვდება. სახელდობრ, ეს ის ინფორმაციაა, რომელიც ინდივიდისთვის ან კოლექტივისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მის აწმყოსთან მიმართებით. გახსენების პროცესში წარსულის შერჩეული ელემენტები იმგვარ კონფიგურაციაში იყრის თავს, რომ აზრიან მწყობრ ამბად, ნარატივად იქცევა. ამრიგად, მოვლენათა შერჩევა და ურთიერთდაკავშირება მათთვის აზრის მინიჭების საწინდარია. სხვაგვარად რომ ითქვას: ისტორიული გამოცდილების ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ამბად / ნარატივად იქცევა. ამრიგად, კოლექტიური მეხსიერება არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ნარატივების ერთობლიობა.

ისტორიოგრაფიული ტექსტების მსგავსად ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც წარსულის რეპრეზენტაცია დამკვიდრებული ნარატიული და ჟანრობრივი სქემების მიხედვით ხორციელდება.

ჟანრობრივი სტრუქტურის არჩევანით წინასწარ განისაზღვრება გახსენებული ამბის არსი. თითოეული ჟანრი არის ისტორიული მოვლენის ახსნის სტრატეგია, რომელიც გარკვეული იდეოლოგიური პოზიციითაა ნაკარნახევი (იხ. White 1973). სხვადასხვა ეპოქაში ლიტერატურული ჟანრები მეხსიერების კულტურის სამსახურში იდგა. მაგალითად, ეპოსში მოთხრობილი იყო კულტურული ჯგუფის წარმოშობისა და თავისებურებების შესახებ, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისსა და გერმანიაში ისტორიული რომანი იყო მეხსიერების მაწარმოებელი ჟანრი, იმავე დროის საფრანგეთში კი სახელმწიფოს მესვეურთა მემუარები ემსახურებოდა იდენტობის შექმნასა და ღირებულებათა გავრცელებას. კონვენციური ჟანრები ხშირად გამოიყენება რთულად გასაგები კოლექტიური გამოცდილებისთვის აზრის მისანიჭებლად. მაგალითად, ომის თემაზე დაწერილ ბრიტანულ რომანებში ოციანი წლებისა პასტორალი იყო კოლექტიური ტრავმის ახსნისა და კულტურული მეხსიერების მოდელის შემუშავების ერთგვარი ცდა.

სამყაროთა მოდელირებითა და მნიშვნელობების წარმოებით ლიტერატურა ემსგავსება კოლექტიური მეხსიერების სხვა მედიებს (ქრონიკა, ისტორიოგრაფია, კანონები, რელიგიური თხზულებები, მითოსი და ა.შ.). თუმცა ლიტერატურა მათგან განირჩევა დამატებითი თავისებურებებით, როგორებიცაა ფიქციურობა, ინტერდისკურსულობა და პოლივალენტურობა. ფიქციურობა გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ლიტერატურას როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიას, რადგან წარსულის რეპრეზენტაციისთვის მასში შესაძლებელია ფიქტიური მთხრობელი ინსტანციებისა და ინტროსპექციის გამოყენება, დაუდასტურებელი ან კონტრაფაქტობრივი ელემენტების ჩართვა. ამასთან, ფიქციურობის გამო ლიტერატურას აღარ აქვს პრეტენზია რეფერენციულობაზე, ფაქტების მიმართ ერთგულებასა და ობიექტურობაზე, რითაც იგი მკვეთრად განსვავდება ისტორიოგრაფიისგან, ავტობიოგრაფიისა და მემუარებისგან. სამეცნიერო დისკურსებისგან (ისტორიის მეცნიერება, ღვთისმეტყველება, სამართალმცოდნეობა) განსხვავებით, ლიტერატურულ ნაწარმოებში ასევე შესაძლებელია მეხსიერების კულტურაში არსებული სხვადასხვა დისკურსის ინტეგრაცია, რის გამოც ლიტერატურა „რეინტეგრაციულ ინტერდისკურსადაც“ იწოდება. ამის შედეგად, ლიტერატურას ძალუძს, წარსული გადმოსცეს მთელი მისი კომპლექსურობითა და არაერ-

თმნიშვნელოვნებით. ამ თავისებურებებით ლიტერატურას თავისი განუმეორებელი წვლილი შეაქვს მეხსიერების კულტურაში.

ლიტერატურული ტექსტისა და მეხსიერების კულტურის როგორც კონტექსტის ურთიერთმიმართება შეიძლება აიხსნას მიმეზისის სამწევრა მოდელის გამოყენებით, რომელიც არისტოტელეს კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავა პოლ რიკერმა (იხ. Ricœur 1988). მასში გამოიყოფა სამი საფეხური: მეხსიერების კულტურული პრეფიგურაცია, მეხსიერების ნარატივთა კონფიგურაცია და კოლექტიური რეფიგურაცია.

პრეფიგურაციაში იგულისხმება ლიტერატურის კავშირი მეხსიერების კულტურის მატერიალურ (მეხსიერების სხვა მედიებთან), სოციალურ (მეხსიერების მატარებელ კოლექტივთან ან ინსტიტუციებთან) ან მენტალურ (წარსულის რეპრეზენტაციის სქემებთან) განზომილებასთან. ამგვარი კავშირი მყარდება ინტერტექსტობრივი, ინტერმედიალური და ინტერდისკურსული მიმართებების სახით. ლიტერატურულ ტექსტში თავი ეყრება მეხსიერების სხვადასხვა ჩარჩოს ელემენტებს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიერ გახსენებულსა და დავიწყებულს, კოლექტივის მიერ გაუცნობიერებელსა და დაუნაწევრებელ მოგონებებს. ლიტერატურის განსაკუთრებულობაც სწორედ ისაა, რომ მასში შეიძლება გაერთიანდეს წარსულის ისეთი ხედვები, რომლებიც მეხსიერების კულტურაში არცაა ხელმისაწვდომი.

გარელიტერატურული სინამდვილის ელემენტები ლიტერატურულ ტექსტში ასახვისას წყდებიან თავიანთ თავდაპირველ კონტექსტს, რის შედეგადაც ისინი ახლებურად შეიძლება რესტრუქტურირდნენ ან ახალი ელემენტების დამატებით განივრცოს ან რეინტერპრეტირდნენ. ამ კონფიგურაციაში კოლექტიური მეხსიერების ვერსიები პოეტური ხერხების გამოყენებით გარდაიქმნება. ამგვარ ხერხებს განეკუთვნება ხდომილების გადმოცემა მთხრობელი და ფოკალიზატორი ინსტანციების პერსპექტივიდან, მეხსიერების მხატვრული სივრცის შექმნა დროისა და სივრცის ურთიერთშეკავშირებით, მონათხრობისთვის აზრის მინიჭება მეტაფორებითა და სიმბოლოებით. ამ ხერხებით ლიტერატურულ ტექსტში უზრუნველყოფილია კოლექტიური მეხსიერების ინსცენირება და მისი საკვანძო სემანტიკური ერთეულების (წარსულის სურათების, ღირებულებების, ნორმების, კოლექტიური იდენტობების) გადმოცემა.

ლიტერატურას ძალუძს, ზემოქმედება მოახდინოს მეხსიერების კულტურაზე, თუ ის ფართო საზოგადოებრივ წრეებში კოლექტიური მეხსიერების მედიად იქნება აღქმული. უწინარესად მისი ზემოქმედება გამოიხატება მკითხველის მიერ დროისთვის / წარსულისთვის აზრის მინიჭებით: ლიტერატურა ახდენს გავლენას კოლექტიურ წარმოდგენაზე გარდასული მოვლენებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ, იგი ასევე ხსნის თანამედროვეობას და აღძრავს გარკვეულ მოლოდინს მომავლის მიმართ. ამგვარმა კოლექტიურმა რეფიგურაციამ შეიძლება განაპირობოს ყოველდღიური კომუნიკაციის ფორმების შეცვლა და მკითხველს პოლიტიკური ქმედებისკენაც უბიძგოს. ლიტერატურული ტექსტების როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიათა რეცეფცია ფართო საზოგადოებაში, მათი დამკვიდრება მეხსიერების კულტურაში დასტურდება საფელეტონო განხილვებითა და ბესტსელერთა სიებით, ასევე ინსტიტუციონალიზაციის სხვადასხვა ფორმით, როგორებიცაა შესაბამის ნაწარმოებთა ჩართვა სასწავლო პროგრამებში, მათი კანონიზაცია, ან მათი ციტირება ყოველდღიურ საუბარში. რაკი ლიტერატურული ტექსტები კოლექტიური წარსულის ახსნის შესაძლებლობას იძლევა, მათი ზემოქმედება შეიძლება იყოს როგორც აფირმაციული, ისე სუბვერსიული. ამ ზემოქმედების ხელშეწყობა ან ჩახშობა მკითხველებსა და სოციალურ ინსტიტუციებზეა დამოკიდებული.

ამრიგად, რაკი ლიტერატურული სტრატეგიები ერთგვარი პასუხია მეხსიერების კულტურის გამოწვევებზე, ლიტერატურული ტექსტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია არა მხოლოდ ჰიპოთეზების წამოყენება მეხსიერების კულტურული პრეფიგურაციის, ე.ი. კოლექტიური მეხსიერების კონტექსტის შესახებ, არამედ მეხსიერების კულტურაში ნაწარმოების ფუნქციის (ზეგავლენის) შესახებაც. ლიტერატურის როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიის ფუნქციები მეტწილად რეფიგურაციაზე (ე.ი. მკითხველების მიერ ლიტერატურული ტექსტების ათვისებაზე) არის დამოკიდებული და, ამრიგად, იგი არსებითად რეცეფციული ფენომენია.

მეხსიერების კულტურაში ლიტერატურის ფუნქცია შეიძლება იყოს დამახსოვრება, გავრცელება, ან ავტობიოგრაფიული გახსენების მედიური ჩარჩოს შექმნა. დამახსოვრებას ემსახურება ე.წ. „კულტურული ტექსტები“. ამგვარია კანონიკური ლიტერატურუ-

ლი ნაწარმოებები, რომლებშიც გადმოცემულია კულტურული, ეროვნული ან რელიგიური იდენტობა, ან კოლექტივის მიერ გაზიარებული ღირებულებები და ნორმები. კანონიზაციის შედეგად ლიტერატურული ტექსტების მრავალმნიშვნელოვნება ქარწყლდება ერთმნიშვნელოვანი შეტყობინების სასარგებლოდ; ამგვარი ტექსტები წყდება თავიანთ ისტორიულ კონტექსტს და ზედროულ ჭეშმარიტებასთან იგივდება, რის გამოც ისინი თვითონაც იქცევიან გახსენების ობიექტებად (ჰომეროსის *ოდისეა*, გოეთეს *ფაუსტი*, ელიოტის *ბერწი მიწა*). კულტურული ტექსტებისგან განსხვავებით, კოლექტიური ტექსტები ასრულებენ კოლექტიური მეხსიერების გავრცელების ფუნქციას. ისინი წარსულის ვერსიების შექმნისა და გადმოცემის საშუალებებია. კოლექტიურ ტექსტებს ხშირად პოპულარული / ტრივიალური ლიტერატურული ნაწარმოებები განეკუთვნება. ისტორიული, სამოგზაურო და სათავგადასავლო რომანები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში. მათში იქმნება და ირღვევა მითები, აისახება აზრის მინიჭების კულტურული სქემები. კულტურული ტექსტებისგან განსხვავებით კოლექტიური ტექსტების ზეგავლენა უმეტესად გაუცნობიერებელია. ხოლო ლიტერატურა როგორც ავტობიოგრაფიული მეხსიერების (ინგლ. collected memory) მედიური ჩარჩო ეხმარება მკითხველებს, აზრი მიანიჭონ თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. თავიანთი ცხოვრების გასახსენებლად მკითხველები ხშირად გაუცნობიერებლად იყენებენ ნარატიულ მოდელებსა და სტრუქტურებს, რომლებსაც ისინი ლიტერატურიდან იცნობენ. ამრიგად, ლიტერატურა როგორც კოლექტიური მეხსიერების მედია ორ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს მეხსიერების კულტურაში: ერთი მხრივ, იგი ემსახურება მეხსიერების შექმნას ჩვენს პირად მოგონებებსა და ისტორიული წარსულის შესახებ ჩვენს წარმოდგენებზე ზემოქმედებით, მეორე მხრივ კი მასში აშკარავდება მეხსიერებასთან დაკავშირებული პროცესები და პრობლემები, და ამით იგი ემსახურება განსჯას მეხსიერების შესახებ. მეხსიერების შექმნა, თავის მხრივ, შეიძლება წარიმართოს მეხსიერების კულტურაში უკვე არსებულ წარმოდგენათა განმტკიცების, ან მათი დეკონსტრუქცია-რევიზიის მიზნით. პირველ შემთხვევაში, ლიტერატურულ ტექსტებში წარმოდგენილი წარმოსახვითი სინამდვილე, გადმოცემული მითები და ისტორიული მოვლენები განაპირობებს წარსულის გარკვე-

ული ვერსიების დამკვიდრებას მეხსიერების კულტურაში. მეორე შემთხვევაში, წარსულის დამკვიდრებული ვერსიები გადასინჯვას ექვემდებარება, როგორც ეს ხშირად იჩენს თავს პოსტკოლონიურ, უმცირესობათა და ქალთა მწერლობაში.

რამდენად აღიქვამს მკითხველი ლიტერატურულ ნაწარმოებს როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიას, დიდწილად დამოკიდებულია ტექსტის რიტორიკაზე. სტრატეგიას, რომლის საფუძველზეც ლიტერატურული ტექსტი მეხსიერების მედიად აღიქმება, კოლექტიური მეხსიერების რიტორიკა ეწოდება (Erll 2005a, 168). განირჩევა კოლექტიური მეხსიერების რიტორიკის ხუთი მოდუსი, სახელდობრ:

1. გამოცდილებისებრი მოდუსი, რომელშიც მონათხრობი ყოველდღიური კომუნიკაციური მეხსიერების საგნადაა წარმოჩენილი. გამოცდილებისებრი მოდუსი გვხვდება ლიტერატურულ ტექსტებში, რომლებშიც ერთი ეპოქის ან სოციალური ჯგუფის ცხოვრებისეული გამოცდილებაა გადმოცემული. ფიქციური ხდომილება ტოვებს განცდილის შთაბეჭდილებას. წარსული წარმოდგენილია ინდივიდუალურ-ავტობიოგრაფიული მეხსიერების ფარგლებში და ამრიგად, ხასიათდება ყოველდღიური, ემოციური ავთენტურობით. ამგვარი ნარატივის მაგალითია ერიჰ მარია რემარკის რომანი *დასავლეთის ფრონტზე არაფერი შეცვლილა*.
2. მონუმენტური მოდუსი, რომელშიც მონათხრობი წარმოჩნდება ფართო კულტურული (ეროვნული, რელიგიური) აზრობრივი ჰორიზონტის ობიექტად, კულტურული მეხსიერების მითოსად. მონუმენტურ მოდუსში ასახული სინამდვილე კულტურული ჯგუფის შორეულ წარსულს უკავშირდება. ლიტერატურა ამ შემთხვევაში ასრულებს აზრის მიმნიჭებელი მედიის დანიშნულებას. წარსულის რეპრეზენტაციისთვის გამოიყენება კულტურული მეხსიერების მედიები და პრაქტიკები (მითოსი, რიტუალი), მაგალითად, როგორც ჯონ მილტონის *დაკარგულ სამოთხეში*.
3. ისტორიზაციული მოდუსი, რომელშიც მონათხრობი წარმოჩნდება როგორც დასრულებული წარსულის ნაწილი და მეცნიერული ისტორიოგრაფიის საგანი. ისტორიზაცია, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად ისტორიულ რომანებში

გვხვდება, შეიძლება გამოიხატოს მონათხრობის დამოწმებებით (სქოლიოში), მითითებებით ისტორიულ წყაროებსა და ნაშრომებზე, ისტორიული დეტალების სიჭარბით, რაც გარდასულ ჟამთა რეალიების მიმართ დისტანციისა და სიუცხოვის წარმოჩენას ემსახურება.

4. ანტაგონისტური მოდუსი, რომელშიც წარსულის კონკურენტული (გაბატონებული და არარეპრეზენტირებული) ვერსიების შეპირისპირება იჩენს თავს. მარგინალური ჯგუფების მოგონებები, რომლებშიც გაბატონებული კულტურისგან განსხვავებული ავტოხატები და ღირებულებითი იერარქიებია ასახული, ხშირად გადმოიცემა პოსტკოლონიურ მწერლობაში. ანტაგონისტურ მოდუსში შექმნილი ტექსტების კვლევა მიმართულია იდენტობისა და განსხვავებულობის კონსტრუქციათა ანალიზისკენ. ანტაგონისტურ მოდუსში სოციალური კლასების, სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების, თაობების, რელიგიური ჯგუფების მეხსიერებათა კონკურენული ურთიერთმიმართება შეიძლება ემსახურებოდეს მეხსიერების არსებულ ნარატივთა განმტკიცებას ან მათ სუბვერსიულ დეკონსტრუქციას.
5. რეფლექსიური მოდუსი, რომელშიც მეხსიერების კულტურაზე დაკვირვებაა შესაძლებელი. რეფლექსიურ მოდუსში კრიტიკული განსჯის საგნად იქცევა კოლექტიური მეხსიერების წარმოება და სელექციის მექანიზმები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად, ასევე მისით მანიპულაციისა და პოლიტიკური მიზნების გამოყენების შესაძლებლობები. ამრიგად, რეფლექსიური მოდუსი ხშირად ერწყმის ანტაგონისტურს და მიზნად ისახავს მეხსიერების პოლიტიკის კრიტიკას.

კოლექტიური მეხსიერების რიტორიკის ყველა მოდუსი იწარმოება გამოხატვის მრავალი ლიტერატურული ხერხით, სახელდობრ, კონფიგურაციით, პარატექსტებით, მთხრობლის დისკურსით, ფოკალიზაციით, მოქმედ პირთა თავისებურებებით, ინტერტექსტუალობით, დროისა და სივრცის გადმოცემით, სიმბოლოებითა და მეტაფორებით. ლიტერატურულ ნარატივებში არც ისე იშვიათია კოლექტიური მეხსიერების სხვადასხვა მოდუსთა კომბინაცია, რის შედეგადაც ლიტერატურამ შეიძლება მრავალგ-

ვარი დანიშნულება შეასრულოს მეხსიერების კულტურის ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის პროცესში.

2. გერმანულ-ქართული ლიტერატურის ადგილი და სპეციფიკა გერმანულენოვან ინტერკულტურულ ლიტერატურებს შორის

მიუხედევად იმისა, რომ კულტურათშორისი ფრთა გერმანული ლიტერატურისა ისეთივე ძველ ფენომენად მიიჩნევა, როგორადაც თავად გერმანული მწერლობა, აშკარაა, რომ მეოცე საუკუნეში დაწყებული მიგრაციული პროცესების შედეგად მასში აქამდე არნახულმა ენობრივმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ იჩინა თავი (Chiellino 2007, 51). ამ ახალი კულტურათშორისი ლიტერატურის ათვლა იწყება XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. მასში პირობითად გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება, ტენდენცია ან „ხმა“ (როგორც მას გერმანული კულტურათშორისი ლიტერატურის მკვლევარი, კარმინე კელინო უწოდებს), სახელდობრ:

1. იმ კულტურულ-ეთნიკურ უმცირესობათა მრავალენოვანი / პოლიფონიური ხმა, რომლებიც 1955 წლიდან დასახლდნენ გერმანიაში.
2. უმცირესობათა იმ წარმომადგენელთა ხმა, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებისთვის არჩევანი შეაჩერეს გერმანულ ენაზე (ასეთია, მაგალითად, ემინე სევგი ოზდამარის ნაწარმოებები).
3. მესამე ხმა ეკუთვნის შედარებით ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც თავიანთი სოციალიზაციისა და სასკოლო განათლების შედეგად გერმანული მშობლიურ ენად აითვისეს, მაგრამ ოჯახურ გარემოცვაში მათი მშობლები ჯერ კიდევ უცხოურ ენაზე ლაპარაკობენ (ასეთია ფერიდუნ ზაიმოღლუ).
4. მეოთხე ხმა ნაკლებად „ისმის“ გერმანულენოვან სივრცეში, რადგან იგი სხვა ეროვნულ ლიტერატურათა ფარგლებში აგრძელებს არსებობას. ეს ლიტერატურა იქმნება იმ ავტორების მიერ, რომლებიც გერმანიიდან თავიანთ თავდაპირველ სამშობლოში დაბრუნდნენ, თუმცა თემატურად

კვლავ მიგრაციასთან არიან დაკავშირებულნი. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არა სამშობლოში, არამედ სხვა ქვეყანაში დამკვიდრდნენ, და ისეთებიც, რომლებიც არასდროს ყოფილან გერმანიაში, მაგრამ თავიანთი ოჯახის ემიგრაციის შესახებ მოგვითხრობენ.

5. ცალკე შეიძლება გამოიყოს იმ ავტორების მრავალენოვანი და გერმანულენოვანი ხმები, რომლებიც გერმანიაში თავშესაფარს ეძებდნენ. ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, აღმოსავლეთ ევროპიდან, ლათინური ამერიკიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დევნილთა ნაწილი წერს მშობლიურ ენაზე, რის გამოც მათი ნაწარმოებები უმეტესად არ იბეჭდება გერმანიაში. ამასთან, მათ მიერ ემიგრაციის წლებში დაწერილი ნაწარმოებები თემატურად უკავშირდება მათ სამშობლოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რაც ნაკლებადაა საინტერესო გერმანელი მკითხველისთვის.
6. განსხვავებულ ვითარებაში არიან ავტორები, რომლებიც ემიგრაციამდეც ცნობილი იყვნენ გერმანიაში და რომელთა მისამართითაც იმთავითვე არსებობდა პოლიტიკური სოლიდარობა.
7. ძალზე თავისებურია იმ ავტორთა ხმა, რომლებიც არც პოლიტიკურ დევნილებს განეკუთვნებიან და არც კლასიკურ იმიგრანტებს. თითოეული მათგანის ემიგრაციას განსაკუთრებული მიზეზები ჰქონდა, რომლებიც არ დაიყვანება პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ფაქტორებზე. ყველა მათგანმა არჩევანი მასპინძელი ქვეყნის (გერმანიის) ენაზე შეაჩერა (მაგალითად, როგორც იოკო თავადამ).
8. მერვე ხმა აფრიკიდან წამოსულ შავკანიანთა კულტურულ სივრცეს უკავშირდება და მრავალენოვანია.
9. მეცხრე ხმა რუსეთიდან დაბრუნებული რეპატრიანტებისაა, რომლებიც გერმანულად ან რუსულად წერენ.
10. სუსტად ისმის იმ მწერალთა ხმა, რომლებიც ასევე აღმოსავლეთ ევროპიდან არიან და თავიანთ მშობლიურ ენაზე წერენ.

გერმანიის ინტერკულტურულ ლიტერატურათა ტოპოგრაფიაში გერმანულ-ქართული მწერლობა ფარავს სამ მიმართულებას, სახელდობრ,

- გერმანულენოვან ინტერკულტურულ ლიტერატურათა პირველ ფორმაციას, რომელიც ხასიათდება პოლიფონიურობით. ამ ფორმაციის ფარგლებში კულტურულ-ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დიდწილად თავიანთ მშობლიურ ენაზე წერდნენ. სწორედ ამგვარი მწერალი იყო გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც თავისი რომანი *მცველნი გრალისა* უკვე გერმანიაში მყოფს თავდაპირველად ქართულ ენაზე დაუწერია.
- გერმანულენოვან ინტერკულტურულ ლიტერატურათა მესამე მიმართულებას. მას განეკუთვნებიან მწერლები, რომლებმაც გერმანიაში გაიარეს სოციალიზაცია და შედეგად, გერმანული ენა მათ მშობლიურ ენად ქცეულა იმის მიუხედავად, რომ ოჯახურ გარემოცვაში სხვა ენა ესმოდათ. ამგვარი ავტორია გივი მარგველაშვილი, რომლისთვისაც ქართული წარმომავლობის მიუხედევად გერმანული იყო ძირითადი ენა.
- და გერმანულენოვან ინტერკულტურულ ლიტერატურათა მეშვიდე ტალღას, რომელსაც არც პოლიტიკური დევნილები განეკუთვნებიან და არც კლასიკური ემიგრანტები. გერმანულ-ქართულ მწერლობაში მწერალთა ეს ტალღა წარმოდგენილია ნინო ხარატიშვილით, რომელიც პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე დასახლდა გერმანიაში და თავის ნაწარმოებებს გერმანულ ენაზე წერს.

საცნაურია, რომ გერმანულ-ქართული მწერლობა ქრონოლოგიურად და თვისებრივად მკვეთრად განსხვავდება გერმანიის კულტურათშორისი ლიტერატურებისგან. გერმანიაში კულტურათშორისი ლიტერატურის ათვლის წერტილად 50-იანი წლები მიიჩნევა. სწორედ მაშინ დაძრულა მიგრანტთა პირველი დიდი ტალღა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებიდან გერმანიის მიმართულებით, რასაც 60-იანების ბოლოს მოჰყოლია პოლიტიკური მიგრაცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, 70-იანებში კი – ლათინური ამერიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან; პროცესი სრულდება 80-იან წლებში გერმანული წარმომავლობის ოჯახების რეპატრიაციით (შდრ. Chiellino 2007, 51 და Yano 2007). გერმანულ-ქართული მწერლობის სათავეები აშკარად სცდება ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოს, რაკი გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებები ჯერ კიდევ 30-იან წლებში იბეჭდება გერმანიაში.

განსხვავებულია გერმანიაში ჩასულ ქართველ მწერალთა მოტივაციაც. მიიჩნევა, რომ გერმანიაში ჩასულ ემიგრანტებს, დევნილებსა და რეპატრიანტებს საერთო მიზანი ამოძრავებდა, სახელდობრ, თავი დაემკვიდრებინათ საზოგადოებაში, რომელიც მათ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას უქადდა. თუმცა გერმანიაში სამუშაოდ ჩასული მიგრანტები საზოგადოების დაბალ ფენაში ხვდებიან და კვების, ვაჭრობის, ხელოსნობისა და მომსახურეობის სფეროებში საქმდებიან (შდრ. Yano 2007, 11). ახალ გარემოცვაში მათი მსოფლხედვა და ცხოვრების წესი იცვლება, რის გამოც ისინი ხშირად უპირისპირდებიან თავიანთი სოციალური წრის ტრადიციულ ნორმებს. ეს აისახება მათ ლიტერატურულ შემოქმედებაზეც, რომლის თემატიკაც უმეტესად შემოიფარგლება ემიგრაციის მიზეზებით, უცხო კულტურასთან კონფრონტაციით, ახალ სამშობლოში ინტეგრაციის პრობლებით (შდრ. Chiellino 2007, 58).

სრულიად სხვაგვარი ვითარებაა გერმანულ-ქართული მწერლობის წარმომადგენელთა შემთხვევაში. სხვა გერმანულენოვანი კულტურათშორისი ლიტერატურებისგან (გერმანულ-თურქული, გერმანულ-რუსული, გერმანულ-იტალიური და ა.შ.) განსხვავებით გერმანულ-ქართული მწერლობა არასდროს არ ყოფილა გერმანიაში სამუშაოდ ჩასულ მიგრანტთა ლიტერატურა. შესაბამისად, ამ მწერლობის წარმომადგენლები არ განეკუთვნებოდნენ დაბალ სოციალურ ფენას. ქართველ მწერალთა მიგრაცია უმეტესად პოლიტიკურ პროცესებთან (როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს გასაბჭოება გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში, დეპორტაცია საბჭოთა საქართველოში – გივი მარგველაშვილის შემთხვევაში, სამოქალაქო ომი – ნინო ხარატიშვილის შემთხვევაში) იყო დაკავშირებული, რითაც მნიშვნელოვანწილად იყო დავალებული მათი ნაწარმოებების თემატიკა. ამრიგად, არაა გასაკვირი, რომ ქართველები არ არიან ნახსენები იმ ექვს უმცირესობაში (იტალიური, ბერძნული, ესპანური, თურქული, პორტუგალიური და იუგოსლავური), რომლებიც გერმანიაში შრომითი მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ (Chiellino 2007, 57).

იმისთვის, რათა გამოიკვეთოს გერმანულ-ქართული მწერლობის სპეციფიკა დანარჩენ გერმანულენოვან კულტურათშორის ლიტერატურათა შორის, მიზანშეწონილია, აღიწეროს კომუნიკაციური მოდელი, რომელშიც ამ მწერლობის შემადგენელი ტექსტებია ჩართული. ამისთვის გამოდგება კომუნიკაციის ცნობილი

მოდელი, რომელიც რომან იაკობსონმა შეიმუშავა (იხ. Jakobson 1979). თუ ამ ექვსწევრა მოდელს გერმანულ-ქართული მწერლობის აღსაწერად გამოვიყენებთ, თავს იჩენს მისი შემდეგი თავისებურებები: გერმანულ-ქართული მწერლობის ავტორები განეკუთვნებიან ეთნო-კულტურულ უმცირესობას გერმანულ (რობაქიძე, ხარატიშვილი) ან ქართულ (მარგველაშვილი) სივრცეში, მაგრამ ისინი ქმნიან თავიანთ (მონოფონიურ) ნაწარმოებებს გერმანულენოვანი უმრავლესობის ენაზე და მათი ადრესატიც სწორედ გერმანელი (ან გერმანულენოვანი) მკითხველია. თავისებურება, რომლითაც გერმანულ-ქართული ლიტერატურა სრულად შეესაბამება გერმანიის სხვა კულტურათშორის მწერლობებს, დაკავშირებულია ადრესატთან. გერმანულენოვანი კულტურათშორისი ლიტერატურა (მათ შორის გერმანულ-ქართულიც) აშკარად ან ფარულად ყოველთვის მიმართავს გერმანელ მკითხველს, რითაც განსაკუთრებულ, ეროვნულ მწერლობათაგან განსხვავებულ აპელაციურ ფუნქციას იძენს (შდრ. Chiellino 2007, 59-60). თუმცა კონტექსტი, რომელზეც ქართველ მიგრანტთა ქმნილებები მიანიშნებს, დაკავშირებულია არა გერმანიასთან, არამედ საქართველოსთან (რობაქიძისა და ხარატიშვილის შემთხვევაში, ნაწილობრივ მარგველაშვილის შემთხვევაშიც) ან ზოგადად, მიგრაციასთან (მარგველაშვილის შემთხვევაში). აღნიშნული შეიძლება ვიზუალურად გადმოიცეს ამგვარი სქემის სახით:

მიგრანტი ავტორი – გერმანულენოვანი ტექსტი – გერმანელი მკითხველი

გერმანული ენა როგორც კოდი
გერმანული საგამომცემლო სივრცე როგორც არხი
ქართული კონტექსტი

ამრიგად, გერმანულ-ქართულ კულტურათშორის მწერლობაში თავს იჩენს უფრო საგრძნობი კულტურული ასიმეტრიულობა, ვიდრე ეს დანარჩენი გერმანულენოვანი კულტურათშორისი ლიტერატურების შემთხვევაშია. ამ უკანასკნელებისგან განსხვავებით, გერმანულ-ქართული ლიტერატურა რეფერენციულ მიმართებაშია არა ადგილობრივ, გერმანულ კულტურულსა და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტთან, არამედ ქართულ სივრცესთან. მაგრამ რაკი ეს სივრცე მიუწვდომელია აწმყოში, ერთადერთი და-

საშვები დროითი განზომილება, რომელშიც ქართულ სივრცესთან რეფერენციული კავშირი შეიძლება დამყარდეს, არის წარსული. სწორედ ეს განაპირობებს დროით აცდენას მასპინძელი საზოგადოების სივრცობრივ პრიორიტეტებსა და მიგრანტის დროით პრიორიტეტებს შორის, რაც იქცევა მთავარ დაბრკოლებად მიგრანტი მწერლების მიერ შექმნილი ნაწარმოებების რეცეფციის პროცესში (შდრ. Chiellino 2007, 53). სავარაუდოდ, დროითი შეუთავსებლობა ქართველ მიგრანტთა შემოქმედებასა და თანადროულ გერმანულ კონტექსტს შორის კიდევ უფრო მწვავე იყო, რითაც შეიძლება აიხსნას მათი ნაწარმოებების ერთობ მოკრძალებული რეცეფცია.

ამ სპეციფიკის გათვალისწინებით უსაფუძვლო არ იქნება, თუ გერმანულ-ქართულ ლიტერატურას ე.წ. „მცირე ლიტერატურად" მივიჩნევთ.[2] ეს ტერმინი თავდაპირველად ფრანც კაფკას გამოუყენებია თავის დღიურში (1911 წ.). მწერალი იდიშზე დაწერილ ლიტერატურას (მოგვიანებით კი ჩეხურ ლიტერატურასაც) უწოდებს „მცირეს" და მიაწერს მას უწყვეტ საბრძოლო განწყობას, რომელიც განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როდესაც ერი საბრძოლო ვითარებაშია. მწერლის აზრით, მცირე ლიტერატურით უზრუნველყოფილია მცირე ერის ერთობა და მასში ეროვნული სიამაყის გაღვივება. სწორედ ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით განავითარეს მოგვიანებით ფრანგმა ფილოსოფოსებმა ჟილ დელიოზმა და ფელიქს გატარიმ თავიანთი თეორია მცირე ლიტერატურის შესახებ. მათი განსაზღვრებით, ესაა „ლიტერატურა უმცირესობისა, რომელიც უმრავლესობის ენას იყენებს" (Deleuze / Guattari 1976, 24). გერმანულ-ქართული მწერლობა სწორედ ამგვარია. სხვა „მცირე ლიტერატურების" მსგავსად ისიც ხასიათდება დეტერიტორიალიზაციით (ე.ი. ენისა და კულტურის მოწყვეტით მისი ბუნებრივი სივრციდან), ინდივიდუალურისა და პოლიტიკურის ურთიერთდაკავშირებით და მთელი კოლექტივის (მოცემულ შემთხვევაში, ქართველი მიგრანტების) სათქმელის არტიკულაციით. აშკარაა გერმანულ-ქართული ლიტერატურის სუბვერსიული ხასიათიც: მარგინალიზებულსა და დათრგუნულზე ყურადღების გამახვილებით იგი პოლიტიკურსა და მსოფლმხედველობრივ რევოლუციას ემსახურება. სწორედ გერმანულ-ქართული ლიტერატუ-

2 მინიშნებას გერმანულ-ქართული ლიტერატურაში მცირე ლიტერატურის თავისებურებათა დანახვის შესახებ ვუმადლით ჩვენს კოლეგას, პროფ. ზაალ ანდრონიკაშვილს.

რის სუბვერსიული ხასიათის წარმოჩენას დაეთმობა წინამდებარე ნარკვევის მომდევნო თავები.

3. ავტო- და ჰეტეროხატთა ტრანსფორმაცია გერმანულ-ქართულ ლიტერატურაში

3.1. ჰეტეროხატი როგორც ინტრაკულტურული უცხო გრიგოლ რობაქიძის რომანში *მცველნი გრალისა*

მართალია, გრიგოლ რობაქიძეს თავისი რომანი *მცველნი გრალისა* თავდაპირველად ქართულ ენაზე შეუთხზავს (შდრ. Gagnidse / Schuchard 2011, 69), მაგრამ ტექსტში ქართული იდენტობა („ქართველობა") იმდენად დემონსტრაციულადაა წარმოდგენილი, რომ სავარაუდოდ იგი იმთავითვე არაქართველი მკითხველისთვის უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული. ეს მოსაზრება მით უფრო დამაჯერებელი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაწარმოები დაიწერა 1930-იან წლებში, როდესაც გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში იმყოფებოდა, საიდანაც იმ დროისთვის უკვე გასაბჭოებულ საქართველოში დარჩენილ ქართველ მკითხველს ხმას ვეღარ მიაწვდენდა. გრიგოლ რობაქიძეს ამ რომანით გარკვეული წვლილი შეაქვს ე.წ. ეროვნული რიტორიკის ჩამოყალიბებაში, რომლის მიზანიც საჯარო დისკურსების ფარგლებში ცნობიერებასა და ემოციებზე ზემოქმედებაა (შდრ. Neumann 2009, 11). ეროვნულ რიტორიკაში გამოიყენება განმეორებადი მოტივები და ხერხები ეროვნული ავტოხატებისა და ჰეტეროხატების შესაქმნელად, რომლებიც იმდენად თვალსაჩინო, ცოცხალი და ემოციურად დატვირთული უნდა იყოს, რომ შეძლოს, ზემოქმედება მოახდინოს კოლექტიურ აზროვნებაზე. ეროვნული რიტორიკის ხერხებს განეკუთვნება გაბატონებული სიუჟეტური სქემები, მეტაფორები, მოქმედ პირთა კონფიგურაციები, სივრცის რეპრეზენტაციები და თხრობის პერსპექტივები (იქვე, 10-11). წინამდებარე ქვეთავში სწორედ ამ ელემენტებსა და სტრუქტურებზე გამახვილდება ყურადღება.

ვიდრე ტექსტის ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ გადმოიცეს რომანის სიუჟეტი: რომანის პროტაგონისტია პოეტი, ლევან ორბელი, რომელსაც საირმეში სტუმრობის დროს თავა-

დი გიორგი თავისი საქმის გამგრძელებლად, ე.ი. გრალის მორიგ მცველად დაასახელებს. ლევან ორბელი თავის ნაცნობ ხელოვანთა წრიდან შეარჩევს ცხრა კაცს (გრალის რაინდებს) და მათთან ერთად ითავებს გრალის დაცვას. რომანში გადმოცემული თქმულების მიხედვით, გრალი არის თასი, რომელშიც წმინდა ნინოს ჯვრიდან გადმოღვრილი ყურძნის წვენი შეგროვებულა. გრალის თასი გაიგივებულია საქართველოს გულთან. იგი ერის სულიერებასა და რწმენას განასახიერებს. ანტაგონისტებად ტექსტში გვევლინებიან საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც გრალის განადგურებას ცდილობენ. რომანის მოქმედება ნაკარნახევია 1924 წლის ისტორიული აჯანყებით. მიუხედევად იმისა, რომ აჯანყება ჩაახშეს, ლევან ორბელის თავგანწირვის შედეგად გრალი გადარჩა და ერთი ხის სიღრმეში იქნა შენახული.

რომანში ავტოხატები წარმოდგენილია როგორც მოქმედი პირების, ისე ლანდშაფტებისა და ადგილების, ადათ-წესებისა და ჩვეულებების, ისტორიული მოვლენებისა და ქართული კულტურის სხვა კომპონენტების (ენა, ლიტერატურა, ჩაცმულობა, თქმულებები) სახით.

მოქმედ პირებში ეროვნული იდენტობის მატარებლებად წარმოგვიდგებიან ლევან ორბელი და თავადი გიორგი. თუ ორივე მოქმედი პირის ძირითად მახასითებლებს ცხრილში მოვუყრით თავს, მოცემულობა ამგვარი იქნება:

	ლევან ორბელი	თავადი გიორგი
გარეგნობა	უცნაური კაცი დიდი, მოელვარე თვალები ლტოლვა შორეთისკენ	უჩვეულო კაცი თაფლისფერი, ღრმა, მშვიდი თვალები შორეთი მის მზერაში
მსოფლმხედველობა	სრულად აყვებოდა ხოლმე განცდას მზიური გზა	უკიდურესი სევდა მზიური ადამიანი
უნარები	პოეტი	როგორც პოეტი
ფუნქცია	საქმის ადამიანი, რაინდი, წმინდა თასის მცველი	ბატონი, ადეპტი

ცხრილი 1: ავტოხატები მოქმედი პირების სახით

ცხრილში წარმოჩნდება ორივე მოქმედი პირის მსგავსება მათი ემოციურობისა და შორეთისკენ ლტოლვის მხრივ, ასევე პოეზიასთან მათი სიახლოვისა და მზის სიმბოლიკასთან მათი კავშირის მხრივაც. ორივე მათგანი უცნაური, უჩვეულო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს სხვებზე. განსხვავებულია მხოლოდ მათი დანიშნულება გრალთან მიმართებით: თავადი გიორგი ბატონისა და თასის მპყრობლის როლს ასრულებს, ლევან ორბელი კი – რაინდისა და გრალის მცველის. როლების ამგვარი განაწილება ძალზე მსგავსია მეფისა და რაინდის ურთიერთმიმართებისა სარაინდო რომანების კონფიგურაციაში.

ქართული იდენტობა („ქართველობა") დაუფარავადაა რომანის ერთ-ერთ გამჭოლ თემად ქცეული. ისეთი ფრაზები, როგორებიცაა „ჩვენ / თქვენ ქართველები", ქართული ბუნება", „ქართულ ყაიდაზე" მოქცევა, „ქართული რასა", საკმაოდ ხშირად გვხვდება ტექსტში. მის მიხედვით, ტიპური (ან იდეალური) ქართველის ეროვნული ხასიათი შემდეგ თავისებურებებს მოიცავს: სევდა, მუსიკალურობა, მოუთმენლობა, რაციონალური გათვლის უუნარობა, ქოლერიკული ტემპერამენტი, იუმორი და ხალისი, ერთგული მეგობრის თვისებები, სტუმართმოყვარეობა, სიზანტე და სიზარმაცე, მიდრეკილება კოლექტივიზმისა და სახელმწიფოებრივი ღალატისკენ. ტექსტში აღწერილია ასევე კულტურული პრაქტიკები, რომლებიც ქართული ბუნების შემადგენელ ნაწილებადაა სტილიზებული. მათ განეკუთვნება უწინარესად ქართული სუფრა, რომელსაც ნაწარმოებში ცალკე თავი („მზიური ნადიმი") ეთმობა. სადღეგრძელოები, ცეკვა, ლექსების წარმოთქმა, სიმღერა და ლოცვა ერთობლივი ზეიმის განუყოფელ კომპონენტებადაა წარმოჩენილი. ტექსტში აღნიშნულია, რომ სუფრას თამადა უძღვება, რომლის ავტორიტეტიც ქურუმისას უტოლდება. სწორედ იგი აგებს პასუხს იერარქიულ წესრიგზე, რომელიც სუფრაზე უნდა დამყარდეს. საცნაურია, რომ ამგვარი წესრიგი, ერთი მხრივ, საკრალიზებულია როგორც რიტუალი, მეორე მხრივ კი ბუნებრივ მოვლენადაა ესენციალიზებული. ნაწარმოებში ამით გათანაბრებულია ბუნებრივი და წმინდა, და ორივე მათგანი დაკავშირებულია ქართულ ეროვნულ ხასიათთან. ეს ეროვნული რიტორიკის ტიპური ხერხია. ნატურალიზაცია მასში სტერეოტიპების ნორმალიზაციისთვის გამოიყენება (შდრ. Neumann 2009, 52), რის შედე-

გადაც ეროვნული ხასიათი ბუნებრივ მოცემულობად წარმოდგება (შდრ. Leerssen 2000, 272).

რომანში ნატურალიზაციის კიდევ ერთი ხერხი გამოიყენება, სახელდობრ: ლანდშაფტების მითოსური აღწერები. გრიგოლ რობაქიძე აღწერს ე.წ. ეროვნულ ლანდშაფტებს სამშობლოს პატრიოტული სურათის შესაქმნელად (შდრ. Rühling 2014, 22). სამშობლოს ამგვარი სურათი განირჩევა იმით, რომ მასთან დაკავშირებული წარმოდგენები უკავშირდება არა იმდენად ლანდშაფტების, შენობების, ქალაქების და სხვა ადგილების ობიექტურ თავისებურებებს, რამდენადაც მათ ემოციურსა და სიტუაციურად განპირობებულ თვისებებს. ლუც რიულინგის აზრით, აფექტურად დატვირთული სტერეოტიპული წარმოდგენები სამშობლოს შესახებ ასრულებს იდენტობის მაწარმოებელ ფუნქციას (იქვე 24). რომანში აღწერილ ეროვნულ ლანდშაფტებში აღსანიშნავია თბილისის რეპრეზენტაცია, რომელიც აფექტურად და ემოციურად ძალზე დატვირთულია. საქართველო როგორც სივრცე რომანში წარმოგვიდგება როგორც „საცხოვრებელ“ ისე „სოციალურ“ სამშობლოდ (ლუც რიულინგის ტერმინოლოგია), ე.ი. ესაა ადგილი, რომლის მნიშვნელობაც იზომება არა მხოლოდ იმით, რომ იქ ცხოვრობენ, არამედ იმითაც, რომ ამ სივრცეში მყარდება სოციალური კონტაქტები (ნადიმი). ოდნავ სხვაგვარი ვითარებაა სხვა ადგილების აღწერების შემთხვევაში. ინფორმაცია მანგლისის ადგილმდებარეობისა და საკურორტო დანიშნულების შესახებ, შენიშვნა გამომშვიდობების უმტკივნეულობის შესახებ საქართველოში ადგილებს შორის მცირე დაშორებების გამო, საქართველოს ღვინის ქვეყნად მოხსენიება და სამხედრო გზის აღწერა დემონსტრაციულ ფუნქციას ასრულებს და უცხო მხარეს ხილულს ხდის (შდრ. Haupt 2004, 77). როგორც ჩანს, რომანის ავტორს ჰეტეროკულტურული მკითხველი ედგა თვალწინ, ტექსტი კი იმთავითვე არაქართველი – გერმანელი ან ევროპელი მკითხველისთვის იყო განკუთვნილი. სივრცის აღწერა (ისევე, როგორც ტექსტის სხვა მრავალი ელემენტი) მიმართულია იმისკენ, რომ აღნიშნულ სამიზნე ჯგუფს მიაწოდოს ცნობები საქათველოს შესახებ და აღუძრას მას ემპათია ამ ქვეყნის მიმართ. ამასთან, მოქმედ პირთა განსაკუთრებული დახასიათებით (ლტოლვა შორეთისკენ, სიუცხოვე, მიდრეკილება პოეზიისკენ, სევდა), სუფრის განუმეორებელი ტრადიციისა და იდუმალებით მოცული ლანდშაფტების აღწერით გრიგოლ რობა-

ქიძე აშკარად ცდილობს, განახორციელოს ქვეყნის რომანტიზაცია და მიანიშნოს მის საკრალურ დანიშნულებაზე. ამ უკანასკნელის დასადასტურებლად მწერალი მოიხმობს საქართველოს კულტურისა და ისტორიის ცალკეულ ასპექტს. სახელდობრ, ტექსტში გვხვდება მსჯელობა ქართული ენის შესახებ, ქართული წეს-ჩვეულებების (მაგალითად, სწორფრობა) შესახებ, ქართული ლიტერატურის და უწინარესად შოთა რუსთაველის *ვეფხისტყაოსნის* შესახებ, ასევე წმინდა გიორგისა და ქვეყნის ევროპული სახელწოდების მისტიკური კავშირის შესახებ. ქვეყნის ამ ეგზოტიკურ სურათში არც ქართული ჰიმნი და ქართული სამოსია გამოტოვებული. ამასთან, რომანში მიმოხილულია საქართველოს ისტორიის უმთავრესი მოვლენები: 1920 წ. მოპოვებული დამოუკიდებლობა, დავითისა და კონსტანტინეს წამება, ცოტნე დადიანის გმირობა, დიდგორის ბრძოლა, ანტიბოლშევიკური მოძრაობა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყება – ამ ყველაფრით უზრუნველყოფილია უწყვეტობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ ქართველი ერი უძველესი ისტორიისა და ხანგრძლივი კულტურული ტრადიციის მატარებელია.

უცხოებად გრიგოლ რობაქიძის რომანში ბოლშევიკური იმპერიის წარმომადგენლები გვევლინებიან. ისინი ტექსტში მრავალგზის არიან ნახსენები და ყოველთვის – უარყოფითად. ყველა მათგანი ძალაუფლებასთან, ძალადობასა და შიშთან არის დაკავშირებული. ბოლშევიკთა დემონური ბატონობის უშუალო განსახიერებაა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (საბჭოთა კავშირის საიდუმლო პოლიცია, რომელიც ტექსტში ნახსენებია როგორც „GPU"), რომელსაც ჩეკას საშინელ შენობაში დაედო ბინა. მიუხედავად იმისა, რომ გასაბჭოება რუსეთიდან წამოსულ უბედურებადაა გაგებული – რაკი წითელი კოლონები რუსეთიდანაა და ბოლშევიკური იმპერიის ცენტრიც მოსკოვია, რუსები როგორც ერი არაა დემონიზებული. მის მაგივრად ჰეტეროხატად წარმოდგენილია „გადაგვარებული ქართველის" ფენომენი. სწორედ ამგვარია სამი ყმაწვილი, რომლებიც ლევან ორბელს დასცინიან ლექსების წარმოთქმისას. ამგვარია ამიერკავკასიის უმაღლესი ხელისუფალი, ს.ო., და სხვა კომუნისტები, რომლებიც ტექსტში გვხვდებიან. ყველა მათგანს ცინიზმი, საზიზღარი სიცილი და ირონიული ღიმილი ახასიათებს. მათ მოძალადეებად, გველის ნაშიერებად, დედის კალთის შეურაცხმყოფლებად მოიხსენიებენ

ის მოქმედი პირები, რომლებიც ავტოხატს განასახიერებენ. შხამიანობასთან ერთად ჰეტეროხატს ეშმაკეულობა და ცივი გონება მიეწერება.

მოქმედ პირთა ამგვარ კონფიგურაციაში ამოიცნობა მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული ნარატივებისთვის ჩვეული ოპოზიცია კარგი (ეროვნული გმირი), ცუდი (უცხოელი მჩაგვრელი) და საზიზღარი (მოღალატე) მოქმედი პირისა (შდრ. Leerssen 2006, 203), მაგრამ მცირე განსხვავებით: გრიგოლ რობაქიძის რომანში ცუდი და საზიზღარი ემთხვევა ერთმანეთს, რაკი მჩაგვრელი წარმოდგენილია არა უცხოელად, არამედ უცნობ ელემენტად, რომელიც ერის წიაღშივე ქცეულა უცხო სხეულად. სწორედ ამის გამოა, რომ თავადი გიორგი საბედისწერო დარტყმებს საქართველოს ისტორიაში ხსნის არა გარე გარემოებებით, არამედ საკუთარი თავის, წმინდა გრალის ღალატით. ამ ღალატში იგულისხმება რწმენის დაკარგვა. ამრიგად, რობაქიძისეულ ნარატივში მოთხრობილია ერის არა გარე, არამედ შინაგანი, ინტრაკულტურული კოლონიზაციის შესახებ (შდრ. Uerlings 2006, 7, 18), რომელშიც მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება საკუთარი თავის ღალატითა და რწმენის დაკარგვით განპირობებული გასაბჭოება და გაბოლშევიკება. ავტოხატებისა და ჰეტეროხატების ურთიერთმიმართება გრიგოლ რობაქიძის რომანში ამგვარად შეიძლება გამოისახოს:

ავტოხატი	ჰეტეროხატი
• იუმორი	• ცინიზმი
• გრძნობა	• გონება
• ერთიანობა	• მარტოობა
• სიყვარული	• სიძულვილი
• შემოქმედებითობა	• განაგურების ჟინი
• ბავშვურობა	• ზრდასრულობა
• წარმოსახვითი	• ნამდვილი
• წარსული	• აწმყო
• ღმერთის აღმოჩენა ადამიანში	• ღმერთის მოკვლა ადამიანში

ცხრილი 2. ავტოხატებისა და ჰეტეროხატების მახასიათებლები

ავტოხატისა და ჰეტეროხატის ამგვარი კონსტრუქცია სცდება გრილი ჩრდილოეთისა და თბილი სამხრეთის ტიპურ ოპოზიციას (შდრ. Leerssen 2000, 275-276). ამ უკანასკნელიდან გრიგოლ

რობაქიძის რომანში მხოლოდ რამდენიმე მახასიათებელი ნარჩუნდება, სახელდობრ, ჩრდილოელ ბოლშევიკებს ცივი გონება და მატერიალიზმი მიეწერება, „ნამდვილ“ ქართველს კი – მგრძნობელობა და წარმოსახვა. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რომანში წარმოდგენილი ჰეტეროხატი გაიგივებულია არა ჰეტეროკულტურულ, არამედ ინტრაკულტურულ სხვასთან. ამით გრიგოლ რობაქიძე ეხმიანება დილემას, რომელიც გიორგი მაისურაძეს ამგვარად აქვს აღწერილი: „საქმე ეხებოდა არა მხოლოდ უცხოელთა ბატონობას, არამედ ქათველ ბოლშევიკებს, რომლებმაც ადგილზე ჩაიბარეს მმართველობა. [...] ამ ვითარებაში ახალი სიმწვავით დაისვა ეროვნული და კულტურული თვითშეგნების საკითხი.“ (Maisuradze / Thun-Hohenstein 2015, 61 – თარგმანი ჩემია, ლ.ც.) გრიგოლ რობაქიძის რომანი ერთგვარ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე იმით, რომ მასში უცხო წარმოჩენილია არა ჰეტეროკულტურულ, არამედ ინტრაკულტურულ, ერის წიაღში არსებულ ელემენტად, რომელიც იმიჯნება ქართული იდენტობისგან როგორც უცხო სხეული.

ჰეტეროხატი ტექსტში პრინციპულად დაცლილია ეთნიკური ნიშნებისგან. რომანში გვხვდება მოქმედი პირები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან, თუმცა მათ, ბოლშევიკებისგან განსხვავებით, დადებითი თვისებები ენიჭებათ. ასეთია, მაგალითად, მეგობარი ბერლინიდან, რომლის წერილსაც კითხულობს ლევან ორბელი ნაწარმოების დასაწყისში. მის შესახებ ამბობს ლევან ორბელი, კარგიაო, რომ ამგვარი განწყობა დასავლეთის მკვიდრსაც ეუფლებაო; აღმოსავლეთში ეს განცდა არც ისე იშვიათიაო. ამით პროტაგონისტი, ერთი მხრივ, ემიჯნება დასავლეთს და თავს აღმოსავლურ კულტურას მიაკუთვნებს, მეორე მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს სულიერი მდგომარეობები, რომლებიც საერთოა დასავლეთისა და აღმოსავლეთისთვის. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტრანსკულტურული მსგავსება რომანში იქცევა მსოფლმხედველობრივ საყრდენად ქართული ავტოხატისა და ორივე (როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური) კულტურული სივრცის სიახლოვის წარმოსაჩენად. ამ სიახლოვის გამოხატულებაა ასევე ლევან ორბელის დამოკიდებულება იეზიდი გოგონას, აიშას მიმართ. პროტაგონისტი არ იჯერებს იმას, რომ იეზიდები ეშმაკს ეთაყვანებიან, და ამით ცდილობს, დაამსხვრიოს ამ ეთნიკური უმცირესობის მიმართ არსებული ეთნოკულ-

ტურული სტერეოტიპები. აიშა, რომელიც მოგვიანებით გლოვობს ლევან ორბელს, ერთმნიშვნელოვნად უფრო ახლოსაა მასთან, ვიდრე ქართული წარმომავლობის ბოლშევიკები. თუმცა ქართველ ბოლშევიკებშიც გვხვდებიან ისეთები, რომლებსაც არ დავიწყებიათ თავიანთი ფესვები. ამგვარი, ჰიბრიდული იდენტობის მატარებელია, მაგალითად, ქართველი გამომძიებელი შავდია. მართალია, იგი საკმაოდ უარყოფითადაა დახასიათებული, მაგრამ იგი მაინც უარს ამბობს თავადის დაკითხვაზე, რაკი ეს უკანასკნელი მისი ნათლია ყოფილა. მსგავსად შუალედური ადგილი უკავია ერთ-ერთ მოწინავე ბოლშევიკს, ლეგას, და ასევე ბესიას, ლევან ორბელის ძუძუმტეს. ბესია შეგნებულად არ შეამჩნევს ციხესიმაგრეში დამალულ ლევან ორბელს. ყველა ეს მოქმედი პირი რეჟიმის მიერ დაძალებულ უპატიოსნო საქციელზე უარის თქმით ამტკიცებს თავიანთ ქართულ იდენტობას. თუმცა საქართველოს გულის მპყრობლებად ტექსტში მხოლოდ „არაკომუნისტები“ მოიხსენიებიან. ამრიგად, გრიგოლ რობაქიძის რომანში ავტოხატები და ჰეტეროხატები ერთმანეთისგან იმიჯნება არა ეთნიკური ან ეროვნული ნიშნით, არამედ იდეოლოგიური და პოლიტიკური პოზიციის საფუძველზე.

ეთნიკურობის მაგივრად რომანში ქართული იდენტობის მაწარმოებელი გადამწყვეტი ფაქტორია სიახლოვე დასავლურ კულტურულ მემკვიდრეობასთან. მართალია, ევროპა ტექსტში კრიტიკულადაც არის ნახსენები (ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ევროპიდან არასდროს არ მოდის დახმარება), მაგრამ მრავალრიცხოვანი მინიშნებით ევროპის ისტორიაზე, საქართველოსა და ევროპის კულტურულ კავშირებზე, ევროპელ მოაზროვნეებზე და ევროპელ ისტორიულ პირებზე საცნაურდება ტექსტის ინტენცია, დაუკავშიროს ქართული იდენტობა ევროპულ სივრცეს. საერთო, ტრანსკულტურული ელემენტები თავს იჩენს მოქმედ პირთა საუბრებშიც, რომლებშიც ხშირად დასავლური აზროვნებიდან ნასესხები ცნებები გამოიყენება. ტექსტში აშკარაა ქართულ და დასავლურ კულტურათა საერთო ელემენტების მოძიების ტენდენცია. ამგვარი ელემენტია, მაგალითად, ის, რომ ქართველებსა და გერმანელებს მთვარე მდედრობითი სქესის ღვთაებად წარმოედგინათ. ზიარება დასავლურ ცოდნასა და აღმოსავლურ სიბრძნესთან არის იმ მოქმედ პირთა განსაკუთრებული თვისება, რომლებიც რომანში ქართული იდენტობის მატარებ-

ლებად გვევლინებიან: თავად გიორგის ევროპაში უსწავლია, იგი ევროპულ ენებს ფლობს, მაგრამ ევროპასთან ერთად აღმოსავლეთიც უნახავს. ლევან ორბელი კი თავის საყვარელს გერმანულად ესაუბრება. მას გერმანიაში ჰყავს მეგობრები. ნახსენებია პარიზელი ემიგრანტებიც.

რომანის სახისმეტყველებაში დასავლეთი გაიგივებულია ქალთან, შვედ ნორინასთან. ნორინა თავადის დაქვრებული რძალია, რომელიც პროტაგონისტს შეყვარებია. სწორედ ნორინა გვხვდება რომანის უკანასკნელ ეპიზოდში, სადაც იგი თავისი მიჯნურის, ლევან ორბელის დაკარგვას დარდობს. ეს უკანასკნელი მოცემულ კონტექსტში განასახიერებს საქართველოს როგორც კულტურულ ერთეულს, ნორინა კი „ქალღმერთ ევროპას“ ქალიშვილადაა წოდებული და, ამრიგად, დასავლურ სივრცეს წარმოადგენს. მითოსური ალუზიების საფუძველზე ევროპისა და საქართველოს კავშირი გარდაუვალ, შინაგანი სწრაფვით განმტკიცებულ და ბუნებრივ მოცემულობად წარმოჩნდება, ხოლო საქართველოს დამონება ბოლშევიკების მიერ გლობალურ მნიშვნელობას იძენს და გაიგივებულია დანაკარგთან მთელი დასავლეთისთვის.

ზემოთქმულის საფუძველზე, გრიგოლ რობაქიძის *მცველნი გრალისა* შეიძლება წაკითხული იქნას როგორც რეაქცია საქართველოს გასაბჭოებაზე. ესაა გასაბჭოების როგორც არსებობისა და იდენტობის კრიზისის დაძლევის ერთგვარი ცდა, რომლითაც ავტორმა თავისი წვლილი შეიტანა ერის წარმოქმნის (ინგლ. nation-building, შდრ. Schaff 2011, 90) საქმეში. რომანი პერფორმაციული ხასიათისაა: მასში შექმნილია ემოციურად დატვირთული, ნორმატიული ავტოხატები და ჰეტეროხატები, რომელთა მიზანიც პოლიტიკურ განწყობათა და ქმედებათა სტრუქტურირებაა. ამ მიზნით ნაწარმოებში ავტოხატები და ჰეტეროხატები ერთმანეთისგან გამიჯნულია არა ეთნიკური, არამედ კულტურული და პოლიტიკური მახასიათებლების საფუძველზე: ჰეტეროხატი მასში წარმოგვიდგება ინტრაკულტურულ ფენომენად; იგი გაიგივებულია ქართველი ბოლშევიკის სახესთან. ხოლო ქართული ავტოხატის კონსტრუქცია დასავლურ კულტურასთან სიღრმისეულ სიახლოვეზეა დამყარებული. სავარაუდოდ, ეროვნული იდენტობის ამგვარი კონსტრუქცია შეიძლება აიხსნას გრიგოლ რობაქიძის სურვილით, ქართველი ერი დასავლური კულტურული სივრცის ნაწილად წარმოედგინა. და რაკი ავტოხატის რობაქიძისეული

კონსტრუქცია ევროპელი ან გერმანელი მკითხველისთვის იყო განკუთვნილი და რეციპიენტისთვის საქართველოსა და მისი კულტურის გაცნობას ემსახურებოდა, *მცველნი გრალისა* შეგვიძლია მივიჩნიოთ ეგზოფონიურ პროექტად, რომლის ამოცანაც ქართულ და დასავლურ იდენტობათა ურთიერთდაკავშირება და მათი ბოლშევიზმისგან როგორც კულტურული სხვისგან გამიჯვნაა.

3.2. ავტოხატის დეტერიტორიალიზაცია გივი მარგველაშვილის რომანში *კაპიტანი ვაკუში, დოიქსილანდში*

გივი მარგველაშვილის ავტობიოგრაფიულ რომანს *კაპიტანი ვაკუში* გამორჩეული ადგილი უკავია გერმანულ-ქართულ ლიტერატურაში, რადგან ესაა გერმანულენოვანი ტექსტი, რომელიც საბჭოთა საქართველოში დაიწერა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტექსტის შემთხვევაში საქმე გვაქვს გერმანულ-ქართული კულტურათშორისი ლიტერატურის კომუნიკაციური მოდელის ნაწილობრივ ინვერსიასთან: გერმანული ენის როგორც კოდის გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ ადრესატად გერმანელი მკითხველია მოაზრებული, თუმცა ქართული კონტექსტის მაგივრად, რომლებიც გრიგოლ რობაქიძისა და ნინო ხარატიშვილის რომანებშია რეფერენციის ძირითადი საგანი, *კაპიტანი ვაკუში* მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული რეალიებითაა გაჯერებული. ამას ახლავს საგამომცემლო სივრცის როგორც საკომუნიკაციო არხის სრული ატროფია: ნაწარმოები რამდენიმე ათწლეულის დაგვიანებით, 1991 წელს გამოიცა გერმანიაში, რის გამოც იგი (ისევე, როგორც გივი მარგველაშვილის სხვა ნაწარმოებები) ძლიერ აცდა თავის ეპოქალურ კონტექსტს და, შესაბამისად, არც მისი რეცეფცია გამოდგა ადეკვატური. კომუნიკაციური მოდელის ამგვარი ინვერსიის უშუალო შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მწერალსა და მკითხველს შორის ლიტერატურული კომუნიკაცია ფაქტობრივად ვერ შედგა და ეს ნაწარმოებიც დღემდე დაუფასებელი რჩება.

კაპიტანი ვაკუში სხვა მხრივაც განსხვავდება გერმანულ-ქართული მწერლობის დანარჩენ წარმომადგენელთა ნაწარმოებებისგან. სახელდობრ, მასში მოქმედება ვითარდება არა საქართ-

ველოში, არამედ დოიქსილანდში (გერმანიის გერმანულენოვანი სახელწოდების – Deutschland პარონომასიული გადათამაშება). სამშობლო, რომლის სტატუსიც ტექსტში ერთმნიშვნელოვნად საქართველოს ენიჭება, მიუწვდომელ ფანტაზმად, ცარიელ აღმნიშვნელადაა ქცეული. „სამშობლოს“ აღარ მოეპოვება დენოტატი. იგი წარმოდგენილია როგორც რაღაც, რომლის კვალიც მხოლოდ გაშუალებულად – წიგნებსა (*ვეფხისტყაოსანი, გველის პერანგი*) და სურათებში (თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი), მშობელთა ენასა (ძირითადად, ემოციების გამომხატველ ფრაზებსა და ნაწილაკებში, როგორებიცაა, მაგალითად, „გენაცვალე“ და „შენიჭირიმე“, ან „ხო“ და „ვაჰ“) და მოგონებებში, მითებსა (პრომეთე, წმინდა გიორგი, მთვარის თაყვანისცემა) და ტოპონიმებში (კავკასია, არაგვი), სიმღერებსა (*მრავალჟამიერი, სულიკო*) და ცეკვაში (*ლეკური*), კერძებსა (ხაჭაპური, ჩახოხბილი, საცივი და მწვადი) და სამოსში (ჩოხა, ნაბადი), ნივთებსა (ყანწი) და ემიგრანტთა წეს-ჩვეულებებშია (თამადა) შემონახული. თუმცა თავად სამშობლო როგორც სივრცე აღარ ექვემდებარება წვდომას. იგი მოკლებულია ონტოლოგიურ სტატუსს.

სწორედ ამის გამოა რომანში სამშობლო (და წარსულიც) გაიგივებული საჰაერო სასახლესთან (გერმ. Luftschlösschen), პროტაგონისტის მამა კი მოხსენიებულია როგორც საჰაერო სასახლის არქიტექტორი, რითაც დამატებით წარმოჩნდება სამშობლოს როგორც ცნების უტოპიურობა. რომანში აშკარაა ირონიული დამოკიდებულება ამ უტოპიური ცნების მიმართ. სწორედ ამის გამოხატულებაა ის, რომ „საქართველოს“ მაგივრად ტექსტში გვხვდება არქაიზებული სახელწოდებები „კოლხეთი, იბერია და ალბანეთი“ ან არასწორად ფორმულირებული სახელწოდება „კაკავსია“ (Kakausus). ირონია იგრძნობა იმ ეპიზოდშიც, რომელშიც ნათქვამია, რომ პროტაგონისტი მხოლოდ კარნავალის დროს იცვამდა ჩოხას. ამ ეპიზოდში ეროვნული ავტოხატის ერთ-ერთი კომპონენტი (სამოსი) ექსპლიციტურადაა ქცეული კარნავალურ რეკვიზიტად. ამგვარად ნაწარმოებში ხორციელდება სამშობლოს კარნავალიზაცია, ე.ი. აშკარავდება ამ ცნების პირობითობა (შდრ. Bachtin 1979). სამშობლოს კარნავალიზაცია დასაწყისია იმ ტრანსგრესიული პროცესისა, რომლის შედეგადაც ტექსტში მთავარი მოქმედი პირის ჰიბრიდული იდენტობა ყალიბდება.

პროტაგონისტი იმთავითვე ჰიბრიდული იყო, რაკი გარეგნულად, თავისი „კაკავსიური“ შავი თმებითა და თვალებით უცხოელს („დიქსილანდელს“) წააგავდა და „კაკავსიელი“ მშობლები ჰყავდა, მაგრამ იგი არ ლაპარაკობდა მათ ენაზე, იგი გერმანულ ენობრივ ოთახში / სივრცეში „ცხოვრობდა“, რამაც განაპირობა მისი დისტანცია როგორც მშობლებისგან, ისე სხვა ქართველ ემიგრანტთა შვილებისგან. ჰიბრიდულია ასევე მისი სახელი – ვაკუში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ქართული სახელის „ვახუშტი“ გერმანულ ენას მორგებული და ამრიგად, ჰიბრიდული ვარიანტი. მიგრაციის პირობებში დაბადებული, იგი მტრულადაა განწყობილი ყოველგვარი მყარი, მონოლითური სოციალური და სახელმწიფოებრივი ფორმაციის მიმართ და ცდილობს, თავი შორს დაიჭიროს მისგან. სწორედ ამის გამო იპარება იგი სახლიდან და ღამის ბარში, სახელწოდებით „კაკადუ“ ნახულობს თავშესაფარს. მისი გზა არის გზა საჰაერო სასახლიდან ვართბურგისკენ, უტოპიიდან ჰეტეროტოპიისკენ, უძრაობიდან მოძრაობისკენ. ამ გზაზე იგი ვითარდება როგორც ინდივიდი და ხელოვანი, და აცნობიერებს თავისი როგორც კაპიტანის / მიგრანტის იდენტობასა და დანიშნულებას. ამრიგად, *კაპიტანი ვაკუში* არის განვითარების რომანი, რომელშიც მოთხრობილია მიგრანტის ჰიბრიდული იდენტობის ჩამოყალიბების ამბავი.

პროტაგონისტის განვითარების გზის წარმოსაჩენად ნაწარმოებში გამოყენებულია მხატვრული სივრცე. სხვა პოსტმოდერნული ნარატივების მსგავსად გივი მარგველაშვილის რომანშიც სივრცე გადამწყვეტ როლს ასრულებს და მოკლებულია რეფერენციულობას (შდრ. Smethurst 2000, 35, 41). მასში არ გვხვდება ე.წ. „რეალური რეფერენციები“: ადგილთა აღმნიშვნელები სრულიად პირობითია და კონკრეტული ადგილის მაგივრად სტრუქტურულ მიმართებებზე მიანიშნებს (შდრ. Meurer 2007, 14). მოცემულ სტრუქტურაში ორი პირობითი ტოპოსია ერთმანეთთან შეპირისპირებული – სახლუკები (გერმ. Häuschen) და მოსაცდელი ციხესიმაგრე, იგივე „ვართბურგი“ (გერმ. Wartburg). პირველი მათგანი კრებითი სახელია და მშობლების სახლთან ერთად მოიცავს სკოლის, საავადმყოფოს, საგიუეთის, შრომით-გამოსასწორებელსა და სხვა მსგავს დისციპლინითა და ძალაუფლებრივი იერარქიით გაჯერებულ შენობებს. ვართბურგის მსგავსად სახლუკებიც მრავალმნიშვნელოვანი ტექსტობრივი ელემენტია. ზემოაღნიშნული

შენობების გარდა ტექსტში ვართბურგი სემანტიკურ ეკვივალენტურობას იჩენს მესამე რაიხისა და დოიქსილანდის (გერმანიის), და ასევე ყველა ტოტალიტარული, ე.წ. „მამასახლისის" (დიქტატორის) მიერ მართული და ნაციონალური ნიშნით შემოსაზღვრული სახელმწიფოებრივი ფორმაციის მიმართ. ამ სივრცის განუყოფელი ატრიბუტია ე.წ. „გოგლიმოგლი", რომლის იძულებითი მირთმევაც ნაწარმოებში გაიგივებულია იდეოლოგიურ ინდოქტრინაციასა და მისით გამოწვეულ სოციალურ კატაკლიზმებთან (პოლისემანტიკურ აღმნიშვნელებში „გოგლიმოგლი 17, 27 და 37" სავარაუდოდ იგულისხმება რევოლუცია, ემიგრაცია და ნაციფიკაცია). მამასახლისთა ძალისხმევა სახლუკებში მიმართულია ახალი სივრცის ათვისებისა (შენება) და დაქვემდებარებისკენ.

ვართბურგი სახლუკებთან შეპირისპირებული, ანტისივრცეა. იგი მოიცავს „ანტისახლუკებს" (გერმ. Antihäuschen), რომელთა მკვიდრნიც ემიგრანტები არიან. სახლუკებისგან განსხვავებით, რომლებიც ნაციონალურ ექსკლუზიაზეა დამყარებული, ვართბურგელთა შემადგენლობა ინტერნაციონალურია. მათ ოპოზიციური დამოკიდებულება აქვთ სახლუკების მიმართ. სიტყვა „ვართბურგი" დაკავშირებულია გერმანულ ზმნასთან „warten", რომელიც ნიშნავს „ლოდინს". ვართბურგის მკვიდრნი ელოდებიან რეჟიმის შეცვლას (ჩანაცვლებას), ან უცხოეთისკენ მიმავალი გზების გახსნას. უკეთესი მომავლის მოლოდინში ისინი ჭვრეტით, ფიქრითა და განსჯით არიან დაკავებულნი (და არა შენებით!). რაკი ტოტალიტარულ სივრცეში ჩამალული, ცვლილებაზე ორიენტირებული ვართბურგი ხშირად შეუმჩნეველი რჩება, იგი განფენილია არა იმდენად სივრცეში, რამდენადაც დროში. სახლუკებისა და ანტისახლუკების დიქოტომია გვახსენებს ჟილ დელიოზისა და ფელიქს გატარის მიერ შემუშავებულ მოდელს სწორი და უსწორმასწორო სივრცეებისა (Deleuze / Guattari 1987). მათი კონცეფციის მიხედვით, სწორი სივრცე დახურული და უძრავია. იგი ხასიათდება სტაბილურობითა და ჰომოგენურობით. მისი სიმწყობრის სიმბოლური გამოხატულებებია ხე და ქსოვილი. ამგვარ სივრცეზე ადამიანები მკვიდრად ცხოვრობენ (ტერიტორიალიზაცია). მისი მაგალითია ქალაქი. ხოლო უსწორმასწორო სივრცე ღია, ცვალებადი და ამორფულია როგორც ზღვა, ტრამალი ან უდაბნო. ამგვარ სივრცეში ადამიანები მომთაბარულ ცხოვრებას ეწევიან (დეტერიტორიალიზაცია). მისი დინამიკურობა და დეცენტრირებულობა საუკეთესოდ

გამოიხატება რიზომითა და ქვილთით. ვართბურგიც სწორედ ამგვარი, გადაადგილების ხელშემწყობი სივრცეა. „კაპიტანი" ვაკუში კი თავისი მსოფლმხედველობით მომთაბარეა, რომელიც შუალედურ ადგილს იკავებს სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის და მუდმივ ქმნადობაშია (შდრ. Deleuze / Guattari 1987, 495 f.).

ტექსტის სქემატური ტოპოგრაფიის ფარგლებში სახლუკებიდან დიქსილანდისკენ (უცხოეთისკენ) მიემართება გზა, რომელსაც ეწოდება დიქსიბანი (Dixiebahn), „გზა დიქსილანდისკენ". დიქსიბანი მორიგი ნეოლოგიზმია, რომელიც საკვანძო მნიშვნელობას ასრულებს ნაწარმოების სივრცობრივ სტრუქტურაში. ამ სიტყვით პირობითად აღინიშნება ყველა ის აკრძალული და მარგინალიზებული ადგილი („იმპერიის სარდაფი"), რომელიც დიქსილანდურ (უცხოურ) ელემენტებს შეიცავს და ფარულადაა მიმოფანტული დოიქსილანდის ტოტალიტარულ სივრცეში. ამგვარი კონტრკულტურული ადგილია, მაგალითად, ღამის ბარი „კაკადუ", სადაც ისმის დოიქსილანდში აკრძალული, დიქსილანდური მუსიკა (ფოქსტროტი) და სტუმრებს აქვთ შესაძლებლობა, ცოტა ხნით მაინც დატკბნენ შეუზღუდავი (მათ შორის, სექსუალური) თავისუფლებით. დიქსიბანის რაობის აღსაწერად ყველაზე უფრო გამოსადეგია მიშელ ფუკოს მიერ დამკვიდრებული ტერმინი „ჰეტეროტოპია" (Foucault 1992). ჰეტეროტოპიები არის კონტრადგილები, ადგილები ადგილების მიღმა, რომლებშიც ასახული და ამობრუნებულია სხვა ადგილები. ჰეტეროტოპიები ყველა სხვა სივრცესთანაა დაკავშირებული და ამავდროულად ყველა მათგანს უპირისპირდება. ჰეტეროტოპიული სივრცეებია, მიშელ ფუკოს აზრით, ციხეები, ფსიქიატრიული კლინიკები, სასაფლაოები, თეატრები, კინოთეატრები, ბაღები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, საროსკიპოები, კოლონიები, გემები. „კაკადუც" ერთგვარი გემია, რომლის მგზავრებსაც დიქსილანდისკენ, თავისუფლებისკენ მიუძღვის კაპიტანი (!) ვაკუში.

დიქსილანდისკენ მიმავალ გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარკეების სიმბოლოს. სარკეები (Specchio) ტექსტში გაიგივებულია ფოტო-სურათებთან, რომლებსაც პროტაგონისტი იღებს ღამის ბარში და რომელთა უხამსობის გამოც ისჯება თავისი (ექს)მამ(ასახლის)ის მიერ. თუმცა ამ მხატვრული სახის სემანტიკა გაცილებით უფრო ფართოა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სარკეები მოცემულ ტექსტში სიმბოლურად დაკავშირებულია ხე-

ლოვნებასთან. სარკეების მსგავსად ხელოვნებაშიც გარკვეულწილად აირეკლება სინამდვილე. მიშელ ფუკოს თეორიის მიხედვით, სარკეები ერთდროულად ჰეტეროტოპიებიცაა და უტოპიებიც, სინამდვილესაც უკავშირდება და არარსებულ სურათსაც გვიჩვენებს. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სარკეებს / ხელოვნების დარგებს გივი მარგველაშვილის რომანშიც შუალედური ადგილი უკავიათ უტოპიასა და ჰეტეროტოპიას შორის, რადგან სწორედ ისინი უბიძგებენ ხოლმე სახლუკებს / საზოგადოებებს ამოძრავებისკენ, სწორედ მათშია სუბვერსიული პოტენციალი. თავად ვაკუში კი ფოტოგრაფია, ე.ი. ხელოვანია. იგი სახლუკების მიღმა დგას. სხვაგვარად რომ ითქვას, იგი არ ექვემდებარება მკაფიო იდენტიფიკაციას რომელიმე სივრცესთან, საზოგადოებასთან, რეჟიმთან. სწორედ ამის გამოა, რომ იგი წყევლის „ყველა მყარ ადგილს" და განადიდებს „დიდ გადასახლებას". კაპიტანი ვაკუში სწორედ ის პოსტკოლონიური სუბიექტია, რომელიც სხვადასხვა კულტურულ სივრცეს შორის მოგზაურობს, თავად კი არც ერთ მათგანს არ განეკუთვნება. მისი თვითშეგნება ჰიბრიდულია. მასში ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვა კულტურული ტრადიცია და ღირებულებათა სისტემა (შდრ. Bhabha 2008). რომანის სივრცობრივი კონსტრუქციის თავისებურებები გვავარაუდებინებს, რომ სწორედ ამგვარ, დეტერიტორიალიზებულ სუბიექტს მიეწერება უნარი, შექმნას ჰეგემონიისგან თავისუფალი, სხვადასხვა კულტურასთან წილნაყარი და, ამრიგად, უნივერსალური ხელოვნება.

ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, რომ გივი მარგველაშვილის რომანში *კაპიტანი ვაკუში* სივრცე სხვა არაფერია, თუ არა სტრუქტურა, რომელიც არაა დაკავშირებული კონკრეტულ დროსა და სივრცესთან; იგი უნივერსალური მნიშვნელობის მქონე აბსტრაქტული სქემაა. იგი იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ასახოს ნაწარმოების მთავარი თემატური ოპოზიცია, რომელიც დელიოზისა და გატარის მოდელის მსგავსად შეესაბამება აზროვნების / ცხოვრების ორ სხვადასხვა მოდუსს. მოცემულ სივრცობრივ სტრუქტურაში სამშობლოს ნებისმიერი გაგება ცდომილებად (ზმანებად) წარმოგვიდგება, რომელიც მხოლოდ მედიურ რეპრეზენტაციებში (სურათებში, წიგნებში, სიმღერებში...) შეიძლება არსებობდეს, და ამრიგად, მუდმივად სხვაგანაა. სახლუკა როგორც ვერტიკალური / იერარქიული წყობის მქონე კონსტრუქ-

ცია ტოტალიტარულ წესრიგს წარმოადგენს. მას უპირისპირდება ჰეტეროტოპიული კონტრსივრცე „დიქსიბანი“: ეს უკანასკნელი მარგველაშვილისეული ნეოლოგიზმია, რომელიც მოიცავს თავისუფლების, მშვიდობის, შემოქმედებითობისა და მულტიკულტურულობის ცნებებს და ხასიათდება ჰორიზონტალურობითა და დინამიკურობით. ტექსტის ამგვარი სივრცობრივი დისპოზიცია ემსახურება გადაადგილების / ტოტალური ემიგრაციის აპოლოგიზებას და წარმოაჩენს კაპიტნის / მოგზაურის სუბვერსიულ როლს: იგი არასდროს არ ჩერდება და უარს ამბობს მიკუთვნებაზე / გაიგივებაზე რომელიმე სახლუკასთან.

3.3. ავტოხატის დეკონსტრუქცია ნინო ხარატიშვილის რომანში *მერვე ცხოვრება (ბრილკასთვის)*

მართალია, ქართულ ლიტერატურაში ეროვნული ავტოხატების კრიტიკას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რომელსაც ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებამდე მივყავართ, თუმცა ამ ტრადიციის ფარგლებში უმეტესად სატირის, კარიკატურისა და გროსტესკის ხერხებია გამოყენებული ეროვნული მანკიერებების გასაკრიტიკებლად. ამ ლიტერატურული ხერხებისგან რადიკალურად განსხვავებულია ის, რაც ნინო ხარატიშვილის რომანში გვხვდება. *მერვე ცხოვრება (ბრილკასთვის)* ინოვაციურია არა მხოლოდ თავისი ეგზოფონიურობით, არამედ იმითაც, რომ მასში პირველად ხორციელდება ქართული ავტოხატის ფართომასშტაბიანი დეკონსტრუქცია[3]: შიშვლდება იდეოლოგიური მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ავტოხატთან დაკავშირებულ სტერეოტიპებსა და კონსტრუქციებს. წინამდებარე ნარკვევში გაანალიზდება ამ პროცესის ცალკეული ასპექტი და გაირკვევა მათი კულტურულ-კრიტიკული ფუნქცია. ამ ასპექტებს განეკუთვნება

- კაპიტალისტური დასავლეთის როგორც ჰეტეროხატის იდეოლოგიური საფუძვლების გამოაშკარავება და

3 დეკონსტრუქცია წინამდებარე ნარკვევში გაგებულია როგორც ტექსტის თემატურ-სტრიქტურულ ინსტანციათა დეცენტრირება იმის პერსპექტივიდან, რაც მარგინალიზებულია (Zapf 2004, 22).

- დისკურსულ წესრიგში გაბატონებული იერარქიის გაშიშვლება ავტოხატში დათრგუნული სხვის თემატიზების საფუძველზე.

იმაგოლოგიაში მიიჩნევა, რომ ხატებისა და მირაჟების წარმოქმნის წინაპირობა მოგზაურობაა, რადგან სწორედ მოგზაურობის დროს უმზერს ადამიანი უცხო ქვეყანას სტერეოტიპებით აღსავსე მზერით (შდრ. Grabovszki 2011, 117). ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ნინო ხარატიშვილის რომანში მოგზაურობა ემსახურება ჰეტეროხატების დეკონსტრუქციას. თუმცა ეს პროცესი იწყება ავტოხატის დეკონსტრუქციით, რაც დაკავშირებულია საბჭოთა იდენტობის ირონიულ აღწერასთან ბავშვების – ნიცასა და დარიას პერსპექტივიდან. პერსპექტივის არჩევანი აშკარად არაა შემთხვევითი. ამგვარი პერსპექტივა გვხვდება, მაგალითად, გიუნთერ გრასის რომანში *თუნუქის დოლი* და ხასიათდება პირდაპირობით: იგი შეულამაზებლად გადმოსცემს სათქმელს. ამ პერსპექტივის გამოყენებით შესაძლებელია, ცხოვრება საბჭოთა კავშირში გაშუქდეს „ქვემოდან", ყოველდღიური წვრილმანების მიკროლოგიურ დონეზე. ბავშვების თვალით დანახული საბჭოთა კავშირის სურათში თავს იჩენს სატელევიზიო გადაცემებისა და შესაძენი საქონლის სიმწირე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ამას ყოველგვარი კრიტიკის გარეშე აკვირდებიან, რაკი ეს ყველაფერი ნორმალურად მიაჩნიათ, კომუნიკაციის იმპლიციტურ დონეზე აშკარავდება სიღარიბე და იდეოლოგიური მანიპულაცია მედიებში, რაც ვერაფრით ვერ თავსდება ბედნიერი ქვეყნის მოდელში. უარყოფითი კონოტაციები ძლიერდება სასკოლო უნიფორმის ხსენებისას, რომელიც ყველას უნდა ეტარებინა, ვისი მშობლებიც არ იყვნენ დირექტორები, პროფესორები და კომისრები. ეს ორმაგი სტანდარტები მიანიშნებს საბჭოთა თანასწორობის ფასადის მიღმა დაფარულ იერარქიაზე და რეჟიმის სიყალბეზე. მიუხედავად იმისა, რომ განმცდელი მე მოზარდია, მის მონათხრობში მაინც იჩენს თავს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სხვაობა მოჩვენებით ზედაპირსა და ნამდვილ ვითარებას შორის. მაგალითად, იგი იხსენებს უცხოურ, ცენზურის შედეგად შემოკლებულ ფილმებს, უცხოელ მსახიობთა დახლქვეშ შეძენილ ფოტოსურათებს, ამერიკის ხმის ფარულად მოსმენასა და დისიდენტთა რომანების ფარულად დაბეჭდილსა და გავრცელებულ ხელნაწერებს. ქუჩის ნაცრისფერი და უმეტესად გაფუჭებუ-

ლი ტელეფონები და წყლის ავტომატები, რომლებიც არასდროს არ მუშაობდა, საბჭოთა კავშირის ორმაგი მორალის სიმბოლური გამოხატულებაა. ბავშვის მზერას არც ლენინის გამოსახულებები გამოპარვია, რომლებიც ყველა მოწმობაზე იყო დატანილი, და არც ნამგალი და ურო, ან კრემლი და წითელი ვარსკვლავი როგორც სოციალისტური სინამდვილის განუყოფელი კომპონენტები.

გაბატონებულ საბჭოთა წესრიგში შეიმჩნევა სუბვერსიული ელემენტებიც. თუმცა მათი არსებობა სახელოვნებო სფეროთი შემოიფარგლება. საქმე ეხება იშვიათ ფირფიტებს, წიგნებსა და ვიდეოებს, ეზოებში, სახურავებსა და სარდაფებში გამართულ პოეზიის საღამოებს, სადაც ორმოც წელს გადაცილებული წვერულვაშიანი კაცები და ქალები იყრიდნენ თავს სულიერებასა და ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებებზე სასაუბროდ. ამრიგად, აკრძალული პოეზია, მუსიკა, ლიტერატურა და ეზოტერიკა განეკუთვნებიან დისკურსის ფარგლებში მარგინალიზებულ, თუმცა არაოფიციალურად მაინც დაშვებულ ელემენტებს. მათგან განსხვავდება ჰეტეროხატის ის რეპრეზენტაციები, რომლებიც პრინციპულადაა განდევნილი და დემონიზებული. ასეთებად რომანში „უცხოელები“ გვევლინებიან, რადგან ისინი კაპიტალისტები იყვნენ, მათ მხოლოდ ფული აინტერესებდათ და კაცობრიობის მეორე ნახევარს შიმშილით კლავდნენ. ამის გამო უცხოეთი სოდომსა და გომორასთანაა შედარებული, სადაც ყველა ნარკოტიკებს ეძალება, სადაც ჯერაც მონები ჰყავთ, და სადაც რელიგია – ხალხის ოპიუმი ბატონობს. ამ ჰეტეროხატში ასახულია ის თვისებები, რომლებიც საბჭოთა ავტოხატშია დათრგუნული (ნარკოტიკების მოხმარება, სექსუალური დევიაცია, შპიონაჟი და ზედამხედველობა, კორუფცია, მოჩვენებითი მშვიდობა, რელიგიური პრაქტიკების აკრძალვა). ჰეტეროხატის სანდოობა იმთავითვე ეჭვის ქვეშაა დაყენებული, რადგან იგი ჩამოყალიბებულია არა მოგზაურობის შედეგად, არამედ უცხოეთის მიუწვდომლობის პირობებში. „ბოროტი კაპიტალიზმის“ მტრული სივრცე წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის მოქალაქეთათვის დახურულ, აკრძალულ, არასასურველ გარემოდ. თუმცა ეს აკრძალვა შენიღბულია მოჩვენებითი თავისუფალი ნებით, გადაგვარებულ უცხოეთში გამგზავრების სურვილის არქონით. ტექსტში გააქტიურებულია ესქატოლოგიიდან, გასტრონომიიდან, კრიმინალისტიკიდან, ბუნებისმეტყველებიდან, მოდიდან, ფსიქოლოგიიდან, რასიზმიდან ნასეს-

ხები სტერეოტიპები იმისთვის, რათა ჰეტეროხატი უფრო საშიში გამოვიდეს და უცხოეთში გამგზავრების აკრძალვა ლეგიტიმური გამოჩნდეს.

ავტოხატის ფარდობითობის წარმოჩენა ნაწარმოებში ემთხვევა ჰეტეროხატის დეკონსტრუქციას, რაც ნიცასა და დარიას ბაბუის დასთან, კიტი ჯაშთანაა დაკავშირებული. მის შესახებ გოგონებმა იციან, რომ იგი ბოროტ კაპიტალისტებს გაუტაციათ დასავლეთში. თუმცა სინამდვილეში კიტი ჯაში იძულებული იყო, ემიგრაციაში წასულიყო, რათა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლის მკვლელობის შემდეგ თავი გადაერჩინა დევნისგან. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი და ვენა ოდესღაც კიტისა და მისი შეყვარებულის, ანდროს ახალგაზრდული ოცნებების საგანი იყო, საწადელი სივრცე უმალ კარგავს თავის მიმზიდველობას, როგორც კი იგი იძულებით და სამუდამო სამყოფლად იქცევა. დასავლეთის რეკოდირებას ხელი შეუწყო კიტის ნაცნობობამ ებრაული წარმოშობის ავსტრიელ ქალთან, რომლის ხვედრიც უცნაურად მსგავსია კიტი ჯაშის ცხოვრებისეული გზისა. ორივე მოქმედი პირის შემთხვევაში მარგინალიზაცია ან კავშირი მარგინალიზებულ მოქმედ პირთან იქცევა პირადი კატასტროფის განმაპირობებელ ფაქტორად. კიტი ჯაშს დახვრეტილი ინტელექტუალის ვაჟი შეუყვარდება, რომელიც ემიგრაციაზე ოცნებობს. მას მარტივად აიყოლიებს ერთი დისიდენტი, რის შემდეგაც ჯერ ყირიმში, შემდეგ კი გერმანიაში გააგზავნიან, სადაც იგი ქართულ ლეგიონში ჩაეწერება. ქართული ლეგიონის დაშლის შემდეგ მას საბჭოთა კავშირში დააბრუნებენ და ბანაკში გაამწესებენ. კიტი ჯაშს კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები შეიპყრობენ, რათა საყვარლის ადგილსამყოფელის შესახებ გამოსძალონ ინფორმაცია. წამების შედეგად კიტი ჯაში ბავშვს დაკარგავს. მას ამოაჭრიან საშვილოსნოსაც. ასე ემსხვერპლება იგი თავის ურთიერთობას დეზერტირსა და მოღალატესთან. მსგავსი დასაწყისი აქვს ფრედის, ავსტრიელი მხატვრის ცხოვრებისეულ ტრაგედიასაც. მისი ოჯახი ებრაული წარმომავლობის გამო იდევნება. მის მამას იმდენად უყვარს ვენა, რომ უარს ამბობს სხვა ქვეყანაში თავის შეფარებაზე, რის გამოც მთელი ოჯახი გეტოში აღმოჩნდება.

ფრედის მსგავსად, რომელსაც ძმასა და მამას დააშორებენ და ავსტრიაში გააგზავნიან, კიტი ჯაშიც იძულებულია, ახლობლებს

გამოემშვიდობოს და სამშობლო დატოვოს. პრაღაში ჩასული იგი პატარა ოთახში დაიდებს ბინას, სადაც მარტოსულ, იზოლირებულ ცხოვრებას ეწევა. ფრედიც შრომით ბანაკში რჩება, სადაც ბორდელის დეზინფექციაზე აგებს პასუხს. იქ გაიცნობს იგი „სუფთა რასის“ წარმომადგენელ მარტინს, რომელიც სხვებისგან სენტიმენტალურობით განირჩევა. იგი მფარველობს ფრედსა და მის დედას, მიჰყავს ისინი ვენაში, საიდანაც ფრედი იპარება იმის მიუხედავად, რომ მარტინს ერთად ცხოვრება აღუთქვა. მფარველის ფუნქციას კიტი ჯაშის ცხოვრებაში ასრულებს მისი ძმის მეგობარი, გიორგი ალანია. რომელიც წლების განმავლობაში ზრუნავს ქალზე.

ორივე მოქმედი პირის გადასახლება ლონდონში თითქოს უნდა დაეხმაროს მათ, დაივიწყონ თავიანთი ცხოვრების ტრავმები. კიტი ჯაშის შემთხვევაში ესაა მისი მეგობრის, მარიამის დახვრეტა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა თავზე აიღო ბრალი უშიშროების თანამშრომლის მკვლელობისთვის. ფრედის შემთხვევაში კი ესაა დედის თვითმკვლელობა. ორივე მოქმედი პირი ამაოდ ცდილობს წარსულის დავიწყებას. მალევე აშკარავდება, რომ წარსულის დავიწყება შეუძლებელია, რადგან წარსულში მიყენებული ჭრილობები არსად გამქრალა. კიტი ჯაშისა და ფრედის ფიზიკური დაახლოებისას სწორედ სხეულის მეხსიერება იღვიძებს, რაც მათ ტრავმის გაცნობიერებისკენ უბიძგებს. როგორც ცნობილია, ტრავმა არის უკიდურესად ინტენსიური განცდა, რომლის დამუშავება / განკურნება ინდივიდის შესაძლებლობებს აღემატება და დიდი ხნით აზიანებს მის თვითცნობიერებას (შდრ. Neumann 2005a). თუმცა შესაძლებელია, მისი ზემოქმედება შესუსტდეს, თუ ინდივიდი გააცნობიერებს დათრგუნულსა და სიზმრებსა და მოგონებებში მუდმივად ცოცხალ განცდას. ფიზიკური სიახლოვე ადამიანთან, რომელსაც მსგავსი ტრავმა აქვს გადატანილი, უბიძგებს კიტი ჯაშს, შეუდგეს წარსულის გადამუშავებას. ფრედიც ახერხებს, თავისი დედის თვითმკვლელობა მოყვეს. ტრავმების გაზიარება აძლევს ორივე მოქმედ პირს შესაძლებლობას, შეინარჩუნონ თავიანთი იდენტობა და გააგრძელონ ცხოვრება.

ორივე მოქმედი პირის ცხოვრებაში ქალაქი ვენა განსაკუთრებულ დანიშნულებას ასრულებს, თუმცა მას სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ენიჭება. კიტი ჯაშის მოქმედების ხაზის ფარგლებში ვენა საოცნებო ადგილია, მისი და მისი შეყვარებულის ცხოვრების

მიზანია. ამის საპირისპიროდ, ფრედის მოქმედების ხაზის ფარგლებში ვენა საშინელი ადგილია (locus terribilis). იმისთვის, რათა მეგობარს ტრავმის დაძლევაში მიეხმაროს, კიტი ჯაში სთავაზობს ფრედს, ვენაში გადასახლდნენ. სიკვდილის წინ ფრედი მართლაც თავისი ბავშვობის დროინდელ ვენას ხედავს სიზმარში, რაც იმას ნიშნავს, რომ ვენამ რეკოდირება განიცადა და საშინელი ადგილიდან საამო ადგილად (locus amoenus) იქცა. ამრიგად, ვენა რომანში ორმაგად კოდირებული ადგილია. ესაა ერთდროულად ტრავმისა და ოცნების ადგილი, და უწინარესად, წარსულთან შერიგების ადგილი. ფრედის დაბრუნება ვენაში ერთგვარი სიუჟეტური კომპენსაციაა კიტი ჯაშის მიერ სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობისა. ორივე მოქმედი პირის ცხოვრებათა მსგავსების წარმოსაჩენად გამოდგება შემდეგი ცხრილი:

კიტი ჯაშის მოქმედების ხაზი	ფრედის მოქმედების ხაზი	საერთო თავისებურება
კიტი	ფრედი	მდედრობითი სქესის ხელოვანი
ურთიერთობა დეზერტირთან	ებრაული წარმომავლობა	მარგინალიზაციის საბაბი
გადასახლება პრაღაში	გადასახლება ბანაკში	იძულებითი გადაადგილება 1
მარტოსული და იზოლირებული ყოფა პრაღაში	მარტოსული და იზოლირებული ყოფა შრომით ბანაკში	მარტოსული ყოფა უცხო ადგილზე
სახელმწიფო მოხელის მფარველობა	ზედამხედველის მფარველობა	მამრობითი სქესის მფარველი, რომელიც რეჟიმის სამსახურში დგას
გადასახლება ლონდონში	გადასახლება დიდ ბრიტანეთში	იძულებითი გადაადგილება 2
მარიამის თავგანწირვა	დედის თვითმკვლელობა	მდედრობითი სქესის ახლობლის მიერ თავის განადგურება (ტრავმა)
ვენა	ვენა	ადგილი ორმაგი კოდირებით

ცხრილი 3. ორი ხელოვანის ნარატივთა პარალელიზმი

ორი ხელოვანის ნარატივთა შედარების საფუძველზე გამოიკვეთა, რაოდენ მსგავსი შეიძლება იყოს ქალთა ხვედრი ტოტალიტარულ რეჟიმებში, რადგან არა მხოლოდ ძალადობის მასშტაბი იყო მსგავსი ნაციზმის ხანის ავსტრიასა და საბჭოთა ხანის საქართველოში, არამედ ტრავმებიც, რომლებიც ამ რეჟიმებში მცხოვრებმა ადამიანებმა განიცადეს. ავსტრიელი და ქართველი ქალის ცხოვრების გზათა მსგავსების საფუძველზე აშკარავდება დასავლური ჰეტეროხატის ფიქტიურობა. იგი იდეოლოგიური მიზნით შექმნილი კონსტრუქციაა, ერთგვარი პროექციაა, რომელშიც თავმოყრილია ავტოხატში დათრგუნული თვისებები.

აკრძალულ პოეზიასთან, მუსიკასთან, ლიტერატურასთან და ეზოტერიკასთან ერთად ნინო ხარატიშვილის რომანში გვხვდება მოქმედი პირები, ქმედებები და თვისებები, რომლებიც პრინციპულად იდევნება და, ამრიგად, დისკურსის „სხვად" შეიძლება მივიჩნიოთ. ეს მოქმედი პირებია დეზერტირი, ინტელექტუალი და ხელოვანი, ხოლო თვისებებია: ნიჭი, რელიგიურობა და ჰომოსექსუალობა. ტექსტში მოთხრობილია, რომ გაბატონებული დისკურსი სადამსჯელო ღონისძიებებით (გიჟად შერაცხვა, დაპატიმრება, გადასახლება, სიკვდილით დასჯა) პასუხობს წესების ნებისმიერ დარღვევას (შდრ. Münker / Roesler 2000, 102). ხელოვანი მოქმედი პირები (კიტი ჯაში, სოფიო ერისთავი, იდა, მიქა, ალეკო) სუბვერსიული პოტენციალის მქონე სუბიექტებადაა ნაწარმოებში წარმოდგენილი და სწორედ ამითაა ახსნილი საბჭოთა სივრცეში ინტელექტუალობისა და სახელოვნებო ნიჭის დემონიზაცია. რომანში დისკურსის ძალაუფლებრივი მექანიზმები იმისკენაა მიმართული, რომ იმთავითვე აღმოიფხვრას და უვნებელყოფილ იქნას ეს პოტენციალი. ასევე, აღწერილია, როგორ მოქმედებდა დისკურსული გამორიცხვის მექანიზმი ჰომოსექსუალობასა და რელიგიურობასთან მიმართებით: ჰომოსექსუალობა დაავადებასთან იგივდება, რელიგიურობა კი კრიმინალობასთან. გაქცევა, ინტელექტი, ნიჭი, რელიგიურობა და ჰომოსექსუალობა ე.წ. „სუბალტერნული" (შდრ. Spivak 1988) თვისებებია: მათ მატარებლებს წართმეული აქვთ „ხმა", ე.ი. არ ეძლევათ კოლონიზებული ქვეყნის გაბატონებული დისკურსის ფარგლებში თვითრეპრეზენტაციის უფლება. სუბალტერნული ელემენტები ჰეტეროხატის კომპონენტებია, რომელთა თითოეული გამოვლინებაც ისჯება, იდევნება ან ითრგუნება. ამასთან, ჰეტეროხატის მარგინალიზაციით აშკა-

რავდება საბჭოთა-ქართული ავტოხატის ძირითადი თვისებები – სტატიკურობა, ინტელექტისა და ნიჭის მედიოკრულობა, ათეიზმი, ჰეტერონორმატიულობა, რომლებიც უალტერნატივო ნორმებად აღიქმებოდა საბჭოთა დისკურსში.

ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, რომ ნინო ხარატიშვილის რომანში *მერვე ცხოვრება (ბრილკასთვის)* ქართული ავტოხატი წარმოდგენილია ე.წ. ავტოეგზოტიზმის (შდრ. Beller 2013, 98) შედეგად: იგი წარმოიქმნება კოლონიზატორის (საბჭოთა რუსეთი) მიერ კოლონიზებული ქვეყნისთვის (საქართველო) მიზანმიმართულად თავსმოხვეული თვისებების გათავისების გზით. ავტოეგზოტიზაციის წარმოსაჩენად ნაწარმოებში დასავლური ჰეტეროხატი გაშიშვლებულია როგორც იდეოლოგიური მიზნებით შექმნილი კონსტრუქცია და საკუთარი მანკიერებების პროექცია, ხოლო დისკურსულ წესრიგში დათრგუნული სუბალტერნული „სხვის" თემატიზებით აშკარავდება იდეალიზებული ავტოხატის ფარდობითობა. საბჭოთა ქართული ავტოხატის გაიგივებით ავტოეგზოტიკურ კონსტრუქციასთან ნინო ხარატიშვილის რომანი უპირისპირდება ქართულ ეთნოცენტრიზმს და უბიძგებს მკითხველს კრიტიკული რეფლექსიისკენ ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებულ და განუსჯელ ავტოხატთა შესახებ.

4. წარსულის რემითოლოგიზაციასა და დემითოლოგიზაციას შორის

4.1. ეროვნულის რემითოლოგიზაცია გრიგოლ რობაქიძის რომანში *მცველნი გრალისა*

კულტურის ნაციონალიზაციის პროცესში, რომელიც დასავლეთში უმეტესად მეოცე საუკუნეში წარიმართა, თავს იჩენს ეროვნული მითოსური და ისტორიული მასალის გადამუშავება (ინგლ. re-working) (Leerssen 2006, 202). რაკი კოლონიზებულ ქვეყნებს თავიანთი იდენტობის შექმნა უცხოური ბატონობის პირობებში მოუწიათ, სავარაუდოდ აღნიშნული პროცესი ამ ქვეყნებში უფრო ინტენსიური გამოდგა. იან ასმანის აზრით, ჩაგვრის პირობებში მეხსიერება შეიძლება იქცეს წინააღმდეგობის ფორმად (Assmann 1992, 73). განსაკუთრებით კი ტოტალიტარული ჩაგვ-

რის შემთხვევაში ენიჭება კულტურულ მეხსიერებას გამათავისუფლებელი პოტენციალი, სახელდობრ, იგი მიჯნავს დაჩაგრული ეთნოსის კოლექტიურ იდენტობას მჩაგვრელისგან და ხელს უწყობს მის სტაბილიზაციას (შდრ. Neumann 2005c). ამ მხრივ, ლიტერატურა როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიუმი (შდრ. Erll 2005b) საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მას ძალუძს ზემოქმედება მოახდინოს და შეცვალოს კოლექტივის მეხსიერება (შდრ. Erll 2004, 124). მეხსიერების მაწარმოებელი ფუნქცია ლიტერატურისა განსაკუთრებით აქტუალურდება კულტურული გარდატეხის ვითარებაში (ომები, რევოლუციები, სეკულარიზაცია); ლიტერატურა ეხმიანება ხოლმე საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნებსა და კოლექტივის წინაშე მდგომ გამოწვევებს (შდრ. Erll 2004, 124; Neumann 2005b, 168; Assmann 1992, 32). ამრიგად, ე.წ. „მეხსიერების რომანები" როგორც კოლექტიური მეხსიერების პრივილეგირებული მედიები დიალოგურ ურთიერთმიმართებაშია იმ დროის მეხსიერების კულტურებთან, რომლებშიც ისინი დაიწერა (Erll 2003, 183). გრიგოლ რობაქიძის რომანი *მცველნი გრალისა* შეიძლება სწორედ ამგვარ მეხსიერების რომანად (ინგლ. Fiction of memory) იქნას წაკითხული.

საბჭოთა ცენზურისგან თავისუფლება ემიგრაციაში მყოფ მწერალს აძლევს შესაძლებლობას, დაუფარავად გამოხატოს უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმის მიმართ და იზრუნოს ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე. სწორედ ამის გამოა, რომ გრიგოლ რობაქიძის რომანში *მცველნი გრალისა* ფართოდაა გადმოცემული ის ტრავმები (გასაბჭოება, 1924 წლის აჯანყება), რომლებიც საბჭოთა საქართველოში ტაბიორებული იყო და საუკეთესო შემთხვევაში სიმბოლურ-ალეგორიული ხერხებით თუ იქნებოდა წარმოდგენილი (შდრ. წიფურია 2016, 91). რომანში აღწერილი მოვლენები მითოსურ ჩარჩოში ერთიანდება, რომლის ფარგლებშიც თანადროული მდგომარეობა წარსულის გაგრძელებად გვევლინება. თავის მხრივ, წარსულის დამახსოვრება გადამწყვეტია ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად. ამისთვის რომანში სემანტიკურად დატვირთული მნემონიკური სივრცეა წარმოდგენილი და მოგონებათა ჭიდილია ინსცენირებული. ერის წარსულზე დაყრდნობით ტექსტში ხორციელდება არა მხოლოდ ქართული იდენტობის რეკონსტრუქცია, არამედ მისი რემითოლოგიზაცია და რესემანტიზაციაც.

მითოსის შეთხზვა მიიჩნევა კოლექტივის ავტოხატის დამფუძნებელ აქტად (Beller 2006, 373). მრავალ კულტურაში მოიპოვება მითი „ოქროს ხანის“ შესახებ, რომელიც რეტროსპექციულად გვახსენებს დაკარგულ სამოთხეს, ან პროსპექციულად გვიხატავს მომავლის იდეალიზებულ სურათს (Beller 2006, 56). ენთონი სმითის აზრით, მითოსს შეუძლია შექმნას ან განაახლოს ერი, თუ იგი „ავთენტურ წარსულთანაა“ დაკავშირებული, „მითოსური თვისებრიობის“ მქონეა და წარმოსახვაზე ახდენს გავლენას, და რეინტერპრეტაციისთვისაა გამოსადეგი (Smith 1997). კნაბელი, რიგერი და ვოდიანკაც მიუთითებენ, რომ ეროვნული მითები და კოლექტიური სიმბოლოები ყოველთვის ექვემდებარებიან ინტერპრეტაციას (Knabel u.a. 2005, 9). ამასთან, მითი ემსახურება კოლექტივის იდენტობის როგორც წარსულის, აწმყოსა და მომავლის ასახსნელი ინტერპრეტაციული მოდელის შექმნას, დამკვიდრებასა და ესთეტიკურ კონსტრუქციებში რეპრეზენტაციას (Knabel u.a. 2005, 10).

კულტურული კონტექსტი, რომელმაც გრიგოლ რობაქიძეს უბიძგა ქართული იდენტობის რემითოლოგიზაციისკენ, არის საქართველოს გასაბჭოება. 1921 წელს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და ქართველ ინტელექტუალთა ემიგრაციის შემდეგ ქართველი ერი დადგა დიდ მრავალეროვან სახელმწიფოში გაქრობის საფრთხის წინაშე. ამ ახალი საბჭოთა სახელმწიფოს კომუნისტური რიტორიკა მიმართული იყო მომავლის სამოთხისებრი სურათის კონსტრუქციის შესაქმნელად, რომლის ფარგლებშიც ქართულ ეროვნულ იდენტობას ადგილი უნდა დაეთმო საბჭოთა იდენტობისთვის. წარსული, რომელზეც ქართული ეროვნული იდენტობა შეიძლება დამყარებულიყო, ახალი ისტორიული გამოწვევების (კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობა) პირობებში უსარგებლო გამოდგა და გაბატონებულ დისკურში სრულიად უგულებელყოფილი იქნა. გრიგოლ რობაქიძე, როგორც ჩანს, თავს ვალდებულად მიიჩნევდა, თავისი ლიტერატურული შემოქმედებით წინააღმდეგობა გაეწია გასაბჭოებისა და ქართული იდენტობის გაქრობისთვის. ამ მიზნით მან მითოსი აქცია თავისი რომანის ინტერტექსტობრივ და სტრუქტურულ სარჩულად.

ლექსემების „მითი“, „მითიური“ და „ჯადოსნური თქმულება“ ხშირი გამეორებით რომანში იმთავითვე მახვილდება ყურადღება ნაწარმოების მითოსურ სემანტიკაზე. მითოსური მოტივები, რომ-

ლებიც ტექსტში გვხვდება, სხვადასხვა (ანტიკური, ეგვიპტური, ბიბლიური, ევროპული, ქართული) კულტურული ტრადიციებიდანაა ნასესხები. მათ ემატება ეზოტერული ცნებები, როგორებიცაა, მაგალითად, ადამ კადმონი, ნირვანა, ასტრალური არსება და ფერისომა. ისმის კითხვა: რატომაა რომანის მითოსური შრე ესოდენ ტრასნკულტურული? შესაძლო პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება ამოვიკითხოთ გიორგი მაისურაძისა და ფრანცისკა თუნ-ჰოენშტაინის ერთობლივ ნაშრომში *მზიანი საქართველო*. ამ ნაშრომის ერთ-ერთ თავში, რომელიც ეროვნულის მითოპოეტიკას ეთმობა, გიორგი მაისურაძე წერს, რომ რობაქიძემ თავისი „მითი საქათველოს შესახებ" კავკასიის წიაღიდან შექმნა, რითაც სცადა, საქართველო წინააზიური უძველესი კულტურების მემკვიდრედა და წინარეევროპული ცივილიზაციის აკვნად ექცია (Maisuradze / Thun-Hohenstein 2015, 59). მითების ამგვარი, მრავალი კულტურისა და ეპოქის მომცველი, გამოყენებით რომანის მოქმედება უფრო ფართო, გლობალურ მნიშვნელობას იძენს. შედეგად, მონათხრობი აღიქმება არა ცალკეული ერის კერძო შემთხვევად, არამედ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების პარაბოლად, რომლის ფარგლებშიც ქართველი ისტორიული და მითოსური გმირები ისეთივე სიდიადით არიან შემკობილნი, როგორითაც მსოფლიოს ისტორიის ცნობილი პირები (Maisuradze / Thun-Hohenstein 2015, 65).

თბილისის დაარსების შესახებ მითის გადმოცემით ნაწარმოების მოქმედება უნივერსალურ მნიშვნელობას იძენს. შევარდნის მიერ ხოხბის დევნის ამბის პარალელიზაცია ლევან ორბელისა და ბოლშევიკების დაპირისპირებასთან ამ კონფლიქტს მითოსურ განზომილებას ანიჭებს. ამით იგი სცილდება ადგილობრივ, ქართულ კონტექსტს და სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის აქტუალურ გამოვლინებადაა სტილიზებული. ამასთან, „თქმულება ქალაქზე" შეიცავს ისტორიულ რეტროსპექტივას, რომელიც შუა საუკუნეებით იწყება და გასაბჭოებით სრულდება და რომელშიც ერთი-და-იგივე ელემენტები და მიმართებები ციკლურად მეორდება, სახელდობრ, მასში უცხოელი დამპყრობლები თავს ესხმიან საქართველოს, რაც ზოგჯერ გამარჯვებით, ზოგჯერ კი მარცხით სრულდება. წარსულისა და აწმყოს, მითოსისა და სინამდვილის ამგვარი კორელაციით გრიგოლ რობაქიძე აქცევს „თქმულებას ქალაქზე" ე.წ. დამფუძნებელ მითოსად, მოთხრობად „საწყისების" შესახებ (შდრ. Assmann 1992, 78; Detering 1996, 65),

რომლის დანიშნულებაც არის ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობის ახსნა მითოსური წინასწარგანსაზღვრულობით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით კანონზომიერია, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომელი ველსკი ტექსტში აღწერილია როგორც საშინელი და უცხო, ურჩხული და კუდიანი. იგი შედარებულია აჰასვერთან და გოლემთან, დახასიათებულია როგორც იდუმალი ძალის მსახური და გრალის გამანადგურებელი. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ველსკი რომანში ბოროტების განსახიერებადაა წარმოდგენილი. ნაწარმოებში მას ლევან ორბელი ურპირისპირდება, რომელსაც გმირის, მარტვილისა და წმინდანის ზეადამიანური თვისებები მიეწერება. იგი ეროვნული კოლექტივის პოლიტიკურსა და ზნეობრივ იდეალს განასახიერებს (შდრ. Calzoni 2007, 332). ამ ორი მოქმედი პირის ოპოზიციურ ურთიერთმიმართებას საფუძვლად უდევს რაციონალობისა და ემოციურობის სემანტიკური წყვილი. ველსკი რაციონალურად მოაზროვნე ადამიანადაა დახასიათებული. უგრძნობლობის გამო იგი ზოგჯერ თოჯინასთან და ნივთთანაა შედარებული. ამის საპირისპიროდ ლევან ორბელი არაერთხელ მოიხსენიება შეშლილად ზუსტად ისევე, როგორც დოსტოევსკი, ნიცშე და ჟანა დარკი. უნდა ვივარაუდოთ, რომ შეშლილობა და რაციონალიზმი ნაწარმოების უმთავრესი თემატური კონფლიქტია, რომელშიც შეშლილობა დადებითადაა კონოტირებული.

იდეოლოგიური პროგრამა, რომლის გამტარებლებიც ტექსტში ველსკი და სხვა ბოლშევიკი მოქმედი პირები არიან, მიზნად ისახავს ადამიანის გათავისუფლებას ღმერთისგან. ეს მატერიალისტური მსოფლმხედველობა მწერლის პოეტური კონცეფციის ფარგლებში რაციონალიზმითაა განპირობებული. ველსკისა და ლევან ორბელის დაპირისპირება შეიძლება გაგებულ იქნას მითოსურ და პოსტმითოსურ აზროვნებათა (შდრ. Wilhelmy 2004, 46) ანტინომიის ლიტერატურული რეპრეზენტაციად. თუ ამ ინტერპრეტაციას მივყვებით, ველსკი აღმოჩნდება ის მოქმედი პირი, რომელიც მოქმედების მითოსური ლოგიკის გაუქმებას ცდილობას. იგი ანტაგონისტია არა მხოლოდ მოქმედების, არამედ სიღრმისეული სტრუქტურის დონეზეც. მისი რაციონალური და ათეისტური მსოფლმხედველობის გამო საფრთხე ექმნება მითოსურ ლოგიკას, რომელიც მთლიან ტექსტს უდევს საფუძვლად. ტექსტის მოტივაციური სტრუქტურა კი მითოსური ანალოგის (კლემენს

ლუგოვსკი) სქემას მისდევს და ტელეოლოგიურია / ფინალურია (შდრ. Martínez 1996, 30-32). ნაწარმოებში იგი ბედისწერის მოტივით ვლინდება. სწორედ ბედისწერა განსაზღვრავს არ მხოლოდ მოქმედ პირთა, არამედ მთელი ქვეყნის ბედს. ბედისწერითვეა უზრუნველყოფილი იმ მითოსური სქემის განხორციელება, რომელიც თავდაპირველად გვხვდება „თქმულებაში თბილისზე", იმ განსხვავებით, რომ შევარდნისა და ხოხბის მაგივრად ამჯერად ბოლშევიკი და გრალის მცველი უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამრიგად, მითოსური ლოგიკა და დამფუძნებელი ნარატივი ხელშეუხებელი რჩება, რაც ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საწინდარია.

მეხსიერების რომანებში ხშირად გამოიყენება ინტერტექსტობრივი მინიშნებები იმისთვის, რათა წინარეტექსტების ავტორიტეტებზე დაყრდნობით ეპიტექსტის ინტერპრეტაციული უპირატესობა დადასტურდეს (Neumann 2005b, 190). ეს ხერხი გრიგოლ რობაქიძის რომანშიც გვხვდება. მეხსიერების სტაბილურობისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში წვლილის შესატანად ავტორი მიმართავს თქმულებას გრალის შესახებ. ეს უკანასკნელი რომანში იმგვარადაა რეინტერპრეტირებული, რომ საქართველოს შუასაუკუნეებრივი ისტორია დაუკავშირდეს ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და დასავლეთის ისტორიას. ქართული მითოსისა და ევროპული თქმულებების ურთიერთშერევის შედეგად გრალი კულტურათშორის სიმბოლოდაა წარმოჩენილი, რომელსაც ორი კულტურის ერთმანეთთან შეკავშირება ძალუძს. გრალის სიმბოლო ტრანსგრესიულია: იგი ტოვებს ლევან ორბელის მისტიკური ხილვის საზღვრებს და მოქმედების განვითარების მომდევნო საფეხურებზე ჯერ ასოციაციურად უკავშირდება ქალწულს, შემდეგ კი კონკრეტულ იერს იძენს ნორინას, ლევან ორბელის სატრფოს სახით. ნორინა წარმოშობით შვედია, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ხშირ მინიშნებებში ნორინას უცხოური, ნორდიკული წარმომავლობის შესახებ შეიძლება ამოვიკითხოთ ავტორის განზრახვა, ერთმანეთთან დაეახლოვებინა (ან სულაც გაეიგივებინა) ქართული და ევროპული კულტურები. გრალის თასის, ნორინასა და „საქართველოს არსის" სემანტიკური იგივეობრივობა ტექსტში სრულიად აშკარაა. ნორინა როგორც ევროპულ ღირებულებათა განსახიერება აქ ასრულებს გრალის ფუნქციას. სწორედ მის

ირგვლივ და მის დასაცავად იყრის თავს ცხრა რჩეული რაინდი. საცნაურია, რომ ისინი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები – პოეტები, ხელოვანები, მხატვრები, თეატრისა და კინოს მუშაკები არიან. მათში და ხელოვნებაშია დანახული გაბატონებული რეჟიმისთვის წინააღმდეგობის გაწევის პოტენციალი. ხელოვანი და ხელოვნება ის ელემენტებია, რომლებითაც იქმნება რომანის მეორე მნიშვნელოვანი თემატური ოპოზიცია: სინამდვილე და წარმოსახვა. უფრო მეტიც: ტექსტში ინსცენირებულია დაახლოებით ისეთივე ონტოლოგიური გარდასახვა, რომელსაც *ჰაინრიჰ ფონ ოფტერდინგენიდან* ვიცნობთ. ამ გარდასახვის მამოძრავებელია ლევან ორბელის წარმოსახვის ძალა, რომელმაც გრალის მიმართ ჩადენილი ღალატისა და რწმენის დაკარგვის შედეგად იავარქმნილი სინამდვილე უნდა იხსნას. სინამდვილის მითოსური ტრანსფორმაცია აჯანყებით იწყება და გრალისთის გამართული ბრძოლის ეპიზოდში აღწევს მწვერვალს, რადგან ადამიანებმა სწორედ მაშინ ირწმუნეს, რომ თქმულებები სიმართლე ყოფილა. წარმოსახვითი, ზღაპრული იმარჯვებს რომანის ბოლოსაც. წარმოსახვითის გარდამქმნელი, ტრანსფორმაციული ძალა სრულად მჟღავნდება დრამატულ წარმოდგენაში, რომლის მაყურებლებიც მწუხარებით შეშლილან (!). ამ ეპიზოდით წარმოჩნდება არა მხოლოდ მითოსის გამარჯვება ადამიანთა ცნობიერებაზე მატერიალიზმის ხანაში, არამედ საზოგადოებაზე ხელოვნების კონტრაპრეზენტული მითომოტორიკის (შდრ. Assmann 1992, 79) ზემოქმედების უნარიც. ნაწარმოების მოქმედება სრულდება ხელოვნების აპოთეოზით, რომელმაც საქართველოს საგმირო წარსულის გახსენებით ქართველ მკითხველს უნდა გააცნობიერებინოს მისი გასაბჭოების შედეგად ნაკლოვანი მდგომარეობა, დაუბრუნოს ღირებულებითი ორიენტირები და უბიძგოს პოლიტიკური ქმედებისკენ.

მეხსიერების კვლევებში სივრცე ინტერპრეტაციისთვის ღირებული ტექსტობრივი ელემენტია. სივრცე მიიჩნევა დროის სანახად (Basseler / Birke 2005, 131), ლანდშაფტები კი – კულტურული მეხსიერების მედიებად, ე.წ. „მნემოტოპებად". ადგილებსა და ობიექტებში აისახება კოლექტივის მეხსიერება. მეხსიერების რომანებშიც წარმოჩნდება კოლექტიური მეხსიერების ტოპოგრაფიული განზომილება: წარმოდგენილი სივრცე სიმბოლურად გამოხატავს ჯგუფის მეხსიერებას (Neumann 2005b, 228). მეხსიერების უმნიშვნელოვანესი ადგილი გრიგოლ რობაქიძის რომანში არის

თბილისი. იგი აღძრავს მოგონებებს, მასში ცოცხლდება გარდასული დროება. მაგრამ ქალაქის რეპრეზენტაცია გარკვეულწილად ამბივალენტურიცაა, რადგან მასში წარსული და აწმყო მტრული ძალებივით ასკდება ერთმანეთს. თბილისი არა მხოლოდ საკრალური ადგილია, არამედ ესაა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ცენტრიც. სიმბოლურად საბჭოთა ხელისუფლება ჩეკას შენობაში განთავსებულა, რომელიც ნაწარმოების დასაწყისშივე იქცევა პროტაგონისტის ერთ-ერთი მეგობრის ირონიული თავდასხმის საგნად. ძალაუფლების მპყრობელთა და გრალის მცველთა ანტაგონიზმი სწორედ აქ იწყება და მოგვიანებით მხატვრული სივრცის დონეზეც იჩენს თავს როგორც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსა და საირმეში თავადის სასახლის დაპირისპირება. პირველი მათგანი საშინელ შენობადაა მოხსენიებული, მის ჯოჯოხეთურ სივრცეში შიმშილი, წამება და სიკვდილით დასჯა ჩვეულებად ქცეულა. მეორე მათგანი კი შუასაუკუნეებრივ ბრწყინვალებას ასხივებს და მოგონებების აღმძვრელი სივრცის ფუნქციას ასრულებს. სწორედ ამ სივრცეში აცნობიერებს პროტაგონისტი თავის მოწოდებას. ამასთან, თავადი გიორგის სასახლე იძლევა ერთობლივი გახსენების შესაძლებლობას, რაც კოლექტიური იდენტობის წარმოქმნის საწინდარია (შდრ. Neumann 2005c, 159). სასახლეში იმართება საუბრები, რომლებშიც გადმოიცემა წარსულის საზიარო ხედვა, იდენტობის კონცეპტები და ღირებულებათა იერარქია. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია თავადი გიორგისა და ლევან ორბელის საუბრები ოქროს საწმისსა და არგონავტებზე, ქართულ ენაზე, ქართულ მითებსა და მატიანეზე. ამ საუბრებით ხორციელდება ტექსტში ერთობლივი ცოდნისა და ერთობლივი მეხსიერების არტიკულაცია, რომლებზეც კოლექტიური იდენტობა და ერთიანობაა დამყარებული. ამის გამოა, რომ პროტაგონისტის მეტყველება გარკვეულ ეტაპზე ე.წ. კომუნალურ ხმაში (ინგლ. Communal voice) გადაიზრდება: მის მეტყველებაში ნაცვალსახელი „მე“ ჩანაცვლებულია ნაცვალსახელით „ჩვენ“. ამასთან, თავადი გიორგისა და ლევან ორბელის რეპლიკები იმგვარად ავსებს ერთმანეთს, რომ წარმოიქმნება ე.წ. მონოლოგური დიალოგი (შდრ. Pfister 2001, 182-184), რომლის ფარგლებშიც კოლექტიური იდენტობა („ჩვენ“) ყალიბდება და ჯგუფის ერთიანობას ეყრება საფუძველი.

თავადი გიორგი და ლევან ორბელი არა მხოლოდ საერთო ენაზე საუბრობენ, არამედ ისინი იყენებენ სიმბოლოთა ერთიან სისტემასაც, რომელიც სცდება სიტყვების, წინადადებებისა და ტექსტების ფარგლებს და მოიცავს წეს-ჩვეულებებს, სამოსს, ჭამა-სმის რიტუალებსა და ცეკვას. ერთმნიშვნელოვნად მნემოტექნიკური დანიშნულება აქვს როგორც თავადის ეროვნულ სამოსს, ისე *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერს, რომელსაც თავადი თავის სტუმრებს უჩვენებს. როგორც ზემოთ ითქვა, რომანში ცალკე თავია გამოყოფილი ნადიმის აღსაწერად, რაც სრულიად ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ წარსულის გახსენების ერთ-ერთ საშუალებად კულტურული მეხსიერების თეორიაში სწორედ ნადიმი მიიჩნევა (შდრ. Assmann 1992, 53). თავადი გიორგის სასახლე ის ადგილია, სადაც წარსული გაიყინა და ეროვნული იდენტობის კონსერვაცია მოხდა. იქ გამართული საუბრები, ნადიმი და შეჯიბრება ამ მარგინალურ ადგილს (საირმე) კოლექტიური მეხსიერების ცენტრად აქცევს, რაც მეხსიერების რომანების ერთ-ერთი ჟანრობრივი თავისებურებაა (Neumann 2005b, 203). საირმეში სტუმრობის ყველა აღნიშნულ კომპონენტში ასახულია ძალზე სპეფიციკური გამოცდილება კულტურული მეხსიერების მატარებელი უმცირესობისა, რომელიც გასაბჭოების დროს პერიფერიაზე იქნა განდევნილი. მეხსიერების ადგილთა – თბილისისა და საირმეს კონტრასტულობით რომანში გადმოიცემა ე.წ. ანტიმეხსიერება. ხოლო მოქმედ პირთა გადაადგილება მეხსიერების სივრცეში ემსგავსება მათ მერყეობას ცენტრსა და პერიფერიას შორის, რის შედეგადაც მეხსიერების კულტურის ბინარულობა მუდმივად ირღვევა. თავდაპირველად ლევან ორბელი მიემართება თბილისიდან საირმეში, რათა თავადი გიორგის სასახლეში თავისი როგორც გრალის მცველის მისია გააცნობიეროს და მოემზადოს დომინანტური საბჭოთ კულტურისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. მისი მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით კორელაციაშია მის გადაადგილებასთან დროში, რადგან წარსული განაგრძობს არსებობას იმ მოთხრობებში, წეს-ჩვეულებებსა და სიმბოლოებში, რომლებიც მას საირმეში ხვდება. ანტაგონისტი ველსკის ქმედება კი მიმართულია მარგინალიზებული ადგილის დაკავებისკენ. მის მიერ თავადი გიორგის შეპყრობა და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში გადაყვანა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართული ეროვნული იდენტობის დაქვემდებარების

აქტად შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული. თავადისა და ლევან ორბელის სიკვდილი კი წარმოდგენილია არა როგორც ეროვნული იდეის (გრალის) მარცხი, არამედ მისი უწყვეტობის საწინდარი, რაც დასტურდება კიდეც საგმირო პიესის დადგმით თბილისში (!), სადაც საკულტო მსვლელობა დაღუპული გმირის ხსოვნას მიაგებს პატივს. ხოლო სპექტაკლის შემდეგ იმართება წვეულება როგორც ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი ნიშანი. ამრიგად, ნაწარმოებში ნაჩვენებია განდევნილი ანტიმეხსიერების გადარჩენა და მისი მოქცევა კულტურის ცენტრში.

სივრცე ცენტრსა და პერიფერიას შორის რომანში ერთგვარ ბრძოლის ველადაა ქცეული. ამ სივრცეში იმართება ბრძოლა გაბატონებულ (საბჭოთა) იდეოლოგიასა და მარგინალიზებულ ეროვნულ თვითშეგნებას შორის. ეს ბრძოლა თბილისის ერთ დუქანში იწყება, სადაც ლევან ორბელი პირველად შეხვდება ველსკის. დაპირისპირება აშკარავდება, როდესაც პროტაგონისტი ნორჩ ბოლშევიკებს შეხვდება მთაწმინდაზე სეირნობისას, რომლებიც მას წარმოთქმული ლექსის გამო დასცინებენ. ამ კონფრონტაციაში საცნაურდება წარსულის ხედვის ორი სრულიად ურთიერთსაპირისპირო ვარიანტი: ყმაწვილთათვის ძველი საქართველო ხავსმოკიდებულია, ლევან ორბელისა და მისი მეგობრებისთვის კი საქართველოს წარსული გმირული ხანაა. ბრძოლა წარსულის „სწორი“ ინტერპრეტაციისთვის განსაკუთრებით მწვავდება მატარებელში მგზავრობისას, როდესაც ლევან ორბელი ისევ შეხვდება ველსკის. ველსკი ერთ ახალგაზრდა კაცს უამბობს გრალის შესახებ. მისი მონათხრობი ისტორიის დემითოლოგიზაციის გზით მიზნად ისახავს, მარქსისტულ ათეიზმში მოაქციოს ახალბედა. მათ საუბარში ლევან ორბელი ერევა და ცდილობს, შეუსწოროს მთხრობელს მცდარად გადმოცემული დეტალები. ამ ეპიზოდში ინსცენირებულია მეხსიერებათა კონკურენცია, რომელშიც ლევან ორბელი მოქმედებს როგორც ე.წ. „მნემონიკური სხვა“, ე.ი. მარგინალიზებული ჯგუფის მეხსიერების (ანტიმეხსიერების) მატარებელი. ლევან ორბელისა და ველსკის პაექრობა სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა სოციალური და კულტურული ჯგუფის წარმომადგენელთა ბრძოლა ნორმატიულად „სწორი“ წარმოდგენისთვის კოლექტიური წარსულის შესახებ. ერის წარსულის გაცოცხლებით რომანში აქტიურდება დავიწყებული და დათრგუნული მეხსიერება და აღიჭურვება სუბვერსიული ძალით.

გრიგოლ რობაქიძის *მცველნი გრალისა* შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც მეხსიერების რომანი, რომლის მიზანიც საზოგადოებრივი დავიწყებისა და ქართული იდენტობის მოშლის პრევენციაა. ერის წარსულის გახსენება ტექსტში იქცევა წინააღმდეგობის აქტად საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მეხსიერების ვერსიათა ბრძოლაში, რომელიც რომანში მოქმედ პირთა კონფიგურაციითა და სიმბოლური დატვირთვის მქონე სივრცითაა გადმოცემული, დაწინაურებულია ანტიმეხსიერება როგორც მეხსიერების კულტურის განახლებისა და უწყვეტობის უზრუნველმყოფი საშუალება. ამასთან, წარსული წარმოდგენილია აწმყოსთან დაპირისპირებულ და მითოსურად წინასწარგანსაზღვრულ განზომილებად. მასში ქართული და ევროპული მითოლოგემები ერწყმის ერთმანეთს, რაც ქართული და ევროპული კულტურების სიახლოვის წარმოჩენას ემსახურება. შედეგად, საქართველო რეპრეზენტირებულია როგორც ქვეყანა, რომლის კულტურული მისიაც დასავლურ ფასეულობათა დაცვაა. ამ მხრივ, განსაკუთრებული როლი ეკისრება ხელოვნებასა და ხელოვანებს. რომანის პოეტური კონცეფციის მიხედვით, სწორედ მათ უნდა გააცოცხლონ წარსული და აღმოაჩინონ სამყაროში არსებული იდუმალი კავშირები (მოცემულ შემთხვევაში, საქართველოსა და ევროპის კულტურული კოჰერენტულობა).

4.2. წარსული, როგორც გველის პერანგი გივი მარგველაშვილის რომანში *კაპიტანი ვაკუში. დოიქსილანდში*

პოსტმოდერნულ ნარატივში შორეული წარსულისა და მომავლის ცნებები კარგავს აქტუალობას, წარსულის გავლენა და მომავლის მოლოდინი დასუსტებულია. ამწყო არის ის ერთადერთი განზომილება, რომელშიც ინდივიდმა უნდა იცხოვროს (Francese 1997, 3). სწორედ ამ მოდელს შეესაბამება გივი მარგველაშვილის რომანის *კაპიტანი ვაკუში* ქრონოტოპული სტრუქტურა. ნაწარმოებში უგულებელყოფილია წარსული როგორც ანგარიშგასაწევი ფაქტორი. საქართველოს შორეულ წარსულს ეთმობა პროტაგონისტის მამის ნაშრომი კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის შესახებ ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნეში. სწორედ ამ წიგნის მეშვეობით

ეცნობა ახალგაზრდა ვაკუში თავისი წინაპრების მითოსურ წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს. თუმცა წაკითხულს არ ძალუძს, რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მის აწმყოსა და თვითშეგნებაზე. აღწერილი დროება და სივრცე მისთვის იმდენად უცხო და ეგზოტიკურია, რომ მასში ირონიულ დამოკიდებულებას აღძრავს.

წარსულის გაუფასურება კიდევ უფრო აშკარავდება იმ ეპიზოდებში, სადაც პროტაგონისტი ცდილობს, საქართველოდან ჩამოსული სტუმრის, ამირანის იდენტობა გარდაქმნას და კოლხი კაცი ფოქსტროტის მოყვარულ პიპოდ აქციოს. ამ მიზნით ვაკუში მას გრიგოლ რობაქიძის რომანს, *გველის პერანგს* აკითხებს. *გველის პერანგში* ვაკუშისთვის ყველაზე უფრო ღირებული სწორედ ძველი სამოსის გამოცვლაა. იგი სრულად იზიარებს იმ აზრს, რომ ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუძლებს ამ ცხოვრებას, თუ დროდადრო გაცვეთიილი და უსარგებლო წარსულებივით გამოიცვლის პერანგს / სამოსს. წარსულის ამგვარი ხედვა უშუალო კორელაციაშია იდენტობის დეტერიტორიალიზაციასთან (იხ. ზემოთ, 3.2.), რომელიც *კაპიტან ვაკუშშია* აღწერილი: რაკი ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმისგან თავის დასაღწევად საჭიროა, რომ სუბიექტი მოწყდეს მყარ სოციალურ ფორმაციებს და მათ მიღმა მდგომი პოზიცია დაიკავოს, წარსული როგორც ეროვნული იდენტობის საყრდენი მისთვის სრულიად უსარგებლო ხდება. ამით აიხსნება გივი მარგველაშვილის რომანში წარსულის გაიგივება გველის პერანგთან, გაცვეთილ, უსარგებლო სამოსთან, რომელიც სუბიექტმა უნდა ჩამოიშოროს, თუ ცხოვრების გაგრძელება სურს.

4.3. ეროვნულ მითოლოგემათა პაროდიული რეპრეზენტაცია ნინო ხარატიშვილის რომანში *მერვე ცხოვრება (ბრილკასთვის)*

მითოლოგემები, რომლებიც ნინო ხარატიშვილის რომანშია დეკონსტრუირებული, დაკავშირებულია საქართველოს განსაკუთრებულ როლთან მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებით, ან პოლიტიკური ხასიათისაა (ამგვარია, მაგალითად, მითი საქართველოსა და რუსეთის ნათესავური კავშირის შესახებ, ან მითი სტალინის მიერ თავისი ვაჟის მსხვერპლად გაწირვის შესახებ).

რომანის პროლოგში სათაურით „დავიწყების პარტიტურა“ ირონიულადაა გადმოცემული თქმულება საქართველოს შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მიწა ღმერთს გაუნაწილებია ხალხებისთვის. იმაზე მინიშნებით, რომ ეს ამბავი ბაბილონის გოდოლის აშენებაზე ბევრად უფრო ადრე მომხდარა, იმთავითვე დაცინვის საგნადაა ქცეული ქართული მითოპოეტიკის აბსურდული მისწრაფება სიძველისა და თავდაპირველობისკენ. ამასთან, მიწის განაწილება აღწერილია როგორც ბაზრობა, რომელზეც ადამიანები ყვირილით ექიშპებიან ერთმანეთს ღმერთის კეთილგანწყობისა და მიწის საუკეთესო ნაწილის მოსაპოვებლად. მიწის განაწილების თქმულების რეპრეზენტაცია ხმაურიან ვაჭრობად ირონიულად მიანიშნებს რიგში დგომის ქართულ სცენარზე, რომელშიც ყველა ცდილობს, დაისაკუთროს საუკეთესო. ირონიულია ღმერთის „საშვებულებო რეზიდენციის“ აღწერაც აღმატებით ხარისხში, რითაც ქართულ მსოფლმხედველობაში ფესვგადგმული ეთნოცენტრული ხედვა აშკარავდება. თუმცა ირონია განსაკუთრებით ბასრდება ქართველის აღწერისას. ამ უკანასკნელს ღმერთი შემთხვევით წააწყდება, როდესაც დასასვენებლად მიემართება. ულვაშებიანი და ღიპიანი ქართველი უზრუნველად ხვრინავს ჩრდილში. იგი კმაყოფილია ცხოვრებით და მზადაა იმას დასჯერდეს, რასაც ღმერთი მისთვის გაიმეტებს. ნინო ხარატიშვილის ინტერპრეტაციით, კაცის უზურნველობასა და უამბიციობას იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ღმერთზე, რომ მას თავისი „საშვებულებო სამოთხე“ დაუთმია ქართველებისთვის. მთხრობელი იქვე დასძენს, რომ თქმულების სხვა ვერსიაც მოიპოვება, რომლის მიხედვითაც ქართველებს ნადიმის გამო დაუგვიანიათ მიწის განაწილებაზე, მაგრამ ამით არაფერი იცვლება ქართული ავტოხატის დახასიათებისთვის: უზრუნველობა (სიზარმაცე) და უამბიციობა მის ძირითად თვისებებადაა მიჩნეული. ამას ემატება თავის გაიგივება ღმერთთან (რაკი მის მიწაზე დაუდიათ ბინა), რის გამოც ქართველები ადვილად ირწმუნებენო ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც ზღაპრული, იდუმალი ან საოცარი ეჩვენებათ. იქვე მსჯელობს მთხრობელი ქართველთა ცრუმორწმუნეობასა და რელიგიურ ფანატიზმზე და ამით იმაზე მიანიშნებს, რომ შუასაუკუნეებრივი ირაციონალობა დღემდე განსაზღვრავს ქართველთა აზროვნებასა და ქცევას.

ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი თქმულების ამგვარი ინტერპრეტაციით ხორციელდება ტრადიციული დადებითი თვისებების – მხიარულებისა და სტუმართმოყვარეობის (შდრ. ქართული ავტოხატის გრიგოლ რობაქიძისეული რემითოლოგიზაცია) ჩანაცვლება უზრუნველობით და უამბიციობით. მოგვიანებით ამ თვისებებს ტექსტში დაემატება სიზარმაცე, მედროვეობა და კონფორმიზმი.

არანაკლებ მწვავედაა გაკრიტიკებული რომანში მითი ქართულ-რუსული მეგობრობის შესახებ და მასთან დაკავშირებული წარმოდგენა მზიან საქართველოზე. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა თავდაპირველად საბჭოთა მაღალჩინოსნის, კოსწია ჯაშის პერსპექტივიდანაა დანახული. ეს მოქმედი პირი მოსკოვიდან ბრუნდება თანამდებობის დასაკავებლად მშობლიურ ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ მას ამ დროისთვის უკვე ჰქონდა რუსული კორუფციის გამოცდილება, იგი შეშფოთებულია კორუფციის მასშტაბის აღმოჩენისას, რომელიც მას საქართველოში ხვდება. ტექსტი გვთავაზობს, კოსწია ჯაშის პერსპექტივიდან შევიხედოთ მზიანი საქართველოს კულისების მიღმა, სადაც ყოვლისმომცველი კორუფცია და შეუზღუდავი ჰედონიზმი ბატონობს. სწორედ დაუკმაყოფილებელი ჰედონიზმია ტექსტში აღიარებული იმის მიზეზად, რომ მოგვიანებით ქართველებს მოენატრებათ მზიანი საქართველო და სამოქალაქო ომს გააჩაღებენ. თავის მხრივ, „მზიანი საქართველო“ გაიგივებულია მოსკოვში გადაფრენის შესაძლებლობასთან, იქაურ რესტორანში ქეიფსა და რუს ქალებთან, კავკასიურ ტრაბახსა და პრივილეგიებთან.

რომანში საცნაურდება კრიტიკული დამოკიდებულება იმ დადებითი თვისებების მიმართაც, რომლებიც ქართულ-რუსული მეგობრობის ფარგლებში მიეწერებოდა ქართულ ავტოხატს. იგი დახასიათებულია როგორც კულტურით დაინტერესებული, შემოქმედებითი, მუსიკალური, სმის მოყვარული, ოდნავ ანარქიული, ლამაზი, კომუნიკაბელური, ზარმაცი და ტემპერამენტული. ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ ქართველები ამ მახასიათებლებს ამაყად მიაკუთვნებდნენ თავიანთ ეროვნულ იდენტობას. თუმცა იქვე ისმის კითხვა: ხომ არ არის ეს თვისებები რუსული წარმოსახვის ნაყოფი, რომელიც ქართველებს იმდენად გაუთავისებიათ, რომ მტკიცედ დარწმუნებულან, მართლაც ასეთები ვართო. მთხრობლის მსჯელობას თუ მივყვებით, ეროვნული იდენტობის ამგვარი, „ჩრდილოელი მეზობლის“ მიერ ნაკარნახევი გააზრება

მომგებიანი მოსჩვენებია ქართულ საზოგადოებას, თუმცა სინამდვილეში „მამიკო რუსეთი" ამით თავისი მცირეწლოვანი ველური ვაჟის სისუსტეებს განამტკიცებდა და მის ძლიერ მხარეებად ასაღებდა. თავსმოხვეული როლი ვაჟს ისე მოსწონებია, რომ მხედველობიდან გამოპარვია, რომ თავისი ქცევით „მამის" გულის მოსაგებად იღვწოდა.

კრიტიკულ მსჯელობაში ქართულ-რუსული ურთიერთობის შესახებ ყურადღებას იპყრობს სიტყვები, რომლებითაც რუსეთია დახასიათებული. ფორმულირებები „ჩრდილოელი მეზობელი" და „მამიკო რუსეთი" მიანიშნებს ნათესაურ კავშირზე რუსეთთან, რომლის მიმართაც საქართველო მცირეწლოვანი ვაჟის დაქვემდებარებულ პოზიციაშია მოქცეული, თუმცა იგი თავს კარგად გრძნობს ამ როლში. მამაშვილური ურთიერთმიმართების ამ ხატში წარმოჩნდება ქართული ავტოხატის კიდევ ერთი თვისება — უმწიფრობა. როგორც ირკვევა, მზიანი საქართველოს მითოლოგემის უკან იმალება არსებითად ინფანტილური ავტოხატი ერთი შეხედვით მხიარული და ნიჭიერი, სინამდვილეში კი ზარმაცი და უმწიფარი ქართველობისა.

ქართულ-რუსული მეგობრობის მითოლოგემა ტექსტში დამყარებულია სტალინურ მითოსზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ვერავინ გაუბედავდა რამეს, ვიდრე იგი დიდი მამულიშვილის ჩრდილში დარჩებოდა. ამრიგად, სტალინი ნაწარმოებში წარმოდგენილია მითოსურ ფიგურად, რომლის არსებობაც საბჭოთა კოლექტიურ მეხსიერებაში მზიანი საქართველოს განსაკუთრებული ადგილის ლეგიტიმაციას ემსახურება. სტალინის ფენომენის ასახსნელად რომანში მოთხრობილია სტალინის მიერ თავისი ვაჟის გაწირვის ამბავი. ტექსტის ამ მონაკვეთში გვხვდება სიტყვები „მითი" და „ლეგენდა", რითაც, ერთი მხრივ, ხაზგასმულია მონათხრობის არასანდოობა, მეორე მხრივ კი საცნაურდება სტალინის მსგავსება აბრაამთან. ბიბლიური პატრიარქის მსგავსად სტალინმაც გასწირა თავისი ვაჟი და ამით დაადასტურა ერთგულება თავისი ხალხის (და არა ღმერთის) მიმართ. სტალინის მითოსურ ფიგურას თან სდევს დიდი მამის აურა, რომელსაც ძალუძს, თავისი ხალხისთვის ყველაფერი გაიღოს მსხვერპლად და ამის გამო თავად მასაც ყველაფერი უნდა მიეტევოს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა დიქტატურის ლეგიტიმაცია. ამასთან, სტალინური მითოსში იგივე ლოგიკა იჩენს თავს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ნათესაობის მითოლოგემაში მოქმედებს: საქართველო

როგორც მცირე ქვეყანა მთლიანად დამოკიდებულია დიდ მამაზე, სტალინზე. ქვეყნის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სწორედ ამ მამას შეუძლია და არა თვითონ ქართველებს.

თითოეული მითოლოგემის გადმოცემა ნინო ხარატიშვილის რომანში ირონიითაა გაჯერებული, რის შედეგადაც უქმდება მათი აფირმაციული ხასიათი და იცვლება მათი შეტყობინება. მითები გამოყენებულია არა დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და წარმოდგენების განსამტკიცებლად, არამედ ქართული ავტოხატის განსასჯელად, ისტორიული შეცდომებისა და იდეოლოგიური კონსტრუქციების გამოსააშკარავებლად. ქართული თვისებების, მზიანი საქართველოს ხატისა და ქართულ-რუსული მეგობრობის დემითოლოგიზაციით ნაწარმოებში ხორციელდება წარსულის რეინტერპრეტაცია. წარსულის ამ ვერსიაში სტუმართმოყვარეობა და მხიარულება სიზარმაცესა და უზრუნველობას უთმობს ადგილს, „მზიანი საქართველო“ ჰედონიზმისა და კორუფციის შენიღბვას ემსახურება, სტალინის კულტის უკან კი ქართული საზოგადოების უმწიფრობა იმალება. ისტორიული მითების ამგვარი დეკონსტრუქციის საფუძველზე წარსული წარმოგვიდგება არა ოქროს ხანად (როგორც ეს გრიგოლ რობაქიძისეულ მეხსიერების ნარატივშია), არამედ ტრავმად, რომელსაც გაცნობიერება და დაძლევა სჭირდება.

დასკვნები

კვლევის შედეგად წარმოჩნდა ავტოხატებისა და ჰეტეროხატების ტრანსფორმაციის თავისებურებები გერმანულ-ქართულ ლიტერატურაში. გრიგოლ რობაქიძის რომანში *მცველნი გრალისა* ავტოხატი განსახიერებულია ადრეული საბჭოთა საქართველოს ხელოვანთა წრით. როგორც ჩანს, სწორედ ხელოვნების წიაღში ხედავდა გრიგოლ რობაქიძე ეროვნული იდენტობის გადარჩენის პერსპექტივას. ქართველ ხელოვანებს უპირისპირდებიან ქართველი და არაქართველი ბოლშევიკები. საცნაურია, რომ გრიგოლ რობაქიძე ავტოხატებსა და ჰეტეროხატებს ერთმანეთისგან მიჯნავს არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ნიშნით. გივი მარგველაშვილის რომანში *კაპიტანი ვაკუში* ავტოხატისა და ჰეტეროხატის ურთიერთგამიჯვნას ასევე არ უდევს საფუძვლად

კულტურულ-ეთნიკური იდენტობის ნიშნები. ამ ნაწარმოებშიც ავტოხატი ხელოვნებასთანაა (მუსიკა, ფოქსტროტი) დაკავშირებული, თუმცა წინამორბედი ავტორის პატრიოტული სულისკვეთება გივი მარგველაშვილის მხატვრულ სამყაროში უარყოფით, დამღუპველ ელემენტადაა გადმოტანილი. მიჯაჭვულობა სამშობლოზე არის ის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც რომანში ჰეტეროხატს მიეწერება. ამ უკანასკნელთან დაპირისპირებაში ყალიბდება ჰიბრიდული ავტოხატი მიგრანტისა, რომელიც პრინციპულ უარს ამბობს რაიმე სახის ტერიტორიულ მიჯაჭვულობაზე და ხსნას გადაადგილებაში ხედავს. ემიგრაციის თემა თავს იჩენს ნინო ხარატიშვილის ოჯახურ საგაშიც. ამ ნაწარმოებშიც მიგრანტი ხელოვანია (მუსიკოსია), მაგრამ მისი მიგრაცია აღარაა ნებაყოფლობითი: იგი იძევნება თავისი არაკონფორმისტულობის გამო. ნინო ხარატიშვილის რომანის პროტაგონისტები თავიანთი არაკონფორმისტულობის ან დევიაციურობის გამო იქცევიან ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლად. ისინი წარმოადგენენ ე.წ. სუბალტერნულ სხვას გაბატონებულ ძალადობრივ წესრიგში. სხვაგვარად რომ ითქვას: გერმანულ-ქართული ლიტერატურის ამ ნაწაროებში ჰეტეროხატის ფუნქციას სუბალტერნული სხვა ასრულებს და სწორედ იგი ექცევა თხრობის ფოკუსში. მის საპირისპიროდ, ეროვნული ავტოხატი გაიგივებულია ავტოეგზოტიკურ კონსტრუქციასთან, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის ზემოქმედებით იქნა გათავისებული ქართული საზოგადოების მიერ.

ანალოგიურად იცვლება აღნიშნულ რომანებში დამოკიდებულება წარსულის მიმართ. გრიგოლ რობაქიძის რომანში წარსული გაიდეალებულია და ქართული ავტოხატის რემითოლოგიზაციას ემსახურება. ამასთან, წარსული აკავშირებს ქართულ ავტოხატს დასავლურ კულტურულ სივრცესთან. გივი მარგველაშვილის რომანში წარსული, რომელშიც სამშობლო დარჩა, ილუზორული წარმონაქმნია, მიუწვდომელი და არარეალური. მას აღარაფერი აკავშირებს სინამდვილესთან და ამრიგად, მხოლოდ შეცდომაში შეყავს ყველა, ვინც მას ჯიუტად ებღაუჭება. წარსულთან ერთად სამშობლოც მხოლოდ წიგნებსა და სურათებში არსებობს და პაროდირების საგნადაა ქცეული. კიდევ უფრო მძიმდება წარსულის გაგება ნინო ხარატიშვილის რომანში. წარსულ ამ ტექსტში აღქმულია ტრავმად, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს მოქმედი პირების სხეულებსა და აზროვნებაზე. მართალია, ყველა მოქმედი პირი ცდილობს, დამალოს წარსულით მიყენებული იარა, მაგრამ

მითი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ, საბოლოოდ მაინც იმსხვრევა.

ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა გერმანულ-ქართული მწერლობის დინამიკის ძირითადი მიმართულება: ცვლილებები, რომლებიც გრიგოლ რობაქიძის, გივი მარგველაშვილისა და ნინო ხარატიშვილის ტექსტების შედარების საფუძველზე იჩენს თავს ავტოხატებისა და ჰეტეროხატების ურთიერთმიმართებისა და წარსულის რეპრეზენტაციის თავისებურებების მხრივ, მიანიშნებს გერმანულ-ქართული ლიტერატურის განვითარებაზე (რე) მითოლოგიზაციიდან დემითოლოგიზაციისკენ, აფირმაციიდან პაროდირებისკენ, თვითაპოლოგიიდან თვითკრიტიკისკენ, (რე) კონსტრუქციიდან დეკონსტრუქციისკენ. თუმცა ამ ტრანსფორმაციაში თავს იჩენს ერთი მდგრადი მახასიათებელი, სახელდობრ: ყველა „მცირე ლიტერატურის" მსგავსად გერმანულ-ქართული ლიტერატურაც ხასიათდება ოპოზიციური დამოკიდებულებით გაბატონებული წესრიგის მიმართ და, ამრიგად, თავისი პრაგმატული მიზანმიმართულობით სუბვერსიულია.

Towards the History of German-Georgian Literature

Levan Tsagareli

Abstract

The article attempts to analyse the historical dynamics of Georgian national identity representations (auto-images) in the works of Georgian migrant writers Grigol Robakidse, Giwi Margwelaschwili and Nino Haratischwili. With this purpose it describes the features of the 20th century German-Georgian literature on the basis of the typology developed in the intercultural literary studies and designs a communication model demonstrating the peculiarities of this literature with regard to its production and reception contexts as well as its use of German language as code. By taking advantage of theoretical approaches and instruments established in imagology and memory studies the article explains the transformation of the relation between auto- and hetero-images in three selected novels.

In Grigol Robakidse's novel *Die Hüter des Grals* the auto-image is represented by a circle of Georgian artists of the early Soviet era. Presumably the writer saw in art the only perspective of maintaining the national identity. In the novel the Georgian artists are opposed by Georgian and non-Georgian Bolsheviks. Thus the line between auto- and hetero-images is drawn not in terms of ethnical, but rather ideological and political distinction. Neither in Giwi Margwelaschwili's *Kapitän Wakusch. In Deuxiland* is the differentiation between auto- and hetero-images based on ethnicity. Here too the auto-image refers to being an artist (photograph). However, in contrast to the previous text the patriotism appears here as a negative, destructive element. Being bound to homeland is something that is ascribed rather to a hetero-image. In confrontation with the latter one a hybrid auto-image of a migrant is constructed, that rejects all the territorial bonds and regards the movement as salvation. Emigration as a theme is also found in Nino Haratischwilis's family saga. In this work the migrant is an artist (musician) as well, but her migration is not voluntary: she is banished because of her non-conformism instead. All the main characters in this novel become victims of a totalitarian regime due to their non-conformism or deviation. They represent a subaltern other within the dominant order full of violence. Notably, in this work of German-Georgian literature the subaltern plays a role of the hetero-image and is placed in the focus of the narrative, whereas the national auto-image is revealed as an autoexoticist construction that was adopted by the Georgian society under the influence of Soviet ideology.

Equally, there is a shift in attitude towards the past to be observed in the novels in question. In Grigol Robakidse's novel the past is idealised and serves as a vehicle of remythologisation of the Georgian auto-image. Furthermore, the past is meant to establish a connection between the Georgian auto-image and the cultural space of the Occident. In contrast, Giwi Margwelaschwili's novel exposes the past where the homeland is left as an illusionary phenomenon, inaccessible and unreal in its nature. It is absolutely detached from reality and thus only deludes those who still stubbornly tries to adhere to it. Similarly, the homeland exists merely in books and pictures and causes irony. The notion of past is represented even more negatively in the novel of Nino Haratischwili where it is perceived as trauma leaving unerasable marks on the bodies and thinking of the characters. Although all of them make an effort to hide the scars, but the myth about the happy life in Soviet Union still dissolves.

The development of German-Georgian literature evidenced by the comparison of the three novels can be qualified as a movement from remythologisation towards demythologisation, from affirmation towards parody, from self-apology towards self-criticism, from reconstruction towards deconstruction. However, a single constant characteristic occurs within this transformation, namely similar to any other "Minor Literature" (Deleuze and Guattari) the German-Georgian literature is distinguished by the opposition to the dominant order and hence, its pragmatical orientation is subversive.

ბიბლიოგრაფია

1. ლიტერატურული ტექსტები

Haratischwili, Nino. 2014. *Das achte Leben (für Brilka). Roman.* Frankfurt / Main: Frankfurter Verlagsanstalt.

Margwelaschwili, Giwi. 2010. *Kapitän Wakusch. I. In Deuxiland. Roman.* Berlin: Verbrecher.

Robakidse, Grigol. 1943. *Die Hüter des Grals. Roman.* Jena: Diederichs.

2. კულტურათშორისი ლიტერატურათმცოდნეობა და იმაგოლოგია

2.1. უცხოურ ენებზე

Beller, Manfred. 2006. *Eingebildete Nationalcharaktere. Vorträge und Aufsätze zur literarischen Imagologie*, hg. v. Elena Agazzi in Zusammenarbeit mit Raul Calzoni. Göttingen: V&R unipress.

Beller, Manfred. 2013. Fremdbilder, Selbstbilder. In *Handbuch Komparatistik. Theorien, Arbeitsfelder, Wissenspraxis*, hg. v. Rüdiger Zymner & Achim Hölter, 94-99. Stuttgart; Weimar: Metzler.

Calzoni, Raul. 2007. Hero. *Imagology. The cultural construction and literary representation of national characters. A critical survey.* Hgg. Manfred Beller und Joep Leerssen, 332–3. Amsterdam und New York: Rodopi.

Chiellino, Carmine. 2007. Einleitung: Eine Literatur des Konsenses und der Autonomie – Für eine Topographie der Stimmen. *Interkulturelle Literatur in Deutschland. Ein Handbuch*, hg. v. Carmine Chiellino, 51-62. Stuttgart; Weimar: Metzler.

Corbineau-Hoffmann, Angelika. 2004. *Einführung in die Komparatistik.* – 2. überarb. und erw. Aufl. – Berlin: Schmidt.

Dyserinck, Hugo. 1966. Zum Problem der „images" und „mirages" und ihrer Untersuchung im Rahmen der Vergleichenden Literaturwissenschaft. *arcadia* 1 (1966): 107-120.

Grabovszki, Ernst. 2011. *Vergleichende Literaturwissenschaft für Einsteiger.* Wien u.a.: Böhlau.

Hofmann, Michael. 2006. *Interkulturelle Literaturwissenschaft. Eine Einführung.* Paderborn: Fink.

Horatschek, Annegreth. 2005. Alterität, kulturelle. In *Grundbegriffe der Kulturtheorie und Kulturwissenschaften*, hg. v. Ansgar Nünning. 1-2. Stuttgart; Weimar: Metzler.

Kemper, Dirk u.a. (Hg.). 2011. *Eigen- und fremdkulturelle Literaturwissenschaft.* München: Fink.

Leerssen, Joep. 2000. The Rhetoric of National Character: A Programmatic Survey. *Poetics Today* 21:2, 267-292.

Leerssen, Joep. 2006. *National Thought in Europe. A Cultural History.* Amsterdam: Amsterdam University Press.

Leskovec, Andrea. 2011. *Einführung in die interkulturelle Literaturwissenschaft.* Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft.

Mecklenburg, Norbert. 2008. *Das Mädchen aus der Fremde. Germanistik als interkulturelle Literaturwissenschaft.* München: Iudicium.

Reichardt, Ulfried. 2010. *Globalisierung. Literaturen und Kulturen des Globalen.* Berlin: Akademie.

Rühling, Lutz. 2014. Imagologische Aspekte der Heimatforschung. *Heimat-Räume. Komparatistische Perspektiven auf Herkunftsnarrative*, hg. v. Jenny Bauer, Claudia Gremler & Niels Penke, 15-26. Berlin: Bachmann.

Schwarze, Michael. 2004. Imagologie, komparatistische. In *Grundbegriffe der Literaturtheorie*, hg. v. Ansgar Nünning, 99-101. Stuttgart; Weimar: Metzler.

Uerlings, Herbert. 2006. *„Ich bin von niedriger Rasse". (Post-)Kolonialismus und Geschlechterdifferenz in der deutschen Literatur.* Köln: Böhlau.

Wierlacher, Alois & Corinna Albrecht. 2008. Kulturwissenschaftliche Xenologie. In *Einführung in die Kulturwissenschaften. Theoretische Grundlagen – Ansätze – Perspektiven*, hg. v. Ansgar Nünning & Vera Nünning, 280-306. Stuttgart; Weimar: Metzler.

Wierlacher, Alois (Hg.) 2003: *Handbuch interkulturelle Germanistik.* Stuttgart: Metzler.

Yano, Hisashi. 2007. Migrationsgeschichte. *Interkulturelle Literatur in Deutschland. Ein Handbuch*, hg. v. Carmine Chiellino, 1-17. Stuttgart; Weimar: Metzler.

Zemanek, Evi & Alexander Nebrig (Hg.). 2012. *Komparatistik.* Berlin: Akademie Verlag.

Zima, Peter W. 2011: *Komparatistik. Einführung in die vergleichende Literaturwissenschaft.* – 2. überarb. Aufl. – Tübingen: Francke.

Zymner, Rüdiger (Hg.) 2013: *Handbuch Komparatistik. Theorien, Arbeitsfelder, Wissenspraxis.* Stuttgart: Metzler.

2.2. ქართულ ენაზე

გაგნიძე, ნუგეშა. 2017. *ნარკვევები მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან.* ქუთაისი: სამშობლო.

თვარაძე, ალექსანდრე. 2004. *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

კაკაბაძე, ნოდარ. 1963. *კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში.* – თბილისი: საბჭ. საქართველო.

კარტოზია, ალექსანდე, ნათელა ჩიტაური, შორენა შამანაძე, ნინო პოპიაშვილი, ირინე მოდებაძე, ნინო გაგოშვილი. 2016. *ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა.* თბილისი: უნივერსალი.

საგინაშვილი, ნელი. 2011. ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია. კრებულში: *ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია*, რედ. ელგუჯა ხინთიბიძე, 286-352. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. (http://www.kartvfund.org.ge/upload/file/monografia.pdf)

3. ლიტერატურის, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიის კვლევები

Assmann, Jan. 1992. *Das kulturelle Gedächtnis. Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen.* München: Beck.

Assmann, Aleida. 2012. *Introduction to Cultural Studies. Topics, Concepts, Issues.* Berlin: Erich Schmidt Verlag.

Basseler, Michael, und Dorothee Birke. 2005. „Mimesis des Erinnerns." *Gedächtniskonzepte der Literaturwissenschaft. Theoretische Grundlegung und Anwendungsperspektiven.* Hgg. Astrid Erll und Ansgar Nünning, 123-47. Berlin: De Gruyter.

Erll, Astrid. 2003. *Gedächtnisromane: Literatur über den Ersten Weltkrieg als Medium englischer und deutscher Erinnerungskulturen in den 1920er Jahren.* Trier: Wissenschaftlicher Verlag Trier.

Erll, Astrid. 2004. „Erinnerungshistorische Literaturwissenschaft. Was ist... und zu welchem Ende...?" *Kulturwissenschaftliche Literaturwissenschaft – Disziplinäre Ansätze – Theoretische Positionen – Transdisziplinäre Perspektiven.* Hgg. Ansgar Nünning und Roy Sommer, 115-28. Tübingen: Narr.

Erll, Astrid. 2005a. *Kollektives Gedächtnis und Erinnerungskulturen. Eine Einführung.* Stuttgart; Weimar: Metzler.

Erll, Astrid. 2005b. „Literatur als Medium des kollektiven Gedächtnisses." *Gedächtniskonzepte der Literaturwissenschaft. Theoretische Grundlegung und Anwendungsperspektiven.* Hgg. Astrid Erll und Ansgar Nünning, 249–76. Berlin: De Gruyter.

Erll, Astrid. 2008. Kollektives Gedächtnis und Erinnerungskulturen. In *Einführung in die Kulturwissenschaften. Theoretische Grundlagen – Ansätze – Perspektiven*, hg. v. Ansgar Nünning & Vera Nünning, 156-185. Stuttgart; Weimar: Metzler.

Erll, Astrid. 2012. Cultural Memory Studies. In *Kultur. Von den Cultural Studies bis zu den Visual Studies. Eine Einführung*, hg. v. Stephan Moebius, 258-281. Bielefeld: transcript.

Halbwachs, Maurice. 1950. *La mémoire collective.* Paris: Presses universitaires de France.

Lévi-Strauss, Claude. 1966. *The savage mind.* London: Weidenfeld and Nicolson.

Neumann, Birgit, 2005a. Trauma und Traumatheorien. In *Grundbegriffe der Kulturtheorie und Kulturwissenschaften*, hg. v. Ansgar Nünning. 215-217. Stuttgart; Weimar: Metzler.

Neumann, Birgit. 2005b. *Erinnerung – Identität – Narration. Gattungstypologie und Funktionen kanadischer „Fictions of Memory".* Berlin: De Gruyter,

Neumann, Birgit. 2005c. „Literatur, Erinnerung, Identität." *Gedächtniskonzepte der Literaturwissenschaft. Theoretische Grundlegung und Anwendungsperspektiven*. Hgg. Astrid Erll und Ansgar Nünning, 149-78. Berlin: De Gruyter.

Neumann, Birgit. 2009. *Die Rhetorik der Nation in britischer Literatur und anderen Medien des 18. Jahrhunderts*. Trier: Wissenschaftlicher Verlag Trier.

Nünning, Ansgar & Roy Sommer 2004: *Kulturwissenschaftliche Literaturwissenschaft. Disziplinäre Ansätze – Theoretische Positionen – Transdiziplinäre Perspektiven*. Tübingen: Gunter Narr.

Ricœur, Paul. 1988. *Time and Narrative*. Trans. K. McLaughlin, D. Pellauer. Chicago: Chicago UP.

Schößler, Franziska. 2006. *Literaturwissenschaft als Kulturwissenschaft. Eine Einführung*. Tübingen; Basel: Francke.

White, Hayden. 1973. *Metahistory. The Historical Imagination in Nineteenth Century Europe*. Baltimore: Johns Hopkins UP.

4. გრიგოლ რობაქიძის, გივი მარგველაშვილისა და ნინო ხარატიშვილის შემოქმედება:

4.1. უცხოურ ენებზე

Amodeo, Immacolata. 2011. Nino Haratischwili. In *Wort Welten: Positionen deutschsprachiger Gegenwartsliteratur zwischen Politik und Ästhetik*, hg. Amodeo, Immacolata, 195-198. Sulzbach/Taunus: Helmer.

Andronikashvili, Zaal. 2005. Kollektive Integrität als Integrationshindernis. „Aluda" im Spiegel von „Muzal". *Monatshefte*, Vol. 97(2), 289-307.

Eder, Barbara. 2016. „Ich bin ein Kind der Emigration". Postkoloniale Subjektivität in Giwi Margwelaschwilis *Fluchtästhetische Novelle*. In *Chancen und Schwierigkeiten des interkulturellen Dialogs über ästhetische Fragen. Unter besonderer Berücksichtigung der Entwicklungen in der Kaukasusregion*, hg. v. Dato Barbakadse u. Jürgen Trinks. Wien: Lit.

Gagnidse, Nugescha/Schuchard, Margret (2011): *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*. Aachen: Shaker.

Gansel, Carsten (Hg.). 1992. *Giwi Margwelaschwili – Leben im Ontotext. Poesie – Poetik – Philosophie*. Neubrandeburg, Berlin: federchen Verl.

Grub, Frank Thomas. 2010. »Ich bin eine Buchperson«: Zur Funktion metafiktionaler Schreibstrategien bei Giwi Margwelaschwili. In *Metafiktion: Analysen zur deutschsprachigen Gegenwartsliteratur*, hg. v. Bareis, J. Alexander, 35-60. Berlin: Kulturverl. Kadmos.

Grub, Frank Thomas. 2012. Zwischen »Realwelt« und »Buchwelt« - >deutsch< und >georgisch<. Zur Prosa des Schriftstellers Giwi Margwelaschwili. In *Grenzüberschreitungen: Wege zwischen Okzident und Orient*, hg. v. Hoof, Christine van, Christa Jochum-Godglück u. Sabine Penth , Bd. 2, 223-254. St. Ingbert: Röhrig.

Kartosia, Alexander. 1997. Zwischensprachspiel. Eine Betrachtung an einem Beispiel aus dem Muzal-Roman von Giwi Margwelaschwili. In *Konflikt - Grenze - Dialog: kulturkontrastive und interdisziplinäre Textzugänge; Festschrift für Horst Turk zum 60. Geburtstag*, hg .v. Turk, Horst & Jürgen Lehmann, 223-227. Frankfurt am Main; Wien [u.a.]: Lang.

Kirschke, Tamara (2014): *Grigol Robakidse und sein literarisches Schaffen*. Marburg: Tectum.

Müller-Wesemann, Barbara. 2010. Ich, Du: Ist es eine Möglichkeit von Wir? Über Nino Haratischwili, eine georgische Autorin und Regisseurin in Deutschland. In *Radikal weiblich?: Theaterautorinnen heute*, hg. v. Künzel, Christine, 217-230. Berlin: Verl. Theater der Zeit.

Müller-Wesemann, Barbara. 2010. Ich erfinde immer einen Kern, der mir selber weh tut. Ein Gespräch mit Nino Haratischwili. In *Radikal weiblich?: Theaterautorinnen heute*, hg. v. Künzel, Christine, 231-240. Berlin: Verl. Theater der Zeit.

4.2. ქართულ ენაზე

ბაქრაძე, აკაკი. 1999. *კარდუ, ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი* / [რედ.: ლაშა ბაქრაძე]; ალ. ორბელიანის საზ-ბა. თბილისი: ლომისი.

ბრეგაძე, კონსტანტინე. 2013. *ქართული მოდერნიზმი (გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე)*. თბილისი: მერიდიანი.

თავხელიძე, მამუკა და თენგიზ ირემაძე (რედ.). 2011. *გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება*. [კრებული / გრ. რობაქიძის სახ. უნ-ტი, ფილოს. და სოც. მეცნ. კვლევითი ინ-ტი] თბილისი: ნეკერი.

მეფარიშვილი, თეა. 2005. *გრიგოლ რობაქიძის ესეისტიკა* / [რედ.: რევაზ მიშველაძე]. თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2005.

ცხადაძე, ეკა. 1997. *გრიგოლ რობაქიძისა და ვაჟა-ფშაველას სამყაროში: ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები.* თბილისი: მეცნიერება.

5. სხვა სამეცნიერო ლიტერატურა

5.1. უცხოურ ენებზე

Bachtin, Michail M. 1979. *Die Ästhetik des Wortes.* Hg. v. Rainer Grübel, aus dem Russischen von Rainer Grübel & Sabine Reese. Frankfurt / Main: Suhrkamp.

Bhabha, Homi K. 2008. *The Location of Culture.* London et al.: Routledge.

Deleuze, Gilles & Félix Guattari. 1976. *Kafka. Für eine kleine Literatur.* Aus dem Französischen übersetzt von Burkhart Kroeber. Frankfurt am Main: Suhrkamp

Deleuze, Gilles & Félix Guattari. 1987. 1440: The Smooth and the Striated. *A Thousand Plateaus. Capitalism and Schizophrenia*, trans. & forew. Brian Massumi, Minneapolis & London: University of Minnesota Press, 474-500.

Detering, Heinrich. 1996. Zum Verhältnis von ‚Mythos'„mythischem Analogon' und ‚Providenz' bei Clemens Lugowski. *Formaler Mythos: Beiträge zu einer Theorie ästhetischer Formen.* Hg. Matias Martinez, 63–79. Paderborn u. a.: Schöningh.

Foucault, Michel. 1992. Andere Räume. *Aisthesis. Wahrnehmung heute oder Perspektiven einer anderer Ästhetik*, hg. v. Karlheinz Barck, aus dem Franz. V. Walter Seitter, 34-46. Leipzig: Reclam.

Francese, Joseph. 1997. *Narrating Postmodern Time and Space.* State University of New York Press.

Haupt, Birgit. 2004). Zur Analyse des Raums. *Einführung in die Erzähltextanalyse. Kategorien, Modelle, Probleme*, hg. v. Peter Wenzer, 69-87. Trier: Wissenschaftlicher Verlag Trier.

Jakobson, Roman. 1979. Linguistik und Poetik. *Poetik. Ausgewählte Aufsätze 1921-1971.* Hg. v. Elmar Holenstein u. Tarcisius Schelbert, 83-121. Frankfurt a.M.: Suhrkamp.

Knabel, Klaudia, Dietmar Rieger und Stephanie Wodianka. 2005. Einleitung. *Nationale Mythen – kollektive Symbole. Funktionen, Konstruktionen und Medien der Erinnerung*, 9–14. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

Maisuradze, Giorgi & Franziska Thun-Hohenstein. 2015. *„Sonniges Georgien". Figurationen des Nationalen im Sowjetimperium.* Berlin: Kulturverlag Kadmos.

Martínez, Matías. 1996. *Doppelte Welten. Struktur und Sinn zweideutigen Erzählens.* Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

Meurer, Ulrich. 2007. *Topographien. Raumkonzepte in Literatur und Film der Postmoderne.* München: Fink.

Müller-Funk, Wolfgang. 2010. *Kulturtheorie. Einführung in Schlüsseltexte der Kulturwissenschaften.* 2. erw. und bearb. Aufl. Tübingen; Basel: Francke.

Münker, Stefan & Alexander Roesler. 2000. *Poststrukturalismus.* Stuttgart, Weimar: Metzler.

Pfister, Manfred. 2001. *Das Drama. Theorie und Analyse.* 11. Aufl. München: Fink.

Schaff, Barbara. 2011. Erzählen und kollektive Identität. *Handbuch Erzähllliteratur. Theorie, Analyse, Geschichte*, hg. v. Matias Martínez, 89-97. Stuttgart: Metzler.

Smethurst, Paul. 2000. *The Postmodern Chronotope. Reading Space and Time in Contemporary Fiction.* Amsterdam, Atlanta: Rodopi.

Smith, Anthony. 1997. The ‚Golden Age' and national renewal. *Myth and nationhood.* Hgg. Geoffrey A. Hosking und George Schöpflin, 36–59. London: Taylor & Francis.

Spivak, Gayatri Chakravorty. 1988. Can the Subaltern speak? *Marxist Interpretations of Culture.* Ed. Cary Nelson & Lawrence Grossberg, 271-313. Basingstoke.

Wilhelmy, Thorsten. 2004. *Legitimationsstrategien der Mythosrezeption. Thomas Mann, Christa Wolf, John Barth, Christoph Ransmayr, John Banville.* Würzburg: Königshausen & Neumann.

Zapf, Hubert. 2004. Dekonstruktion. *Grundbegriffe der Literaturtheorie.* Hg. Ansgar Nünning, 22-23. Stuttgart: Metzler.

5.2. ქართულ ენაზე

წიფურია, ბელა. 2016. *ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თავი II

ქართველი სტუდენტები გერმანიაში[1]

ოლივერ რაისნერი

მწერლისა და პუბლიცისტის, ილია ჭავჭავაძის ნახევრად დოკუმენტური ნაწარმოების „მგზავრის წერილები ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“ (1871)[2] გამოქვეყნების შემდეგ, უმაღლესი განათლება იქცა მეორადი სოციალიზაციის მნიშვნელოვან ფორ-

---

1 წინამდებარე ნაშრომი დაწერილია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საკვლევი პროექტის „ქართული კვალი გერმანიაში“ ფარგლებში.

2 ყველა ციტატა აღებულია ინგლისური თარგმანიდან: Ilia Chavchavadze, “Notes of a Journey from Vladikavkaz to Tiflis”, in: Ia Popkhadze (ed.), *Ilia Chavchavadze Works. Translated by Marjory and Oliver Wardrop* (Tbilisi: Ganatleba, 1987), S. 15-34, აქ S. 31. ქართული ორიგინალი: ილია ჭავჭავაძე, „მგზავრის წერილები ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“, ტომში: ი. ჭავჭავაძე, *თხზულებათა სრული კრებული, ოც ტომად, ტომი 2: მოთხრობები, პიესები*. თბილისი 1988, გვ. 9-32. დაწვრილებთ იხ. ასევე: O. Reisner, *Die Schule der georgischen Nation. Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern“ (1850-1917)*. Wiesbaden: Reichert, 2004. Eine Analysise der Sprachverwendung bei H. P. Manning, “Describing dialect and defining civilization in Ilia Chavchavadze' *mgzavris ts'erilebi*”, in: *Amirani* 7 (2002), S. 97-126.

მად, რომელმაც არსებითად განსაზღვრა თანამედროვე ქართული კულტურული ერის (Kulturnation) ჩამოყალიბება. „მგზავრის წერილებში" ჭავჭავაძემ, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა თავკაცმა, ხატოვნად გამოხატა სანკტ-პეტერბურგში ოთხწლიანი სწავლის შემდეგ 1861 წელს თბილისში დაბრუნებასთან დაკავშირებული კურსდამთავრებული ქართველის გრძნობები და მისწრაფებები. ეს „წერილები" წარმოადგენს ახალგაზრდა თავადიშვილების ჯგუფის ერთგვარ მანიფესტს, იმ ახალგაზრდებისა, რომელთა ირგვლივ ფორმირება დაიწყო ეროვნულმა *ინტელიგენციამ.* ისინი საკუთარ თავს „თერგდალეულებს" უწოდებდნენ, ანუ „მათ, ვისაც თერგის წყალი აქვს დალეული". ახალგაზრდებმა მიზნად დაისახეს ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზება, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა „ეროვნული გამოღვიძება", „ახალი ცხოვრება". ამით საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ქართულ (კულტურულ) ერს. თერგის გადაკვეთა სიმბოლურად ნიშნავდა რუსეთსა და საქართველოს კულტურებს შორის არსებული საზღვრის გადაკვეთას. ის ქმნიდა ახალი ეროვნული იდენტობის ელემენტარულ მენტალურ შემადგენელ ნაწილს.[3] პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ეს ახალი იდენტობა სრულად არასოდეს ერწყმის სხვა იდენტობებს, არამედ ვითარდება საზოგადოების განმასხვავებელ კოლექტიური ქცევებისა და სიმბოლოების ნიმუშთა ფარგლებში. ინდივიდი მოქმედებს ამ განსაზღვრული სტრუქტურების ფარგლებში და არ სცდება მის საზღვრებს.[4]

---

3 "Identity represents a person's ability to experience and shape his life as a coherent or meaningful whole mainly by reference in-group interaction. As a continuous process, it creates and sustains distinctions between we-groups and others. It may persist even despite a flow of personnel across them, because categorical ethnic distinctions do not depend on the absence of mobility, contact or information, but do entail social processes of in- and exclusion. Ethnic distinctions are quite often the very foundation of abstract social systems. Interaction in such a social system does not lead to its liquidation through change and acculturation; cultural differences can persist despite inter-ethnic contact." Frederik Barth: *Ethnic Groups and Boundaries. The Social Organization of Cultural Difference.* Oslo 1969, S. 9.

4 Etienne Balibar, „Die Nation-Form: Geschichte und Ideologie", in: ibid., Immanuel Wallerstein, *Rasse, Klasse, Nation. Ambivalente Identitäten.* Hamburg 1992, S. 116.

ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება შესაძლებელია განისაზღვროს როგორც სოციალურად კონსტრუირებული, „მეგობრისა" და „მტრის" გამიჯვნაზე მიმართული პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ლოკალური საზოგადოების ფარგლებში „ჩვენსა" და „სხვას" შორის საზღვრის გავლებას. დაპირისპირების ელემენტარული სტრუქტურის საფუძველზე აგებული იდენტობა არ არის დამოკიდებული ობიექტურად არსებული ლინგვისტური თუ კულტურული განსხვავებების არსებობაზე, არამედ სუბიექტურ „განმასხვავებელ" გამოცდილებაზე.[5]

მაორგანიზებელ პრინციპად ვიყენებ „თაობების" კონცეფციას, რომელიც 1920-იანი წლების ბოლოს სოციოლოგმა კარლ მანჰაიმმა ასე განსაზღვრა: თაობა ყალიბდება შემდეგ საფუძველზე: 1) ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ნიშნების საერთო სტრატიფიკაცია როგორც „თაობის შემკვრელი"; 2) საერთო ხვედრში კოჰერენტული მონაწილეობა როგორც „თაობასთან ზიარება"; 3) ამ გამოცდილების ერთნაირი აღქმა, რომელიც „თაობის ერთობას" იწვევს.[6]

წინამდებარე წერილის მიზანია აჩვენოს, თუ რა გავლენას ახდენდა XIX საუკუნის ბოლოდან 1920-იან წლებამდე გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლა ქართველ სტუდენტთა ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტობის დომინანტური თვისებების ჩამოყალიბებაზე. რამდენად შეუწყვეს ხელი გერმანიაში ნასწავლმა ქართველმა სტუდენტებმა, თავისი გამორჩეული გამოცდილების საფუძველზე, ქართული ერისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

---

5 Peter Sahlins *Boundaries. The Making of France and Spain in the Pyrenees* (Berkeley & London, 1989), p. 270f. See also: A. P. Cohen, *The Symbolic Construction of Community* (London 1985), esp. p. 115.

6 K. Mannheim, „Das Problem der Generation". in: ibid.: *Wissenssoziologie. Auswahl aus dem Werk.* Hg. K. H. Wolff (Neuwied: Luchterhand, 1964), pp. 509-522; originally published in: *Kölner Vierteljahrcshefte für Sozio logie* 7 (1928), pp.157-185, pp.309-330; Reprint in M. Kohli (ed.): *Soziologie des Le benslaufs* (Neuwied 1978), S.38-53. David I. Kertzer Generation as a Sociological Problem, in: *Annual Review of Sociology*, Vol. 9 (1983), pp. 125-149. Stable URL: http://www.jstor.org/stable/2946060 (25.09.2018)

მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიიდან ევროპაში სასწავლებლად გაქცევა

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა იმპერატორის ქვეშევრდომების გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლის ტრადიცია.[7] მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც იმპერიაში გაიზარდა იმატრიკულირებულ სტუდენტთა რაოდენობა (აკადემიური წელი 1897/98: 28,708 სტუდენტი; 1907/08 – 61,174; 1913/14: – 70,197; 1917 თებ.- სექტემბერი: – 63,464), ასევე მკვეთრად იმატა ევროპის უნივერსიტეტებში იმატრიკულირებულ სტუდენტთა რაოდენობამაც. 1900 წლიდან 1914 წლამდე გერმანიაში იმატრიკულირებული იყო 13.577 სტუდენტი (ჩამონათვალში არ შედიან ხელოვნების, პროფესიული და სამთო-საინჟინრო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები) კლაუდინე ვაილის აზრით, საერთო რაოდენობიდან 405 სტუდენტი ანუ თითქმის 3% კავკასიიდან იყო, აქედან 333 სომხეთიდან, 64 საქართველოდან და 8 მუსლიმი სტუდენტი. ქართველი სტუდენტები, რომლებიც საუნივერსიტეტო მატრიკულებში რუსეთის მეფის ქვეშევრდომებად იწერებოდნენ, ძირითადად ტიფლისის გუბერნიიდან (აღმოსავლეთ საქართველო) და ქუთაისის გუბერნიიდან (დასავლეთ საქართველო) იყვნენ.[8]

---

7 Andrej Andreev: *Russkie studenty v nemetskikh universitetakh XVIII–pervoi poloviny XIX veka.* Moskva: Znak, 2005; Ivanov A. E. *Russkoe akademičeskoe zarubežʹe XVIII – načala XX veka (k postanovke naučnoj problemy) // Istočnikik po istorii adaptacii rossijskich ėmigrantov v XIX–XX vv.* Moskva, 1997; Samuel Kassow: *Students, Professors, and the State in Tsarist Russia.* Berkeley 1989; Robert Williams: Russians in Germany: 1900-1914, in: *Journal of Contemporary History*, Vol. 1 (1966), No. 4, pp. 121-149. URL: http://www.jstor.org/stable/259894 (ნანახი: 24.03.2018); Greta Slobin, Katerina Clark, Nancy Condee at al. (eds.): *Russians Abroad: Literary and Cultural Politics of Diaspora (1919–1939).* Boston: Academic Studies Press, 2013.

8 Claudie Weill *Étudiants Russes en Allemagne 1900-1914. Quand la Russie frappait aux portes de l'Europe.* Paris: Le Harmattan, 1996, S. 94-98; Claire Mouradian, Charles Urjewicz, Claudie Weill: Les étudiants du Caucase en Allemagne 1900-1914, in: *Russes, Slaves et Soviétiques. Mélanges Roger Portal. Publications de la Sorbonne – Institut d'Etudes Slaves.* Paris 1992, S. 369-392.

საუნივერსიტეტო სწავლებისთვის ყველაზე მიმზიდველი სამიზნე თავდაპირველად შევეიცარია იყო ქალებისთვის, რომელთაც რუსეთში უმაღლესი განათლების მიღების უფლება არ ჰქონდათ.[9] მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევდა საფრანგეთს.[10] ასევე მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ჯგუფი სასწავლებლად ირჩევდა წამყვან გერმანულ უმაღლეს დაწესებულებებს. ის იყო იმ სტუდენტთა თაობა, რომელსაც არსებითად უნდა განესაზღვრა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მეცნიერება. მათ შორის იყვნენ ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე (1886-1950), ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შემქმნელი და თბილისის უნივერსიტეტის (1918) ერთ-ერთი დამფუძნებელი, ის გერმანიაში პროფესორ ვ.ვუნდტთან სწავლობდა; მთარგმნელი და კულტურათმცოდნე შალვა ნუცუბიძე (1888-1969), რომელმაც ვ.ვუნდტთან, ი.ვოლკერტსა და პ. ბარტთან ერთად საქართველოში ფილოსოფიის ისტორიის სამეცნიერო მიმართულება დააფუძნა; ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე (1897-1951) რომელმაც დისერტაცია დაიცვა ნ. ჰარტმანთან; კონსტანტინე ბაქრაძე (1898-1970), შემდგომში ფილოსოფიისა და ლოგიკის პროფესორი, სწავლობდა ე. ჰუსერლსა და მ. ჰაიდეგერთან.

პირველი ქართველი სტუდენტი, რომელიც ჰაიდელბერგში სწავლობდა, იყო გეორგ ხარაზოვი (გიორგი ხარაზოვი); მან შეისწავლა მათემატიკა 1897 წლის ოქტომბრიდან 1901 წლის ზაფხულის სემესტრამდე, მაგრამ სწავლა ავადმყოფობის გამო შეწყვიტა და 27.01.1901 წ. უნივერსიტეტიდან ამოირიცხა. მისი კვალი შემდგომ იკარგება.[11] ბევრი წარმატებული ქართველის მონაცემები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.[12]

თერგდალეულების გაზეთი „ივერია" გულდასმით ადევნებდა თვალს და აღრიცხავდა ქართული სტუდენტობის ჩამოყალიბებას. ქართველი სტუდენტებიც აქტიურიად წერდნენ არა მხოლოდ სა-

---

9 Neumann, Daniela: *Studentinnen aus dem Russischen Reich in der Schweiz (1867-1914)*. Zürich: Rohr, 1987

10 Weill, *Etudiants Russes en Allemagne 1900-1914*, S. 95-98, 100, 225.

11 Universitätsarchiv Heidelberg, Stud.A, Charasoff G., Blatt 1-6.

12 ქართველები უცხოეთში. ბიოგრაფიები და მოღვაწეობა: http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/ (ნანახი 22.04.2019)

კუთარი სწავლების შესახებ,[13] არამედ ასევე, მაგალითად, გერმანიაში პოლიტიკური მოვლენების განვითარების შესახებ. შესაბამისად ისინი იყვნენ პირველი კორესპონდენტები უცხოეთიდან. განსაკუთრებთ აქტიურობდნენ ლაიფციგის უნივერსიტეტში მყოფი ქართველები.[14]

> „გერმანიიდგან გვატყობინებენ, რომ ანტონ ფურცელაძე და ნიკოლოზ ხიზანიშვილი ამ ჟამად ბერლინში არიან და ორთავეს პროფესორი ლეიდენი სწამლობს. ცოტას ხანს კიდევ კლინიკაში დარჩებიან და მერე სამკურნალო წყლებზე წავლენ. აქ ქართველების ახალშენი (კოლონია) დავაარსეთო, ხუმრობს კორესპონდენტი, რადგანაც ქართველები შეგროვდითო. იქვე ამ ჟამად არიან ნიკოლოზ ნიკოლაძე ოჯახით, ნიკოლოზ ღოღობერიძე, დავით სარაჯიშვილი მეუღლითურთ, ივანე გველესიანი და სხვ.“[15]

აკადემიური თვალსაზრისით ძალიან პროდუქტიული ქართველი სტუდენტი იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი (გერმანულად: Phillip Gogitschayschwili). 1897 წლის აპრილში ის გაემგზავრა მიუნხენში, სადაც ესწრებოდა პროფესორ ბრენტანოსა და რილეს ლექციებს. 1897 წლის შემოდგომაზე გოგიჩაიშვილი ჩაირიცხა ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1901 წელს კი მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ტიტული, მისი დისერტაცია: **„ხელოსნობა საქართველოში განსაკუთრებით წარმოების პრიმიტიული ფორმების**

---

13 მოდებაძე პ. წერილი ლეიპციგიდან (რუსეთის სასწავლებლებში კურსდამთავრებულთათვის გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის შეზღუდვა. ცნობები გეტენის ტექნიკური ინსტიტუტის შესახებ). ივ. 1902, 31 მარტი, N. 70, გვ. 2.

14 სულიაშვილი დავით. წერილი რედაქციის მიმართ (ლეიპციგის ქართველ სტუდენტთა თხოვნა რედაქციისადმი, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოგზავნის შესახებ). ივ. 1904, 1 თებ., N. 25, გვ. 3; ტფილისი (ქ. ლეიპციგში, ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის პროფ. ვოილეს ვ. დუმბაძის მიერ რეფერატის წაკითხვა უნივერსიტეტში). ივ. 1904. 25 ივლ., N. 171, გვ. 2; „ჩვენ შევიტყეთ“ ... (ლეიპციგის უნივერსიტეტის სტუდენტ ვასილ დუმბაძისათვის ორი დისერტაციის დავალება). ივ. 1904, 8 ოქტ., N. 230, გვ. 2.

15 „გერმანიიდგან გვატყობინებენ“ ... (ა. ფურცელაძე, ნ. ხიზანიშვილი, ნ. ღოღობერიძე, ნ. ნიკოლაძე, დ. სარაჯიშვილი, ივ. გველესიანი და სხვ. ბერლინში). ივ. 1903, 20 ივლ. N. 154, გვ. 2.

გათვალისწინებით" გამოქვეყნდა უაღრესად პრესტიჟული საერთო სახელმწიფო მეცნიერებების სამეცნიერო ჟურნალის დამატებითი ტომის სახით. ამით კაპიტალისტური წარმოების ფარგლებში წამოიწყო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის კრიტიკული კვლევა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ის დაინიშნა კავკასიის სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელად, მაგრამ ფილიპე გოგიჩაიშვილი აგროვებდა მონაცემებს არა მხოლოდ ოფიციალური მიზნებისთვის, არამედ შეისწავლიდა ქართველი თავადაზნაურობის მიწის ფლობის ფორმებს ანდა უდარებდა ერთმანეთს კავკასიის ხალხთა განათლების დონეებს. ამით ფილიპე გოგიჩაიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ სოციოლოგიას..[16] მასვე ეკუთვნის ჯერჯერობით ერთადერთი შემონახული აღწერა, უცხოელი სტუდენტების მიუნხენში მიღების შესახებ:

> „როცა პირველად მიუნხენის უნივერსიტეტის აუდიტორიაში შევედი და ლექცია მოვისმინე, სტუდენტები (ძირითადად გერმანელები) შეჯგუფდნენ და მუდმივი ადგილი მიგვიჩინეს ყველას, ე.ი. ვინ სად უნდა მჯდარიყო ყოველი ლექციის დროს. მიჩენილი ადგილის აღსანიშნავად ჩვენ სადრბაზო ბარათები უნდა მიგვეტანა და მაგიდაზე დაგვემაგრებინა. მეც ასე მოვიქეცი, სადარბაზო ბარათი ჩემი გვარით, სახელითა და მისამართით ჩემს მაგიდაზე დავამაგრე. როცა მეორე დღეს ლექციაზე მივედი, სადარბაზო ბარათში ვიღაცას შესწორება შეეტანა ხელით და ნაცვლად ჩემი გვარისა, სახელისა და მისამართისა, ასე გაეკეთებინა: „გოგიჩაიშვილი ფილიპე – აზია". მე პირველად ვერ მივხდი, თუ რას ნიშნავდა ეს; ერთმა სტუდენტმა ამიხსნა: ენციკლოპედიებში ასე წერენ ყოველი ცხოველის შესახებ, თუ რომელი კონტინენტიდან არის, მაგალითად: „ნიანგი – აფრიკა", ამან ჩემი და სხვა სტუდენტების, განსაკუთრებით არაგერმანელების, გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ რას ვიზამდით."[17]

---

16 Philipp Gogitschayschwili *Das Gewerbe in Georgien, unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen.* Tübingen 1901 (= Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft [ZGSW], Erg.H.; 1).

17 ფილიფე გოგიჩაიშვილი: *წერილები, მოგონებები.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1993, გვ. 5-6.

1910 წლისთვის რუსეთის იმპერიიდან ებრაული წარმოშობის სტუდენტთა რაოდენობის მასობრივმა ზრდამ, განსაკუთრებით მედიცინის სფეროში, გამოიწვია „რუსი სტუდენტის" ცნების კრიტიკული გადაფასება, რადგან ისინი გერმანელ თანაკურსელებს პრაქტიკული საქმიანობისთვის განსაზღვრული მცირე ადგილების მოპოვებაზე კონკურენციას უწევდნენ. ეს კონფლიქტი გერმანულ პრესაში აისახა როგორც „უცხოელების აკადემიური საკითხი."[18] რუსეთის სტუდენტებზე გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში უამრავი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ქართველები მცირე რაოდენობის გამო არც განუხილავთ.[19]

---

18 *H.R. Peter* "Schnorrer, Verschwörer, Bombenwerfer"? Zeitgenössische Wahrnehmungsmuster und Stereotype der Betrachtung der Studenten aus Russland in der Forschung // *Schnorrer, Verschwörer, Bombenwerfer? Studenten aus dem Russischen Reich an deutschen Hochschulen vor dem I. Weltkrieg* / Hrsg. von H. R. Peter. Frankfurt a/M, 2001. S. 11–32; Arpine Maniero: Die „akademische Ausländerfrage" in Deutschland in der Wahrnehmung russländischer Studenten: Konfliktmanagement im Zuge der „akademischen Ausländerfrage", aus: Andreas Speer, Andreas Berger (Hg.), *Studentengeschichte zwischen Mittelalter und Neuzeit*, in: *historicum-estudies.net*, URL: http://www.historicum-estudies.net/epublished/studentengeschichte/deutschland-im-19-jhdt-auslaendische-studierende/konfliktmanagement/ (ნანახი: 23.06.2018); Fetheringill Zwicker, Lisa: Antisemitism, the Limits of Antisemitic Rhetoric, and a Movement against Russian Students at German Universities, 1908–1914, in: *The Leo Baeck Institute Year Book* 55 (2010), 1, pp. 193–203; *Peter H. R., de Boor A., Klotzsche M.* Studenten aus dem Russischen Reich, der „Klinikerstreik" und die „akademische Ausländerfrage" an der Universität Halle vor dem 1. Weltkrieg // *Beiträge zur Geschichte der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg.* Hrsg. v. H. J. Rupierer. Halle, 2002.

19 *Birkenmaier W.* Das russische Heidelberg. Heidelberg, 1995; *de Boor A.* Die „Nationalität" und der „Sozialstatus" russländischer Studenten in Halle. Erste Überlegungen zur Kategoriebildung aufgrund von Massendaten // *Universitäten als Brücken in Europa. Studien zur Geschichte der studentischen Migration* / Hrsg. von H. R. Peter, N. Tikhonov. Frankfurt a/M, 2003. S. 55–70; Heidborn, Tina: *Russländische Studierende an der Berliner Friedrich-Wilhelms-Universität und der Technischen Hochschule Berlin 1880-1914.* Dissertation an der Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität zu Bonn, 2009 http://hss.ulb.uni-bonn.de/2009/1641/1641.pdf; *Hermelink H., Kaehler S. A.* Die Philipps-Universität zu Marburg. 1527–1927. Marburg, 1927. S. 385; Maurer, Trude: Affinität oder Auslese? Zur eigentümlichen

ბერლინის ვილჰემის უნივერსიტეტის (დღევანდელი ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) მატრიკულებში ჩანს, თუ როგორ „გაგერმანულდა" ქართული სახელები. გიორგი იქცა გეორგად, ივანე -იოჰანესად, ნიკოლოზი-ნიკოლაუსად, ალექსანდრე დარჩა ალექსანდრედ და ა.შ: გვარები რუსულ ყაიდაზე იწერებოდა: მაგ. ჯავახოვი-ჯავახიშვილი. ბერლინში ჩარიცხული პირველი ქართველი სტუდენტი იყო ნიკოლოზ შანშიაშვილი,(„Nicolaus von Schanschieff) რომელიც სწავლას შეუდგა 1874 წლის „აღდგომის სემესტრში". ოთხი წლის განმავლობაში ის ქიმიას სწავლობდა. 1918 წლამდე ყველაზე ხშირად ქართველი სტუდენტები მედიცინას, ფილოსოფიას და სახელმწიფომცოდნეობას ირჩევდნენ. ქართველ სტუდენტთა შორის ორი ქალიც იყო, ასევე სხვა ეროვნებების წარმომადგენლებიც. ყველაზე ცნობილი სტუდენტები იყვნენ, შემდგომში მწერალი, კონსტანტინე გამსახურდია (1916-1919), ისტორიკოსი – ივანე ჯავახიშვილი (1901-1902), ირაკლი წერეთელი (1904-1906), სტეფან შაუმიანი (1902-03), დოქტორი – მიხეილ წერეთელი (1914-03). 1918, Okt. 1933-1945).

სადოქტორო ნაშრომისა და აკადემიური კარიერის მოსამზადებლად[20] ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა დატოვა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების

Nationalitätenstruktur der Greifswalder Studentenschaft aus dem Russischen Reich im 19. und frühen 20. Jh., in: *Die Universität Greifswald in der Bildungslandschaft des Ostseeraums.* Edited by Dirk Alvermann, Nils Jörn, Jens E. Olesen. Berlin: LIT Verlag, 2007, S. 342-370; Russische Studenten in Leipzig // *Leipziger Kalender.* Leipzig, 1910. S. 164–171; *Svatikov S. G.* Russische Studenten in Heidelberg / Hrsg. von E. Wischhöfer. Heidelberg, 1997. S. 12.

20 Trude Maurer: „Abkommandiert" in die „akademische Freiheit". Russischer Professorennachwuchs in Deutschland im 19. Jahrhundert // *Tel Aviver Jahrbuch für deutsche Geschichte.* Bd. XXIV. 1995. S. 75; *Maurer T. Hochschullehrer im Zarenreich. Ein Beitrag zur Sozial- und Bildungsgeschichte.* Köln; Weimar; Wien, 1998. S. 90–91; *Petrov F. A.* Formirovanie sistemy universitetskogo obrazovanija v Rossii. Bd. 1–4. M., 2003. T. 4. Rossijskie universitety i ljudi 1840-ch gg. Č. I: Professura; Humboldt International: *Der Export des deutschen Universitätsmodells im 19. und 20. Jahrhundert.* Hrsg. von Rainer Ch. Schwinges. Basel, 2001.

ფაკულტეტი და თავისი ხელმძღვანელის, ნიკო მარის, შუამდგომლობით სასწავლებლად ერთი წლით გაემგზავრა ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტის პროფესორთან, ადოლფ ფონ ჰარნაქთან, რომლიც აღმოსავლური ქრისტიანობის აღიარებული მკვლევარი იყო და იმ დროისთვის უნივერსიტეტის რექტორიც გახლდათ.[21] 1901 წლის აპრილში ბერლინში ჩასვლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილს თავდაპირველად მოუწია ადმინისტრაციული პრობლემების გადაჭრა, კერძოდ, შეიქმნა სამაგისტრო დიპლომის აღიარების პრობლემა, თუმცა საბოლოოდ, ის 4 ივლისს ოფიციალურად ჩირიცხა უნივერსიტეტში. ერთი წლის შემდეგ, როდესაც ჰარნაქმა შესთავაზა, სამუშაოდ ბერლინში დარჩენა, ჯავახიშვილმა მადლობა გადაუხადა, უარი უთხრა ამ წინადადებაზე და სანკტ-პეტერბურგში დაბრუნდა. იმ მომენტისთვის, მეცნიერს უკვე განსაზღვრული ჰქონდა საკუთარი ეროვნული გეგმები: ის ნიკო მართან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე, ქართული ხელნაწერების შესასწავლად.

სტუდენტების ამ თაობას მოუწია მოახლოებულ ევროპულ ნაციონალიზმთან კონფლიქტში შესვლა.[22] აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის (რუსული ინტერპრეტაცია); ანექსიის (ქართული ინტერპრეტაცია) 100 წლისთავთან დაკავშირებთ, 1901 წელს ივანე ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ ის „ცხადია, ეროვნულ პოზიციაზე დგას" და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს თავადაზნაურთა კრების სახელზე დაწერილ საპროტესტო ნოტას.[23] მას შემდეგ ჯავახიშვილი ცდილობდა არა მხოლოდ საერთშორისო

---

21 მან მიიღო ბარონ როზენის, არაბულენოვანი, ბიზანტიური და ისლამური კვლევების გამოჩენილი სპეციალისტის, წერილობთი რეკომენდაცია, ისევე როგორც უშულო ხელმძღვანელის, ნიკო მარის რეკომენდაცია. დალი გერსამია (რედ) *ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა*. თბილისი 1996, გვ. 8-9. Vera Tolz European, National, and (Anti-)Imperial: The Formation of Academic Oriental Studies in Late Tsarist and Early Soviet Russia, in: *Kritika. Explorations in Russian and Eurasian History* 9 (2008), 1, pp. 53-83.

22 Miroslav Hroch *European Nations. Explaining Their Formation*. London & New York: Verso, 2005.

23 ასეთია მისი სტუდენტის გრიგოლ ნათაძის შეფასება. ყორანაშვილი: *ივანე ჯავახიშვილი* (1999), გვ. 28.

სტანდარტები და სამეცნიერო მეთოდები დაემკვიდრებინა ქართულ და კავკასიურ ისტორიოგრაფიაში, არამედ სურდა მათი შემდგომი სრულყოფაც. 1902 წლის 18 თებერვალს *პრივატდოცენტის* რანგში „საქართველოს ისტორიის" შესახებ წაკითხულ პირველ ლექციაში, ჯავახიშვილი ასაბუთებდა, რომ ისეთი არსებითი ისტორიულ-მეცნიერული საკითხების შესწავლა, როგორიცაა ეთნოსის დეფინიცია, რუსული და ნაციონალური ნიშნების განსხვავება ან სახელმწიფოს არსის გარჩევა, შეუძლებელია საერთაშორისო „ისტორიის ფილოსოფიის" გარეშე.[24] მეორე მხრივ კი ჩიოდა, რომ დასავლელი ისტორიკოსები „ორიენტის" ისტორიას ახლებურად არ იკვლევენ და მარტივად იმეორებენ გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს დასავლეთს აქვს უპირობო უპირატესობა აღმოსავლეთთან შედარებით. დისკუსია ევროცენტრიზმის შესახებ გამოიხატა შემდგომ მწვავე კრიტიკაში, რომელსაც ედუარდ საიდმა „ორიენტალიზმი" უწოდა.[25]

ჯავახიშვილმა დაიწყო საკუთარი ქართული „მეცნიერული თემის" (scientific community) ჩამოყალიბება, ჯერ სანკტ-პეტერბურგში სტუდენტთა კავშირის სახით, და შემდგომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქართული უნივერსიტეტის დაარსებით. 1907 წლის მაისში სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ, რომლის თემა იყო „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება", ივანე ჯავახიშვილმა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნა ქართველ სტუდენტთა წრე, რომ რაც შეიძლება ადრე გამოევლინა ამ სამეცნიერო თემის პოტენციური ქართველი კანდიდატები. მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა მოხსენებები და კვლევები ქართულ ენაზე, რაც ემსახურებოდა მშობლიურ ენაზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნასა და ქართული კულტურის „მეცნიერული ყაიდით" შესწავლას. 1915 წელს ამ წრემ შეძლო პირველი სამეცნიერო ტომის ქართულ ენაზე გამოქვეყნება, ქართული ენის, როგორც მეცნიერების

---

24 Ivane Javakhishvili *Istorija narodov Vostoka i dannye istorii Gruzii i Armenii*, ქართულ ენაზე „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები" ტომში: *ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი. მეხუთე გამოცემა*. თბილისი 1960, გვ. 389-400. ასევე ყორანაშვილი: *ივანე ჯავახიშვილი* (1999), გვ.159.

25 Vera Tolz: *Russia's Own Orient: The Politics of Identity and Oriental Studies in the Late Imperial and Early Soviet Periods*. Oxford 2011, pp. 23-68.

ენის დემონსტრირების მიზნით.[26] ამგვარი ღონიძიებები ნელ-ნელა აყალიბებდა ახალგაზრდა სტუდენტთა აკადემიურ წრეს და აძლიერებდა მათ ეროვნულ ცნობიერებას.

სტუდენტთა მეცნიერული პოტენციალის შესაფასებლად 1910 წელს ჯავახიშვილმა მოამზადა საგანგებო კითხვარი[27] რუსეთსა და უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტებისთვის. დაიბეჭდა 15 შეკითხვისგან შედგენილი 1500 კითხვარი, რომელიც შეეხებოდა სტუდენტთა გეოგრაფიულ და სოციალურ წარმომავლობას, განათლების საფეხურს, ინტერესებს, ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის ცოდნას, ასევე აკადემიურ ან სხვა წრეებში, ჟურნალების გამოცემაში ან პარტიებში მონაწილეობას. ჯავახიშვილმა და მისმა „ქართულმა აკადემიურმა წრემ“ 750-ზე მეტი შევსებული კითხვარი მიიღო. კითხვარის ანალიზი ცხადყოფდა, რომ 22 სტუდენტი შვეიცარიიდან, 16 საფრანგეთიდან, და 12-12 სტუდენტი ბელგიიდან და გერმანიიდან ბევრად უფრო ნაციონალისტურად თუ სეპარატისტულად იყო განწყობილი, ვიდრე ის ქართველი სტუდენტები, რომლებიც რუსეთის იმპერიაში სწავლობდნენ. უკანსკნელნი უფრო მისდევდნენ სოციალისტურ თუ პოპულისტურ მიმდინარეობებს, მათი რუსი ამხანაგების მსგავსად. ამ კითხვარს უნდა მოეცვა ქართველი ახალგაზრდა მეცნიერებების პოტენციალი, და გამხდარიყო შემდგომში თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსების ქვაკუთხედი, რაც მოხდა კიდევაც ჯავახიშვილის თბილისში დაბრუნების შემდეგ 1918 წლის იანვარში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ყველა რუს მოქალაქეს გერმანიაში სწავლის შესაძლებლობა მოუსპო. ისინი იძულებით გარიცხეს უნივერსიტეტებიდან, მაგალითად მიხეილ ფონ წერეთელი (მიხეილ წერეთელი). რომელიც იძულებული იყო შეეწყ-

---

26 ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. 1 (1979), გვ. 15. ჩიტაია, გ.: ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, გაზ.: *თბილისის უნივერსიტეტი*, 7.11.1976

27 ედუარდ კოდუა *სოციოლოგიური და სოციალ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში*. თბ. 2001, გვ. 416-424. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ამ კითხვარს ამჟამად პირველად იკვლევს თინათინ აბულაძე. ეს კითხვარი იძლევა ინფორმაციას I მსოფლიო ომამდე ქართველ სტუდენტთა სოციალურ წარმომავლობასა და პოლიტიკურ შეხედულებებზე.

ვიტა ორიენტალისტიკის სწავლა. მგრზნებარე ნაციონალისტი ის სამშობლოში არ დაბრუნებულა, დასახლდა ბელგიაში, შეუერთდა გერმანულ-ქართულ საზოგადოებას და მრავალ წერილს აქვეყნებდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად.[28]

ქართველი სტუდენტები გერმანიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს (1918–1921)

გერმანიის მიერ 1918 წლის 24-25 ივნისს საქართველოს აღიარების შემდეგ, ბერლინში შეიქმნა „ქართული მისია", საქართველოს წარმომადგენლობა. 1918 წლის ნოემბრიდან 1920 წლის სექტემბრამდე ის მუშაობდა „პროვიზორულად", 1920 წლის 25 სექტემბრიდან 1922 წლის 4 ნოემბრამდე გერმანიაში ამოქმედდა ოფიციალური საელჩო, და განაგრძო არსებობა სულ მცირე 1923 წლის გაზაფხულამდე, როგორც ემიგრაციაში მყოფი ქართული მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ. წარგზავნილებს შორის იყვნენ იასონ ბაქრაძე, ვლადიმერ ახმეტელი, მ.ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე გოზალაშვილი.[29] მათ საქმიანობაზე მოწმობს ბერლინის ფრიდრიჰ ვილჰელმის უნივერსიტეტის აქტები, რომლებიც 1918-1919 წელს კონსტანტინე გამსახურდიას დისერტაციის დაცვის დაჩქარებას ეხება.

იმავდროულად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობა ამზადებდა ერთგვარ განმანთლებით შეტევას, რომლის ფარგლებშიც ქართველები სასწავლებლად გერმნიაში უნდა გაეშვათ.[30]

1919 წელს ივანე ნიკურაძე იმ ქართველ ახალგაზრდებს შორის მოხვდა, რომლებიც ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით სასწავლებლად საზღვარგარეთ

---

28 Michael von Tseretheli: *Rassen- und Kulturprobleme des Kaukasus.* Veröffentlichungen der Deutsch-Georgischen Gesellschaft, 1916, Heft 1;) იგივე: *Die Rechte Georgiens.* Berlin: Verlag "Der Neue Orient" (!), 1917)

29 Steffi Chotiwari-Jünger *Georgier in Berlin.* Berlin 1999, გვ. 19-24.

30 დოდო ჭუმბურიძე: *განათლება საქართველოში (1918-1921 წლებში).* თბილისი: მემატიანე, 2000.

გაგზავნეს. ვინაიდან ძმები განუყრელნი იყვნენ, მათი მამა საგანგებოდ ჩამოვიდა სამტრედიიდან და უნივერსიტეტის რექტორს, ივანე ჯავახიშვილს სთხოვა, ოჯახის ხარჯით, ივანეს ძმა, ალექსანდრე ნიკურაძეც გაეგზავნათ გერმანიაში. ორივე ძმა გიოტინგენისკენ გაემგზავრა, რადგან მათ იცოდნენ, რომ გიოტინგენის უნივერსიტეტი რამდენიმე მათემატიკურ და ფიზიკის ინსტიტუტს აერთიანებდა. მათ შორის იყო გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტიც, რომელშიც მუშაობდა პროფესორი პრანტლი და გამოყენებითი მექანიკის ინსტიტუტი, რომელშიც მუშაობდა პროფესორი რიუნტე. პრანტლი (1875-1953) ითვლება თანამედროვე ჰოდროდინამიკის, გაზის დინამიკისა და აეროდინიმიკის ფეძემდებლად. ივანე ნიკურაძე იყო მისი საუკეთესო სტუდენტი და მთელი ცხოვრება გიოტინგენში გაატარა. მისი ძმა ალექსანდრე ნიკურაძე შემდგომში ნაციონალ-სოციალისტების სამსახურში ჩადგა.

ქართველი სტუდენტები გერმანიაში 1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, რომელიც 1920 წლიდან დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებაში, ინახავს ჩანაწერებს უნივერსიტეტის წესდების, თანამშრომელთა აყვანის და გათავისუფლების შესახებ, მასწავლებელთა და დასაქმებულთა პირად საქმეებს (1918-1930 წლები), სტუდენტების ატესტატებს, და 1918-1928 წლების განმავლობაში სტუდენტთა მიღების საბუთებსა და სალექციო დოკუმენტებს პოლიტექნიკის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, მედიცინის, აგრარული ფაკულტეტების ფარგლებში. მოცემულია: სტუდენტთა სიები, პირადი საქმეები (1920-1930), დოკუმენტები სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ, საბუღალტრო დოკუმენტაცია (1921-1930), სხვადასხვა კომისიის სხდომის ოქმები. განსაკუთრებულად საყურადღებოა პროფესორთა საბჭოს სხდომების მრავალრიცხოვანი ოქმები, რომლებიც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე გვაუწყებენ. 1926 წლამდე პროფესორთა აკადემიური საბჭო იყო უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი

ორგანო და იღებდა გადაწყვეტილებებს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ეს დოკუმენტები შეიცავენ არა მხოლოდ ჩანაწერებს პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ მეტად თუ ნაკლებად ცნობილი მოვლენების შესახებ, არამედ საინტერესო ისტორიულ ფაქტებს 1920-იანი წლების საქართველოს შესახებ, რაც ბუნებრივია, რადგან არ ყოფილა ისეთი ისტორიული მოვლენა საქართველოში, რომელსაც გავლენა არ მოეხდინა უნივერსიტეტზე. მაგრამ, ხშირად პირიქითაც ხდებოდა: თავად უნივერსიტეტი იყო გარკვეული პროცესების ინიციატორი, რომელიც, როგორც წესი, შემდგომ საზოგადოებრივი განხილვის თემა ხდებოდა. უნივერსიტეტი ადგენდა არა მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიურ მიმართულებებს, არამედ ასევე პოლიტიკურ სურათს ქვეყნის შიგნით. საბჭოს წევრთაგან მრავალი პროფესორი გერმანიაში სწავლობდა, მათ შორის აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, და მიხეილ წერეთელი.[31] გასაკვირი არაა, რომ უნივერსიტეტის პირველი აკადემიური ჟურნალი ქართულ და გერმანულ ენებზე გამოიცა.

„ახალი ეკონომიკური პოლიტიკის" (ნეპი) დროს სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმმა" 1922 წელს გერმანიაში მიავლინა თავისი თანამშრომლები ივანე და ისიდორე ვარაზაშვილები, რომელთა უმცროსი ძმა გიორგი შარლოტენბურგში სამთო-საინჟინრო ინსტიტუტში სწავლობდა. ძმები არ შემოიფარგლენ მანგანუმის წარმოების საკითხების შესწავლით, არამედ აქტიურად უწევდნენ პოპულარიზაციას ქართულკულტურას გერმანიაში. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შორის გავრცელებული იყო ქართული გამომცელობის დაარსების იდეა. ივანე ვარაზაშვილმა შეძლო ამ იდეის ხორცშესხმა, დიდი მონდომებითა და სიყვარულით დააარსა გამომცემლობა ბერლინში „ახლო აღმოსავლეთი", რომელმაც გერმანული ენის შემსწავლელი ქართველებისთვის გამოსცა რიჰარდ მექელაინის „გერმანული ენის სახელმძღვანელო ქრესტომატიითა და ლექსიკონით". ავტორი გახლდათ ქართველოლოგიით, ძირითადად ქართული ენათმეცნიერებით დაინტერესებული გერმანელი სპეციალისტი. გარდა ამისა ძმებმა ვარაზაშვი-

31 მანანა ლილუაშვილი, ზურაბ გაიფარაშვილი (რედ.) *ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926.* თბილისი: უნივერსალი, 2006.

ლებმა საფუძველი ჩაუყარეს ჰამბურგში „რუსთაველის საზოგადოებას", რომელიც ღარიბ ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქართულ-ევროპული კულტურული მემკვიდრეობის გაცვლას; მისი თავმჯდომარეც რიჰარდ მექელაინი იყო. ივანე ვარაზაშვილის გარდა, რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრები იყვნენ გრიგოლ დიასამიძე, მოსე შანიძე, იაკობ და კატო ხოჭოლავები, ელისაბეთ მექელაინი და სხვ. ბევრი ქართველი მეცნიერი, მათ შორის, ვანო სარაჯიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია სწავლობდნენ ამ საზოგადოების სტიპენდიებით.[32]

1927 წლის 1 ივნისს ჰერაკლე ურუშაძემ (ირაკლი ურუშაძემ) ბერლინის ფრიდრიჰ ვილჰელმის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სახელმწიფოთმცოდნეობის მიმართულებაზე დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი: „კომუნალური ეკონომიკის განვითარება საქართველოში" ეკონომიკის ისტორიის ჭრილში შედგენილი ნაშრომი აღწერდა თემის ეკონომიკის განვითარებას XVIII საუკუნიდან მოყოლებული 1920-იან წლებამდე. წარმოშობით ქუთაისის რეგიონიდან იყო ერთ-ერთი სტიპენდიანტიც, რომლიც 1919 წლის ზამთრის სემესტრში მენშევიკურმა მთავრობამ სასწავლებლად გერმანიაში გააგზავნა, სადაც ის სახელმწიფოთმცოდნეობას სწავლობდა და 1925 წელს დაიცვა დისერტაცია.

გიორგი ნიორაძემ რჩევა ჰკითხა ივანე ჯავახიშვილს, ღირდა თუ არა საქართველოში დაბრუნება.[33] მსგავსად მოიქცა ვლადიმერ ემხვარი, რომელმაც ასევე რჩევისთვის მიმართა ივანე ჯავახიშვილს, რა ჯობდა: საქართველოს ანექსიის შემდეგ უსტიპენდიოდ გერმანიაში დარჩენა თუ საქართველოში დაბრუნება.[34]

---

32 ივანე ვარაზაშვილი, წიგნში: *ქართველები უცხოეთში: წ. 1.* რუსუდან დაუშვილი, გრიგოლ კალანდაძე, რუსუდან კობახიძე, გოჩა ჯაფარიძე, თემურ ტარტარაშვილი. თბ., 2012, გვ. 82-83. რეხვიაშვილი, ს.: ძმები ვარაზაშვილები, გაზ.: *ლიტერატურული საქართველო*, 15 აპრილი 1988, გვ. 10.

33 საქართველოს ეროვნული არქივი – უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი ფ. 471 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს. 136, პ. 628.

34 ვლადიმერ ემუხვარი ივანე ჯავახიშვილისადმი Kleinhennersdorf b/ Schandau (Sachsen), 1922 წელს 18 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბ. ივანე ჯავახიშვილს; Stolpen b/Dresden den 21. März 1924 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბ. ივანე ჯავახიშვილს.

გერმანიაში ეკონომიკური ვითარება, განსაკუთრებით კი 1923 წლის ჰიპერინფლაციის შემდეგ, უაღრესად გაუარესდა და გერმანიაში მყოფი ქართველები უსახსროდ დარჩნენ.

რაც შეეხება მოკლევადიან სამეცნიერო კონტაქტებს, 1928 წელს „აღმოსავლეთ-ევროპამცოდნეობის გერმანულმა საზოგადოებამ" მოაწყო კონფერენცია და გამოფენა „ისტორიის მეცნიერებები საბჭოთა რუსეთში 1917-1927წწ", რომელზეც თბილისის უნივერსიტეტის ისტორიკოსმა მიხეილ.ალ.პოლიევკტოვმა (1872-1942) წარადგინა სტენდი „ისტორიის მეცნიერებები საქართველოში, 1917-1927წწ [35] ეს იყო ქართული ისტორიის მეცნიერებების აქამდე ერთადერთი წარდგინება გერმანულ ენაზე. კავშირის ჟურნალის შემდგომ გამოცემაში გიორგი ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ქართული ხელოვნების ძირითადი მიმართულებების მოკლე მიმოხილვა.[36]

ქართველები ნაციონალ-სოციალისტების დროს

ბევრი ქართველი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა, ინტენსიურად ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის შეეწყო ხელი, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ნაციონალ-სოციალისტებთან თანამშრომლობას გულისხმობდა. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის არქივში დაცულია ნაციონალ-სოციალისტ გერმანელ დოცენტთა კავშირის აქტების

35 იხ. Otto Hoetzsch Die russische Historikerwoche und die Ausstellung „Die Geschichtswissenschaft in Sowjet-rußland 1917-1927; Rede bei der Eröffnungsfeier, in: *Osteuropa* (1927/28), p. 745; M. Poliewktow Die Geschichts-wissenschaft in Georgien in den Jahren 1917-1927, in: *Osteuropa* 4 (1928/29), pp. 171-183; Dittmar Dahlmann (ed.) *Hundert Jahre Osteuropäische Geschichte: Vergangenheit, Gegenwart und Zukunft.* F. Steiner, 2005, p. 32-33. Otto Hoetzsch *Aus der historischen Wissenschaft der Sovet-Union. Vorträge ihrer Vertreter während der „Russischen Historikerwoche", veranstaltet in Berlin 1928 von der Deutschen Gesellschaft zum Studium Osteuropas.* Berlin: Ost-Europa Verlag, 1929 (= Osteuropäische Forschungen N. F. Bd. 6).

36 Georg Tschubinaschwili Die georgische Kunst, Hauptlinien ihrer Entwicklung, in: Osteuropa (1929/30), p. 759.

მიმოწერა, თითქმის ორმოცდაათი წლის მიხეილ წერეთელთან, რომლიც 1933 წელს კავშირს სტიპენდიას სთხოვს, თავს წარადგენს ფაშისტური ორგანიზაციის – „თეთრი გიორგის" – ხელმძვანელად და არიელობის საბუთსაც ურთავს.[37]

ალექსანდრე ნიკურაძე მეორე მსოფლიო ომის დროს „ა.სანდერსის" ფსევდონიმით აქვეყნებს კავკასიის ისტორიის მიმოხილვას გერმანულ ენაზე, რომელიც ნაცისტურ ელფერს ატარებს.[38]

შეჯამება

გერმანიაში მყოფმა ქართულმა სტუდენტობამ მხოლოდ მცირე კვალი დატოვა აკადემიურ სივრცეში, ისინი ძირითადად საქართველოსა და კავკასიას იკვლევდნენ, რადგან მაშინ რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. ნაციისა და ნაციონალიზმის ევროპული იდეების გავლენით ისინი ცდილობდნენ სამეცნიერო სფეროში საქართველოს კულტურისა და ისტორიის სპეციფიკის აღიარების მიღწევას და რუსეთის ცივილიზაციისგან დისტანცირებას. ფინანსური შესაძლებლობების ნაკლებობა ძალიან ზღუდავდა გერმანიაში მათი სწავლების შესაძლებლობებს, კავკასიის აქტიური სოციალური ფენის, მდიდარ სომეხ ვაჭართა და მეწარმეთა ოჯახების შვილებისგან განსხვავებით, რომლებიც მზარდ ბურჟუაზიას ეკუთვნოდნენ და რომელთაც შეეძლოთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის დაფარვა.[39]

---

37 Archiv der Humboldt Universität: NS-Doz2 ZB II 1847 A.02 Ka.040 1756a, ჰჰ. 1-5 (მ. წერეთლის 1939 წლის სტიპენდიის საკითხი), NS-Doz2 ZB II 1847 A.03 Ka.040_1756b (წინაპრების მოწმობა ანუ „Ariernachweis"), NS-Doz2 ZB II 1847 A.03 Ka.040 1756b (ქართული ენის სწავლების ხელშეკრულების გაგრძელება) და სხვა.

38 A. Sanders: *Kaukasien. Nordkaukasien, Aserbaidschan, Armenien und Georgien. Geschichtlicher Umriss.* München: Hoheneichen-Verlag, 1942)

39 Gazer, Hacik Rafi: Deutsch-armenische akademische Beziehungen und der Leipziger „Armenisch-Akademische Verein". In: Peter, Hartmut Rüdiger (Hrsg.): *Schnorrer, Verschwörer, Bombenwerfer? Studenten aus dem Russischen Reich an deutschen Hochschulen vor dem 1. Weltkrieg.* Frankfurt/M : x, 2001, S. 169-186.

გერმანიაში სწავლების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ცდილობდნენ, თერგდალეულების კვალდაკვალ, ხალხის ძალების მობილიზებას კულტურისა და განათლების მიზნების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქტივისტებს თავადაზნაურობა და გლეხობა მარგინალებად მიიჩნევდნენ, მაინც შეძლეს გაეღვიძებინათ ეთნიკური კუთვნილების განცდა როგორც კულტურული ერთიანობისა, რომელიც დამოუკიდებელია წოდებრივი ან ადგილობრივი წარმომავლობისგან და ყველა პოტენციური წევრისთვის ხელმისაწვდომია. მათ, აკადემიური ცოდნის დახმარებით, შეძლეს ერის თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბება და მისი გავრცობა ქართველ ძმებსა და დებზე. კულტურის სფეროში აქტიურობის შედეგად, თერგდალეულების მსგავსად უნივერსიტეტის სახით შექმნეს საზოგადო სოციალიზაციის ინსტიტუტი, რომლიც ხელს უწყობდა მოდერნიზებასა და ევროპეიზაციას.

ცარისტული რუსეთის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება საშუალებას აძლევდა მათ, თანასწორუფლებიანობის გამოცხადების შემდეგ, საკუთარი თავი აღექვათ იმპერატორის ქვეშევრდომებად, რომლებიც აღიარებენ საკუთარ კულტურას და ინარჩუნებენ გარკვეული ხარისხის თვითმყოფადობას. ცარისტული სამხედრო ძალა კვლავაც აღიქმებოდა, როგორც მუსლიმი მეზობლებისგან დამცავი ფარი, რაც ელიტის დიდ ნაწილს აკავებდა, არ განცალკევებოდა რუსეთის იმპერიას. გამონაკლისს წარმოადგენდნენ რადიკალურად განწყობილი მცირერიცხოვანი ახალგაზრდა ინტელექტუალები, რომლებიც მიმართავდნენ უცხოურ სახელმწიფოებს, გერმანიას, რათა აეხდინათ ოცნება პოლიტიკურად დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ.

სამი თაობის შემდეგ არარსებული პოლიტიკური ნაცია შეიცვალა ახალ, ეთნიკურად სენსიბილურ ერთობად, რომლის ძირითად მაორგანიზებელ და გამაერთიანებელ ხერხემლად კულტურული კავშირი იქცა. ამ კონკრეტულ და ხანგრძლივ „მორალურ ერთობაში“ (მარკ შტაინბერგი) შესაძლებელი გახდა, ჩამოყალიბებულიყო მზარდი მარგინალური, განათლებული მოხელეების ფენა, რომელიც თავისი მისწრაფებების მისაღწევად მეფესა და „ხალხს“ შორის მოქმედებდა. ეს ემოციური იმპულსებისა და ქმედებების რაციონალური კონტროლის კომბინირების შესაძლებ-

ლობას იძლეოდა და ერის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან სკოლად იქცა.[40]

რუსეთის იმპერიაში თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის სოციალური უფსკრულის არსებობა და ავტოკრატიული მმართველობა აფერხებდა „საერთო ნიადაგზე" (არჩილ ჯორჯაძე) პოლიტიკური ლოალურობის ზრდას, ის მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე ინტერმეცოს დროს გაიფურჩქნა, რომლის განვითარებაც ბოლშევიკურმა ოკუპაციამ შეაჩერა. ეთნიკურ-კულტურული ერთიანობა 30-იან წლებში იქცა საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკად, როგორც პოლიტიკური ნაციის ერზაცი, რომელიც ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის ზეეროვნულ დონეზე იყო წარმოდგენილი. ბევრმა ქართველმა, რომლიც გერმანიაში სწავლობდა და შინ დაბრუნდა, უცხოეთში ყოფნის გამოცდილება 1937-38 წლების დიდი ტერორის დროს სიცოცხლის ფასად აანაზღაურა. „ნაციონალური საკითხი" გასაბჭოვდა, ხოლო მისი ფესვები, გერმანიაში თუ სხვა ქვეყნებში ნასწავლი ქართველები, გაანადგურეს. ამით დავიწყებას უნდა მისცემოდა ის წარმოდგენები, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და შესაბამისად უნდა წაშლილიყო მოგონებები დაკარგული დამოუკიდებლობის, როგორც „საერთო ნიდაგის" შესახებ.

1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართველი მენშევიკები შეეცადნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული მწვავე სოციალური პრობლემები მიწის რეფორმით გადაეჭრათ.[41] საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების მუდმივმა კონტროლმა შეძლო ქართველი გლეხობა ეიძულებინა დაეთმო ლოკალური იდენტობა ნაციონალური სახელმწიფოს მოქალაქეობის სასარგებლოდ და მათი ლოკალური თემის განცდა ნაციონალური ტერიტორიის სიყვარულით ჩაენაცვლებინათ. თერგდალეულთა მემკვიდრეობამ ვერ შეძლო თანამემამულეების უმრავლესობაში ახალი ნაციონა-

---

40 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Oliver Reisner *Die Schule der georgischen Nation. Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der ‚Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern' (1850-1917).* Wiesbaden 2004.

41 Stephen F. Jones, *Socialism in Georgian Colors. The European Road to Social Democracy 1883-1911* (Cambridge, Mass.: Harvard UP, 2005).

ლური იდენტობისგან გადარწმუნება, მაგრამ მათ პირველად დაამკვიდრეს თანამედროვე ქართული ნაციის იმიჯი. ეს ხატი საბჭოთა დროს 1991 წლის დამოუკიდებლობამდე კიდევ უფრო გამყარდა.[42] მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

გერმანულიდან თარგმნა ივა მინდაძემ.

Georgian Students in Germany

Conclusion

The Georgian students in Germany have left only a small mark on the academic field, but have dealt with the current research on Georgia and the Caucasus, which were then part of the Russian Empire. Influenced by the European idea of the nation and nationalism, they sought to obtain recognition in the scientific sphere for the specificity of their culture and history as being distinct from Russian civilization. The lack of financial resources had a strong impact on their ability to study in Germany, for example when compared to the most active social element of the Caucasus, the descendants of wealthy Armenian merchant and entrepreneurial families, who represent an aspiring bourgeoisie that could cover the costs of higher education.

After returning from their studies in Germany, the representatives of the Georgian intelligentsia tried to mobilize their population for the cultural and educational agenda in continuation of the Tergdaleulebi. While their activists were in a marginal position between the nobility and the peasantry, they succeeded in developing a sense of ethnicity as a cultural community that was free of either class or local origins and should be accessible to all potential members. With their academic expertise, they were able to formulate a modern concept of the nation and transfer it to their Georgian brothers and sisters. Like the Tergdaleulebi, with its cultural activities, it developed with the university a national institution of public socialization that contributed to modernization and Europeanization.

---

42 Ronald G. Suny *The Revenge of the Past. Nationalism, Revolution and the Collapse of the Soviet Union* (Stanford CA: Stanford UP, 1993).

The ambivalence towards Tsarist Russia made them long for equal rights as his subjects who recognize their own culture and provide a measure of inner self-determination. The Tsar's military as a protective power against Muslim neighbors was widely accepted by Georgians, which is why their elite did not make a broad call for secession from the Tsarist empire. For once, the few radical-minded young intellectuals had to turn to foreign powers such as Germany to secure the dream of political independence.

After three generations, a non-existent political nation has been replaced by a new ethnically sensitive community with cultural associations as the main organizational backbone. In this concrete and lasting "moral community" (Mark Steinberg), the growing stratum of marginal, educated employees could meet with the same state of mind and coordinate their efforts between Czar and "people". It enabled a combination of emotional impulses and rational control for their actions and became an important school of nation building.

While in the Tsarist empire the social divide between nobility and peasantry as well as autocracy prevented the rise of political loyalty on a "national basis" (Archil Jorjadzes saerto niadagi), it could only be started in the short intermezzo of the Democratic Republic of Georgia (1918-1921), but it was aborted with the Bolshevik occupation. However, in the Soviet nationalities policy of the mid-1930s, the ethnic-cultural community became a substitute for a political nation anchored on the supranational level of the Soviet people under the leadership of Comrade Stalin. Many Georgians who had studied in Germany and then returned home, had to pay for their experiences abroad in the Great Terror of 1937-1938 with their lives. The "national affair" was thus sovietized and its roots, the Georgians trained in Germany and other countries, destroyed. This should also "forget" the idealistic relationships that existed in the early 20th century in order to erase the memory of lost independence as a "common ground", but that is already another topic.

თავი III

ქართველთა კულტურული ნაკვალევი გერმანიაში – საისტორიო პერსპექტივა

გიორგი ქავთარაძე

შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომი აერთიანებს 2015-2018 წლებში განხორციელებული პროექტის – „ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში" – კვლევის შედეგებს, რომელთა ნაწილი წაკითხულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნებულია კრებულებში. ამჯერად შევეცდებით ერთიან კონტექსტში შევსებული და რედაქტირებული მასალა წარმოვადგინოთ სტატიების სახით.

ჩვენი სამეცნიერო კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, გერმანიაში ქართული კულტურული ნაკვალევის ტიპოლოგია შესაძლებელია ორი მიმართულებით დავაჯგუფოთ:

1. ქართული კულტურული მემკვიდრეობა, რაც დღესდღეობით გერმანიაში ძირითადად წარმოდგენილია შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ქართული ხელნაწერებით, სამუზეუმო ექსპონატებით, ნუმიზმატიკური მასალებით, XIX-XX

საუკუნეების ფოტომასალებით, ძველი ქართული სიმღერების აუდიოჩანაწერებით და სხვ.

2. ქართველთა მოღვაწეობა ca. 1740-1940 – XVIII საუკუნემდე ქართველთა გერმანიაში მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, ხოლო აღნიშნული პერიოდიდან იქ ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ, მოგზაურობდნენ, საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილი პიროვნებები: ერეკლე მეორე, დავით გურამიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე მეგრელიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხაკო წერეთელი და სხვ.

წარმოდგენილი საკითხების ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია: 2008 წელს გამოქვეყნებული ჰაინრიხ რორბახერის ფუნდამენტური ნაშრომი – „Georgien: Bibliographie des deutschsprachigen Schrifttums", რომელიც წარმოადგენს გერმანულენოვანი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას საქართველოს შესახებ და შტეფი იუნგერ ხოტივარის გამოკვლევა – „ქართველები ბერლინში", 2001 წ-ის გამოცემა.

განხორციელებული პროექტის ფარგლებში სამეცნიერო კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ XVIII საუკუნემდე ქართველთა მოღვაწეობა გერმანიაში ბურუსით არის მოცული. ეს სავარაუდოდ, გამოწვეულია იმ ისტორიული რეალობით, რომ ადრეულ ახალ პერიოდში ევროპული რენესანსის განვითარების პარალელურად ქართული კულტურა და ცივილიზაცია სტაგნაციას განიცდიდა. ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ პატარა სამეფო-სამთავროები წარმოიშვა, რომლებიც კავკასიის რეგიონის სამხრეთით აგრესორი მილიტარისტული სახელმწიფოების გავლენის სფეროების გაფართოების ობიექტად იქცნენ. ისლამური იმპერიების გაბატონებამ კავკასიის ქრისტიანები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ქართველი მეფე-მთავრები ევროპის მონარქებთან კავშირ-ურთიერთობების დამყარებისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. კულტურული, რელიგიური, დემოგრაფიული კრიზისის პირობებში ბაგრატიონები იმედის თვალით შეჰყურებდნენ, რომის პაპების მიერ გამოგზავნილ კათილოკურ მისიებსა და რუსეთის სამეფოების ელჩობებს. ასეთ პირობებში ქართველები ევროპელებს უფრო დაუახლოვდნენ. კაპუცინი, თეატინელი, იეზუიტი ბერები ქართველ მეფე-მთავრთა სამეფო კარის საპატიო სტუმრე-

ბად და ამალის წევრებად იქცნენ. მათი წყალობით XVII-XVIII საუკუნეებში აღიზარდნენ ისეთი მოაზროვნე ქართველები, როგორებიც იყვნენ: ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზი II, ვახტანგ VI, მისი ასული თამარი (ერეკლე მეორის დედა) და სხვა. სწორედ, ვახტანგ VI სამეფო კარზე მოიყარა თავი ევროპული დონის ბევრმა განსწავლულმა პიროვნებამ. ქართლის სამეფოში ქართველთა გეოგრაფიული თვალსაწიერი თანდათან ფართოვდებოდა, მათ უფრო მეტი ცოდნა დააგროვეს ევროპისა და ევროპული სახელმწიფოების შესახებ. ამ თვალსაზრისით, ქართულ სამოგზაურო ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართლის მეფე ვახტანგ VI მიერ 1713 წელს საფრანგეთში გაგზავნილ დიპლომატიურ მისიას სულხან-საბა ორბელიანის ხელმძღვანელობით. ქართველმა მეიგავემ, ლექსიკოლოგმა, დიპლომატმა, სასულიერო პირმა ზედმიწევნით აღწერა თბილისიდან პარიზში მოგზაურობა[1]. სულხან-საბა ორბელიანმა შავი და ხმელთაშუა ზღვების გავლით შემოიარა ოსმალეთის იმპერია, იტალია და საფრანგეთი. მოინახულა სტამბული, რომი, მარსელი, პარიზი და სხვა ქალაქები. თუმცა, ქართველი მოგზაურის მარშრუტში თანამედროვე გერმანიის ტერიტორია არ მოხვდა. 1716 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა სულხან-საბამ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია ჩამოიტანა ევროპული ცივილიზაციის შესახებ. გარდა ამისა, რუსეთისა და სპარსეთის სამეფო კარზე მოდაში შემოვიდა განათლების მისაღებად უფლისწულების ევროპაში გაგზავნა. ამის საუკეთესო მაგალითებია: პეტრე პირველი და ბარონ სემლინის სახელით ცნობილი ნადირ შაჰის ვაჟი.

XVIII საუკუნიდან გერმანულ-ქართული ურთიერთობის ისტორიაში, უკვე მოგვეპოვება ავთენტიკური წყაროები, ქართველების გერმანიაში ყოფნის შესახებ. მათ შორის, ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი უფლისწულ ერეკლეს სამხედრო განათლების მიღებას უკავშირდება[2]. შემდეგ სხვა ქართველი უფლის-

---

1 ორბელიანი 1940: სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, სოლომონ იორდანაშვილისეული პირველი გამოცემა, თბილისი, 1940.

2 Henrichs 1793: Herman Henrichs, Kurze Geschichte des Prinzen Heraclius Und des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Leipzig in der Kortenschen Buchhandlung, 1793.
Kavtaradze 2017: Giorgi Kavtaradze, From the History of the Georgia-

წულების სტუმრობას[3]. მოგვიანებით ქართველ ჰუსართა პოლკის ლაშქრობას, რომლის რიგებშიც პოეტი დავით გურამიშვილი იბრძოდა. ამ ჩამონათვალიდან დავით გურამიშვილის შესახებ საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი[4]. შესაბამისად, წინამდებარე გამოკვლევაში წარმოვადგენთ ეპიზოდებს დავითიანიდან და ქართველი პოეტის შესახებ ბიბლიოგრაფიას, რაც ფილოლოგებს, ისტორიკოსებსა და სხვა დარგის მეცნიერებს დაეხმარება საკითხის შემდგომ კვლევასა და შესწავლაში. ჩვენი სამეცნიერო კვლევის სფერო მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდს მოიცავს (ca. 1940) და წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ეპიზოდური საკითხებით, მათ შორის, ამ ხნის განმავლობაში ქართველების გერმანიასა და გერმანელებთან სპორადული კავშირ-ურთიერთობების ისტორიოგრაფიული გამოკვლევებით.

1. ახლად აღმოჩენილი ბერლინის სამი ქართული ხელნაწერის მოკლე მიმოხილვა

გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საკითხის ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 1963 წელს გერმანელმა მეცნიერმა იულიუს ასფალგმა (1919-2001 წწ.) გამოაქვეყნა ნაშრომი „Georgische Handschriften" („ქართული ხელ-

---

Germany Cultural and Political Relations: Prince Erekle in Germany, Journal of Literature and Art Studies, 2017.

3 გერმანიის ბიბლიოთეკებისა და არქივების დიგიტალურ კატალოგში იძებნება ჩანაწერი, რომ საქსონია-ანჰალტის მხარის არქივში, ქალაქ დესაუში ინახებოდა აქტი – "Z 90, I H Nr. 235"„საბჭოს მიერ ქართველი პრინცების გამასპინძლებისათვის – „ველურ კაცთან" ანგარიშსწორება" (Z 90, I H Nr. 235 (fehlt) Die für Verpflegung des Prinzen aus Georgien von dem Wirt "Zum Wilden Mann", Hammelnn übergebene Rechnung, 1751 (Akte)[Location: Dessau], 1751). არქივიდან მივიღეთ პასუხი, რომ ეს დოკუმენტი დაკარგულია!

4 ასათიანი 1949: ლევან ასათიანი, დავით გურამიშვილი – პრუსიელებთან ომის მონაწილე, ქართული მწერლობა, თბილისი, 1949, გვ. 285-293.; ყუბანეიშვილი 1955: ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955.

ნაწერები“). ნაშრომის შესავალში ავტორი აღნიშნავდა, რომ მან ქართველ კოლეგებთან ილია აბულაძესა (1901-1968 წწ.) და აკაკი შანიძესთან (1887-1987 წწ.) თანამშრომლობით შეძლო კვლევის ჩატარება. ნაშრომში შესულია 8 ქართული ხელნაწერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე (1939 წ.) ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა და ომის პერიოდში თავშესაფარი ჰპოვეს დასავლეთ გერმანიის ბიბლიოთეკებში, როგორც ეს თავის ნაშრომში ავტორმა აღწერა და მიუთითა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი შემდგომი ბედი გაურკვეველია. იულიუს ასფალგის მიერ მითითებულ ქართული ხელნაწერების ადგილსამყოფელ ბიბლიოთეკებთან დაკავშირების შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული ხელნაწერები გერმანიის გაერთიანების (1990 წ.) შემდეგ, კვლავ ბერლინს დაუბრუნდა. ამიტომ, 2016 წელს დავუკავშირდით ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის თანამშრომელს მელინე პელივანიანს. ვისგანაც მივიღეთ შეტყობინება, რომ „ამჟამად ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში არის 11 ქართული ხელნაწერი, შემდეგი შიფრებით: Hs or 7931, Hs or 14561, Minutoli 135a, Ms or fol 573, Ms or fol 926, Ms or fol 2096, Ms or oct 168, Ms or oct 169, Ms or oct 283, Ms or quart 279, Ms or quart 345“. – ჩამოთვლილი შიფრებიდან სამი არ ფიქსირდებოდა იულიუს ასფალგის გამოკვლევაში. მარტის თვეში დაგეგმილი სამეცნიერო მივლინების დროს, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მუშაობისას, აღმოჩნდა დღემდე შეუსწავლელი, კატალოგს მიღმა დარჩენილი სამი ქართული ხელნაწერი წიგნი: 1. მინიატურული სახარება (Hs. or. 14561), 2. დავითის ფსალმუნი (Hs. or. 7931) და 3. ქართული ზღაპარი (Ms. or. oct. 169). ხელნაწერების გაცნობასთან ერთად, შევეცადეთ კოდიკოლოგიური ინფორმაციის მოძიებას, მოკლე აღწერას და რამდენიმე ფოტოს გადაღებას:

1. ხელნაწერი – Hs. or. 14561. მცირე ზომის მინიატურული სახარება – დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეების ნუსხახუცურით შესრულებული ქართული ხელნაწერია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ქალბატონმა ნიკოლე ფიურთინგმა თავდაპირველად მითხრა, რომ ეს ხელნაწერი 2012 წელს ამსტერდამში კერძო ბიბლიოთეკარისაგან შეიძინეს. თუმცა ამაში დარწმუნებული არ იყო და დამპირდა, რომ ზუსტად გაარკვევდა. ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ შემატყობინა, რომ ბიბლიოთეკამ აღნიშნული ხელნაწერი 1988 წელს შეიძინა ჰამბურგელი

ანტიკვარიატების მფლობელ ფ. დიორლინგისაგან. პირველადი დათვალიერებით შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერი წარმოადგენს ოთხთავს, რომელიც იწყება მათეს სახარებით, ხოლო შუაში ჩართულია ლუკა მახარებლის ფერადი გამოსახულება. ის მომცრო ზომის წიგნაკია ქაღალდზე დაწერილი ნუსხახუცურით. გამოყენებულია შავი და წითელი მელანი. გარეკანი მოვერცხლილი და მოჭედილია ოთხი მახარებლის გამოსახულებით.



ხელნაწერი წიგნი, მინიატურული სახარება,
ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა
(Orientalische Handschriften der Staatsbibliothek zu Berlin),
Hs. or. 14561.

2. ხელნაწერი Hs. or. 7931 – დავითის ფსალმუნი. ამ ხელნაწერზე ჟურნალში მოიპოვება ინფორმაცია, რომ შეძენილია 1973 წლის 11 ოქტომბერს ვინმე ლაიდენელი ე. ბრილისაგან. ტექსტი შესრულებულია მხედრულით. სათაურები ზოგან ნუსხახუცურით. შეიცავს 81 გვერდს. წიგნაკის პირველი ნახევარი დაწერილია შავი მელნით, მეორე ნახევარში წინადადების დაწყების წინ გამოყენებულია წითელი მელანი. იმის გასარკვევად, ხომ არ არის ტექსტში საგალობლების ნიშნები, საჭიროა, ხელნაწერი კანონიკური ტექს-

ტების ექსპერტმა შეისწავლოს, რადგან ცნობილია, რომ ადრეულ ახალ დროში ეკლესია-მონასტრებში ფსალმუნთა საგალობლების ჩაწერა სპეციალური ნიშნების გამოყენებით ხდებოდა.



ხელნაწერი წიგნი, დავითის ფსალმუნი,
ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა
(Orientalische Handschriften der Staatsbibliothek zu Berlin),
Hs. or. 7931.

ხელნაწერის გადაწერის თარიღად ჟურნალში დაფიქსირებულია 1795 წელი, რაც სატიტულო გვერდზე ფანქრით გაკეთებული მინაწერით უნდა იყოს განსაზღვრული. თუმცა არ მგონია, ეს იყოს ამ ხელნაწერის გადაწერის თარიღი. სავარაუდოდ, მხოლოდ მინაწერია ერთ-ერთი მფლობელისაგან. ჩემი აზრით, ასოთა მოხაზულობით ცოტა უფრო ძველ ხელნაწერს ჰგავს. ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი მფლობელის სახელი გარე ყდაზეა მიწერილი: „ეს წიგნი ვარუნ მიქელასი არის." გაურკვეველია რა პერიოდში ეკუთვნოდა ეს ხელნაწერი ვარუნ მიქელას? მან გაყიდა? თუ სხვისაგან შეიძინა გერმანელმა ე. ბრილმა?

კოდილოლოგიური თვალსაზრისით, ამ ხელნაწერის ისტორია ძალიან საინტერესო და საყურადღებოა. ქალბატონმა ნიკოლე ფურთინგმა, ჩვენი თხოვნით, მოიძია ინფორმაცია ძველ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც ხელნაწერი წიგნი გატარებული იყო: „Hs. or. 7931" შიფრის გასწვრივ ნაბეჭდი აღწერით: „altslavisch" (ძველი სლავური), რომელიც გადახაზული იყო ფანქრით და ზემოდან ახალი წარწერა ჰქონდა: „georgisch" (ქართული), რაზეც გერმანელმა ბიბლიოთეკარმა ხუმრობით აღნიშნა: „Und plötzlich altslavisch georgisch geworden!"

3. ხელნაწერი – Ms. or. oct. 169. – ამ ხელნაწერის შესახებ პროფესორ რობერტ გიილისგან მივიღე შეტყობინება, რომ „შეძენილია 1846 წელს 1 რუბლად სწავლული „კოხისაგან". ჟურნალში გატარებულია როგორც – „Narrations Georgicae chart". ხელნაწერი ეკუთვნის 8 აღმოსავლურ შეძენილ ხელნაწერთა ჯგუფს. თითოეულში გადახდილია ზოგში რუბლი, ზოგში დუკატი".

ვინ იყო ეს სწავლული კოხი? ამის იდენტიფიცირება ადვილია, რადგან ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოში რამდენჯერმე იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა, ბოტანიკოსმა კარლ ჰაინრიხ კოხმა (1809-1879). ერთ-ერთი მისი მოგზაურობა 1843-1844 წლებში შედგა და 1844 წელს, ის უკან იენაში დაბრუნდა. როგორც ჩანს კოხმა საქართველოდან წაიღო ეს პატარა წიგნაკი და მიჰყიდა ბერლინის ბიბლიოთეკას.

პირველადი დათვალიერებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელნაწერში მოთხრობილია ზღაპარი, რომელიც თავისი შინაასით წააგავს ღირსი მელანიას ისტორიას. თუმცა საქმე გვაქვს ქართულ ვერსიასთან. სამწუხაროდ, ხელნაწერი არ არის დათარიღებული; მაგრამ კალიგრაფიითა და ასოთა მოხაზულობით შეიძლება, ეს



ხელნაწერი წიგნი, ღირსი მელანიას იგავი,
ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა
(Orientalische Handschriften der Staatsbibliothek zu Berlin),
Hs. or. 169.

ხელნაწერი XVIII საუკუნის მეორე ნახევარს – XIX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნებოდეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტექსტის ბოლოს არის მინაწერი ავტორის ვინაობის შესახებ: „ქალის და ვაჟის ბაასი ძალითა მღვდლისათა აღწერა მელანია გედევანოის ასულმან სრულებით." ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი ხდება კიდევ ერთი გადამწერი ქალი – მელანია გედევანოის ასული.

წიგნაკი 51 გვერდისაგან შედგება. ტექსტი მხედრულით არის ნაწერი, ხოლო ბოლო გვერდი – წინა გვერდებისგან განსხვავე-

ბით – მელანიას ამობრუნებულად შეუსრულებია, რაც მხოლოდ სინათლის შუქზე იკითხება და შეიცავს „მამაო ჩვენოს“.

ამრიგად, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ადრეული ახალი პერიოდის სამი ქართული ხელნაწერი წიგნის: 1. მინიატურული სახარება (Hs. or. 14561), 2. დავითის ფსალმუნი (Hs. or. 7931) და 3. ქართული ზღაპარი (Ms. or. oct. 169) – აღმოჩენით, ქართული კულტურული მემკვიდრეობა კიდევ უფრო გამდიდრდა.

2. XVIII საუკუნის გერმანული ისტორიოგრაფია: ქართველი უფლისწული ბერლინის სამხედრო სკოლაში

ერეკლე მეორისა და ფრიდრიხ დიდის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის საფუძვლები

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798) დასავლურ და მათ შორის, გერმანულ ლიტერატურაში „პრინც ჰერაკლეს“ (Prinz Heraclius [პრინც ჰერაკლიუს]) სახელით არის ცნობილი, რაც ბერძნული მითოლოგიის ღვთაებრივი გმირის სახელს უკავშირდება. მამამისის, ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1680-1762) სიცოცხლეში უფლისწულმა ერეკლემ სახელი გაითქვა როგორც ქრისტიანობისთვის კავკასიაში მებრძოლმა მხედართმთავარმა. მის ბრძოლებს დიდი რეზონანსი ჰქონდა იმდროინდელ მსოფლიო პრესასა და ლიტერატურაში. მოგვიანებით, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, როცა ერეკლემ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანა, მისი სახელი – „პრინცი ჰერაკლე“ [უფლისწული ერეკლე], კიდევ უფრო ხშირად ჟღერდა: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე დაწერილ საგაზეთო სტატიებსა და ლიტერატურაში. ერეკლეს საგმირო ცნობებს შორის, არის ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი, რაც ქართულ ისტორიულ წყაროებში არ მოგვეპოვება – საქმე ეხება ერეკლეს ევროპაში გამგზავრებას და გარკვეული დროით მოღვაწეობას.

გერმანულ პრესასა და ლიტერატურაში გაჩნდა ცნობა, რომ უფლისწულმა ერეკლემ ახალგაზრდობაში განათლება მიიღო ბერლინში. ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მა-

მია დუმბაძესთან გვხვდება[5]. თუმცა, ავტორი მხოლოდ ფაქტს ასახელებს და ამ ცნობის წყაროდ სომეხ ისტორიკოსს ა. იოანისიანს იმოწმებს.

გერმანელი ფილოლოგი შტეფი ხოტივარი-იუნგერი თავის პოპულარულ ნაშრომს „ქართველები ბერლინში" იწყებს ერეკლე მეორით, 1767 წელს ბერლინში გამოცემული გაზეთის ცნობით, სადაც წარმოდგენილია ჭორად გავრცელებული ამბავი ქართველი მეფის ევროპაში ინკოგნიტოდ მოგზაურობაზე. გერმანელ მეცნიერს ამ ცნობის ქვესათაურად აღნიშნული აქვს „პირველი ქართველის (დაუზუსტებელი) სტუმრობა ბერლინში"[6].

ქართველმა ფილოლოგმა ელენე გოგიაშვილმა შეისწავლა ნაშრომი „Kurze Geschichte des Prinzen Heraclius Und des gegenwärtigen Zustandes von Georgien"[7] და აღნიშნა: „ვფიქრობ, ცნობა ერეკლე მეორის ევროპაში ყოფნის შესახებ, რაოდენ არაზუსტიც არ უნდა იყოს იგი, მაინც დიდი მნიშვნელობისაა XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის კვლევისას. გერმანელი ავტორის მიერ ევროპული განათლების აქცენტირება ერეკლე მეორის უპირატესობის საჩვენებლად არის გამოყენებული აღმოსავლეთის სხვა მმართველების საპირისპიროდ"[8]. – რატომ მიიჩნევს ნაშრომის ავტორი გერმანულ პირველწყაროს არაზუსტად, სტატიაში არ არის ახსნილი. ასევე, ერეკლე მეორის შესახებ გერმანულ პირველწყაროში არსად არ არის ნაჩვენები, ქართველი უფლისწულის შეპირისპირება რომელიმე აღმოსავლელ მმართველთან. შესაბამისად, დასკვნაც გაუგებარია.

საინტერესოა, რომ სამივე მეცნიერ-მკვლევარი: მამია დუმბაძე, შტეფი ხოტივარი-იუნგერი და ელენე გოგიაშვილი ერეკლე

---

5 დუმბაძე 1973: მამია დუმბაძე, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იანი წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4, თბილისი, 1973, 633 გვ.

6 ხოტივარი-იუნგერი 2001: შტეფი ხოტივარი-იუნგერი, ქართველები ბერლინში, თბილისი, 2001, 5 გვ.

7 Henrichs 1793: Herman Henrichs, Kurze Geschichte des Prinzen Heraclius Und des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Leipzig in der Kortenschen Buchhandlung, 1793.

8 გოგიაშვილი 2008: ელენე გოგიაშვილი, „შორეული ქვეყნის" მმართველის შეფასება მე-18 საუკუნის გერმანულ სამოგზაურო ლიტერატურაში: ერეკლე II, მესხეთი X, თბილისი 2008, 13 გვ.

მეორის გერმანიაში ყოფნის ფაქტს განსხვავებული ისტორიული ცნობებით ინტერპრეტირებენ. პირველი ავტორი, რომელიც პროფესიით ისტორიკოსი იყო, გერმანულ წყაროებს არ იცნობდა და შესაბამისად, სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ფაქტი გამოიყენა, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე. თანამედროვე ქალბატონი მკვლევარები კი პროფესიით ფილოლოგები არიან და მათ საკითხის შესწავლა ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდოლოგიით არ უწარმოებიათ. ქალბატონი შტეფი არ იყენებს ჰერმან ჰაინრიქსის ნაშრომს, ხოლო ქალბატონი ელენე თავის შეფასებაში, ზემოთ აღნიშნული ისტორიული წყაროს გარდა, არ ეყრდნობა არც სხვა გერმანულ მასალას და არც ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ისტორიოგრაფიას.

ერეკლე II-ის დროინდელი თანამედროვე გერმანულენოვანი საისტორიო ნაშრომის „პრინცი ჰერაკლესა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის მოკლე ისტორიის" გამომცემლად მიჩნეულია ჰერმან ჰენრიქსი. თუმცა ამ პიროვნების ვინაობა, არც გერმანულ და არც ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული არ არის. თავად ნაშრომის შესავალში გამომცემელი აღნიშნავს, რომ ერეკლე მეორის შესახებ ცნობები, წერილები გრაფი იეკასგან მიიღო, რომელიც ცნობილი იყო ელიას ჰაბესკის საავტორო სახელით. ამ ფსევდონიმის ქვეშ კი როგორც გერმანულ[9], ისე ქართულ[10] ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია „იაკობ რაინეგსი"[11], რასაც ჩვენც ვიზიარებთ. საქართველოს ისტორიიდან ცნობილი გერმანელი გრაფი, ლაიბარცთი[12] იაკობ რაინეგსი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერეკლე მეორის სამეფო კარზე მაღალ პოლიტიკურ თანამ-

---

9 Rohrbacher 2008: Heinrich Rohrbacher, Georgien: Bibliographie des deutschsprachigen Schrifttums, Wiesbaden, 2008, 519 s.

10 კანდელაკი, რაისნერი 2008: დალი კანდელაკი, ე. რაისნერი, პრინც ერეკლეს ცხოვრება და დღევანდელი საქართველოს მოკლე ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შალვა ნუცუბიძის 120 წლის იუბილესადმი, მასალები, თბილისი, 2008, 187 გვ.

11 აღსანიშნავია, რომ „იაკობ რაინეგსი" ასევე არის ფსევდონიმი XVIII საუკუნეში მოღვაწე გასაიდუმლოებული გერმანელი დიპლომატის ქრისტიან რუდოლფ ელიხისა.

12 სამეფო კარის ექიმი.

დებობებზე მსახურობდა. თუმცა ამ ბატონს აღნიშნული სახელით მხოლოდ საქართველოში მოიხსენიებდნენ, იქამდე წარმოშობით საქსონელ ქრისტიან რუდოლფ ელიხს (ca. 1744-1793) სხვადასხვა ფსევდონიმით იცნობდნენ ავსტრიაში, უნგრეთში, ოსმალეთში და სხვა.[13] შესაბამისად, არ არის გამორიცხული „ჰერმან ჰენრიქსიც" მისი ერთ-ერთი საავტორო ფსევდონიმი იყოს და საქმე გვქონდეს იმავე ელიას ჰაბესკის და იაკობ რაინეგსის პიროვნებასთან, რომელიც ბარონ მიუნჰაუზენის სინდრომით იყო შეპყრობილი. თუ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შევადარებთ გერმანული ზღაპრის გმირს, არც ის არ არის გამორიცხული, თავად იყო „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლის" ავტორიც და მთავარი პერსონაჟიც, რომელმაც საკუთარ ცხოვრებაზე „სიბრძნე სიცრუისას" მეთოდით ავტობიოგრაფიული ზღაპარი შექმნა?!. მიუხედავად იმისა, რომ ის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და განსხვავებული ფსევდონიმებით იცნობდნენ, მისი ცნობა ერეკლე მეორის გერმანიაში ყოფნის შესახებ, მაინც ავთენტურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ის იყო ერეკლე II-ის თანამედროვე, მისი პირადი ექიმი, მეგობარი და ქართლ-კახეთის სამეფოში სახელმწიფო მინისტრის ფუნქციების შემსრულებელიც.

ჰერმან ჰეინრიქსის ნაშრომში აღნიშნულია, რომ უფლისწულმა ერეკლემ სამხედრო განათლება ევროპაში, კერძოდ გერმანიაში მიიღო. ამ აზრის გასამყარებლად, შეიძლება კიდევ ორი მთავარი არგუმენტის დასახელება: 1. ერეკლემ თავისი მმართველობის პერიოდში მთელი რიგი ევროპული რეფორმები გაატარა; 2. ქართლ-კახეთში და საერთოდ, კავკასიაში გაბატონებული იმპერიების მმართველი წრეების ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტუალური გახდა ევროპაში განათლების მიღება, განსაკუთრებით რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდიდან (1622-1725) მოყოლებული და ამ მოდას თეიმურაზ II-ის ვაჟიც არ უნდა ჩამორჩენოდა. 3. ერეკლეს II-ის გერმანული ენის ცოდნაზე, გარდა ზემოთ აღნიშნული ნაშრომისა. ასევე, 1772 წლის ვიენერიშე დიარიუმში (ვენის ყოველდღიური გაზეთი) გამოქვეყნდა იოჰან გულდენშტედტის

13 Meusel 1811: Johann Georg Meusel, Lexikon der vom jahr 1750 bis 1800 verstorbenen Teutschen Schriftsteller, Eilfter Band, Leipzig, 1811, 146-151 s.; Lightman... 2013: The Circulation of Knowledge Between Britain, India and China, Series: Knowledge Infrastructure and Knowledge Economy, Volume: 3, Editors: Bernard Lightman, Gordon McOuat and Larry Stewart, 73 s.

(1745-1781) 1771 წლის 8 ნოემბერს საქართველოდან გაგზავნილი წერილი, სადაც გერმანელი მეცნიერი იტყობინებოდა, რომ ერეკლემ დიდი პატივით მიიღო, თბილისი დაათვალიერებინა, ყავით გაუმასპინძლდა, ბევრს ესაუბრებოდა ქართველებისა და საქართველოს ბედის შესახებ.[14]

ამჯერად, ჩვენი კვლევის მთავარ საკითხს შეადგენს, არა ის, იყო თუ არა ერეკლე გარკვეული დროით ევროპაში. არამედ, ის, თუ რა პერიოდში შეიძლებოდა გამგზავრებულიყო ერეკლე ბერლინის სამხედრო სასწავლებელში განათლების მისაღებად? – სამწუხაროდ, გერმანელი ავტორი ამის შესახებ, პირდაპირ ცნობას არ გვაწვდის. ამიტომ, საკითხის გარკვევა ტექსტში მოტანილი ცნობის კონტექსტში უნდა ვეძებოთ.

საკითხის გასარკვევად გერმანელი ავტორი ორ მნიშვნელოვან ფაქტს ასახელებს:

1. ერეკლემ ახალგაზრდობაშივე იმოგზაურა ევროპაში: „უფლისწულს [ერეკლეს – გ.ქ.], რომელსაც დაბადებიდან გამოჰყვა დიდი გეგმებისათვის გონიერება, სიბრძნით მოთოკილი დაუდგრომლობა და სიმკვირცხლე, გამჭრიახი ჭკუა და უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა, ძლიერი აღნაგობა და მტკიცე ჯანმრთელობა, ადრეულ ახალგაზრდობიდანვე გრძნობდა, რომ საქართველოში მის ნიჭიერებას, გონებასა და გამბედაობას ფართო შესაძლებლობის საზრდო ვერ მიეცემოდა. მამამისი [თეიმურაზ II – გ.ქ.] ნაკლებად ზრუნავდა მის განათლებაზე და ამჯობინებდა დღეები უსაქმურობასა და გარყვნილებაში გაეტარებინა. ამიტომაც გადაწყვიტა გამგზავრებულიყო ევროპაში და იქ ყველა შესაძლო ცოდნა მიეღო. განსაკუთრებული ყურადღება სხვადასხვა ერების მმართველობის ფორმებს მიაქცია და გაეცნო საშუალებებს, რითაც ტახტს გაიმყარებდა. ამის შემდეგ დრო სამხედრო მეცნიერებას დაუთმო. ამრიგად, უკმაყოფილო უფლისწულმა ამ საქმეში თეორიული ცოდნის შესაძენად, ინკოგნიტოდ მიაშურა ბერლინს და რიგით ჯარისკაცად დაიწყო მსახური, იმ მიზნით, რომ პრუსიულ სკოლაში, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნდა, დაბალი

14 Auszug eines Briefes aus Georgien, den 8. Nov. 1771, Wienerisches Diarium, #53, 1772.

სამხედრო წოდებისათვის საჭირო მოვალეობები პრაქტიკულად შეეთვისებინა"[15].

2. ერეკლემ მონაწილეობა მიიღო პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდის ბრძოლებში ავსტრია-უნგრეთის დედოფლის მარია-ტერეზიას წინააღმდეგ: „მისი [ერეკლეს – გ.ქ.] ქცევა როგორც გარნიზონში, ასევე ლაშრობებში, რომელსაც პრუსიის მეფე [ფრიდრიხ დიდი – გ.ქ.] მარია ტერეზიას წინააღმდეგ აწყობდა, ისეთი სამაგალითო იყო, რომ იგი მაღალ წოდებაზე წარადგინეს და ბოლოს მეფემ ინფანტერიის მხედართმთავრდაც დანიშნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაუმხილა ქართველმა უფლისწულმა საკუთარი ვინაობა მეფეს, რომელიც მის მიმართ პატივისცემისა და თავაზიანობის გამოხატვას ისედაც არ იშურებდა. [ერეკლემ – გ.ქ.] ცოტა ხანში სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა: მას შემდეგ, რაც შეიმუშავა მისი [ქართლ-კახეთის სამეფოს -გ.ქ.] სრული რეფორმირების გეგმა და ელოდა მხოლოდ ხელსაყრელ გარემოებას მის განსახორციელებლად"[16].

თუ ზემოთ მოყვანილ ცნობებს გავაანალიზებთ, მაშინ ძნელი გასარკვევი არ იქნება ერეკლეს ევროპაში მოგზაურობის პერიოდი. ისტორიაში ცნობილია ფრიდრიხ დიდსა (1712-1786) და მარია ტერეზიას (1717-1780) შორის წარმოებული ორი ხანგრძლივი ომი სილეზიის ტერიტორიაზე გავლენის მოსაპოვებლად. პირველი სილეზიის ბრძოლები 1740-1742 წლებში მიმდინარეობდა. მეორე სილეზიის ბრძოლები 1745-1747 წლებში. გამორიცხვის მეთოდით თუ ვიმსჯელებთ, მეორე სილეზიის ბრძოლის პერიოდში ერეკლე საქართველოში იმყოფებოდა და ამის შესახებ ერეკლეს თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები გვაწვდიან ცნობებს. შესაბამისად, ერეკლეს ევროპაში მოგზაურობის ეს პერიოდი უნდა გამოვრიცხოთ. ხოლო პირველი სილეზიის ბრძოლის დროს ერეკლეს შესახებ ქართული წყაროები დუმან. მეტიც, როცა ნადირ შაჰმა (1688-1747) უფლისწული ინდოეთში წაიყვანა სალაშქროდ და შემდეგ უკან დაბრუნდა 1739 წელს, ის ჯერ კიდევ 18-19 წლის

---

15 Heinrichs 1793: Herman Heinrichs, Kurze Geschichte des Prinzen Heraclius Und des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Leipzig in der Kortenschen Buchhandlung, 1793. 29-30 s.

16 Heinrichs 1793: Herman Heinrichs, Kurze Geschichte des Prinzen Heraclius Und des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Leipzig in der Kortenschen Buchhandlung, 1793. 30 s.

ახალგაზრდა იყო. ამ პერიოდიდან 1742 წლამდე ერეკლე საქართველოში არ ჩანს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი უფლისწული პირველი სილეზიის ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას ფრიდრიხ დიდის ჯარში მარია ტერეზიას წინააღმდეგ.

მართალია, ქართულ საისტორიო წყაროებში არ არის დაცული ინფორმაცია ერეკლეს ევროპული განათლების შესახებ, მაგრამ ამ ცნობებს არც გამორიცხავენ. ის ფაქტი, რომ ქართველი გმირი მეფის შესახებ ორ მნიშვნელოვან საისტორიო თხზულებაში: პირველი – პაპუნა ორბელიანის „ამბავი ქართლისანი“[17] და მეორე – „მეფობა ირაკლი მეორისა“[18] არაფერია ნათქვამი ერეკლეს ევროპაში მოგზაურობის შესახებ, არც არის გასაკვირი, რადგან ქართველი უფლისწული ევროპაში საიდუმლოდ, „ინკოგნიტოდ“ გაემგზავრა და ამის შესახებ არ უნდა სცოდნოდა კავკასიაში გაბატონებულ პოლიტიკურ ძალებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ერეკლემდე სულხან-საბა ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობის“, მისი დიპლომატიური მისიის შესახებ საფრანგეთის სამეფო კარზე, ქართული საისტორიო წყარო ტერმინ „გაიპარას“ იყენებს. ადრეულ ახალ დროში მუსლიმანური იმპერიების გავლით ევროპაში გამგზავრება, მთელ რიგ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული. უმთავრესად კი იმასთან, რომ მათი გავლენის სფეროებში მოქცეულ რეგიონის პოლიტიკურ წრეებს არ დაემყარებინათ რაიმე სახის კავშირ-ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

ზემოთ დასახელებული ორივე ნარატივი ერეკლე II-ის შესახებ, სამეფო კარის ისტორიოგრაფიას განეკუთვნება: პაპუნა ორბელიანი ერეკლეს ახალგაზრდობაზე თითქმის არაფერს წერს. ავტორი პირველად ერეკლეს ახსენებს 1745 წელს, როცა ერეკლემ ნადირ შაჰისაგან კახეთის მეფობა მიიღო. შემდგომ პერიოდშიც იშვიათად იხსენიებს. მეორე საისტორიო წყარო ძირითადად ერეკლეს სამხედრო ისტორიას აღწერს. ორივე ნაშრომი ერეკლეს ბიოგრაფიისათვის, არც თუ ისე ბევრი ინფორმაციის შემცველია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე მეორის გარდაცვალების

---

17 ორბელიანი 1981: პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.

18 ხერხეულიძე 1989: ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 1989.

შემდეგ მის მეგობარს, დიპლომატსა და სამართალმცოდნეს სოლომონ ლეონიძეს (1754-1811) გამოსათხოვარ სიტყვაში შემთხვევით არ აღუნიშნავს ფრიდრიხ დიდის სიტყვები: „პრუსიის მეფემ ფიდერიკოს თეთრზედ დაეწერა: ევროპაში მე ვარო, და აზიაში ღერკულეს უძლეველი საქართველოს გიორგიანთ მეფეო"[19]. რაც, თავისთავად მიუთითებს უკვე არსებულ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერეკლე მეორის შესახებ, მისი თანამედროვე გერმანული ისტორიოგრაფია ქართველი გმირი მეფის ბიოგრაფიაზე ავთენტურ, ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, რაც არ მოგვეპოვება ქართულ საისტორიო წყაროებში. ამდენად, ეს ცნობები ამდიდრებს, როგორც ერეკლე II-ის პიროვნების, ისე XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი 1949: ლევან ასათიანი, დავით გურამიშვილი – პრუსიელებთან ომის მონაწილე, ქართული მწერლობა, თბილისი, 1949.
2. გოგიაშვილი 2008: ელენე გოგიაშვილი, „შორეული ქვეყნის" მმართველის შეფასება მე-18 საუკუნის გერმანულ სამოგზაურო ლიტერატურაში: ერეკლე II, მესხეთი X, თბილისი 2008.
3. დუმბაძე 1973: მამია დუმბაძე, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იანი წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, თბილისი, 1973.
4. კანდელაკი, რაისნერი 2008: დალი კანდელაკი, ე. რაისნერი, პრინც ერეკლეს ცხოვრება და დღევანდელი საქართველოს მოკლე ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შალვა ნუცუბიძის 120 წლის იუბილესადმი, მასალები, თბილისი, 2008.

19 ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის (Ms. or. quart. 345) მიხედვით.

5. ორბელიანი 1981: პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.
6. ორბელიანი 1940: სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, სოლომონ იორდანაშვილისეული პირველი გამოცემა, თბილისი, 1940.
7. ყუბანეიშვილი 1955: ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955.
8. ხერხეულიძე 1989: ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 1989.
9. ხოტივარი-იუნგერი 2001: შტეფი ხოტივარი-იუნგერი, ქართველები ბერლინში, თბილისი, 2001.
10. Auszug eines Briefes aus Georgien, den 8. Nov. 1771, Wienerisches Diarium, #53, 1772.
11. Heinrichs 1793: Herman Heinrichs, Kurze Geschichte des Prinzen Heraclius Und des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Leipzig in der Kortenschen Buchhandlung, 1793.
12. Lightman... 2013: The Circulation of Knowledge Between Britain, India and China, Series: Knowledge Infrastructure and Knowledge Economy, Volume: 3, Editors: Bernard Lightman, Gordon McOuat and Larry Stewart, 73 s.
13. Meusel 1811: Johann Georg Meusel, Lexikon der vom jahr 1750 bis 1800 verstorbenen Teutschen Schriftsteller, Eilfter Band, Leipzig, 1811, 146-151 s.;
14. Rohrbacher 2008: Heinrich Rohrbacher Georgien: Bibliographie des deutschsprachigen Schrifttums, Wiesbaden, 2008.

3. ქართველი უფლისწულის თეიმურაზ ბატონიშვილის გერმანიაში მოგზაურობის შესახებ წყაროები და ისტორიოგრაფია

XIX საუკუნის ქართული სამოგზაურო ლიტერატურის ისტორიაში თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846) განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან ის ერთ-ერთი პირველი გახლდათ, რომელმაც შემოიარა, აღწერა და დატოვა კულტურული კვალი

გერმანიის ქალაქებში. თუმცა, სხვა ავტორებთან შედარებით მისი ჩვენამდე არასრულად მოღწეული თხზულება „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“[20] მეცნიერულად ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ ნაშრომს წარმოადგენს.

1945 წელს ქართველმა მკვლევარმა სოლომონ იორდანიშვილმა (1898-1953) გამოაქვეყნა თეიმურაზის ნაშრომის – „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ – ის ნაწილი, რომელიც მან ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიზეუმის ხელნაწერთა ფონდში აღმოაჩინა. ამ გამოცემის რედაქტორი ა. მ. გაბისონია აღნიშნავდა: „სამწუხაროდ, „მოგზაურობამ“ მთლიანად ვერ მოაღწია ჩვენამდის, მაგრამ ეს დოკუმენტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ სახითაც, რა სახით იგი გამოავლინა ნაყოფიერმა მკვლევარმა, სოლომონ იორდანიშვილმა, რომელმაც ამ ძეგლთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოსთან ერთად ისიც გააკეთა, რომ დააზუსტა თეიმურაზის ბიბლიოთეკის სრული კატალოგი და სათანადო შენიშვნებით გაამზადა იგი გამოსაცემად“[21]

სოლომონ იორდანიშვილის გამოცემაში არ არის დაზუსტებული თეიმურაზის გერმანიაში მოგზაურობის მარშრუტი. ასევე, დამახინჯებული სახით მოხსენიებული გერმანული ქალაქებისა და ადგილების ტოპონიმიკური იდენტობა შეუსწავლელად არის დარჩენილი. არც ქართველი უფლისწულის, მოგზაურისა და ისტორიკოსის შესრულებული ნაშრომის ტიპოლოგიაა გარკვეული. მიუხედავად ამისა, ქართველი მკვლევრის როლი თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიული მნიშვნელობის თხზულების „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ აღმოჩენისა და გამოცემის საქმეში უდიდესია.

ქართული ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ერთ-ერთი პირველი შეფასება ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს (1802-1880) ეკუთვ-

---

20 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“, რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945.

21 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“, რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 8.

ნის, რომელიც თავს თეიმურაზის მოსწავლედ მიიჩნევდა.[22] მოგვიანებით თეიმურაზის ნაშრომებს სწავლობდნენ ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929) და დავით ჩუბინაშვილი (1814-1891). ალექსანდრე ხახანაშვილმა (1864-1912), რომელიც გერმანიაში ქართველი ბატონიშვილის ნაკვალევის ძიებისას ბერლინის ქართულ ხელნაწერებს გაეცნო, საგანგებო სტატიაც გამოაქვეყნა: „თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალა"[23] XX საუკუნის ქართველ მეცნიერთაგან თეიმურაზის ცხოვრებითა და მოღვაწეობით შოთა მესხია (1916-1972) დაინტერესდა. მან 1939 წლის 13 მარტს წაიკითხა მოხსენება ენიმკი-ს ისტორიის განყოფილების საჯარო სხდომაზე და შემდეგ გამოაქვეყნა „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა"[24].

რა სახით მოაღწია ჩვენამდე თეიმურაზის ნაშრომმა?

თეიმურაზის ნაშრომმა „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა" ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. ამ თხზულების აღმომჩენი და გამომცემელი სოლომონ იორდანიშვილი წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „მოგზაურობის" ხელნაწერი თავის დროს აკინძული და ვარაყით მოჭრილი ყოფილა. ყდებიდან ამოგლეჯისას, თუ შემდეგ, მას რამდენიმე ფურცელი (შესაძლოა, რვეულიც) დაჰკარგვია"[25]. თეიმურაზის მიერ მარი ბროსესადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ გერმანიის ქალაქებში ექვსი თვე იმოგზაურა. შემორჩენილ ნაშრომში მისი მოგზაურობის მხოლოდ სამი თვეა აღწერილი და ტექსტი მოულოდნელად

---

22 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 11-12.

23 ხახანაშვილი 1908: ალექსანდრე ხახანაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალა, გაზეთი „სავაჭრი გზა", №17.

24 მესხია 1939: შოთა მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის განყოფილება, თბილისი, 1939.

25 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 11.

წყდება საბერძნეთის მეფე ოტოსთან (1815-1867) შეხვედრისას. ამასთანავე, სამი თვის განმავლობაში მან მოინახულა გერმანიის მხოლოდ ორი დიდი ქალაქი ბერლინი და დრეზდენი. თითოეულის აღწერას ათი გვერდი ეთმობა. მარიენბადი კიდევ უფრო ვრცლად აქვს აღწერილი. ამის შემდეგ, გამოჯანმრთელებულმა თითქმის მთელი ცენტრალური გერმანია მოიარა და შესაბამისად უფრო მეტი ღირშესანიშნაობები ნახა. „მრავალი უცხო ქალაქები, მონასტრები და ძველებური შენობები ვნახე, ჩინებულები"[26]. ბროსესადმი წერილიდან ისიც ირკვევა, რომ მან გულდასმით შეისწავლა და აღწერა მაინის ფრანკფურტი ლაიფციგი, ვაიმარი და სხვა ქალაქები. ამის შემდეგ ისევ ბერლინში დაბრუნდა, სადაც შეხვდა სამეფო ოჯახს, დაესწრო პრინცესა ელისაბედის ქორწილს. თუ ვივარაუდებთ, რომ თეიმურაზს ეს ყოველივე ისეთივე სიზუსტითა და ზედმიწევნით უნდა აღწერა, როგორც ნაშრომის პირველი ნაწილი, მაშინ გამოდის, რომ ჩვენამდე მხოლოდ თხზულების ნახევარზე ნაკლებმა მოაღწია და უფრო დიდი ნაწილი მისი ნაშრომისა დაკარგულია.

შემორჩენილი ნაშრომი საშუალებას იძლევა თეიმურაზის მიერ მარიენბადამდე განვლილი გზის ზუსტი მარშრუტის დასადგენად, ხოლო მარიენბადიდან – მაინის ფრანკფურტზე და უკან, ბერლინსა და სანკტ-პეტერბურგში გავლილი მარშუტი ბროსესადმი მიწერილი წერილიდან შეგვიძლია გავარკვიოთ[27]. თუმცა, წერილში თეიმურაზი არ ასახელებს ყველა ნანახ ქალაქსა და ადგილს, ისევე როგორც მარიენბამადე განვლილი მარშუტიდან მხოლოდ რამდენიმეს ახსენებს. „მოგზაურობის" თხზულებაში კი ყველა განვლილ პუნქტს აფიქსირებდა. ამიტომ, მარი ბროსესადმი მიწერილი წერილები ვერ გამოდგება ზუსტი მარშუტის აღდგენისთვისაც კი.

---

26 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 89.

27 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 87-96.

„თეიმურაზის „მოგზაურობამ" ჩვენამდე მოაღწია დამუშავების მხრივაც დაუსრულებელმა და მოცულობითაც დაზიანებულმა"[28]. „დამუშავების მხრივ დაუსრულებელში" – ავტორი გულისხმობდა, რომ ხელნაწერს აქვს „ალაგ-ალაგ ნახტომები, შეუვსებელი გვერდები ან სტრიქონები, შემდეგში შესავსებად გამიზნული სხვადასხვა საცნობარო წიგნების გამოყენებით"[29].

რატომ და რა მიზნით იმოგზაურა თეიმურაზმა 1836 წელს გერმანიაში?

თეიმურაზის ევროპაში, მათ შორის გერმანიაში გამგზავრების მიზეზები თავად ქართველი უფლისწულის, ისტორიკოსისა და მოგზაურის თხზულებაში არის წარმოდგენილი:

1. თეიმურაზის გამგზავრების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა მარიენბადის კურორტზე სამკურნალო დანიშნულებით წასვლა. ავტორი მოგზაურობის შესავალში აღნიშნავს: „სანკტ-პეტერბურგით წელსა 1836-ს მაისის 26, საღამოს მეთერთმეტეს საათს, წამოვედით. მე მეფის ძე თეიმურაზ დიდად ავადმყოფი ვიყავი და, იანვრის შვიდიდამ მოკიდებული ჩემის წასვლის რიცხვამდის, ქვეშსაგებზე ვიწექ."[30]

2. თეიმურაზის მიზანს, ასევე წარმოადგენდა გერმანულ სამეფო-სამთავროებთან კავშირ-ურთიერთობების დამყარება. ამიტომ, ამ მოგზაურობას დიპლომატიური მისიაც ეკისრებოდა.

3. თეიმურაზის, როგორც მოგზაურისა და მეცნიერის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა, სამოგზაურო თხზულების შექმნა. ევროპის, განსაკუთრებით გერმანიის ქალაქებისა და ღირსშესანიშნაობების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის.

---

28 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 12.

29 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 11.

30 ბატონიშვილი 1945: თეიმურაზ ბატონიშვილი, „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა", რედ. სოლომონ იორდანიშვილი, ზუგდიდის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისი, 1945, გვ. 17.



ხელნაწერი წიგნი, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა,
ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა
(Orientalische Handschriften der Staatsbibliothek zu Berlin),
Ms. or. quart. 279.

მართალია, თეიმურაზის თხზულებიდან თითქმის არაფერი ვიცით პრუსიის სამეფო კართან მისი აუდიენციის შესახებ, რადგან ნაშრომის ის მონაკვეთი, სადაც აღწერილი უნდა ყოფილიყო ფრიდრიხ ვილჰელმ III-თან (1770-1840) შეხვედრის შესახებ, დაკარგულად ითვლება. თუმცა, გვაქვს სხვა ისტორიული წყაროები:

1. თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები მარი ბროსესადმი[31];

2. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონის ხელნაწერ წიგნზე მინაწერი[32];

---

31 ყუბანეიშვილი 1964: სოლომონ ყუბანეიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1964.

32 ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, ქართული ხელნაწერი წიგნი, შიფრი: Ms. or. quart. 279.

3. პრუსიული კულტურის საიდუმლო სახელმწიფო არქივში დაცული თეიმურაზის წერილი ზაინ-ვიტგენშტაინის გრაფს ვილჰელმ ლუდვიგ გეორგს (1804-1851)[33].

ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული წყაროები თეიმურაზის მოგზაურობის თხზულებას ავსებენ, განსაკუთრებით მარი ბროსესადმი მიწერილი წერილები და დოკუმენტურად ადასტურებენ თეიმურაზის პრუსიის სამეფო კართან ვიზიტს. თუ რასთან დაკავშირებით შედგა საუბარი ქართველ პრინცსა და პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III-ს შორის არ ვიცით. თუმცა, მათი შეხვედრა, ერეკლე II-სა და ფრიდრიხ II-ის მოღვაწეობის შემდეგ, ლოგიკური გაგრძელების მცდელობაზე უნდა მიუთითებდეს. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა შორის არსებულ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს აქვს მინაწერი, 1836 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული: „შევსწირე ლექსიკონი ესე მათს დიდებულებას პრუსიის კოროლს ფრიდერიკის ვილლელმ მესამესა: მათის დიდებულების ბიბლიოტიკისათვის: უმონებრიესის სიმდაბლით. სრულად საქართველოისა მეფის გიორგი მეათცამეტის ძე თეიმურაზ."

4. ნიკო ნიკოლაძისა და ილია ჭავჭავაძის თვალით დანახული გერმანია

ქართველი და გერმანელი ხალხების კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადოების გამორჩეული ფიგურების ვიზიტები და შეხედულებები გერმანიის შესახებ.

---

33 Brandenburg-Preußisches Hausarchiv, Rep. 192 Nl W. L. G. zu Wittgenstein, VI Nr. 8, 1 – 2
Verschiedene Briefe von Fürsten, 1800-1847; Enthält u.a. Theimuraz, Fürst von Georgien:
Aufenthalt in Berlin, 3.4.1837.

ნიკო ნიკოლაძე ფრანკფურტში

1864 წელს ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გაემგზავრა. ის 1869 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჟენევაში, პარიზში, ლონდონში, ფრანკფურტში და სხვა ქალაქებში. მისი სადოქტორო ნაშრომის თემა ევროპული ცხოვრების შესწავლას ეძღვნებოდა. ამასთანავე, ის საგაზეთო სტატიებს გზავნიდა თბილისსა და პეტერბურგში.

1865 წელს ნიკო ნიკოლაძე ლონდონში კარლ მარქს (1818-1883) შეხვდა და გერმანელი ფილოსოფოსის, ეკონომისტის, ისტორიკოსის, სოციოლოგის, პოლიტიკური თეორეტიკოსის, ჟურნალისტისა და სოციალ რევოლუციონერისაგან მიიღო წინადადება, რომ ნიკო ნიკოლაძეს ამიერკავკასიის ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოვალეობა შეესრულებინა.

საინტერესოა, რომ ამ თემაზე საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ნახატი – მოხუცი კარლ მარქსი და ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე ლონდონში ხიდზე მოსეირნობენ. დღეს, ეს ნახატი ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, დიდ ჯიხაიშში ინახება, სამწუხაროდ, ავტორი ჩვენთვის უცნობია.

ქართველი მოაზროვნე, ეკონომისტი, პუბლიცისტი 1869 წელს გერმანიაში მოგზაურობისას, განსაკუთრებით საინტერესოა სტატიას „ქვეითად და რკინის გზაში“ -აქვეყნებს გაზეთ „დროებაში“. ეს ნაშრომი მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. მათ შორის, შეიძლება ერთი მაგალითის მოყვანა, ქალაქ მაინის ფრანკფურტის აღწერისას, ნიკო ნიკოლაძის ყურადღება მიმართულია გერმანული საბაზრო ეკონომიკისაკენ. ის ერთგან თავის მახვილგონიერი დაკვირვებით საინტერესოდ აღწერდა გერმანულ სავაჭრო საქმეს:

„აქა-იქ კუთხეებში დგანან პატარა კარვები – ლამაზი დუქნები, სადაც მოსეირნეს შეუძლია სოდის, ან ზელცერის, წყალი დალიოს ყინულით და მურაბის, ან ლიმონის წვენით. ამ დუქნებში ვაჭრობენ ლამაზი, ლაზათიანათ ჩაცმული ქალები და, ვისაც ქეიფი აძლევს, იმას შეუძლია ორიოდე კაპეიკათ მურაბის წვენით ყელიც გაიგრილოს, და თან მშვენიერ ქალთან მუსაიფით გემოც ჩაიგემრიელოს.

...აბა ჩვენში ვინ მოიაზრებდა სასმელების გამყიდველათ ლამაზი ქალების დაყენებას? აზრი კი ძალიან უბრალო და სასარგებ-

ლოა: როცა კაცი ლამაზს ქალს ემუსაიფება, ის ცოტაოდენათაც მაინც აღტაცებულია, იმას უფრო ჩქარა უძგერს გული, სისხლი სწრაფათ მუშაობს, და ამ მიზეზით წყურვილიც უფრო სასტიკია. ნახევარ საათში, კაცი ორჯერ-სამჯერ მაინც გადაკრავს თითო ჭიქა ცივ წყალსა, და რამდენჯერადაც ქალი გაუღიმილებს, პასუხის მაგიერათ, აღელვებული, ნარნარი, ნაზი ხმით ევედრება:

– Noch einmal, bitte! (ერთიც კიდევ დამისხით).

მოდი და ნუ აყვავდება ვაჭრობა ამისთანა ვაჭრების ხელში!..“[34]

ილია ჭავჭავაძე ბერლინში

1900 წელს ილია ჭავჭავაძემ (1837-1907), თავის მეუღლე ოლღა გურამიშვილთან ერთად, ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით იმოგზაურა ევროპაში. დაახლოებით, 2 თვის განმავლობაში, ის მკურნალობას გადიოდა სახელგანთქმული ინტერნისტის ერნსტ ფონ ლეიდენის (1832-1910) მეთვალყურეობის ქვეშ ბერლინის უძველს საავადმყოფო „Charité“-ში.

მართალია, ქართველი ფილოსოფოსის, სამართალმცოდნის, ეკონომისტის, ისტორიკოსის, სოციოლოგის, პოლიტიკის თეორეტიკოსის, ჟურნალისტის, შილერისა და ჰაინეს მთარგმნელის, არტურ ლაისტის მეგობრის, გერმანიაში ვიზიტი ხანმოკლე იყო და მხოლოდ მკურნალობის მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ ერთი საყურადღებო შეფასება დაუტოვა შთამომავლობას თავის უბის წიგნაკში. ილია ორი ერის შედარება/შეფასებისას წერდა: „სად ესენი და სად ჩვენი უბედური ერი! გერმანელნი ახოვანნი და ძლიერნი არიან სულითა და ხორცით. ამათი მერმისი დიდია და თვალთგადაუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზე თავისს დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი, სულითა და ხორცით. დიდი მერმისი მოელით...“[35]

---

34 ნიკოლაძე 1869: ნიკო ნიკოლაძე, ქვეითათ და რკინის გზაში (მოგზაურის შენიშვნები), გაზეთი „დროება“, #33, 16 (28) აგვისტო, 1869, ტფილისი, გვ. 1.

35 შარაძე 1990: გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე – ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ორ წიგნად, წ. 2, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1990. 148-149 გვ.

5. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ქართველი ინტელექტუალების იატაკქვეშა საქმიანობა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (PA AA) დაცული დოკუმენტების მიხედვით)

შესავალი

1910 წელს ჟენევაში ცნობილმა ქართველმა ეროვნულ-პოლიტიკურმა მოღვაწემ პეტრე სურგულაძემ დააარსა „სეპარატისთა ჯგუფი", რომლის წევრებიც იყვნენ ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვები. 1913-14 წწ. ლეო კერესელიძე თანარედაქტორობდა გიორგი კერესელიძის მიერ ჟენევაში დაფუძნებულ გაზეთს „თავისუფალი საქართველო."

პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914-1918) ევროპაში მოღვაწე ქართველმა სტუდენტებმა დაფუძნეს „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტი", რომელსაც გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და გენერალური შტაბი აფინანსებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღსანიშნავია, კალისტრატე სალიას მიერ 1962 წელს პარიზში გამოქვეყნებული სტატია – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს", რომელიც ჟურნალ „ბედი ქართლისაში" დაიბეჭდა. ასევე, თემასთან დაკავშირებით 2009 წელს ლაშა ბაქრაძემ გამოსცა მონოგრაფია – „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.)". თუმცა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალები საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, სკურპულოზურად ჯერ არ არის შესწავლილი. შესაბამისად, არ არის ზუსტი აღწერები, ანოტაციები და ნუსხები ამ დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული მასალები დღემდე ინახავს სამეცნიერო მიმოქცევაში უცნობ ინფორმაციას, რაც უმნიშვნელოვანეს ისტორიას წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის გზასთან დაკავშირებით.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან (PA AA) პროექტის „ქართული კულტურული ნაკვალევი გერმანიაში"

ხელმძღვანელმა პროფესორმა ნინო დობორჯგინიძემ მოიპოვა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების ასლები, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები. პირველი მსოფლიო ომის საიდუმლო მასალები წარმოადგენს საკმაოდ რთულ დოკუმენტებს, სადაც გვხვდება, როგორც დაშიფრული ტექსტები, ასევე, დამახინჯებული სახით, ან ფსევდონიმებით მოცემული პირთა სახელები. ტექნიკური, არქივთმცოდნეობითი თვალსაზრისით, დოკუმენტები ქაოსური ხასიათისაა: აღრეულია თარიღები, ნუმერაციები, ტელეგრამის ნომრები და ა.შ. ამჯერად, შევეცადეთ დოკუმენტების გარკვეული ნაწილი, როგორც საარქივო საქმეშია წარმოდგენილი, იმ თანმიმდევრობით აღგვეწერა და გერმანულიდან სიტყვა-სიტყვით გვეთარგმნა. იქიდან გამომდინარე, რომ საქმე ოფიციალურ დოკუმენტებს ეხება და მეტწილად საიდუმლო, დაშიფრულ ტექსტებს წარმოადგენს, ამიტომ, შინაარსობლივი თარგმანი შემდგომი კვლევისათვის არასაკმარისად მივიჩნიეთ. დოკუმენტები დალაგებულია ქრონოლოგიურად, რაც მკითხველს დაეხმარება ისტორიულ წყაროებში ასახული შინაარსობრივი სიუჟეტი დროის ცვალებადობის მიხედვით გაიაზროს. საძიებო სისტემად გამოყენებულია: საარქივო საქმის გვერდები, დოკუმენტის ნომერი, ტელეგრამების ნუმერაცია, თარიღები, ცნობის გამგზავნი და ადრესატი. ასევე, სქოლიოებში ვურთავთ, სავარაუდოდ იდენტიფიცირებულ პირთა და ადგილთა განმარტებებს:

საგარეო საქმეთა პოლიტიკური არქივი (PA AA)
1914 წლის ომის საიდუმლო აქტები
1914 წლის აგვისტოდან – 1914 წლის 31 ოქტომბრამდე
საქმე R 21008. ტომი 1. ნაწილი 2.

1) 2 გვ.: 000003, A16657, ტელეგრამა №465, თარაბია[36], 1914 წლის 9 აგვისტოს ვანგენჰაიმი[37] გერმანიის ომის სამინისტროს გენერალური შტაბს (*მიღება:* 10. აგვისტო).

1914 წლის 9 აგვისტოს ტელეგრამით №465 გერმანიის ელჩი თურქეთიდან ვანგენჰაიმი, გერმანიის ომის სამინისტროს გენე-

---

36 დოკუმენტში წერია – Therapia [თერაპია], იგულისხმება თარაბია – კონსტანტინეპოლის (სტამბულის) ერთ-ერთი რაიონი.

37 ჰანს ფონ ვანგენჰაიმი (*გერმ.* Hans Freiherr von Wangenheim, 1859-1915) – გერმანიის იმპერიის ელჩი თურქეთში 1912-1915 წლებში.

რალური შტაბს წერდა, ლიეჟის[38] შთამბეჭდავი აღების შესახებ, რაც თურქების მხარდაჭერის წყალობით შეძლეს გერმანელებმა. სანაცვლოდ, მოხუცი მარშალი ფუადი[39] ითხოვდა შეწევნას რუსეთის ჩერქეზეთზე სრული გავლენის მოსაპოვებლად, რომ გერმანიის ხელისუფლებას ჩერქეზების კავკასიის რევოლუციონიზაციაში მხარდაჭერა აღმოეჩინა თურქეთისათვის. ამ საქმეში ვანგენჰეიმი გერმანიის ომის სამინისტროს საელჩოს ნდობით აღჭურვილ კაცად მოზელის დაინიშვნას სთავაზობდა, რომელიც ფუადთან და ადგილობრივ ჩერქეზ რევოლუციონერებთან ერთად კავკასიაში გაიგზავნებოდა.

2) 3 გვ.: 000004, A16851, ავსტრია-უნგრეთის საელჩო, ბერლინი, 11. აგვისტო 1914.

1914 წლის 11 აგვისტოს ავსტრია-უნგრეთის ბერლინის საელჩო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა, რომ კონსტანტინოპოლიდან[40] „კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით, მაკედონიის აქცია დაიწყო გენერალური შტაბის მაიორ სულეიმან ასკჯრის მეთაურობით და ცნობილი პროპაგანდისტი გომერ ნადჯერი კომიტეტის მრავალ წევრთან ერთად ჩრდილოეთ სერბიასა და კავკასიაში გაიგზავნა."

1914 წლის 10 აგვისტოს სმირნადან მიღებული ტელეგრამა: „გუშინ აქ იყო რუმინეთის გენერალური შტაბი, გენერალ კოანდის[41] მეთაურობით ტურინიდან კონსტანტინოპოლში მოგზაურობს."

3) 7 გვ.: 000010, A17860, ტელეგრამა №90 [ჩასწორებული – №112], ბერნი, 1914 წლის 19 აგვისტო, რომბერგი[42] საგარეო საქმეთა ელჩს.

---

38 ლიეჟი ქალაქი ბელგიაში (*გერმ.* lüttich).

39 დელი ფუად ფაშა (1835-1931) ჩრდილო კავკასიელი წარმოშობის, ოსმალეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე.

40 როგორც დღეს, საუკუნის წინაც დასავლეთელი დიპლომატები ხშირად „სტამბული" აღმნიშვნელად, მის ძველ, ისტორიულ სახელს იყენებენ.

41 კონსტანტინ კოანდა (Constantin Coandă, 1857-1932) რუმინელი სამხედრო და პოლიტიკოსი.

42 გისბერტ ფონ რომბერგი (*გერმ.* Gisbert von Romberg) – გერმანიის იმპერიის ელჩი შვეიცარიაში 1912-1919 წლებში.

1914 წლის 19 აგვისტოს ტელეგრამა №90 [ჩასწორებული – №112] -ით გერმანიის იმპერიის ელჩი შვეიცარიაში გისბერტ ფონ რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან ატყობინებოდა: „ჟენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება: „აქ მცხოვრები ქართველი კარგი ოჯახიდან გულთბილად გვირჩია ყოფილმა შვეიცარიის პრეზიდენტმა ლახენალმა[43] საქართველოს რევოლუციური პარტიის აქტიური წევრი, რომელიც რუსეთისაგან განთავისუფლებასა და კავკასიის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, მონდომებულია კავკასიაში რევოლუცია მოაწყოს, სავარაუდოდ, თურქ ოფიციალურ პირებთან შეთანხმებითა და საკონსულოს სთხოვს შუამდგომლობას გერმანიისაგან საბძოლო მასალებით მხარდაჭერის მიღწევის მიზნით, გადაიტანოს თურქეთიდან. მთხოვნელი, ვისზეც რუსეთს გადაცემის (ექსტრადირებაზე) მოთხოვნაზე შვეიცარიის მხარიდან 1907 წელს უარი ეთქვა, მზად არის შემდგომი მოლაპარაკებებისათვის ბერლინში გამოემგზავროს; სერიოზული კაცის შთაბეჭდილებას ახდენს. გთხოვთ საკაბელო პასუხს."

4) 8 გვ.: 000011, A18021, ტელეგრამა №554, თარაბია, 1914 წლის 20 აგვისტო, ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 20 აგვისტოს გერმანიის იმპერიის ელჩმა ვანგენჰაიმმა კონსტანტინეპოლიდან ტელეგრამა №554 გაუგზავნა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლის ადრესატებიც, ასევე იყვნენ ომის მინისტრი და გენერალური შტაბი: „რომ გერმანული იარაღის პარტიის ნაწილი – დაახლოებით 4000 იარაღი – დაჩქარებულად მოდის. სასწრაფოდ საჭიროა კავკასიის მოსახლეობის შეიარაღება, განსაკუთრებით საქართველოში. იქ შეიარაღებული ჟანდარმერია უკვე მზად არის საბრძოლველად.

---

43 ადრიენ ლახენალი (*გერმ.* Adrien Lachenal, 1849-1918) იყო შვეიცარიელი სამართალმცოდნე და პოლიტიკოსი. 1880-დან 1892 წლამდე იყო ჟენევის კანტონის პარლამენტის წარმომადგენელი. 1892-1899 წლებში ბუნდესრატის წარმომადგენელი. 1896 წელს აირჩიეს ბუნდეს პრეზიდენტად. მაღალი თანამდებობების შემდეგაც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა.

ვალი ფონ ვანის[44] ცნობით დადასტურდა აქამდელი ჭორები, რომ სპარსელებმა უკვე შეიწუხეს თავი, ავღანეთთან და ბელუჯისტანთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს."

5) 9 გვ.: 000012, A18216, ტელეგრამა №107, ბერნი, 1914 წლის 21 აგვისტო, რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 21 აგვისტოს ტელეგრამა №107-ით რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან პასუხობდა ტელეგრამა №112-ზე. „ჟენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება: „სახელი არის ლეო კერესელიძე;[45] ის არის ადგილობრივი უნივერსიტეტის პრივატდოცენტი დროებით ჟენევაში არ იმყოფება, 3 დღეში დაბრუნდება. ვეცდები დავუახლოვდე და მოგიტელეგრაფებთ."

6) 11 გვ. 000015, A18964, ტელეგრამა №133, ბერნი, 1914 წლის 26 აგვისტო, რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 26 აგვისტოს ტელეგრამა 133-ით რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან ტელეგრამა №107-თან დაკავშირებით წერდა: „ჟენევის გენერალური კონსული გაისლერი იტყობინება: „დღეს დასახელებულმა ქართველმა განაცხადა, რომ დაახლოებით 20 ქართველი ოფიცერი თურქეთიდან მის პარტიას ეკუთვნის და შესაძლოა სადესანტო იარაღი თურქული ორგანოების მოქრთამვით რიზეში ტრაპეზუნტთან ადვილად გადაიტანონ, თუ აჯანყებულთა მოძრაობას თურქეთიდან მხარდაჭერა არ ექნება; რიზედან იარაღი საქართველოში მიაღწევს. პარიზში გამოცემული ქართული გაზეთის გარდაცვლილი რედაქტორის დეკანოზის[46] იაპონელ წარმომადგენელთან ერთად, რომლისგანაც 1905 წელს საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად ექვსი მილიონი ფრანკი მოიპოვა; მაშინ იარაღის მიწოდება შეძლო ამსტერდამიდან შავ ზღვასთან ფოთში."

---

44 სავარაუდოდ, იგულისხმება ჯევდედ ბეი (*თურქ.* Cevdet Bey) ვანის ვალი პირველი მსოფლიო ომის დროს.

45 ლეო კერესელიძე (*გერმ.* Leo Keresselidze, *ფესვედონიმი* leo Kerelle, 1885-1943).

46 სავარაუდოდ, იგულისხმება გიორგი დეკანოზიშვილი (*გერმ.* Dekanosi,1868-1910).

7) 13 გვ.: 000017, A19502, ტელეგრამა №639, თარაბია, 1914 წლის 29 აგვისტო, ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 29 აგვისტო, ტელეგრამა №639-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თარაბიადან წერდა: „ბაღდადში მცხოვრებმა გენერალმა მეჰმედ ფაზილ ფაშამ, ცნობილი კავკასიელი თავადის შამილის ოჯახიდან, კონსულ ჰესეს შესთხოვა, თავისი პიროვნების სახელითა და ოფიციალური გავლენით აჯანყება გამოიწვიოს, თუ კი მას უსაფრთხოების გარანტია ექნება, რომ გერმანია აჯანყებულებს შემდეგ არ მიატოვებს, არამედ სულ ცოტა სამშვიდობო ამინისტიასაც უზრუნველყოფს. ასევე მარშალ ფუად ფაშას განცხადებებით შესაძლოა, რომ რევოლუციონერებმა თავი დაიზღვიონ, სამომავლოდ რუსეთის ანგარიშგებაზე.

მე სიამოვნებით შევთავაზე მოთხოვნილი უსაფრთხოება."

8) 14 გვ.: 000018, A19576, ტელეგრამა №150, ბერნი, 1914 წლის 26 აგვისტო, რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 26 აგვისტო, ტელეგრამა 150-ით რომბერგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერნიდან წერდა პასუხს №145 ტელეგრამაზე: ჟენევის გენერალ-კონსული გაისლერი იტყობინება „დღეს ქართველი [ლეო კერესელიძე – გ.ქ.] კონსტანტინოპოლში მიემგზავრება ვენის გავლით საკონსულოსაგან წარმატების სურვილით, სადაც წარმოდგენილია როგორც ეროვნებით ელზას-ლოტარინგელი ლეო კერელე [ლეო კერესელიძე – გ.ქ.]. რისთვისაც ჟენევის ბილეთი კონსტანტინოპოლის საკონსულომდე გადახდილია. გთხოვთ კონსტანტინოპოლის სამგზავრო პასპორტი გადასცეთ."

9) 15 გვ.: 000019, A19663, საიდუმლო წერილი №1392/14. g. A. 2., ბერლინი, 1914 წლის 29 აგვისტო, გერმანიის ომის სამინისტრო საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 29 აგვისტოს გერმანიის ომის სამინისტრო საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერლინიდან „27. 8. 1914 წერილის" საპასუხოდ წერდა: თანდართული წერილი იარაღების ქარხანა მ ა უ ზ ე რ ი ს ობერნდორფში ა/ნ. შესასყიდ, გადასაცემ იარაღთან დაკავშირებით და ტყვია-წამლის უზრუნველსაყოფად. ხელს აწერს იუნგი."

10) 16 გვ.: 000020, A19663, საიდუმლო წერილი №1392/14. g. A. 2. ბერლინი, 1914 წლის 29 აგვისტო, გერმანიის ომის სამინისტრო ობერდორფის იარაღების ქარხანა მაუზერს.

1914 წლის 29 აგვისტოს გერმანიის ომის სამინისტრომ იარაღების ქარხანა მაუზერს ობერდორფში საიდუმლო წერილი №1392/14. გაუგზავნა:

„ომის სამინისტრო ითხოვს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის შესასყიდად გამოტანას:

30 ბრაუნინგის პისტოლეტი და

30 თოფი ან კარაბინი

ამასთან მოთხოვნის შესაბამის ტყვია-წამალს.

საიდუმლო კანცლერის მდივნის ხელმოწერა."

11) 22 გვ.: 000030, A20342, ტელეგრამა №693, თარაბია, 1914 წლის 3 სექტემბერი, ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 3 სექტემბერს ტელეგრამა №693-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: „ორი ქართველი, კათოლიკური აღმსარებლობის, ავსტრიის საელჩოში გამოჩნდნენ, ქართველთა ნებაყოფლობით შეიარაღებული აჯანყებისათვის რუსეთის წინააღმდეგ საცნობლად. თუმცა, მათ აღნიშნეს, ქართველები თურქული მორჩილების ქვეშ არასოდეს შევლენ და ამდენად, მხოლოდ შესაძლო ავტონომიისათვის იბრძოლებენ. მათ ითხოვეს, რომ გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ამის გარანტია მისცენ. დამატებით ითხოვეს იარაღის გადაცემა. თქვენთვის საპატივსაცემი, თუმცა, ბუნდოვანი საპასუხოა. მგონი, შაბათს შეგატყობინებთ, რომ თქვენი სურვილისამებრ გერმანია მიიღებს სამშვიდობო ანგარიშს რეგულირების მხარდასაჭერად, იმ პირობით, რომ ქართველები იბრძოლებენ. ხოლო თუ გულხელდაკრეფილი დარჩებით, მიიღებენ თურქეთ-რუსეთის ომში რუსეთის მხარეს მონაწილეობას, მათი განუხილველად დატოვების საკითხი ჩვენ უნდა მოვაგვაროთ."

12) 23 გვ.: 000031, A20342, ტელეგრამა №693, კონსტანტინოპოლი, 1914 წლის 3 სექტემბერი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 3 სექტემბერს ტელეგრამა №693-ით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსტანტინოპოლიდან ეცნობა: „შეგახსენებთ, კვირა საღამოს გაცნობეთ, რომ გერმანია თქვენი

სურვილის გათვალისწინებით, იღებს რეგულირების მხარდამჭერ სამშვიდობო ხელშეკრულებას, იმ პირობით, რომ ქართველები უყოყმანოდ იბრძოლებენ მაჰმადიანური კავკასიის მხარეს."

13) 24 გვ.: 000032, A20360, ტელეგრამა №697, თარაბია, 1914 წლის 4 სექტემბერი, ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 4 სექტემბერს ტელეგრამა №697-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: „ცნობა არაბი შეიხის ენვერთან[47] სტუმრობის შესახებ კაპიტან ჰუმანისაგან[48] მქონდა. გამოჯანმრთელებულმა ენვერმა გუშინ შემატყობინა ჰუმანისგან შესწორებული, რომ თავად შეიხმა კი არა, არამედ მისმა ვაჟმა მამის ბრძანებით მას საჩუქარი ჩამოუტანა და ის ემსახურებოდა მამამისის მთელი სისავსით უზრუნველყოფას. ეს დემარში იყო პასუხი სატელეგრაფო ზარებზე, რომლებზედაც ამ თვის დასაწყისში შეიხი მიუთითებდა. შემდეგი შეიხები ინგლისის წინააღმდეგ მარშისთვის ემზადებიან:

47 უნდა იგულისხმებოდეს ენვერ ფაშა (1881-1922) ოსმალეთის სამხედრო ოფიცერი და 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის ლიდერი. ის ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთის ომებისა და პირველი მსოფლიო ომის დროს მთავარსარდალი იყო. მის სახელს უკავშირდება სომეხთა გენოციდის მოწყობა.

48 უნდა იგულისხმებოდეს ჰანს ჰუამანი (1878-1933). ის იყო გერმანელი ოფიცერი, სამხედრო ატაშე და ვაჭარი. პირველი მსოფლიო ომის დროს კი, კაიზერული გერმანიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ოსმალეთის იმპერიაში.

1) იბნი საუოუდი[49], მას ბასორესა[50] და კუეიტის[51] [ქუვეითის – გ.ქ.] წინააღმდეგ მარშირება სურდა. რაც მან იმ პირობით შეცვალა, რომ კუეიტის შეიხმა თავად შესთავაზა განკარგულებაში ყოფნა.

2) იბნი რეშიდი[52].

3) იმამ იაჰია[53] იემენში, მას ადენის წინააღმდეგ ოპერირება სურდა.

4) სეიდ იდრისი [?], ის ეგვიპტისათვის იყო გათვალისწინებული.

გარდა ამ შეიხებისა ემზადებოდნენ ალი ბახჰემპა [?] სამხრეთ ტუნისში და ბაროუკი ალგერიაში გასააქტიურებლად. ასევე მაროკოელები, რომლებსაც ფრანგები ამზადებდნენ მარაქეშიდან გადასროლით, სანდო ადამიანებთან კავშირს კრავენ, მათ შორის ინდოელებთან და სპარსელებთან. ყველგან, კავკასიაშიც ენერგიული აგიტაცია მიმდინარეობს. მაროკოელებს სჭირდებათ ღია შე-

---

49 ტელეგრამაში გერმანულად წერია – „Ibni Sauoud" [იბნი საუოუდ]. სავარაუდოდ, არაბი შეიხის სახელი შეცდომით არის დაწერილი და უნდა იგულისხმებოდეს აბდულაზიზ იბნ აბდულ რაჰმან იბნ ფაისალ იბნ ტურკი იბნ აბდულაჰ იბნ მუჰამად ალ საუდი (1875-1953) არაბულ სამყაროში ცნობილი აბდულაზიზი, რომელსაც დასავლეთში მოიხსენიებდნენ „იბნ საუდის" სახლით.

50 ტელეგრამაში გერმანულად წერია – „Bassore" [ბასორე]. დასახელება შეცდომით უნდა იყოს დაწერილი. სავარაუდოდ, იგულისხმება ქალაქი ბასრა, დღეს ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი. 1538 წელს ოსმალეთის სულთანმა სულეიმან I-მა დაიპყრო და 1914 წლამდე თურქების გავლენის ქვეშ დარჩა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს ინგლისელებმა დაამყარეს კონტროლი ქალაქზე, ხოლო 1918 წლიდან ერაყის შემადგენლობაში შევიდა.

51 ტელეგრამაში გერმანულად წერია – „Kueit" [კუეიტ]. დასახელება შეცდომით წერია. ალბათ, იგულისხმება თანამედროვე ქუვეითის დედაქალაქი ელ-ქუვეითი. 1899-1961 წლებში ქუვეითის საშეიხო შედიოდა ბრიტანეთის პროტექტორატში.

52 ტელეგრამაში გერმანულად წერია – „Ibni Reschid" [იბნი რეშიდ]. დასახელება შეცდომით უნდა ეწეროს. სავარაუდოდ, იგულისხმება რაშიდების დინასტრიის წარმომადგენელი.

53 ტელეგრამაში – Imam Jahja, უნდა იგულისხმებოდეს იემენის იმამი იაჰია მუჰამედ ჰამიდ ედ-დინ (1869-1948), რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის ხელდასხმით მართავდა იემენს.

სასყიდი, როგორც ბარსელონაშია, იარაღით ვაჭრობის აფრიკული ცენტრი. კაიზერულმა გენერალურმა საკონსულომ შეიძლება, იქ საქმე ხელში აიღოს.

თურქეთის ომის სამინისტროში ახლა ცენტრალური ადგილი ოსმალურ მოძრაობას უკავია, რომელიც დიდი შემართებით მუშაობს. ენვერს ეშინია მხოლოდ, რომ ომი შეიძლება დამთავრდეს, სანამ სხვადასხვა არეულობები იფეთქებს, რაც ნაწილობრივ მრავალი თვის განმავლობაში სამზადისს მოითხოვს."

14) 25 გვ.: 000034, A20441, ტელეგრამა №90, ლუქსემბურგი, 1914 წლის 4 სექტემბერი, იაგოვი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს.

1914 წლის 4 სექტემბერს ტელეგრამა 90-ით იაგოვი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს ლუქსემბურგიდან ტელეგრამა №270-ის პასუხად პასუხობდა: „მე ვუტელეგრამე კონსტანტინოპოლს: „ქართველების გადაწყვეტილების გათვალისწინებით."

15) 26 გვ.: 000035, A20508, ტელეგრამა №712, თარაბია, 1914 წლის 4 სექტემბერი, ლაფერტი-ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 4 სექტემბერს ტელეგრამა №712-ით ლაფერტი-ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: *გენერალურ შტაბისთვის:* „თურქეთის მხარდაჭერით მაქვს ორი განსხვავებული ვალდებულება კავკასიის მატარებლის წინააღმდეგ მოსამზადებლად, რომელიც რამდენიმე დღეში გაემგზავრება. გთხოვთ, ინსტრუქციას, რა ადგილებშია ხიდები და გვირაბები ხელმისაწვდომი, რომელიც განსაკუთრებით გამოდგება ასაფეთქებლად, რათა მოსახლეობამ საქართველოსა და დაღესტანში ვალდებულებები უმარტივესად შეასრულონ."

16) 27 გვ. 000036, A21998, ტელეგრამი Nr. 93/9, 1914 წლის 6 სექტემბერი [თავდაპირველად გატარებული იყო 3. სექტემბრით], ომის სამინისტრო, ზოგადი ომის დეპარტამენტი.

1914 წლის 6 სექტემბერს ტელეგრამი Nr. 93/9-ით ომის სამინისტროს ზოგადი ომის დეპარტამენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: „ომის სამინისტრო დიდი პატივისცემით იტყობინება, რომ ფელდცუგმაისტერაიდან [სახმელეთო ძალების

გენერალიტეტი – გ.ქ.] ძველი მოდელის 20 ხანჯალი (ხერხით)[54] საგულდაგულო შეფუთვით გაიგზავნება."

17) 28 გვ. 000037, A20754, ტელეგრამი Nr. 607, 1914 წლის 6 სექტემბერი, გენერალური შტაბის სექცია III ბ კონსტანტინოპოლის საელჩოს.

1914 წლის 6 სექტემბერს, ტელეგრამი Nr. 607-ით გერმანიის გენერალური შტაბის სექცია III ბ კონსტანტინოპოლის საელჩოს: დაშიფრული ტელეგრამა.

„სამხედრო ატაშესთვის „კავკასიის რუსული რუკები იქით გაიგზავნა და გათვალისწინებულია. თუ შესაძლებელია, მოგვიანებით უკან დაბრუნება. იქიდან მდინარეზე გასასვლელები და მსგავსი. სხვა მასალები არ არის ხელმისაწვდომი. უფროსის სექცია III ბ."

18) 29 გვ.: 000038-000039, A 20834-ის ასლი, 1914 წლის 7 სექტემბერი, იარაღის ქარხანა მაუზერი საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 7 სექტემბერს იარაღის ქარხანა მაუზერი საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერლინიდან წერდა: „გიდასტურებთ მიღებას ლ.დ.მ. (l. d. M.) დეპეშის იმ გვერდების შედეგად:

„პრუსიის ომის სამინისტროს მოწერილი მითითებით ა.თ. 29-ს შეუკვეთეს ოცი მაუზერის იარაღი 7,9 კალიბრის ოცდაათი ათას ვაზნასთან ერთად. ასევე, ოცდაათი მაუზერის პისტოლეტი მათ შორის 15 მაყუჩით ოცი ათას ვაზნასთან ერთად. ითხოვენ დაუყოვნებლივ გაგზავნას, მრავალყუთიანი ბარგი შეძლებისდაგვარად არ აღემატებოდეს სიგრძეში ერთ მეტრს, სიგანესა და სიმაღლეში ნახევარ მეტრს. ტელეგრამის პასუხის მოთხოვნით."

თავმდაბლური პატივით გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი 30 მაუზერის იარაღი მოდელი 98 კალ. 7,9 მმ S. და 30 მაუზერი თავისი ჩასადებით – პისტოლეტი – არმია-მოდელი – კონდახითა და ჩვეულებრივი აქსესურებით აწყობილი: 10 მჭიდი ვაზნა ტყავის ზონრებით, საწმენდი ჯოხი, სარეზერვო დამაბრუნებელი ზამბარა და ინსტრუქცია, დღეს საღამოს კურიერი დაბეჭდილ, დიდად საჩქარო ტვირთს იქ გასაგზავნად მიაღწევს. ყუთები პირდაპირ შტუტგარტი-ბერლინის სწრაფ მატარებელზე დაიტვირთება და

---

54 იგულისმება პრუსიული წარმოების ხანჯალი, რომელსაც პირი ბასრი ჰქონდა, ზურგი კი ხერხისებური.

ხვალ საღამოს ბერლინში იქნება. იმედი გვაქვს, რომ გზავნილი დროულად ჩავა.

ამავდროულად, მოთხოვნილი 30 000 ვაზნა M. 88 S და 20 000 პისტოლეტის ვაზნა კალ. 7.63 მმ. იქნება მჭიდებში, რითაც ჩვენ ვაკავშირებთ გერმანულ იარაღს. საბრძოლო მასალის ქარხნებს კარლსრუეში მიეწოდება და ამ კომპანიებიდან პირდაპირ გამოითვლება. ჩვენ ვაზნების ფაბრიკას კარლსრუეში ბრძანება მივეცით. ასევე, აღსრულდეს საბრძოლო მასალის უსწრაფესი გზით გამოგზავნა.

განსაკუთრებული მაღალი ყურადღებით!
იარაღის ქარხანა – მაუზერი
სააქციო საზოგადოება
შმიდ ფრ. დოელ“

19) 30 გვ.: 000040-000041, A 20909-ის ასლი, 1914 წლის 7. სექტემბერი, გერმანული იარაღისა და საბრძოლო მასალების ქარხანა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 7. სექტემბერი გერმანული იარაღისა და საბრძოლო მასალების ქარხანა საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრამით აცნობდა:

„საიმპერატორო საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვით, ამჟამად გაცნობებთ, რომ ჩვენ ვაკავშირებთ იარაღს – მაუზერის ქარხანა A. –G., ობერდორფი ა/ნ. იმავე გვერდებთან დაკავშირებით ა.შ. სხვადასხვა ნაწილებს.

30 000 მახვილი ვაზენები მოდ. 88 S კალ. 7,9 მმ სასროლთავიანი ინფანტერიის იარაღი M/98 მჭიდები ზამბარით.

20 000 ვაზნა მაუზერის – თავისი ჩასადები პისტოლეტით კალ. 7.63 მმ. სრული სასროლო შეფუთვით, 10-სთვის ტყავის ზონრებით გაიცა. აქ ობერნდორფში მხოლოდ იარაღი დამზადდება. რადგან ჩვენ აქ მხოლოდ საბრძოლო მასალას ვაწარმოებთ.

ჩვენ ეს ვაზნები გუშინ უკვე ჩვენს საბრძოლო მასალების ქარხანაში გრიოცინგენში გავგზავნეთ. ამდენად, მას დღეს პირველივე შესაძლებლობისთანავე კარლსრუედან უსწრაფესი გზით მიეცემა შემდგომი მსვლელობა.

ზუსტი გადაზიდვის საშუალებას ჩვენ დავამატებთ ამას.

მივიღეთ, ჩვენთვის საჭირო ანგარიში. ასევე კიდევ, იქ გავამდიდრეთ და იმავე უსწრაფეს შედეგზე გავედით.

საიმპერატორო საგარეო საქმეთა სამინისტროს გამო სწრაფი გამოგზავნიდან იცოდეთ, ვუშვებთ ხმამაღალ დეპეშას.

გერმანული იარაღისა და საბრძოლო მასალების ქარხანა. (ხელმოწერილი)."

20) 32 გვ.: 000043, A20985, ტელეგრამა №740, თარაბია, 1914 წლის 7 სექტემბერი, ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 7 სექტემბერს, ტელეგრამა №740-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრამა №557-ის პასუხად წერდა, ადრესატებად უთითებდა:

„ომის სამინისტროს,

გენერალურ შტაბს,

რაიხის საზღვაო განყოფილებას,

ადმირალის შტაბს,

სახელმწიფო მინისტრს. მათ შორის დელბრიუქს.

კერელე [ლეო კერესელიძე – გ.ქ.] შემხვდა და თავისი გეგმები გამანდო. აგრეთვე წარმოადგინა მდგომარეობა, რომ მომავალი დამოუკიდებლობა საქართველოსი გარანტირებული იყოს, რაც ჩვენი მხრიდან დავუდასტურე. თალაათ ბეის[55] ამ წინადადების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. დამატებითი ინფორმაცია დაცულია.

კერელე, რომელმაც საზღვრამდე იმოგზაურა, ფიქრობს, როგორც კი ზემოთ მოცემული პრინციპული საკითხები დარეგულირდება, შეძლებისდაგვარად სწრაფად მოხდეს დიდი რაოდენობით თანამედროვე მოდელის იარაღის მიწოდება.

იარაღისა და საბრძოლო მასალის მიწოდება ჩემი შეხედულებით მაქსიმალური ენერგიით უნდა მოხდეს, თუკი ჩვენ საერთოდ უახლეს მომავალში წარმატება გვსურს, განსხვავებული მოქმედების სფეროში რაიმე შედეგის მისაღწევად."

21) 35-36 გვ.: 000047-48, A21135, ტელეგრამა №794, თარაბია, 1914 წლის 7 სექტემბერი, ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

1914 წლის 12 სექტემბერს ტელეგრამა №794-ით ვანგენჰაიმი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტელეგრამა №752-ისთვის პასუხობდა:

---

55 მეჰმედ თალაათ-ფაშა (1874-1921) ოსმალეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი (1913-1917) და დიდი ვეზირი (1917-1918). სომეხთა მასობრივი დეპორტაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი 1915 წელს.

„კერესელიძემ X)-თან[56] შეათანხმა და რამდენიმე დღეში აღმოსავლეთის საზღვრებთან გადავა, მოსელი იქნება მისი თანამგზავრი. პირველადი ხარჯისთვის მას და მრავალ ქართველ ემისარს 350 ფუნტი თურქულ ფულში გადავეცი. თანხა ტრაპეზუნტის საკონსულოდან მისი განკარგულებაში გადავა. გრიპპარისის აქტიურობა და ცნობა გვიდასტურებს მიღებას, რომ მალე საზღვარშორის თავდასხმა მოხდება.

კერესელიძე ითხოვს ამ მხრივ შუამდგომლობას, ჟენევაში დარჩენილი ზოგი ქართველის გამომგზავრება შეძლონ. ჟენევაში ქართველი მაღალოვი [ნესტორ მაღალაშვილი – გ.ქ.] რუე დე ლა ფერმეს 14-შია[57] განთავსებული. მგზავრობის საფასური, 6000 ფრანკს გასცემენ, თუ კი ჩვენი მხრიდან ვინმეს ეჭვი ეპარება.

აქ, ამას პირველ რიგში გავაკეთებ, სრული პერსპექტივის შენარჩუნებისთვის მხარს ვუჭერ თხოვნას.

ერთი სურგულაძესთან ბულევარდ კარლ ვოგტის 41-ში[58] მიმართულ წერილს გამოგიგზავნით შემდეგ ფოსტით პირდაპირ ჟენევის საკონსულოში.“

ზემოთ წარმოდგენილი პირველადი ისტორიული წყაროების შესაჯამებლად, შეიძლება ითქვას, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (PA AA) დაცული დოკუმენტების ამ ერთი ნაწილიდან ირკვევა, რომ საუკუნის წინ საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის იატაკქვეშა საქმიანობა ევროპაში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის სახელმწიფო ორგანოებთან. ისინი საგმირო საქმეებით ცდილობდნენ ქართველი ერის რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლებას, ევროპის ზესახელმწიფოებიდან პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებასა და იარაღის შემოეტანით სამშობლოში რევოლუციის მოწყობას კოლონისტების წინააღმდეგ, რაც საბოლოო ჯამში, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა.

---

56 X – არ არის იდენტიფიცირებული.

57 rue de la Ferme – ქ. ჟენევის ერთ-ერთი ქუჩის სახელი.

58 Boulevard Karl Vogt – ქ. ჟენევის ერთ-ერთი ქუჩის სახელი.

გამოყენებული საარქივო დოკუმენტები (დანომრილია ზემოთ აღწერილი ნუმერაციის მიხედვით):

1. Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 2, Telegramm 465 (#000003, Therapia, 1914 წლის 9 August, A16657, Russland 104 №11d).
2. Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 3, (#000004, Berlin, 1914 წლის 11 August, A16851, Russland 104 №11d).
3. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 7, Telegramm 90 [korrigiert – 112] (#000010, Bern, 1914 წლის 19 August, A17860, Russland 104 №11d).
4. Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 8, Telegramm 554 (#000011, Therapia, 1914 წლის 20 August, A18021, Türkei 142, Russland 104 №11d).
5. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 9, Telegramm 107 (#000012, Bern, 1914 წლის 21 August, A18216, Russland 104 №11d).
6. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 11, Telegramm 133 (#000015, Bern, 1914 წლის 26 August, A18964, Russland 104 №11d).
7. Wangenheim der Botschafter an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 13, Telegramm 639 (#000017, Therapia, 1914 წლის 29 August, A19502, Russland 104 №11d).
8. Romberg der Gesandte an Auswärtiges Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 14, Telegramm 150 (#000018, Bern, 1914 წლის 26 August, A19576, Russland 104 №11d).
9. Kriegsministerium an das Auswärtige Amt, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 15, #1392/14. g. A. 2. (#000019, Berlin, 1914 წლის 29 August, A19663, Russland 104 №11d).
10. Kriegsministerium an die Waffenfabrik Mauser in Oberndorf a/ Nackar, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 16, #1392/14. g. A. 2. (#000020, Berlin, 1914 წლის 29 August, A19663, Russland 104 №11d).
11. Wangenheim an Auswärtiges Amt der Botschafter, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 22, Telegramm 693 (#000030, Therapia, 3. September, 1914, A20342, Russland 104 №11d).

12. An Auswärtiges Amt der H. Botschafter, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 23, Telegramm 693 (Verbesserung zu) (#000031, Constantinopel, 3. September, 1914, A20342, Russland 104 №11d).
13. Wangenheim an Auswärtiges Amt der H. Botschafter, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 24, Telegramm 697 (#000032, Therapia, 4. September, 1914, A20360, Russland 104 №11d).
14. Jagow an Auswärtiges Amt der H. Staatssekretär des Ausw. Amts, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 25, Telegramm 90 (#000034, Luxemburg, 4. September, 1914, A20441, Russland 104 №11d).
15. Laffert. Wangenheim an Auswärtiges Amt der H. Botschafter, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 26, Telegramm 712 (#000035, Therapia, 4. September, 1914, A20508, Russland 104 №11d).
16. Kriegsministerium. Allgemeines Kriegs-Departament an das Auswärtiges Amt. PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 27, Telegramm Nr. 93/9. 14. A 2. (#000036, Berlin W. 66 den Leipzieger str. 5, 3. September, 1914, A21998, Russland 104 №11d).
17. St. Gr. Generalstab Sektion III b an das Botschaft Constantinopel. PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 28, Telegramm Nr. 607 (#000037, Berlin, 6. September, 1914, A21998, Russland 104 №11d).
18. Abschrift A 20834. 7/9.14, Waffenfabrik Mauser. Aktien-Ges. an das Auswärtiges Amt. PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 29 (#000038-000039, Oberndorf a/N., den 5. September, 1914, Russland 104 №11d).
19. Abschrift. A. 20909. 7. September 1914, Deutsche Waffen – und Munitionsfabriken Berlin – Karlsruhe. An das Kaiserliche Auswärtiges Amt. PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 30 (#000040-000041, Karlsruhe, den 5. September, 1914, Russland 104 №11d).
20. Wangenheim an Auswärtiges Amt der H. Botschafter, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 32, Telegramm 740 (#000043,; Therapia, den 7. September, 1914, Ankunft: 8. September 1914, A20985, Russland 104 №11d).
21. Wangenheim an Auswärtiges Amt der H. Botschafter, PA AA, R 21008, Bd 1, f Bd 2, S. 35-36, Telegramm 794 (#000047-48, Therapia, den 12. September, 1914, Ankunft: 13. September 1914, A21135, Russland 104 №11d).

6. მიხაკო წერეთლის ბიოგრაფიიდან დღემდე უცნობი ეპიზოდები (ბერლინ-დალემის პრუსიული სახელმწიფო საიდუმლო არქივში დაცული მასალების მიხედვით)

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ანარქისტის, სოციოლოგის, ფილოსოფოსის, ენათმეცნიერის, ფილოსოფოსის, ისტორიკოსის, დიპლომატის, სახელმწიფო მოღვაწის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, დღეს უკვე ქართული სახელმწიფოს მიერ, ეროვნულ გმირად შერაცხული მიხაკო წერეთლის (1878-1965) ბიოგრაფიიდან ბევრი ეპიზოდი ბურუსით არის მოცული. თითქმის არაფერია ცნობილი მისი ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში ლექტორობის, ნაცისტურ გერმანიაში მოღვაწეობისა და მისი იქ ყოფნის დროს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. უფრო მეტიც, მიხაკო წერეთელის ბიოგრაფიის შესახებ ისტორიოგრაფიაში ურთიერთგამომრიცხავი ცნობებიც კი გვხვდება.

მაგალითად,

1. კალისტრატე სალიას ცნობით, „დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მიხეილი ბრუნდება ევროპაში კათედრაზე ასირიოლოგიისა და ქართული ენის ბრიუსელის უნივერსიტეტში, ხოლო 1933 წლიდან 1943 წ-მდე ბერლინის უნივერსიტეტში – ქართული ენისა და მწერლობისა“ (სალია, 1948);

2. გერმანელი მეცნიერი შტეფი ხოტივარ-იუნგერი თავის ნაშრომში „ქართველები ბერლინში“ აღნიშნავს: „1933 წლის ოქტომბრიდან... ბერლინის უნივერსიტეტში ჯერ აღმოსავლური ენების სემინარს უძღვებოდა, 1936 წლის ივლისიდან კი მიიღო ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორის ადგილი ფილოსოფიის ფაკულტეტის ინდოგერმანულ ენათა სემინარზე. ამის შემდეგ მოღვაწეობდა დოცენტ ბოუდასთან ერთად, რომელიც ჩრდილოკავკასიურ ენებს ასწავლიდა“ (ხოტივარი-იუნგერი, 2001);

3. მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობის“ რედაქტორი ედუარდ კოდუა შესავალში წერს: „1920 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიხაკო წერეთელი მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგედ[59]. უც-

59 აღსანიშნავია, რომ მიხაკო 1917 წელს უკვე იყო თბილისის სახელმ-

ხოეთში გამგზავრების შემდეგ იგი ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრებს განაგებდა ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტებში“ (კოდუა, 1990);

4. ლევან ზ. ურუშაძე 2012 წელს გამოცემულ წიგნში „დიადი სულის უკვდავება მიხაკო წერეთელი“ აღნიშნავს: „1922-1945 წლებში იგი [მიხაკო წერეთელი გ.ქ.] იყო ჯერ ბრიუსელის უნივერსიტეტის (1922-1933), შემდეგ კი ბერლინის ჰუმბოლდტის[60] სახელობის უნივერსიტეტის (1933-1945) პროფესორი“ (ურუშაძე, 2012);

5. ნინო სამსონია 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მიხაკო წერეთელი (1978-1965)“ აღნიშნავს: „მ. წერეთელი 1933 წლიდან 1942 წლამდე ბერლინის უნივერსიტეტში მოღვაწეობს ქართული ენისა და მწერლობის კათედრაზე“ (სამსონია, 2014).

თუ რა აკადემიური თანამდებობა ეკავა და რა პერიოდში მოღვაწეობდა მიხაკო წერეთელი ბერლინის უნივერსიტეტში, ხუთივე ავტორი განსხვავებულ ბიოგრაფიულ და ქრონოლოგიურ ფაქტებს გვაწვდიან:

პირველი, ისტორიული წყაროებითა და დოკუმენტებით არ დასტურდება ბერლინის უნივერსიტეტში „ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის“ არსებობა, რაზეც მიუთითებს ზემოთ ჩამოთვლილი ავტორთა ნაწილი (კალისტრატე სალია, ედუარდ კოდუა, ნინო სამსონია). მათ შორის, უფრო სანდო და დამაჯერებელი მოსაზრება აქვს შტეფი იუნგერ-ხოტივარს, რომელიც დღესდღეობით მოღვაწეობს ბერლინის იმ უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა მიხაკო წერეთელი.

მეორე, განსხვავებული თარიღებია მიხაკო წერეთლის ბერლინის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდის შესახებ: „1933 წლიდან -1943 წლამდე“ (კალისტრატე სალია), „1933 წლის ოქტომბრიდან“ (შტეფი იუნგერ-ხოტივარი), „1933-1945“ (ლევან ზ. ურუშაძე), „1933 წლიდან – 1942 წლამდე“ (ნინო სამსონია).

გერმანელი ფილოლოგი შტეფი იუნგერ-ხოტივარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „პროფესორ ფონ წერეთლის შესახებ

წიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სიაში და 1919 წლიდან უკვე კითხულობდა ლექციებს.

60 აქაც ერთ უზუსტობას აქვს ადგილი, ბერლინის უნვერსიტეტი 1828 წლიდან 1949 წლამდე „ფრიდრიხ ვილჰელმის“ სახელს ატარებდა, 1949 წლიდან დაერქვა „ჰუმბოლდტის“ სახელი.

თითქმის არაფერია ცნობილი" (ხოტივარი-იუნგერი, 2001). თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, საბჭოთა კავშირის ბოლო წლების პერიოდში, მიხაკო წერეთლის არსებობის ისტორია თავიდან აღმოაჩინეს გურამ შარაძემ (შარაძე, 1987), გურამ ყორანაშვილმა (ყორანაშვილი, 1988), ედუარდ კოდუამ (კოდუა, 1990) და სხვებმა. რაც არაა გასაკვირი, რადგან გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია საქართველოს ისტორიის სამ დიდ ეპოქაში: რუსეთის იმპერიის კოლონიად ქცეულ კავკასიის დროს, საქართველოს დემოკრატიულ და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების პერიოდში.

1921 წელს 25 თებერვალს ბოლშევიკების მუშურ-გლეხურმა მე-11 წითელმა არმიამ „საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის" დედაქალაქი თბილისი დაიკავა და „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა" გამოაცხადა. ემიგრანტი მენშევიკური მთავრობის წევრები ევროპის ქვეყნებში წავიდნენ, საიდანაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წამოიწყეს. მათ შორის აღმოჩნდა მიხაკო წერეთელი, რომელსაც საქართველოში პოლიტიკური (გერმანიასა და სკანდინავიაში დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი) და სამეცნიერო (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორი) თანამდებობები ეკავა.

ბერლინ-დალემის პრუსიული სახელმწიფო საიდუმლო არქივში დაცულია მიხაკო წერეთელის სახელთან დაკავშირებული 41 ოფიციალური დოკუმენტი[61], რომელიც ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის. ამ ისტორიული წყაროებით, ქართველი ემიგრანტი მოღვაწის ბიოგრაფიიდან ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ხდება ცნობილი. ეს საბუთები ქრონოლოგიის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად დავაჯგუფოთ: 1) 1925 წლით დათარიღებული დოკუმენტები (6 განცხადება) და 2) 1933-1936 წლების დოკუმენტები (35 განცხადება).

61 HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.

1925 წლით დათარიღებული დოკუმენტები მიხაკო წერეთლის შესახებ

1925 წლის 17 თებერვალს დაწერილი განცხადებით (UI Nr. 109, UIK), რომლის ადრესატია ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორი, პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების მინისტრის მდივანი ბექერი აცნობებდა, რომ საქართველოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ყოფილი პროფესორი დოქ. მ. ფ. წერეთელი (მიხაკო წერეთელი – გ.ქ.) ითხოვდა ქართულის ან მსგავს პოზიციაზე ლოქტორად მუშაობის დაწყებას (Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1925, S. 1). ამ დოკუმენტით ცნობილი ხდება, რომ მიხაკო წერეთელი 1925 წელს ბერლინში იმყოფებოდა და ცდილობდა აკადემიური თანამდებობის დაკავებას ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში.

1925 წლის 20 მარტს ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორი ვრცელი მოხსენებით მიმართავს პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების მინისტრს მიხაკო წერეთლის შესახებ, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტზე კვირაში 6 საათიანი ქართული ენის სწავლების დრო გაყოფილიყო დოქ. მეკელაინსა და დოქ. წერეთელს შორის (An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1925, S. 2-3), რაზეც 1925 წლის 27 მაისს სამინისტროსაგან თანხმობა მიიღო (Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1925, S. 4). თუმცა, 1925 წლის 30 ივნისის აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორის განცხადებით (An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1925, S. 5) ირკვევა, რომ მიხაკო წერეთლის ბერლინის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების მცდელობის მიუხედავად, სხვა ქვეყანაში გამგზავრებას აპირებდა და არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ახალი სასწავლო სემესტრიდან დაიწყებდა თუ არა მუშაობას. სავარაუდოდ, ქართველი ემიგრანტი აკადემიური თანამდებობის დაკავებას აპირებდა უკრაინის ლვოვის უნივერსიტეტში, რაზეც მიუთითებს აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორის 1925 წლის 16 სექტემბრის განცხადება (An Den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1925, S. 6). საბოლოოდ, 1925 წლის 26 ოქტომბერის განცხადებაში

აღნიშნულია: „*der georgische Gelehrte Dr. von Tseretheli mir vor einigen Tagen persönlich von seinem Entschluß, nach Paris zur Uebernahme eines Amtes bei der dortigen georgischen Staatsvertretung62 überzusiedeln, Mitteilung gemacht hat, und daß er daher für die im obigen Erlaß in Aussicht genommene Verwendung im georgichen Unterricht am Seminar für Orientalische Sprachen nicht mehr in Frage kommt. Demnach muß es bei dem bisherigen Modus, wonach Dr. Meckelein 6 Stunden wöchentlich georgischen Unterricht erteilt, sein Bewenden haben.*“ (An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1925, S. 7).

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მიხაკო წერეთელი 1925 წელს ბერლინში ცხოვრობდა და ცდილობდა აკადემიური თანამდებობა დაეკავებინა ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში, რისთვისაც მან განცხადებით მიმართა მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების პრუსიის სამინისტროს თებერვლის თვეში, მაშინ როცა საგაზაფხულო სასწავლო სემესტრი უკვე დაწყებული იყო. ქართველ სწავლულთან დაკავშირებული საქმის წარმოება გაგრძელდა 1925 წლის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. საბოლოოდ, როგორც სამინისტროსაგან, ისე უნივერსიტეტიდან სრული მზაობა არსებობდა, მიხაკო წერეთელი აეყვანათ აღმოსავლური ენების სემინარის ქართული ენის ლექტორად; ფილოსოფიის ფაკულტეტზე კვირაში 6 საათიანი სასწავლო პროგრამა გაეყოთ გერმანელ ქართველოლოგ რიხარდ მეკელაინთან და 3 საათიანი დატვირთვა მიეცათ ახალი სასწავლო სემესტრიდან (სექტემბრიდან). თუმცა, მიხაკო წერეთელმა დატოვა ბერლინი და პარიზში გადასახლდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციულ მთავრობის ადგილობრივ სამსახურში მუშაობის დასაწყებად. ქართული ენის სწავლება ბერლინის აღმოსავლური ენების სემინარზე ძველი ფორმატით გაგრძელდა.

62 იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციული მთავრობა.

1933-1936 წლების დოკუმენტები მიხაკო წერეთლის შესახებ

რამდენიმე წლის შემდეგ მიხაკო წერეთელი საცხოვრებლად ისევ ბერლინში ბრუნდება, რასაც მოწმობს შტეფი იუნგერ-ხოტივარის ცნობა: „როგორც პირველი ქართული წიგნი და ლიტერატურული ნაწარმოები, 1933 წელს ბერლინში დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა". გამომცემელი იყო არჩილ მეტრეველი, თარგმანი შეასრულა მიხეილ წერეთელმა, ხოლო დაწვრილებითი, ვრცელი შესავალი დაწერა ზურაბ ავალიშვილმა. ამ სამმა ემიგრანტმა ამოცანად დაისახა კერძო გამომცემლობა „ქართულ ბიბლიოთეკაში" გამოეცათ თავიანთი ქვეყნის მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები და ამით გერმანიისათვის გაეცნოთ ქართველი ავტორები. სამწუხაროდ, გამოსაცემად დაგეგმილი ეს სერია, ალბათ ფინანსების ნაკლებობის გამო, ვერ განხორციელდა" (ხოტივარი-იუნგერი, 2001).

მიხაკო წერეთელი 1933 წელს რომ უკვე ბერლინში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ამას ადასტურებს ამავე წლის 20 ოქტომბერს პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების მინისტრის ბრძანება (Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1933, S. 9), რომლის ადრესატებიც არიან: ბერლინის პასაუერშტრასე 37 ა-ში მცხოვრები ბატონი დოქ. მიხეილ ფონ წერეთელი და აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორი. ამავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიხაკო წერეთლის ყოველთვიური ანაზღაურება 1934 წლის 31 მარტამდე 450 რაიხსმარკა იქნებოდა.

1933 წლის 26 ოქტომბრის აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორის, პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების მინისტრისადმი მიმართულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ დოცენტების მიხაკო წერეთლისა და მუჰამად ბაშარატ ალის მიმართ 1933 წლის 11 თებერვლის მინისტრის ბრძანება არ ვრცელდება, შესაბამისად საჭირო იყო ახალი რეგულაციის მიღება: *„Ich bitte, ähnlich wie im Ministerialerlaß vom 11. Februar 1933 – U I Nr. 5201/33-, für die mit 3 bzw. 5 Wochenstunden beauftragten Dozenten Dr. von T s e r e t h e l i, Muhammed Basharat A l i zum Ausdruck bringen zu wollen, daß auch bei diesen beiden die vorschriften der Einbehaltungsverordnung keine Anwendung finden, da dieselben Voraussetzungen gegeben sind"*



10

26. Oktober 3

Tgb. Nr. 811

An den Herrn Minister
für Wissenschaft, Kunst
und Volksbildung
Berlin W8
Unter den Linden 4

Ich bitte, ähnlich wie im Ministerialerlaß vom 11. Februar 1933 -UI Nr. 5201/33- , für die mit 3 bzw. 5 Wochenstunden beauftragten Dozenten

Dr. von Tseretheli,

Muhammed Basharat Ali

zum Ausdruck bringen zu wollen, daß auch bei diesen beiden die Vorschriften der Einbehaltungsverordnung keine Anwendung finden, da dieselben Voraussetzungen gegeben sind.

Der Direktor

z. d. a.
Prof. v. Tseretel.
Mgl. Ali

ბერლინ-დალემის საიდუმლო სახელმწიფო არქივის დოკუმენტი მიხაკო წერეთლის შესახებ. GStA PK, I HA, Rep. 208 A, Nr. 73, 10.

(An Den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1926, S. 10). მსგავსი შინაარსის განცხადებით 1933 წლის 9 ნოემბერს ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის მმართველი დირექტორი მიმართავს ბრძანებით აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორს (Der Verwaltungs-Direktor bei der Friedrich-Wilhelms-Universität, 1933, S. 11).

1933 წლამდე ქართველი სწავლული ბრიუსელის უნივერსიტეტში მოღვაწობდა, შემდეგ საცხოვრებლად ბერლინში გადავიდა და ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში გააგრძელა თავისი აკადემიური მოღვაწობა. ამ დროს გერმანიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, 1933 წელს 30 იანვარს ვაიმარის რესპუბლიკის რაიხსპრეზიდენტმა პაულ ფონ ჰიდენბურგმა ადოლფ ჰიტერი გერმანიის რაიხსკანცლერად დანიშნა. (Kotulla, 2008) 1933 წლიდან 1945 წლამდე ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიის მუშათა პარტიამ ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა და „გერმანული იმპერია" გამოაცხადა. მსოფლიოში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ წამოწყებული კრიტიკა, გერმანელ ნაციონალ-სოციალისტების მიერ შეფასდა, როგორც „სასტიკი პროპაგანდა". პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების მინისტრისადმი აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორის 1934 წლის 19 იანვრის განცხადებით (An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1934, S. 13) ირკვევა, რომ მიხაკო წერეთელი აქტიურად გამოეხმაურა ბელგიაში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას და გააკრიტიკა ის; როგორც ჩანს, ქართველი მოაზროვნის გამოსვლა იმდენად რადიკალური იყო, რომ მას ბრიუსელის უნივერსიტეტის დატოვება მოუწია და ბერლინის უნივერსიტეტში გადავიდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, ერთ დროს ანარქისტი, შემდეგ სოციალისტი მიხაკო წერეთელი ფაშისტური იდეოლოგიის მიმდევარი გახდა.

1934 წლიდან მიხაკო წერეთელმა ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტში გააგრძელა მუშაობა ქართული ენის მასწავლებლად. რასაც ადასტურებს, 1934 წლის 29 იანვრის პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების მინისტრის მდივანის ვაჰლენის განცხადება (Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1934, S. 18) მიმართული აღმოსავლური ენების სემინარის დირექტორისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით, 1934

წელს გაგრძელდეს ქართული ენის სემინარის კვირაში 3 საათიანი სალექციო კურსი მიხეილ ფონ წერეთლის ლექტორობით. ამ ფორმატით მუშაობდა ქართველი სწავლული 1936 წლის მარტის ბოლომდე, თუმცა მისი ყოველთვიური ანაზღაურება შემცირდა წინა პერიოდთან შედარებით და განისაზღვრა 280 რაიხსმარკით (Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, 1934, S. 15); (Herrn Prof. von Tseretheli, 1936, S. 28).

1936 წლის 18 აპრილს ნაციონალ-სოციალისტური გერმანელ დოცენტთა კავშირის[63] მდივანმა შტაინბეკმა ოფიციალური განცხადებით, რომელსაც ასევე ხელს აწერს კაუფმანი, მიმართა ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების სემინარის პროფესორ პალმეს, რომ ეცნობებინა დოქ. წერეთლის პოლიტიკური შეხედულების შესახებ: *„Sehr geehrter Herr Professor ! Ich bitte um ein Gutachten über Dr. T s e r e t h e l i insbesondere über seine politische Einstellung. Heil Hitler !"* (N.S.D.-Dozentenbund, 1936, S. 30). აღნიშნულ განხზადებაზე 1936 წლის 20 აპრილს პროფესორმა პალმემ ნაცი-დოცენტთა კავშირს აცნობა: *„Zu der Aufrage vom 18. April d. Js. teilte ich mit, daß Herr Dr. Michael von Tseretheli, früherer Professor der Assyriologie und Geschichte des alten Orients an der georgischen Staatsuniversität in Tiflis, seit dem Wintersemester 1933/34 mit Vorlesungen über Georgisch beauftragt ist. Er ist ein politisch einwandfreier Mann, der in seinem Denken dem Nationalsozialismus nahesteht, und ein vornehmer und liebenswürdiger Charakter"* (An den N.S.D.-Dozentenbund, 1936, S. 31).

1936 წლის 30 ივნისს იმპერიისა და პრუსიის მეცნიერების, აღზრდისა და სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებაში, რომელსაც ხელს აწერს მდივანი ვაჰლენი, აღნიშნულია, რომ 1936/37 წწ ბერლინის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ახალი ზამთრის სემესტრის სასწავლო წლიდან მიხაკო წერეთელი იწყებდა ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ინდოგერმანული ენის სემინარის სწავლებას, რისთვისაც წლიურად დაენიშნა 900 რაიხსმარკა

---

63 ნაციონალ-სოციალისტურ გერმანელ დოცენტთა კავშირი (N. S. D. – Dozentenbund) 1935 წლის ივლისში რუდოლფ ჰესის ხელმძღვანელობით შეიქმნა, რომლის გავლენის ქვეშაც მოექცნენ უნივერსიტეტები და რომელთა ძირითადი საქმიანობა იყო უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტიკური შეხედულებების კონტროლი.

(Der Reichs- Und Preußische Minister für Wissenschaft, Erziehung und Volksbildung, 1936, S. 33).

ბერლინის პრუსიულ სახელმწიფო საიდმულო არქივში შეინახულია 1936 წლის 26 აგვისტოს დათარიღებული მიხაკო წერეთლის ხელნაწერი განცხადება, სადაც ყოველთვიურ გასამრჯელოს 75 რაიხსმარკას ითხოვს.[64] ამ განცხადების საპასუხოდ, 1936 წლის 31 ოქტომბერს იმპერიისა და პრუსიის მეცნიერების, აღზრდისა და სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებით (W III b 2858.) მიხაკო წერეთლს ერთჯერადი დახმარება 450 რაიხსმარკა დაენიშნა (Der Reichs- Und Preußische Minister für Wissenschaft, Erziehung und Volksbildung, 1936, S. 39).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერლინის პრუსიულ სახელმწიფო საიდმულო არქივში დაცული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ისტორიული თვალსაზრისით სანდო წყაროს წარმოადგენენ, მიხაკო წერეთლის შესახებ, საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ქართველი მოაზროვნის ბიოგრაფიიდან დღემდე უცნობ ეპიზოდებზე. კერძოდ, პირველი – ემიგრაციაში წასული ქართველი სწავლული 1925 წელს ბერლინში ცხოვრობდა და ცდილობდა აკადემიური თანამდებობა დაეკავებინა ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში, მაგრამ პრუსიის მეცნიერების, ხელოვნებისა და სახალხო განათლების სამინისტროსა და ბერლინის უნივერსიტეტიდან სრული მზაობის მიუხედავად, მიხაკო წერეთელი პარიზში გადასახლდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციულ მთავრობის ადგილობრივ სამსახურში მუშაობის დასაწყებად.

მეორე – 1933 წელს მიხაკო წერეთელმა ბრიუსელის უნივერსიტეტი დატოვა როგორც გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტურ მთავრობის მომხრემ. მან ბელგიაში გააკრიტიკა ანტიფაშისტური პროპაგანდა, რის შემდეგაც გადასახლდა ბერლინში და ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში დაიწყო აკადემიური მოღვაწობა. ამრიგად, ყოფილი ანარქისტი და სოციალისტი ფაშისტური შეხედულების მომხრე აღმოჩნდა.

მესამე – ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში ძველ ქართული ენას ასწავლიდა, კვირაში 3 საათიანი დატვირ-

64 HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73; 37 S.

თვით აღმოსავლური ენების სემინარის ფორმატში რიხარდ მეკელაინთან ერთად, რომელიც თანამედროვე ქართული ენის ლექტორი იყო.

მეოთხე – მიხაკო წერეთლის ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში 1933-1934 წლებში – 450 რაიხსმარკას შეადგენდა. 1934-1936 წლებში – 280 რმ-ს.; 1936 წლის 30 ივნისს იმპერიისა და პრუსიის მეცნიერების, აღზრდისა და სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებით დაენიშნა ყოველწლიური სტიპენდია 900 რმ და ამავე წლის შემოდგომით ერთჯერადად მიიღო ფინანსური დახმარება – 450 რმ.

მეხუთე – 1936 წლის 18 აპრილს ნაციონალ-სოციალისტური გერმანელ დოცენტთა კავშირი დაინტერესდა მიხაკო წერეთლის პოლიტიკური შეხედულებებით, რაზეც ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების სემინარის პროფესორი პალმე ახასიათებს, ნაციონალ-სოციალისტური აზროვნების ადამიანად.

გამოყენებული საარქივო დოკუმენტები და ლიტერატურა:

1. An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, Tgb. Nr. 123 (März 20, 1925). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
2. An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, Tgb. Nr. 605 (30. Juni 1925). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
3. An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, Tgb. Nr. 1110 (Oktober 26, 1925). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
4. An Den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, Tgb. Nr. 605 (September 16, 1925). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
5. An Den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, Tgb. Nr. 811 (26. Oktober 1926). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.

6. An den Herrn Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, Tgb. Nr. 75 (Januar 19, 1934). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
7. An den N.S.D.-Dozentenbund, Tgb. Nr. 239 (20. April 1936). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
8. Der Direktor des Seminars für Orientalische Sprachen, UI Nr. 8826 (Oktober 30, 1934). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
9. Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, UI Nr. 109, UIK (17. Februar 1925). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
10. Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, UI Nr. 706, UIK (27. Mai 1925). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
11. Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, UI Nr. 8826 (Oktober 20, 1933). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
12. Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, UI Nr. 5142.34 (Januar 29, 1934). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
13. Der Preußische Minister Für Wissenschaft, Kunst und Volksbildung, UI Nr. 5329 (Februar 15, 1934). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
14. Der Reichs- Und Preußische Minister für Wissenschaft, Erziehung und Volksbildung, WIp Tseretheli c, W III b (Juni 30, 1936). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
15. Der Reichs- Und Preußische Minister für Wissenschaft, Erziehung und Volksbildung, W III b 2858 (Oktober 31, 1936). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
16. Der Verwaltungs-Direktor bei der Friedrich-Wilhelms-Universität, V. D. Nr. III 445/33 / 3.11. (9. November 1933). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.

17. Herrn Prof. von Tseretheli, Tgb. Nr. 5 (8. Januar 1936). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
18. Kotulla, M. (2008). Deutsche Verfassungsgeschichte: Vom Alten Reich bis Weimar (1495-1934). Berlin: Springer. HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
19. N.S.D.-Dozentenbund, Ste/kf. (18. April 1936). HAUPTARCHIV (ehem. Preuß. Geheimes Staatsarchiv) Berlin-Dahlem: Rep. 208 A, Nr. 73.
20. კოდუა 1990: ედუარდ კოდუა, მიხაკო წერეთელი და მისი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა". მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.
21. სალია 1948: კალისტრატე სალია, მიხეილ წერეთელი. ჟურნალი ბედი ქართლისა #3, პარიზი, 1948.
22. სამსონია 2014: ნინო სამსონია, მიხაკო წერეთელი 1878-1965, ჟურნალი ახალგაზრდებისათვის „ჩემი სამყარო," თბილისი, 2014
23. ურუშაძე 2012: ლევან ზ. ურუშაძე, დიადი სულის უკვდავება, მიხაკო წერეთელი, თბილისი: არტანუჯი, თბილისი, 2012.
24. ყორანაშვილი 1988: გ. ყორანაშვილი, მიხაკო წერეთელის ნააზრევი ერის შესახებ, ლიტერატურული საქართველო, თბილისი, 1988.
25. შარაძე 1987: გურამ შარაძე, მიხაკო წერეთელი, ლიტერატურული საქართველო, თბილისი, 1987.
26. წერეთელი 1990: მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.
27. ხოტივარი-იუნგერი 2001: შტეფი ხოტივარი-იუნგერი, ქართველები ბერლინში. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი, 2001.

Resume

Giorgi Kavtaradze

Georgian kings and princes were trying to establish ties, and to develop relationships with European monarchies. In times of cultural, religious, demographic crisis, the Catholic missions sent by the Pope, and Russian ambassadors hold out hope to the Bagrations. In such circumstances, Georgians became closer to Europeans. The Capuchins, the Theatines, Jesuit monks were honored guests and members of the royal retinue in the Georgian Kingdoms-Princedoms. Thanks to them, in XVII–XVIII centuries, were brought up such Georgians thinkers as: Vakhushti Batonishvili, Beri Egnatashvili, Sulkhan-Saba Orbeliani, Vakhtang VI, Teimuraz II, daughter of Vaghtang VI, Tamar (mother of King Erekle II), etc. In addition, at the royal courts of Russia and Persia, it became fashionable to send their Princes to Europe, in order to get an education. The best example of this is Peter the Great and Nader Shah's son – known as Baron Semlin.

From XVIII century, in the history of Georgian-German relations, there are authentic sources about Georgians' stay in Germany. Among the sources, if taking them chronologically, the oldest is about military education of Prince Erekle. The following sources are about visits of other Georgian Princes to Germany. The next sources tell about the military campaign of Georgian Hussars regiment, in whose ranks poet Davit Guramishvili was fighting. Among the above-mentioned sources, in the Georgian historiography, the issue of Davit Guramishvili has been well researched, but the same cannot be said of King Erekle II.

In 1910, in Geneva a famous Georgian National-Political figure – Petre Surguladze created "The Group of Separatists", the member of which were the brothers – Giorgi and Leo Kereselidzes, Nestor Maghalashvili, Varlam Cherkezishvili, Mikhako Tsereteli, Giorgi Machabeli and others. In 1913-14 Leo Kereselidze was co-editor of the Newspaper "Free Georgia", which was founded by Giorgi Kereselidze.

During the period of the First World War Georgian students who worked in Europe at that time, founded the "Georgian Liberation

Committee", which had been financed by the Ministry of Foreign Affairs of German Empire and General Staff.

Although, scrupulous review of the materials about the Georgian Liberation Committee being stored in the Archive of the Ministry of Foreign Affairs of Germany has not been implemented yet. There are not any exact descriptions, annotations and lists of these documents either. The above mentioned documents still keep an unknown information, which could be most significant History concerning the ways of fight for Georgian Independence.

100 years after the announcement of Georgian Democratic Republic, we will have an opportunity to present a report about the documents concerningGeorgian state activities, stored in Germany.

თავი IV

ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია[1]

1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა XVIII-XIX საუკუნის ევროპულ, მათ შორის გერმანულ ისტორიოგრაფიასა და პრესაში ერეკლე მეორისა და იმდროინდელი საქართველოს ყოფის ამსახველ მასალებს, მეტ-ნაკლებად აქტუალური მოვლენების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებსა და ვარაუდებს. ხშირ შემთხვევაში უცნობია, რას ეფუძნება აღნიშნულ წყაროებში გამოთქმული ესა თუ ის მო-

---

1 სტატიაში გაერთიანებული სახითაა წარმოდგენილი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში: *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში* (HE 15-021) ჩემ მიერ 2015-2018 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები (Doborjginidze 2017: 212-231; Doborjginidze 2018: 69-87; Doborjginidze 2019: 259-275) და ამავე პროექტის ფარგლებში ჩვენი კვლევითი ჯგუფის მიერ შექმნილი პროსოპოგრაფიული ბაზის მონაცემები (http://qakuna.iliauni.edu.ge/ka). ამასთანავე, იგი არის ჩემ მიერ 2012-2015 წლებში ერეკლე II-სა და იმდროინდელი საქართველოს შესახებ ევროპული, ძირითადად, უცხოური კათოლიკური მისიების წყაროთა კვლევის უშუალო გაგრძელება.

საზრება, როგორ, რა ვითარებაში, ქართული ისტორიოგრაფიისთვის დღემდე უცნობი ან ნაკლებად შესწავლილი რომელი პერსპექტივიდან აღიწერეხოდა იმდროინდელ ევროპულ წყაროებში ერეკლესა და მისი სამეფოს ცხოვრების ამსახველი ისტორიული, ან მასთან მიმსგავსებული ამბები, არც თუ იშვიათად ნახევრად ლეგენდარული, საისტორიო თუ ლიტერატურული კლიშეები მეფე ერეკლეს განსაკუთრებული როლისა და დამსახურებების შესახებ როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ზოგადად, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის კონტექსტში.

სხვადასხვა პერსპექტივიდან სტატიაში გაანალიზებული იქნება შემდეგი დოკუმენტები:

ა) კვლევითი პროექტის – *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში* – ფარგლებში გოტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა და იშვიათი გამოცემების განყოფილებაში განყოფილებაში (Historisches Gebäude, Lesesal Handschriften und Seltene Drucke) მიკვლეული უცნობი ქართულენოვანი მიმოწერა ერეკლე მეორესა და მის გერმანელ ექიმს, დოქტორ რაინექსს, ასევე კნიაზ სულხან ბეგთაბეგოვსა და ერეკლეს კარის სხვადასხვა საერო და სასულიერო პირებს შორის.[2] ამავე განყოფილებაში გამოვლენილ იქნა საქართველოში თეათინელი მისიონერის, მარია ფრანჩესკო მაჯოს (Maria Francesco Màggio) მიერ შედგენილი პირველი ქართული გრამატიკის (Syntagmaton Linguarum Orientalium Quae in Georgiae Regionibus Audiuntur) საანბანე ნაწილი და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი ადრეული ხელნაწერი.[3] ამავე ისტორიული კონტექსტის ნაწილია პრუსიის სახელმწიფო საიდუმლო არქივში (Geheimes Staatsarciv, Preußischer

---

2 ეს მიმოწერა გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავში დაცულია შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრებით: Cod. MS. Asch. 153. იგი აქამდე არ ყოფილა აღწერილი, შესაბამისად, არ იძებნებოდა არც ერთ კატალოგში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა მისი საავტორო უფლებები გამოსაქვეყნებლად (იხ. სტატიის ბოლოს დანართი 1).

3 მარია ფრანჩესკო მაჯოს საანბანე ფრაგმენტი გოტინგენის ბიბლიოთეკაში დაცულია შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: Cod. Ms. Philol. 256 (იხ. დანართი 2). ხოლო საბას ლექსიკონი კი – Cod. MS. Asch. 152.

Kulturbesitz) ერეკლესა და მისი შთამომავლების შესახებ დაცული წყაროები.[4]

ბ) 1793 წელს ლაიპციგში გამოცემული წიგნი: "Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und Beschreibung des gegenwärtigen Zustandes von Georgien" (მოკლე ისტორია პრინცი ერეკლეს და თანამედროვე საქართველოს მდგომარეობისა),[5] რომელიც ისტორიოგრაფიული პერსპექტივიდან არაერთგზის განხილულა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ შორის აღნიშნული პროექტის ფარგლებშიც;[6]

გ) იტალიაში, პროპაგანდა ფიდესა და კაპუცინელთა არქივში დაცული წყაროები ერეკლე მეორისა და ევროპელი მისიონერების ურთიერთობის შესახებ;[7]

---

4 პრუსიის საიდუმლო არქივის მასალებიდან მნიშვნელოვანია თეიმურაზ ბატონიშვილთან დაკავშირებული დოკუმენტი იხ. B-PH, Rep. 192 Nl W. L. G. zu Wittgenstein, VI Nr. 8, 1-2. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგი გამოავლინა, შეისწავლა და ავტოგრაფულად გამოაქვეყნა გ. ქავთარაძემ.

5 გამომცემლის თქმით, აღნიშნული წიგნი შედგენილია Graf Jeta-ს, იმავე Elias Habeski-ს ჩანაწერებზე დაყრდნობით. იხ. Henrichs 1793:12. მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ გ. კალანდიამ მომცა საშუალება, გავცნობოდი ამ ტექსტის ბორის კალანდიასეულ გამოუქვეყნებელ ქართულ თარგმანსაც.

6 იხ. გიორგი ქავთარაძის სტატია ამავე კრებულში.

7 იტალიაში დაცული წყაროების დოკუმენტირებისა და შესწავლის მიზნით 2011-2012 წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნივერსიტეტების პროფესორთა მონაწილეობით კვლევითი ექსპედიცია მოაწყო რომსა და ნეაპოლში. ესენია: ა. *პროპაგანდა ფიდეს* საისტორიო არქივი (Archivio Storico dei Propaganda fide. Scritture non riferite. Monte Caucaso Giorgia); ბ. წმინდა კონგრეგაციის აღმოსავლეთის ეკლესიათა ფონდის ქართული მასალები (Sacra congregatione per la Chiesa Orientale. Scrittura rifferite nei Congresse. Georganni 1861 -1892); გ. თეათინელთა მონასტრის არქივი (Archivio dei Teatini di Sant'Andrea della Valle); დ. კაპუცინელთა მონასტრის არქივის საქართველოს მასალები (Archivium generale Ordinis, Provincia: Giorgia, Missio Santa Sedis). ამ წყაროების თარგმნისა და ცალკეულ საკითხთა მონოგრაფიული შესწავლის მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მუშაობს კვლევითი ჯგუფი. იხ. პუბლიკაციები: დამენია 2017; დობორჯგინიძე 2012, 2013, 2015, 2016, 2017; Doborjginidze 2014. მაია დამენია ამუშავებს ვატიკანის პროპაგანდა

დ) 1750-იანი წლებიდან ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში მეფე ერეკლეს შესახებ გამოქვეყნებული სტატიები, ასევე, პრესის მიმოხილვით ნაწილში ასახული სხვადასხვა ხასიათის ინფორმაცია იმდროინდელი საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ცალკეულ საკითხებზე.[8] ამ წყაროების შედარებითმა კვლევამ მომცა შესაძლებლობა, დამეზუსტებინა გიოტინგენში მიკვლეული წყაროების, ზოგადად, ერეკლე მეორისა და იაკობ რაინექსის ურთიერთობის ფართო პოლიტიკური კონტექსტი.

2. მეთოდოლოგიური ჩარჩო

აღნიშნული წყაროები, როგორც იმდროინდელი საქართველოსა და ერეკლე მეორის ევროპული პროექცია და ასევე ქართული ისტორიოგრაფიის შესაბამისი მასალა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სტატიაში ორი პერსპექტივიდან იქნება განხილული:

1. ერეკლე მეორის ეპოქა, როგორც საქართველოში მოდერნულობის საწყისი ეტაპი. დასავლური ტრადიციისგან განსხვავებით, საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში მიმდინარე პროცესები, შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გადასვლა, მეთოდოლოგიური კონცეპტების გათვალისწინებით ნაკლებადაა შესწავლილი. ქარ-

---

ფიდეს საისტორიო არქივში დაცულ დღემდე ნაკლებად შესწავლილ ან გამოუცემელ წყაროებს საქართველოს შესახებ; მან პალეოგრაფიულად შეისწავლა, გაშიფრა და თარგმნა XVII-XIX საუკუნეების უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. მათ შორის გაეტანო რასპონის დღემდე უცნობი რელაციონე. ანა ჭკუასელი იკვლევს XVII-XIX საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე ევროპელი მისიონერების მიერ შექმნილ აქამდე უცნობ ორენოვან და სამენოვან ლექსიკონებს, ქართული ენის მოკლე გრამატიკებსა და კათოლიკურ ლიტურგიაში გამოსაყენებელ ქართულენოვან ტექსტებს, ქადაგებებს, წმინდა წერილის განმარტებებს, სამედიცინო ხასიათის ლიტერატურას. ამ წყაროების მიხედვით თანამედროვე ციფრული ჰუმანიტარიის სტანდარტების შესაბამისად 2016 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა.

8 ეს მასალები თარგმნა გ. კალანდიამ. იხ. კალანდია 2017.

თული შუა საუკუნეების მაგალითზე არ არის თუნდაც მეტ-ნაკლები სისრულით ნაკვლევი დასავლურ ტრადიციაში აპრობირებული არაერთი პერსპექტივა მოდერნულობის სემანტიკის, ელემენტების გაჩენისა შუა საუკუნეებში.[9]

2. ევროპულ ისტორიოგრაფიასა და პრესაში ერეკლესა და მისი სამეფოს რეპრეზენტაცია სტატიაში განხილული იქნება **მეხსიერების კვლევის** პერსპექტივიდან. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელს წინამდებარე სტატია უკავშირდება მხოლოდ ნეგატიურად. მასში განხილული არ იქნება მეხსიერების მაკონსტრუირებელი ფაქტები და დროთა განმავლობაში მათ შესახებ შექმნილი ტექსტები; პირიქით, შევეხები იმ მოვლენებს, სხვადასხვა ისტორიულ თუ ნაკლებად ცნობილ პირებთან დაკავშირებულ ამბებს, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, მეხსიერების ტექსტურ კორპუსში ვერ მოხვდა. ჯერ კიდევ წინარე კოლონიურ ეპოქაში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მათი უგულებელყოფის, მიჩქმალვის, ხშირ შემთხვევაში კი აკრძალვის მიზეზად მეზობელი რუსეთის სახელმწიფოებრივი და რელიგიური ინტერესების დაცვა სახელდებოდა.[10]

ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსიფიკაციის საკმაოდ მოქნილი პოლიტიკის[11] მეშვეობით იოლად მოხერხ-

---

9 იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდერნულობის გენეალოგიის კვლევის ინსტიტუტის მიერ დაარსებულ სერიაში: *მოდერნულობის ისტორია და თეორია* დასმული კვლევითი პრობლემატიკა როგორც მოდერნულობის თეორიის, ისე ისტორიის თვალსაზრისით; იხ. ზედანია, ღაღანიძე (რედ.) 2009; ზედანია (რედ) 2010; ზედანია (რედ): 2012; Zedania (ed.) 2018.

10 ამ დევნის ფსევდორელიგიურ არგუმენტებზე ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდები.

11 ვგულისხმობ მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წლებში რუსეთის მიერ გატარებულ ენობრივ და რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ქართული ენის სოციალური და ფუნქციური განვითარების ისტორიული (ინკულტურაციული) მოდელისაგან. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში, როცა პოლიტიკურად და კულტურულად არცთუ გამორჩეულმა ენებმა ერთბაშად შეიძინა მნიშვნელოვანი სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციები (იხ. ბოედერი 1998: 69). ინკულტურაციული პროცესებისა და ადგილობრივი ენის სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების

და იმდროინდელი საქართველოს ალტერნატიული (ევროპული) პერსპექტივის შესახებ საისტორიო მეხსიერების წაშლა და მისი ჩანაცვლება ერთმორწმუნეობის კოლონიური მითით. სწორედ მეხსიერებიდან წაშლილი, დღემდე ნაკლებად ცნობილი და ასევე ძალიან ფრაგმენტულად ნაკვლევი უცნობი ფაქტების პროექციას წარმოადგენს ევროპული ისტორიოგრაფიისა და პრესის ეს დოკუმენტები.

3. ერეკლეს მეორის ეპოქა მოდერნულობის პერსპექტივიდან

მოდერნულობის სემანტიკა, ფეოდალური საზოგადოების რღვევისა და ახლის ჩამოყალიბების რეალური ნიშნები საქართველოში პირველად ერეკლე მეორის ეპოქაში გაჩნდა. როგორც XVIII საუკუნის II ნახევრის უცხოური და ქართული წყაროები, კერძოდ კი ერეკლესა და საქართველოს შესახებ 1793 წელს გამოცემული ზემოთ დასახელებული გერმანული ისტორია იუწყება, „ქართველთა პეტრე დიდად“ წოდებულმა ერეკლემ (Prince Heraclius) იმ მიზნით, რომ შეეცვალა მაშინდელი მიუღებელი ყოფა, ჩუმად იმოგზაურა ევროპაში განათლების მისაღებად; იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა სხვადასხვა ხალხის მთავრობათა მმართველობის მეთოდებისა და მეურნეობის მოწყობის მიმართ, რომლითაც ისინი საკუთარ ქვეყანას აძლიერებდნენ. პრუსიის მეფის ძალებ-

---

განვითარების თვალსაზრისით ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთიანი ენობრივ-რელიგიური სივრცის ორგანული ნაწილი იყო ქართულიც და საეკლესიო სლავურიც. სავარაუდოდ, განვითარების ამ საერთო-ისტორიული (აღმოსავლურ-ქრისტიანული) გზის ლოგიკურ გაგრძელებას გეგმავდა საქართველო რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებით; თუმცა იმთავითვე ნათელი იყო, რომ რუსეთი არა იმდენად თანასწორუფლებიანი, მრავალენოვანი ტრადიციების მაღიარებელი ქრისტიანული აღმოსავლეთის, არამედ უფრო საკუთარ გამორჩეულობასა და სხვა ეთნოსებზე აღმატებულობაში დარწმუნებული ბიზანტიის (Borst 1957: 304) მემკვიდრედ აცხადებდა თავს. აღმოსავლეთ-ქრისტიანული სამყაროს ენობრივი ტენდენციებისა და ერთმორწმუნეობის რუსული მოდელის შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2012: 78-84.

ში ლეიტენანტად ყოფნისას ერეკლემ საკუთარ თავზე გამოცადა ევროპული ჯარის სიკეთე, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი „მათი რეალიზებით ინტენსიურად მიჰყო ხელი თავისი ქვეყანის მდგომარეობის გაუმჯობესების პროექტს, რომლის სასიხარულო დასაწყისი და განვითარება კარგად არის ცნობილი" (შდრ. „Er [sc. Heraclius] beschloss eine Reise nach Europa zu machen und sich alle moegliche Kentnisse zu erwerben. Er richtete seine besondere Aufmerksamkeit auf die Regierungsform der verschiedenen Nationen und lernte die Mittel kennen, wodurch diese ihren Thron befestigen. Hierauf widmete er seine Zeit Militaerwissenschaft. [...] Heraclius war eine geraume Zeit in Europa gewesen und hatte zuletzt als Capitan in preussischen Diensten gestanden. Er hatte alle Widerwaertigkeite des Fluchtes erfahren, ja selbst das grosste Elend erduldet. Durch dieses vortrefliche und vielleicht einzige Mittel gebildet, war er vor einigen Jahren mit einem Kopfe voll patriotischen Ideen und mit einem Herzen voll in seinem Vaterland zuruechgekehrt fest entschlossen, dessen Zustand zu verbessern und das tuerkische Joch abzuschuetteln).[12]

ეს გერმანული წყარო გამონაკლისი არ ყოფილა. 1750-იანი წლებიდან არაერთი ბრიტანული პერიოდული გამოცემა (შდრ. *London Evening Post, Public Advertiser, London Chronicle, London Gazette, The Morning Chronicle, St. James Chronicle or the British Evening Post, General Evening Post, London Packet or New Evening Post, Independent Chronicle*) სისტემატურად ბეჭდავდა მასალებს ერეკლეს ევროპაში მოგზაურობისა და სწავლის, მისი სამხედრო ძლიერებისა და მის მიერ საკუთარი ქვეყნის მოწყობაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შესახებ. შდრ. „Prince Heraclius of Georgia, who, as it is well known, served in quality of Lieutenant in the King of Prussia's forces, at his return to Georgia, some years ago, firmly resolved to free his country from the Ottoman Yoke. [...] At his (sc. Father's) death the son (sc. Heraclius) refused the royal title, but continued his enterprise, the happy beginning and progress of which are known".[13]

12 Henrichs 1793: 28, 12.

13 იხ. გაზეთი 'St. James Chronicle or the British Evening Post, 10-13 May, 1766: (კალანდია 2017: 83-84).

ევროპელი სუვერენების ბადალი, სპარსეთის ტახტის ყველაზე ძლიერი პრეტენდენტი,[14] დიდი რეფორმატორი, საპოლიციო, სავაჭრო და საფინანსო მეცნიერების წიგნების მფარველი, გამოგონებათა ქომაგი, ვოლტერენიელთა შემწე – ასე ეხმიანება როგორც ევროპული ისტორიოგრაფია და პრესა, ასევე ქართული წყაროები ერეკლეს ეპოქის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ცნობილია, რომ 1772 წელს ერეკლემ გერმანულიდან ათარგმნინა სახელმძღვანელო ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველობის შესახებ, 1781 წელს კი მისი დავალებით დაიბეჭდა წიგნი: „საპოლიციო, სავაჭრო და საფინანსო მეცნიერების საფუძველი". 1783 წელს, პარიზში ძმები მონგოლფიების (Joseph-Michel Montgolfier and Jacques-Étienne Montgolfier) მიერ აეროსტატის

---

14 ერეკლეს შესაძლებლობებისა და მის მიერ გატარებული რეფორმების შესახებ ევროპული პრესა განსაკუთრებით ინტერესდება იმდროინდელ სპარსულ პოლიტიკაზე მისი გავლენის გამო; ქართული წყაროებისგან განსხვავებით (ქართულის მიხედვით ის მხოლოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელიც დიდ როლს თამაშობს სპარსეთის პოლიტიკაში; მის მხარდაჭერაზე დიდად არის დამოკიდებული, ვინ დაიკავებს შაჰის ტახტს), რატომღაც მას აცხადებენ სპარსეთის ტახტის ყველაზე ძლიერ პრეტენდენტად. შდრ.გაზეთი *Public Advertiser,* 15 October, 1762 (in: Kalandia 2017: 81): „By letters from Rom dated September 17, we are informed that the Society for Propagating the Christian Faith in Foreign Parts (Sacra Congregatio de Propaganda Fide) had received advice that Prince Heraclius of Georgia, the pretender to the Persian Throne, had given battle to the reigning Sophi, gained a complete victory, seized Ispahan, and placed himself on the throne. It is added that this Prince hath admitted into his council two Capuchins; from which circumstance it is hoped that the Catholic Fight will now make a rapid progress in that part of the Earth". მას წარმოადგენენ, როგორც დასავლელი სუვერენების თანასწორ და სასურველ მოკავშირეს. შდრ. "He [sc. Heraclius], says my author, if we may credit the report of those who have been with him and known him, is the most accomplished Prince in the Est" (გაზეთი London Magazine on Gentlemen's Monthly Intelligencer, 1755, in: Kalandia 2017: 10). გაზეთი London Evening Post 1767 წლის ერთ-ერთ ნომერში იტყობინება: „The celebrated Prince Heraclius of Georgia has sent general Paoli a present of six beautiful camels with a letter full of the glow and oriental eloquence. He concludes, 'Great Sir, while in the zenith of glory, deign to accept the tribute of him who is proud of being born in the same age as Paoli and feeling the most exalted admiration of his character without one spark of envy" (Kalandia 2017: 18).

გამოგონებასთან დაკავშირებით ერეკლემ თითქმის პარიზში ოფიციალური ჩვენების თანადროულად საგანგებოდ ათარგმნინა ქართულად შესაბამისი ლიტერატურა: „მოკლედ თხრობაი ჰაერსა შინა მროველისა გუნდისა და მგზავრობისა მონგოლფიისა."[15]

ევროპული და ქართული წყაროები დიდი აღფრთოვანებით ჰყვებიან ფრანგი განმანათლებლებით ქართველთა დაინტერესების ამბებს, განსაკუთრებით ყველაზე ცნობილი ვოლტერიანელის, ერეკლეს ვაჟის, დავით ბატონიშვილის შესახებ. 1780-იან წლებში პეტერბურგის პრესაში გადმობეჭდილი უცხოური წყაროების მიხედვით ერეკლეთი თვით ვოლტერიც დაინტერესებულა.[16]

ისტორიკოსების საქმეა იმის გარკვევა, რამდენად გაზვიადებულია ევროპული ისტორიოგრაფიისა და პრესის ცნობები ერეკლეს განსაკუთრებულობის, მისი ამბიციური გეგმებისა თუ ზღაპრული შესაძლებლობების შესახებ. ერთი რამ უდავოა, ერეკლე არის პირველი ქართველი მეფე, რომლის შესახებ არა მარტო ბევრს წერდნენ დასავლეთში, არამედ მას მიიჩნევდნენ ქვეყნის ევროპული მოწყობის რეფორმატორად, ამასთანავე, სტრატეგიული და პოლიტიკური თვალსაზრისით თავიანთ პარტნიორად, თანამზრახველად.

ბრიტანული და ირლანდიული პრესის მიხედვით ევროპელი სუვერენების ინტერესი ერეკლე მეორის მიმართ გააძლიერა 1749-1750 წლებში ერეკლეს გამარჯვებებმა ძლიერ აზიელ სარდლებზე. როგორც ირკვევა, ისინი ერეკლეში – ზოგჯერ დიდი გადაჭარბებით – ხედავდნენ ძალას, რომელიც შეაკავებდა ევროპაში მუსლიმური სახელმწიფოების გაზრდილ გავლენებს, ზოგადად, ირანულ-ოტომანურ საშიშროებას. შდრ. "In proportion, as his army advanced into the Ottoman territories, it increased to such a degree that it amounts already to upwards of 200 000 men. He subdued Trebisond, where the Porte sued to him for peace; to with Prince Heraclius replied that he would not grant in till Sultan had evacuated all thoose countries wich the Europaens and Greeks had formerly possesed."[17]

---

15 მელიქიშვილი 1978.

16 იხ. მელიქიშვილი 1973:7.

17 შდრ. შდრ. გაზეთი 'St. James Chronicle or the British Evening Post, 10-13 May, 1766 (იხ. კალანდია 2017: 83).

ერეკლეს შესახებ უცხოური წყაროები მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი. ფრაგმენტულობის გარდა, როგორც აღვნიშნე, პრობლემურია ამ წყაროთა კვლევის საყრდენი კონცეპტებიც. სოციალური მეცნიერებები ჯერ არ, ან ნაკლებად ინტერესდებიან ერეკლეს ეპოქის კვლევით მოდერნულობის პერსპექტივიდან.

კვლევის ამ ხარვეზის მიუხედავად, ერეკლეს მიერ გატარებული რეფორმების ზოგადი მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს მოდერნულობის საწყისი ელემენტების, მოდერნულობის სემანტიკის გაჩენა ქართულ რეალობაში, შესაბამისად, შუა საუკუნეების რღვევის აშკარა ნიშნები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერეკლეს რეფორმების იმდროინდელი ევროპული და ქართული შეფასებები, რომელთაც ძირითადად ვეყრდნობი წინამდებარე სტატიაში; ვგულისხმობ მისი რეფორმების სტრატეგიულ, სოციალურ, ინტეგრაციულ თუ სამეურნეო ასპექტებს. ქვემოთ განვიხილავ ზოგიერთ მათგანს.

ა. მკვიდრობა – ახალმოშენეობა

ერეკლე პირველია, ვინც შუა საუკუნეების საქართველოში „მკვიდრობას", როგორც კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს მიბმულ მოსახლეობას, დაუპირისპირდა, უფრო ზუსტად, მათ უფლებებით გაუთანაბრა „ახალმოშენეობა", ახალი სამეურნეო ტიპის, ახალი დარგების დანერგვისა და ხელშეწყობისთვის მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების თემი. 1763 წელს ერეკლემ თურქეთიდან ჩამოიყვანა და ქვემო ქართლში დაასახლა 2000 ბერძენი ხელოსანი მადნების დასამუშავებლად. ის, რომ მადნეულის დამუშავება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატების გარანტი და ახალშენების დამკვიდრების მთავარი ფაქტორი იყო, XVIII საუკუნის არაერთი ევროპული წყარო თი დასტურდება. შდრ. "This country (sc. Georgia) produces so great a quantity of iron and steel that it is almost capable of supplying the whole continent of Turkey with that sort of mineral". "In vielen Stellen in Gebirge fliesst eine Menge Quecksilber, welches den Prinzen auf die Vermutung gebracht hat, dass die Erde vielleicht Gold- und Silberminen in sich hielte; eine Vermutung die durch nachgelegenen Bergwerke der Tuerken viele Wahrscheinklichkeit erhellt.[18]

18 Moll 1701: 49; Henrichs 1793: 28.

ამის პარალელურად ერეკლე სამთომადნო საქმისა და სხვა ხელობათა შესასწავლად ყოველ წელს უცხოეთში აგზავნიდა ორმოცდაათამდე ახალგაზრდას სხვადასხვა ფენიდან; ზემოთ დასახელებული გერმანული ისტორიის მიხედვით, ერეკლე საგანგებოდ არჩევდა ნიჭიერ ახალგაზრდებს როგორც სხვადასხვა სამეფო კარის, ისე აკადემიებისთვის.[19]

სამთომადნო წარმოების განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას საგანგებოდ ახსენებს მეთვრამეტე საუკუნის თითქმის ყველა ქართველი ისტორიკოსი. შდრ. ომან ხერხეულიძე: „არა აქვნა [მეფე ერეკლეს] პირდაპირი ძალი არც ჯარითა და არც ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდე არარაი აქუნდა პირისპირი თანასწორება [იგულისხმება მოწინააღმდეგეებთან]. მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვერცხლისა [...] და მოიყვანნა საბერძნეთით ბერძენნი გამომდნობელნი ოქროსა და ვერცხლისანი მიწისა. ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა, ისარგებლა ფრიად."[20]

სწორედ ამ პროფესიულ თემებზე დაყრდნობით ერეკლემ მოახერხა, რომ ხაზინას მარტო ახტალის მადნეულიდან[21] ყოველწლიურად მიეღო 50 000 მანეთზე მეტი მოგება. მაღაროს გამართვის ყოველგვარ ხარჯს სამეფო ხაზინა იღებდა თავის თავზე, ოსტატებს ეკუთვნოდა მოგების 50%. ამავე პერიოდში ჩნდება ისეთი საბადოები, ქარხნები და ფაბრიკები, რომელთა დამფუძნებლები ახალმოშენე ოსტატები არიან.[22]

სწორედ ასეთმა სწრაფმა და მომგებიანმა ცვლილებებმა ახალმოშენეობა და მისი წარმატების მთავარი გარანტი, სპეციფიკური ექსპერტული ცოდნა, ჩააყენა განსაკუთრებულად პრესტიჟულ მდგომარეობაში. ამ ცოდნის გავრცელების მიზნით მეფე

---

19 შდრ. „Heraclius wählte sich Jünglinge, die er auf eigene Kosten Reisen ließ um sich theils an europäischen Höfen, theils auf Academien zu bilden" (Henrichs 1793: 31).

20 იხ. მიქიაშვილი 1989: 66.

21 ქიქოძე 1947: 55-57.

22 ახალმოშენეებმა დააარსეს ზეთსახდელი და მარილსახდელი, შაქრის, მინის, თამბაქოს, თიხის ჭურჭლის, აგურის, საპნის თოფისწამლისა და ზარბაზნის ქარხნები, შალისა და აბრეშუმის ფაბრიკები, სპეციალური სამღებროები. იხ. გაბაშვილი 1970; გუგუშვილი 1957; მელიქიშვილი 1973: 385; მესხია 1959.

უცხოეთიდან იწვევდა გამორჩეულ სპეციალისტებს და მათ საგანგებო პირობებს სთავაზობდა. შდრ. "Er führte darauf von auswärtigen Ländern alle Arten von Arbeitern in seinem Reiche ein, Künste und Wissenschaften fiengen anzublütten, Gelehrte wurden eingeladen und durch großmäßige Belohnung aufgemuntert, eine besondere Sorgfalt wurde auf die Verbreitung der Ausbildung gewandt."[23]

ამგვარი წინაპირობებით შეიქმნა ტრადიციულისგან განსხვავებული, ახალი, პროფესიული ნიშნით სტრუქტურირებული თემები, რომელთაც სწრაფად მოიპოვეს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, დააარსეს ზეთსახდელი და მარილსახდელი, შაქრის, თამბაქოს, თიხის ჭურჭლის, აგურის, საპნის, მინის, თოფისწამლისა და ზარბაზნის ქარხნები, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები, შალისა და აბრეშუმის ფაბრიკები, სპეციალური სამღებროები.[24]

სამთომადნო დარგების, აღმოსავლური აბრეშუმისა და ტრადიციულისგან განსხვავებული სოფლის მეურნეობის ახალი კულტურების დანერგვით საქართველოში ძლიერი ახალმოშენეობა შექმნეს სპარსეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან და სომხეთიდან გადმოსულმა პროფესიულმა თემებმა.[25] ამგვარმა

---

23 Henrichs 1793: 31-32.

24 მარტო 1766 წელს ახტალაში და დამბლუღში თითქმის ერთდროულად მოეწყო ორი მაღარო და აშენდა მადნის გადამამუშავებელი ორი ქარხანა. 7 წლის შემდეგ სპილენძის ორი ახალი ქარხანა აშენდა, სადაც ყოველწლიურად იღებდნენ 5000-დან 15 000 ფუთამდე მადანს. მარტო ახტალის ქარხანაში ყოველწლიურად მიიღებოდა 50-90 ფუთი ვერცხლი. იხ. ბერძენიშვილი 1965: 207-227; ქოიავა 1963; მელიქიშვილი 1973: 396-405; მესხია 1948.

25 1750-იანი წლებიდან ერეკლემ მუღანის ველიდან გადმოასახლა სპარსთაგან შევიწროებული თურქმანების 250 ოჯახი, რომელთაც შექმნეს სამი სოფლები – მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჰანჯილი; მათ, ტრადიციულისგან განსხვავებული სოფლის მეურნეობის დარგების მწარმოებელმა ახალმოშენეებმა, აქტიურად აითვისეს გაუდაბურებული, მოსახლეობისგან დაცლილი ადგილები და, როგორც უცხოური წყაროები ადასტურებენ, მნიშვნელოვნად გააფართოვეს ვაჭრობის საზღვრები. განსაკუთრებული გავლენა მოიპოვეს ცალკეულმა ევროპელმა ექსპერტებმა. ერეკლეს გერმანული ისტორიის ავტორი თვლის, რომ ახალმოშენეებმა კარგი ცოდნით გააორმაგეს საქონელი და ახლა საქართველოს თავისი ნაწარმით ორი სამეფოს

პროცესებმა გამოიწვია მთელი რიგი ძირეული ცვლილებები შუასაუკუნეობრივ ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებაში, შესაბამისად, დააჩქარა ეთნიკური „მკვიდრობის" გეოგრაფიულ და ტრადიციულ ფესვებთან საკრალური ბმის მოშლისა და სრულიად განსხვავებული სამეურნეო ახალმოშენეობის ჩამოყალიბების პროცესები, რაც მოდერნულობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ნიშნებად ითვლება.

ამ პროცესების საფუძველმდებარე მექანიზმები, კონკურენტუნარიანი ცოდნა, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი – ფული უპირისპირდება ტრადიციულ დრო-სივრცით მკვიდრობას, როგორც უკონკურენტო უპირატესობას და გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ქმნის მოდერნულობის დინამიკას, რომლის სისტემური მეთოდოლოგიური აღწერა მომავლის საქმეა.[26]

ბ. ძველი (ტრადიციული) და ახალი (ვალდებულებითი) ერთობა

საგანგებოდ მიღებული დეკრეტით ერეკლემ საქართველოში მცხოვრები განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები საერთო-სავალდებულო „წესით და სიგელით" გააერთიანა. ამით მან ფაქტობრივად ჩაანაცვლა შუა საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული კონცეპტი: *ჩუენი ნათესავი* ქართლის „ფრიადი ქუეყანის" მკვიდრი, როგორც ეთნიკურ-ტერიტორიულის, ენობრივისა და რელიგიურის ტრადიციული ბმა ახალი, ვალდებულებითი კონცეპტით: ყველა, განურჩევლად იმისა, რომელ ეკლესიას ეკუთვნის, ქართლის, ლათინის, სომხისა თუ რომელიმე სხვას, ერთნაირადაა ვალდებული როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამსახურით. 1781 წლით დათარიღებული დეკრეტი, რომელიც რომში, კაპუცინელთა ორდენის არქივშია დაცული, ერეკლე კათოლიკეების რელიგიურ თემს ყველა სხვა დანარჩენ თემთან ათანაბრებს მოვალეობებისა და უფლებების, ასევე საბაჟო და ჯარის გადასახადების თვალსაზრისით; მეფე აწესებს მკაცრ საზღაოს მათთვის, ვინც ამ წესებს დაარღვევს:

შენახვაც კი შეეძლო. ადგილობრივ და უცხოელ ვაჭრებს აქედან გააქვთ თაფლი, რეზინი, ბეწვი, მარილი, ტყვია, მადანი, ფესვები საღებავებისთვის და წამლებისთვის, განსაკუთრებით რევანდის კარგი სახეობები (Henrichs 1793: 28).

26 შდრ. მოდერნულობის არსის გიდენსისეული აღწერა Giddens 1990.

„ჩუენ საქართველოს მპყრობელ მქონებელმა იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმა მეფემან და თვით ხელმწიფემან მეორემან ირაკლიმ ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ პატრუფროსს ანდრიას და ერთობილ პატრებსა. ასე რომ ვინცავინ თქვენი ყმანი ან აქ ქალაქში ან გორში იმყოფებიან, [...] არა სხვა ეთხოვებოდეს რა სალეკოსა და მორიგის მეტი (ანუ ჯარში სამსახურისა და სამოქალაქო წესრიგის დამყარებაში მონაწილეობის გარდა) [...] და რომელნიც აქ, ქალაქში, ან გორში მებაჟეები იმყოფებოდეთ, თქვენთვისაც ასე გვიბრძანებია, რაც ბაჟი ეჩმაიძინის ყმებს ან სხვა ეკლესიების ყმებს ერთმეოდესთ, ამათაც ის ბაჟი გამოართვათ. თუ მეტი გამოართვით რამე, ჩვენგან დიაღ საწყენი იქნება და კიდევაც გარდაგახდევინებთ."[27]

შუა საუკუნეებში ქართველთა იდენტობის მაკონსტრუირებელი სამივე კომპონენტი – ენობრივი, ტერიტორიულ-ეთნიკური და რელიგიური, ერეკლეს დროს უკვე ისტორიულ ფუნქციას ინარჩუნებდა: ზოგიერთი რეგიონის, მაგალითად, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთ არც ტერიტორიული, არც რელიგიური და ზოგჯერ არც ენობრივი ერთობა აღარ ჰქონდათ დანარჩენ ქართველებთან.[28] ასეთი წინაპირობების ფონზე ამ ახალმა სემანტიკამ ბუნებრივად ჩაანაცვლა ტრადიციული, შუა საუკუნეებში „ჩუენი ნათესავის" მაკონსტრუირებელი, ახალ ვითარებაში კი ისტორიულად ქცეული კონცეპტები.

ახალი დარგები და მათი შესაბამისი პროფესიულ-ექსპერტული ჯგუფები, მათ შორის ჯარში მოსამსახურენი, მეწარმეთა თემები, იქცა ტრადიციულ საზოგადოებაში გაჩენილ ბზარად,

---

27 1781 წლის წყალობის წიგნი, დაცულია კაპუცინელთა არქივში (Archivium generale Ordinis, Provincia: Giorgia, Missio Santa Sedis, V varii 5).

28 შუა საუკუნეებისეული (გიორგი მერჩულე, ლეონტი მროველი) კონცეპტი *ჩუენი ნათესავი* (gens), როგორც ენობრივი, ეთნიკურ-ტერიტორიული და რელიგიური ერთობა, XVII-XVIII საუკუნეებში რომ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობისა იყო და რეალურად ვერ ასახავდა რადიკალურად შეცვლილ გარემოებას, ამას ქართველი გეოგრაფის და ისტორიკოსის, ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757) აღწერილობაც (ყაუხჩიშვილი 1973) ადასტურებს. ამასვე იმეორებს 1771 წელს ერეკლე ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ წერილში. („წყალობის ვედრებისა და სამსახურის აღთქმის წიგნი ერეკლე მეორისა ეკატერინე მეორისადმი" იხ. დოლიძე 1965, ტ. 2: 425).

რომელსაც ბუნებრივად მოჰყვებოდა პროფესული თემების, სოციალური ჯგუფების ხელახალი იერარქიზება. ტრადიციული დაბადებითი, უფრო ზუსტად მემკვიდრეობითი ხარისხის გვერდით ერეკლემ ორი ახალი ხარისხი (ორდენი) შემოიღო: დამსახურებისა და სიმამაცის, ანუ სამხედრო ხელოვნების. როგორც უცხოური წყაროები ამტკიცებენ, ხელახალი იერარქიზების ეს რთული პროცესები ერეკლემ ძალიან ფრთხილად და გონივრულად წარმართა. შდრ. „Um einige Auszeichnung zwischen den verschiedenen Ständen zu machen, stiftete er drei Ordens: einen der Geburt, einen andern des Verdienstes, und einen dritten der Tapferkeit und militärischen Geschicklichkeit. [...] Von seinem Hofe und von seiner Person entfernte er alles Überflüssige ohne jedoch beiden den notwendigen Glanz zu rauben".[29]

გ. რეგულარული ჯარი

ერეკლეს სახელს უკავშირდება რეგულარული, მორიგეობისა და დაქირავების პრინციპებზე დამყარებული, „მუშტრად" და „თოფჩად" მოწყობილი ჯარის შემოღება, ტრადიციული „ქუდზე კაცის" პრინციპის ჯარისგან განსხვავებით. ეს უკანასკნელი ემყარებოდა შუა საუკუნეების რაინდულ დოქტრინას, რომლის მიხედვით, „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცად ჰრბიან" (შოთა რუსთაველი). ახალი ტიპის ჯარის ინიცირება, ისევე როგორც ბევრი სამეურნეო სიახლისა, ერეკლეს ტრადიციულ საკრამენტებთან „დაპირისპირებად", შესაბამისად, რისკის ფასად დაუჯდა: მან სამეფო ნივთებიდან ოქრო ააძრობინა, რითაც ფული მოაჭრევინა მორიგე და დაქირავებული ჯარის შესანახად და მეურნეობის გასამართავად.[30]

აქაც, ისევე როგორც ახალმოშენეობის შემთხვევაში, ერეკლეს ჯარი აგებული იყო არა ეთნიკურ პატრიოტიზმზე, არამედ სწორედ ექსპერტულ, პროფესიონალურ გამოცდილებაზე. ერეკლე ჯარში უმაღლეს პასუხისმგებლობებს ანიჭებდა მხოლოდ მაღალი პროფესიული გამოცდილების მქონეთ, მათ შორის უცხოეთიდან მოწვეულ განსწავლულ პირებს. ერეკლეს ამ უმნიშვნელოვანეს სიახლეს ერთხმად აღნიშნავენ მისი თანადროული როგორც ქართული, ისე ევროპული წყაროები. შდრ. "Sein (sc. Heraclius)

---

29 შდრ. Henrichs 1793: 32.

30 იხ. მელიქიშვილი 1973: 386-390.

forzuegliches Augenmerk war daher auf die Errichtung einer guten Armee gerichtet, die er nach den ersten Regeln der Tactik einrichtete. Er suchte aus fremden Diensten Leute an sich zu ziehen, von denen Fähigkeiten er überzeugt war und denen er die ersten Befehlshabersteller übertrug".[31]

როგორც უცხოური წყაროები გადმოგვცემს, ერეკლეს არც ევროპელი და აზიელი სუვერენებისგან საჩუქრად მიღებული ნივთები ენანებოდა ჯარისა თუ მაღაროებისთვის. კონსტანტინეპოლში მიწვეული მისი ელჩი ევროპელი ქრისტიანი სუვერენების ელჩების შესაფერისად მიიღეს და მდიდრულად დაასაჩუქრეს ოქროსა და ვეცხლის ნივთებით ვენეციის, ავსტრიისა და თურქეთის ელჩებმა. ერეკლემ ეს ძვირფასეულობაც გადაადნო და მადნეულის ახალი საბადოების სამძებრო საქმიანობისთვის ექსპერტების მოსაწვევად, უცხოეთში სტუდენტების გასაგზავნად და ჯარის ქირად გამოიყენა. შდრ. "Der König Heraclius schickte hierauf einen Abgesandten nach Constantinopel, welcher mit den nämlichen Ehrenbezeugungen aufgenommen wurde, wie die der christlichen Mächte von Europa. Er hatte an einem Tage mit den persischen und venetianischen Abgesandten (Graf Jeta war bei dieser Zeremonie gegenwärtig) und die Geschenke, die ihm bei seiner Abreise an seinen Herrn mitgegeben wurde, zeugten, dass Heraclius keinesweges mit verächtlichen Augen von der Pforte angesehen wurde. Sie bestanden in Juwelen und Silbergerät, welches Heraclius sogleich zu Gelde machte und damit die Kosten zur Untersuchung der vermuteten Bergwerte seines Landes bestritte".[32]

4. მეხსიერებიდან გამქრალი ევროპული პერსპექტივა

დღემდე სხვადასხვა პერსპექტივიდან მეტ-ნაკლები ინტენსივობით შესწავლილი იმდროინდელი რეფორმები, ქართულ და ევროპულ, მათ შორის გერმანულ წყაროებში მოთხრობილი ამბები, აშკარას ხდის ერეკლესა და XVIII საუკუნის II ნახევრის სქართველოს სწრაფვას, თავი დაეღწია აზიური გარემოცვისგან და,

31 Henrichs 1793: 14.

32 Henrichs 1793: 37.

როგორც ისტორიულად ევროპის ბუფერული, განაპირა ქვეყანა,[33] ისევ დაახლოებოდა ევროპას. ეს კი, პირველ ყოვლისა, ქვეყნის, მეურნეობისა და ჯარის „ევროპიის წესზე გაწყობით“ იქნებოდა შესაძლებელი. სწორედ ამაში დახმარებას ითხოვს ერეკლე 1779-1782 წლებში რომის პაპისა და კარდინალების, ავსტრიის, ვენეციის, სარდინიის, და კორსიკის სუვერენებთან საიდუმლოდ გაგზავნილ წერილებში.

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ ერეკლეს ამ წერილებსა და მათთან უშუალოდ დაკავშირებულ წყაროებს – ვატიკანის მაღალი იერარქიის სასულიერო პირებთან გაგზავნილ ე.წ. სარეკომენდაციო წერილებს (lettera comandatizia), რომელთა კვალი ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ არ ჩანს.[34]

წერილების მიხედვით მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება: 1779 წლის აპრილში სამსახურის ვადა ამოეწურა საქართველოს მისიის პრეფექტს, სამეფო კართან და ერეკლე მეორესთან ძალზე დაახლოებულ პირს, კაპუცინელ დომენიკო და ტრიესტეს. მისი გაწვევის შესახებ რომში მიღებულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ერეკლე და პრეფექტის საქართველოში დარჩენა ითხოვა. ამ ამბის შესახებ თავად დომენიკო და ტრიესტეს წერილიდან ვიგებთ. იგი გაგზავნილია რომში, *პროპაგანდა ფიდეს* კარდინალისადმი:

„ერეკლემ რომ შეიტყო ჩემი გამგზავრების ამბავი, დიდი წინააღმდეგობა გამიწია. გამომიგზავნა ორი წარჩინებული სამეფო კარიდან, რომელთაც ამიხსნეს, თუ რატომ არ უნდოდა მეფეს ჩემი გაშვება. [...] მეორე დღეს პირადად შევხვდი ერეკლეს და ახლა მან გამიმეორა იგივე სიტყვები: მე ნებას ვერ დაგრთავთ, რომ

---

33 ქართლის, როგორც ქრისტიანული სამყაროს პერიფერიის, ბერძენთა „მიმდგომის“ (მოკავშირე) კონცეფცია ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში ჩნდება. შდრ. „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვდრთა [...], და აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თვთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა სხვთ მოსრულთა, ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებულთა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა“ (აბულაძე 1963: 47-80, აქ გვ.55).

34 ეს წერილები პირველად 2013 წელს გამოქვეყნდა. იხ. დობორჯგინიძე 2013.

გაემგზავროთ ჩემი ქვეყნიდან და, განსაკუთრებით, ამ ქალაქიდან, იმიტომ, რომ მე ვგრძნობ, რამდენად საჭირო ხართ აქ. ჩვენს საერო პირებს, ეკლესიასა და ქართველ საეკლესიო პირებს, ანუ ბერძნებს, ყველას სურს თქვენი დარჩენა. მიუხედავად იმისა, რომ სომხები მტრობენ კათოლიკეებს, ბევრი მათგანი თქვენ პატივს გცემთ და უყვარხართ კიდეც. ადგილობრივებმა მთხოვეს, არ დაგანებოთ გამგზავრება. [...] მე მიჭირს გაიძულოთ დარჩენა, ჯერ ერთი, სიყვარულის გამო, რომელსაც განვიცდი თქვენ მიმართ. ამას გარდა, არ მაქვს უფლება [გაიძულოთ], ვინაიდან არ ხართ ჩემი ქვეშევრდომი. თუ მაინც გაემგზავრებით, წინასწარ ვატყობ, რომ ხელახლა დაიწყება დაპირისპირება სომხებსა და კათოლიკებს შორის. ასეთი იყო ერეკლეს სიტყვები[...]. თქვენო აღმატებულებავ, ვცადე, დამერწმუნებინა მეფე, მაგრამ უშედეგოდ. [...] ის ურყევი დარჩა თავის განზრახვაზე. [...] ასე რომ, იძულებული გავხდი დავრჩენილიყავი მისიის ტყვედ."[35]

ამ წერილს 1779 წლის მასალებში მოჰყვება ერთი შეხედვით საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსის მქონე რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც, როგორც მომდევნო, 1781-1782 წლების წყაროებიდან ირკვევა, ეხება დომენიკო და ტრიესტეს მოგზაურობასთან დაკავშირებულ საიდუმლო სამზადისს. 1781 წლის მარტში ერეკლემ მოულოდნელად „გაათავისუფლა" მისიის ტყვე და ავსტრიის იმპერატორის კარზე ელჩობა დაავალა. პრეფექტი ჯერ რომში უნდა ჩასულიყო, რათა პაპისა და კარდინალებისთვის ერეკლეს წერილებთან ერთად გადაეცა თბილისის, გორის, ქუთაისისა და ახალციხის ევროპელი მისიონერების მიერ ერეკლეს მხარდასაჭერად შედგენილი წერილები. სწორედ მათ საფუძველზე უნდა დაეწერა რომის პაპს ევროპელ სუვერენებთან გასაგზავნი სარეკომენდაციო წერილები და ეთხოვა მათთვის ერეკლეს დახმარება. ამის შემდეგ ერეკლეს ელჩი დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო ვენაში, ავსტრიის იმპერატორის კარზე და იოსებ მეორისთვის გადაეცა როგორც ერეკლეს ფირმანები, ისე რომის პაპის სარეკომენდაციო წერილები. ამ გეგმის შესახებ ვიგებთ თბილისელი კაპუცინელის, მაურო და ვერონას წერილიდან. იგი 1781 წლის 14 მარტსაა დაწერილი:

---

35 *პროპაგანდა ფიდეს* საისტორიო არქივის ქართული მასალები, ტ. III, ფ. 5-6.

„თქვენო აღმატებულებავ, გწერთ დიდად პატივსაცემი ერეკლე მეფის უფლებამოსილებით, რომელიც არის ამ მხარეების სრული ბატონ-პატრონი. გავკადნიერდი, რომ წარვდგე თქვენი აღმატებულების წინაშე. [...] მას (sc. ერეკლეს) სურს, რომ თავისი საზრუნავი წარუდგინოს მის უდიდებულესობა იმპერატორს. ამისათვის მან გამოიყენა შემთხვევა, რომ პადრე დომენიკო და ტრიესტე, ამ მისიის ყოფილი პრეფექტი, ბრუნდება თავის პროვინციაში. [ერეკლემ] სწორად განსაზღვრა, რომ პრეფექტისთვის მიენდო ეს საქმე, ვინაიდან იგი არის ერეკლეს უახლოესი ადამიანი და, ამასთანავე, არის უაღრესად მოქნილი პიროვნება, რომელიც კარგად უხელმძღვანელებს მსგავს რთულ და ჩახლართულ საზრუნავს. [...] ამგვარად, ერეკლემ მას დაავალა, ჯერ ჩამოვიდეს რომში თქვენს აღმატებულებასთან და წარმოგიდგინოთ თქვენ ჩემი ეს წერილი. [...] ხოლო მე მიბრძანა ერეკლემ, შევევედრო თქვენს აღმატებულებას, მიიღოთ პადრე დომენიკო და ტრიესტე როგორც მისი (sc. ერეკლეს) დესპანი. [...] მას დავალებული აქვს, აწარმოოს მოლაპარაკებები იმპერატორთან [ერეკლეს] მნიშვნელოვან საქმეებზე. ამ მიზნით ის (sc. ერეკლე) ევედრება თქვენს აღმატებულებას, მას (sc. დომენიკოს) თან აახლოთ მის უდიდებულესობასთან (sc. იმპერატორთან) რამდენიმე საშუამდგომლო წერილი (lettera comandatizia), რომლითაც [ერეკლეს სურს] მოიპოვოს არა მხოლოდ იმპერატორის კეთილგანწყობა, არამედ მზრუნველობა და შეწევნა. ყოველივე ეს აუცილებელია მისთვის, ვინც უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები ძლიერ პიროვნებებთან ერეკლეს მნიშვნელოვან საქმეებზე.'[36]

ორი დღის შემდეგ მაურო და ვერონას თავისი წერილისთვის მცირე შენიშვნა დაურთავს: „დღეს დილით, 16 მარტს, მეფე ერეკლემ მიბრძანა, ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ პადრე დომენიკო, ამ წერილის მომტანი, ვენაში გაამგზავროთ რაც შეიძლება სწრაფად, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები აბარია.'[37]

1781 წლის 3 ივლისს კონსტანტინეპოლში ჩასული ერეკლეს ელჩი, პადრე დომენიკო და ტრიესტე მოულოდნელად გარდაცვლილა. ამის შესახებ პადრე ფორტუნატო და ტრენტო ატყობინებს

---

36 *პროპაგანდა ფიდეს* საისტორიო არქივის ქართული მასალები, ტ. III, ფ. 44.

37 იქვე, ფ. 44.

კარდინალს წერილით, რომელიც *პროპაგანდა ფიდეს* საისტორიო არქივის მასალებში წინა – მაურო და ვერონას – წერილთან ერთად არის მოთავსებული: „ეს მოხდა იქ [კონსტანტინეპოლში], 3 ივლისს, მაშინ, როცა დომენიკომ დაასრულა სამსახური საქართველოს მისიაში. იგი უკან ბრუნდებოდა და მეფე ერეკლემ ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები დაავალა იმპერატორის კარზე. [...] გაგზავნა წერილები, არ გააბედინა [?] შეჩერება."[38]

მომდევნო წერილების მიხედვით ვერ დგინდება, რა ვითარებაში გარდაიცვალა ერეკლეს ელჩი; სამაგიეროდ, პადრე ფორტუნატო და ტრენტოს წერილში დაწვრილებით არის აღწერილი წინააღმდეგობა, რასაც ის წააწყდა ერეკლეს წერილების გაგზავნასთან დაკავშირებით:

„მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ყოფილი პრეფექტი პადრე დომენიკო ტრიესტინო, ეს შევატყობინე ერთ პიროვნებას, რათა მოსულიყო პანაშვიდზე. ამასთანავე, ვესაუბრე იმ წერილების შესახებ, რომელიც პრეფექტს თან ჰქონდა. ორი-სამი დღის შემდეგ ზემოხსენებულმა პიროვნებამ ზედიზედ ორი წერილი გამომიგზავნა და მიბრძანა, რომ არ გამეგზავნა ზემოხსენებული წერილები, ვიდრე არ მივიღებდი ერეკლე მეფის პასუხს. მე მას ვუპასუხე, რომ სრულებით არ იყო აუცილებელი ზემოხსენებული მეფის პასუხი და რომ მე ვალდებული ვიყავი, ეს წერილი გამომეგზავნა თქვენს აღმატებულებასთან. გუშინ მისგან მივიღე კიდევ ერთი წერილი, რომელშიც მიბრძანებდა, როგორც ადრე, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამეგზავნა წერილები. დაპირისპირება რომ ამერიდებინა თავიდან, ვუპასუხე, რომ მის ბრძანებას შევასრულებდი. [...] გიგზავნით ხსენებულ წერილს, რათა თქვენმა აღმატებულებამ შეიტყოს წერილის შინაარსი და თავად გადაწყვიტოს წერილების [ბედი]. [...] ამავდროულად, ვეუდრები თქვენს კეთილშობილებას, შემატყობინოთ თქვენი წერილით, როგორ აფასებთ ჩემს მოქმედებას, კარგად მოვიქეცი თუ ცუდად. [...] ვინაიდან მე თქვენ ამას გიგზავნით ზემოხსენებული პიროვნების სურვილის საწინააღმდეგოდ, უმორჩილესად გთხოვთ, არ ახსენოთ, რომ ეს მე გამოვუგზავნე თქვენს აღმატებულებას.

მინდა მჯეროდეს, რომ მისი უდიდებულესობა იმპერატორი წერილით უპასუხებს მეფე ერეკლეს. [...] თუ თქვენი აღმატებუ-

38 იქვე, ფ. 45.

ლება ინებებს ის [წერილი] მე გამომიგზავნოს, გარწმუნებთ, რომ მას საიმედოდ გავუგზავნი პირადად ერეკლეს. მე გზებიც ვიცი, სანდო ადამიანებსაც ვიცნობ და მუდმივად მაქვს მიმოწერა საქართველოს ყველა მხარეში. [...] ამავდროულად, მინდა მოკრძალებით გავაფრთხილო თქვენი აღმატებულება, რომ თუ [იმპერატორის] პასუხს სხვას გაუგზავნით, ან თუნდაც იმას, ვინც ამჟამად ეწინააღმდეგება [წერილების რომში გაგზავნას], შესაძლოა, წერილები ხელში ჩაუვარდეს იმათ, რომლებიც მოქმედებენ არა საკუთარი ნება-სურვილით, არამედ იმათ საამებლად, რომელთა კარზეც არიან."[39]

1782 წლის 10 იანვარს ფორტუნატო და ტრენტომ კონსტანტინეპოლიდან საიდუმლოდ შეატყობინა *პროპაგანდა ფიდეს*, რომ ისევ გააქტიურდნენ საქართველოს მისიის, განსაკუთრებით კი ერეკლე მეორის კარზე მყოფი ევროპელი მისიონერების მტრები:

„ამ წერილით, თავს ვალდებულად ვთვლი, მოვახსენო თქვენს აღმატებულებას ის, რასაც სანდო ადამიანების პირით ვიგებ საქართველოდან. დანამდვილებით ვიცით, რომ ეჩმიაძინის ერეტიკოსმა პატრიარქმა მეფე ერეკლეს შესთავაზა და უკვე გაუგზავნა კიდეც დახმარება. იგი ერეკლეს შეჰპირდა, რომ მოამარაგებს მეფეს წამლებით და კარგი ექიმებით, თუ კი იგი [ერეკლე] საკუთარი ქვეყნიდან გაუშვებს კაპუცინელ პადრეებს. [...] აქ, კონსტანტინოპოლში მოვიდა ბრძანება, რომ თბილისში სასწრაფოდ მივავლინოთ მორჩილი ძმები (fratelli laici) სამედიცინო საქმეებისთვის და რელიგიის [მსახურები] (religiosi) – სასულიერო ღვაწლისთვის. [...] ვიცი, რომ იქ ამჟამად მსახურობს ექვსი ყოჩაღი სანიტარი (soto infermiere); [...] კიდევ ორი პიროვნება უნდა გავაგზავნო და, ვფიქრობ, მისიაში საკმაო რაოდენობის ექიმები იქნება."[40]

როგორც ანდრეა და პალერმო ატყობინებს *პროპაგანდა ფიდეს*, სომხეთის გარდა, რუსეთიდანაც შემოსულან სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები და ექიმები ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში. შდრ. „რუსეთმა უკვე გამოაგზავნა ლუთერანები და რუსები წმინდა ანდრიასა და წმინდა ალექსანდ-

---

39 პადრე ფორტუნატო და ტრენტოს წერილის სრული ვერსია იხ. *პროპაგანდა ფიდეს* საისტორიო არქივის ქართული მასალები, ტ. III, ფ. 55. აქ წარმოდგენილია წერილის შემოკლებული თარგმანი.

40 იქვე, ფ. 84.

რეს ნიშნით იმერეთის მეფისა და საქართველოს მეფის უფროსი შვილისთვის"[41].

სწორედ ამ პოლიტიკურ კონტექსტში აღმოჩნდა საქართველოში ზემოთ ნახსენები იაკონ რაინექსი, როგორც ერეკლე მეორის ევროპასთან დამაკავშირებელი კათოლიკე მისიონერების ალტერნატივა, რუსეთის მხრიდან ამ ევროპული პერსპექტივის სანდო მაკონტროლებელი, რუსეთის ქვეშევრდომი და მისი ინტერესების გამტარებელი ერეკლეს კარზე. იაკობ რაინექსისა და ერეკლეს მიმოწერა, რომელიც გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთა საცავშია დაცული (დოკუმენტების ასლები ერთვის სტატიას), 1784 წლითაა დათარიღებული; ამ პერიოდისთვის მას, ერეკლეს კარის ექიმს, მისი გარემოცვიდან ევროპელი მისიონერების გაძევების ინიციატორს და რუსეთის ჯაშუშს, უკვე შესრულებული ჰქონდა მნიშვნელოვანი მისია: პოტიომკინისთვის საქართველოში ხელსაყრელი პირობების შექმნა, ერეკლეს დაყოლიება, გიორგიევსკის ტრაქტატის მომზადება და ა.შ.

დავუბრუნდეთ ერეკლეს ევროპულ პერსპექტივას: გაურკვეველ სიტუაციაში დომენიკო დე ტრიესტეს გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ ხელახლა გაგზავნა ელჩი ევროპაში 1782 წლის 14 ნოემბერს. სახიფათო კონსტანტინეპოლს მეფემ თავი აარიდა და ამჯერად აღმოსავლეთ ევროპის გზით გაამგზავრა ეროვნებით პოლონელი მისიონერი, კაპუცინელი მაურო და ვერონა. ამ უკანასკნელს მეფის წერილები უნდა ჩაეტანა ევროპაში და ერეკლეს სახელით მოლაპარაკება ეწარმოებინა რომის პაპის, ვენეციის მეფის, სარდინიის მეფის და ავსტრიის იმპერატორის კარზე.[42] საქართველოს მისიის ახალმა პრეფექტმა, ანდრეა დე პალერმომ ამჯერად კარდინალ ბორჯიას სთხოვა დახმარებოდა, რათა რომში მოემზადებინათ ერეკლეს ელჩისთვის სარეკომენდაციო წერილები ავსტრიის იმპერატორისა და სხვა ევროპელი სუვერენების კარზე ერეკლეს პოზიციის გასამყარებლად:

„საქართველოს ამ მეფის დავალებით პადრე მაურო და ვერონას დღეს ვენაში ვაგზავნი იმ მიზნით, რომლის შესახებ წინა ორ წერილში მოგწერეთ. ეგებ მისცეთ სარეკომენდაციო წერილი. თქვენო აღმატებულებავ, ჩემი უბადრუკობის გამო, მე არ ვიღებ

41 იქვე, ფ. 108.

42 ამის შესახებ იხ. მომდევნო წერილები: იქვე, ტ. III, ფ. 116-121.

ჩემს თავზე პასუხისმგებლობას დიდ საქმეებთან დაკავშირებით, მაგრამ ღმერთმა ინება [ამ საქმეში] ჩემი ჩარევა, [...] რადგან მეფე ერეკლე ძალიან აჩქარდა და მოუთმენელი გახდა. მან იმასაც კი არ გაუწია ანგარიში, რომ ახლა მძიმე სეზონია და ცუდი გზებია. პადრე მაურო და ვერონა სიამოვნებით დათანხმდა [ერეკლეს] ღვთის სიყვარულით და მისიის საჭიროებისთვის."[43]

ერეკლე იმდენად ჩქარობდა, რომ ქართულენოვანი წერილები თარგმანის გარეშე გაგზავნა ევროპაში იმ იმედით, რომ ავსტრიის იმპერატორის კარზე მოხერხდებოდა მათი თარგმნა. მთავარი იყო, რამენაირად საქართველოდან გაეღწია მის სათხოვარს.

არც ამჯერად გაუმართლა ერეკლეს, ხიფათის შეფასებაშიც მოტყუვდა. საქართველოს საზღვრებს კი გასცდა მისი ელჩი, მაგრამ ევროპელი ხელმწიფეების კარამდე ვერ ჩააღწია, გზაში გარდაიცვალა მოულოდნელად, გაურკვეველ სიტუაციაში. მისი გვამი 1783 წლის მაისში პოლონეთში, ბერდიცკოვაში (Berdiczova) იპოვა ადგილობრივმა მისიამ. ამ უკანასკნელმა თავი არ დაზოგა და დროულად, სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისშივე ჩაიტანა ქართველი მეფის წერილები ვენაში. მაგრამ წერილები ევროპელთათვის გაუგებარ ენაზე – ქართულად – იყო დაწერილი და 1783 წლის 19 ივნისს პადრე ჯუზეპემ ისინი ვენიდან იტალიაში გააგზავნა სათარგმნელად. შდრ.

„გასულ კვირას აქ [sc. ვენაში] ორმა პოლონელმა მისიონერმა ჩამოიტანა ერეკლე მეფის მიერ საქართველოდან გამოგზავნილი დოკუმენტები, რომლებიც პადრე მაურო და ვერონას ჰქონდა თან. ეს უკანასკნელი გამოაგზავნა მეფე ერეკლემ, რათა ერეკლეს სახელით მოლაპარაკებები ეწარმოებინა სხვადასხვა მმართველებთან მნიშვნელოვან საკითხებზე. [ეს] ასე წერია ზემოხსენებული მეფის მიერ 1782 წლის 28 ოქტომბერს ხელმოწერილ პასპორტში. იგი შემდეგ ითარგმნა ქართულიდან თურქულად და თურქულიდან ლათინურად. მისი [sc. თარგმანის] სისწორე დაადასტურა პადრე ანდრეა და პალერმომ თბილისში 14 ნოემბერს. გარდა ამისა [sc. პასპორტისა], მას [sc. მაურო და ვერონას] თან ჰქონდა მეფე ერეკლეს წერილები, რომლებიც, ვვარაუდობ გამიზნული იყო სხვადასხვა სუვერენებისთვის, მაგრამ ყველა ქართულ ენაზე. პადრე მაუროს ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით შევიტყვეთ,

43 იქვე, ტ. III, ფ. 103.

რომ [იმპერატორის] გარდა ზემოხსენებული წერილები მიემართებოდა საკრა კონგრეგაციის პრეფექტს, კარდინალ ანტონელის, სარდინიისა და ნეაპოლის მეფეებს და ვენეციის რესპუბლიკას. [...]

ამ [sc. პოლონელმა] მისიონერებმა წარმომიდგინეს ყველა ზემოხსენებული დოკუმენტი და მე, ვინაიდან ჩავთვალე, რომ ერთი მათგანის ადრესატი თქვენი უგანათლებულესობაა, მას თქვენ გიგზავნით. ამასთანავე, ყველა ამ დოკუმენტს ვაგზავნი სახელმწიფო კანცელარიაში (canzelaria di stato). ვენაში ვერ ვნახე ქართული ენის მცოდნე. ამგვარად, მიმაჩნია, რომ ყველაფერი ეს იქ [sc. რომში] უნდა გადაეცეს მის უგანათლებულესობა ჰერცანს, რათა მან საკრა კონგრეგაციაში მოძებნოს ამ წერილების მთარგმნელი. ორივე პოლონელ მისიონერს მივეცით პასპორტები და ღია ბრძანება ყველა საფოსტო სადგურისათვის, რათა ამათ [sc. მისიონერებს] ადგილზე გამოუყონ უფასო ცხენები პოლონეთში უსაფრთხოდ დასაბრუნებლად."[44]

ავსტრიის იმპერატორთან და ევროპელ სუვერენებთან გაგზავნილ წერილებში პირდაპირ იკითხება საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპიის წესზე გაწყობის ერეკლესეული გეგმა:

„თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდად ვმორცხვობთ და ვიკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩუენის ქვეყნის მწუხარება და შეჭირვება სხვით არზით მოგვიხსენებია (ადრე გაგზავნილ წერილებს გულისხმობს), ის მაკადნიერებს. ჩვენის სათხოვარის აზრი ეს არის, რომ ორის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოოთ და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპიის რიგზე. [...] რადგან ასეთსა შინა ადგილსა ვიმყოფებით, თუ რომ უდიდესი წამალი ზედ არ დაგვერთო, საბოლოოდ რომელიც ევროპას შინა ჯარის განწესება არის, ის განწესება ვიპყრათ. ცოტანიც რომ ვიყვნეთ იმ რიგით, რამდენიც უნდა ბევრნი იყვნენ, ჩუენს წინააღმდეგ, მაინც მოვერევით. [...] და ამისთვის მათის დიდებულებისა და მოწყალებისაგან ვითხოვთ, რომ საბოლოოდ რა ერთისაცა პოლკის ჯარის შენახვის შეძლება გვეთხოს. შეგვაძლებინონ და გვიბოძონ, რომელ ერთხელ ამ ქვეყანამაც აქედამ ევროპიის დიდებულ ხელმწიფეებს ჰმსახუროს თავისის შეძლებით."[45]

---

44 იქვე, ტ. III, ფ. 114.

45 1782 წელს ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილები დაცულია ვენის სახელმწიფო არქივში (Wiener Staatsarchiv, AT-OeStA/HHStA StK Vorträge 138-2 (1783.09-10). ვაქვეყნებთ ამ წე-

5. წარსულის პროექტი მომავლის პროექტის წინააღმდეგ

ასე ტრაგიკულად, გაურკვეველ სიტუაციაში დასრულდა ერეკლეს მცდელობა და ამავე 1783 წლის ტრაქტატით გადაწყდა მისი სამეფოს ბედი. ამიერიდან რუსეთის ორ გუბერნიად ქცეულ საქართველოში ერთმორწმუნეობის – რელიგიისა და ტრადიციების – დაცვის საბაბით მოხერხებულად შეინიღბა რუსული იმპერიული მიზნები და იგი იოლად დაეპატრონა საქართველოში რელიგიის ისტორიულ ფუნქციას.

წარსულის ეს ფსევდორელიგიური პროექტი რუსულმა იმპერიალიზმმა ეფექტურად გამოიყენა ერეკლესეული მოდერნიზაციის, **მომავლის** პროექტის წინააღმდეგ. ქვეყნის მოდერნიზაციასა და ევროპაზე ორიენტირებული ამ გეგმის ყველა მომხრე რელიგიისა და ქართული ტრადიციული საზოგადოების დამანგრეველად, მტრად მოინათლა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მწვავედ აკრიტიკებდნენ ერეკლეს ვოლტერიანელ შთამომავლებს, ფრანგი განმანათლებლების ქართულ ენაზე მთარგმნელებს, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სახელმძღვანელოთა შემდგენლებს, იოვანე და დავით ბატონიშვილებს. რელიგიის შემრყვნელად და თავად-აზნაურთა მტრად მოიხსენიებდნენ იოვანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს მოდერნიზაციის ევროპულ გეგმას, რომელიც მან ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტიტულის მქონე გიორგი მეთორმეტეს შეუდგინა.[46] სამეფო კარზე ვერც კი მოასწრეს მისი განხილვა, ისე დაარღვია რუსეთმა გეორგიევსკში გაფორმებული ხელშეკრულება და 1801 წელს გააუქმა საქართველოში მეფობა. 1803 წელს რუსეთში გადაასახლეს ვოლტერიანობაში შემჩნეული ერეკლეს რვა შთამომავალი, მათ შორის

რილების სამ ფრაგმენტს (იხ. დანართი 3). ქვეყნის მოდერნიზაციის მიზნით ერეკლეს დასავლური მისწრაფებები არც რუს მოგზაურებს, საქართველოს აღწერის მიზნით მოწვეულ გეოგრაფებს და ისტორიკოსებს დარჩენიათ შეუჩნეველი. იხ. Бурнашев 1896: 10.

46 დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო წყობილების, ადმინისტრაციის, მართლმსაჯულებისა და სამეურნეო ცხოვრების მოდერნიზაციის გეგმას, იხ. ფურცელაძე 1964; როგავა 1959.

დავით და იოვანე ბატონიშვილები და ამით დიდი ხნით შეაჩერეს ერეკლეს მიერ დაწყებული მოდერნიზაციის პროექტი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსიფიკაციის საკმაოდ მოქნილი პოლიტიკის[47] ფონზე ტრადიციულის, წარსულის ერთგულებით შენილბულმა რუსულმა იმპერიალიზმმა არა მხოლოდ გაიმარჯვა მოდერნიზაციის ვერ-განხილულ გეგმაზე, მეტიც, მან საისტორიო მეხსიერებიდან წაშალა იმდროინდელი საქართველოს ალტერნატიული (არარუსული) პერსპექტივის მთელი ტექსტური კორპუსი და იგი ერთმორწმუნეობის კოლონიური მითით ჩაანაცვლა.[48] ამ უკანასკნელის ლეგიტიმაციას დიდად შეუწყო ხელი 1801 წლის ტრაგიკული მოვლენის მიმართ ქართველი რომანტიკოსი პოეტების, იმავდროულად რუსეთის სამსახურში ჩამდგარი გენერლების გაორებულმა, ურთიერთგამომრიცხავმა დამოკიდებულებამ, მათმა მერყევმა შეფასებებმა.

---

47 ვგულისხმობ მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წლებში რუსეთის მიერ გატარებულ ენობრივ და რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ქართული ენის სოციალური და ფუნქციური განვითარების ისტორიული (ინკულტურაციული) მოდელისაგან. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში, როცა პოლიტიკურად და კულტურულად არცთუ გამორჩეულმა ენებმა ერთბაშად შეიძინა მნიშვნელოვანი სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციები (იხ. ბოედერი 1998: 69). ინკულტურაციული პროცესებისა და ადგილობრივი ენის სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების განვითარების თვალსაზრისით ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთიანი ენობრივ-რელიგიური სივრცის ორგანული ნაწილი იყო ქართულიც და საეკლესიო სლავურიც. სავარაუდოდ, განვითარების ამ საერთო-ისტორიული (აღმოსავლურ-ქრისტიანული) გზის ლოგიკურ გაგრძელებას გეგმავდა საქართველო რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებით; თუმცა იმთავითვე ნათელი იყო, რომ რუსეთი არა იმდენად თანასწორუფლებიანი, მრავალენოვანი ტრადიციების მაღიარებელი ქრისტიანული აღმოსავლეთის, არამედ უფრო საკუთარ გამორჩეულობასა და სხვა ეთნოსებზე აღმატებულობაში დარწმუნებული ბიზანტიის (Borst 1957: 304) მემკვიდრედ აცხადებდა თავს. აღმოსავლეთ-ქრისტიანული სამყაროს ენობრივი ტენდენციებისა და ერთმორწმუნეობის რუსული მოდელის შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2012: 78-82.

48 შდრ. იქვე, გვ. 84-91.

რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი რამდენიმე შეთქმულების დამარცხებისა თუ გამჟღავნების[49] შემდეგ ქართველთა მერყევი პოზიცია აშკარა პრორუსული განწყობებით შეიცვალა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გრიგოლ ორბელიანის, ქართველი პოეტისა და ამავდროულად რუსი გენერლის მუნდირით ოცდახუთწლიანი ბრძოლა კავკასიელი ხალხების დამორჩილების მიზნით ქართველებმა საკუთარი ქვეყნის ღირსების დასაცავად წარმოებულ ომად მონათლეს იმ საბაბით, რომ მთის კავკასიელი ხალხი, მათ შორის დაღესტნელები ადრე საქართველოს ესხმოდნენ თავსო.[50]

სწორედ ამ გაიგივებამ, რუსულ კოლონიურ პოლიტიკასა და ინტერესებში ფსევდოისტორიული სარგებლის ძიებამ, საბოლოოდ კი ტრადიციულობასთან გათანაბრებულმა ერთმორწმუნეობის სატყუარამ საბედისწეროდ დააკავშირა რუსეთთან XIX საუკუნის დასაწყისის ქართული სახელმწიფოებრიობის „უდღეური"[51] იდეა. ეს იყო გაორებული თაობის კონცეფცია, როგორ უნდა აღედგინათ ფეოდალური საქართველოს დიდება და სწორედ ამ ძველის დაბრუნებით უნდა დამკვიდრებულიყო საქართველო თვისობრივად ახალ დროში: „შენი ივერი აღდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის."[52]

ფსევდოტრადიციული წარსულის პროექტი ოფიციალურ საზოგადოებად – Общество восстановления православного христианства на Кавказе – 1860 წელს დაფუძნდა თბილისში. მის მმართველ საბჭოს ორი თავმჯდომარე ჰყავდა: კავკასიის მეფისნაცვალი და საქართველოს ეგზარხოსი. საზოგადოება თავის საქმიანობას უკავშირებდა მეოთხე საუკუნეში ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს სახელს და ამ მემკვიდრეობას განამტკიცებდა წმინდა ნინოს ოთხი ხარისხის ორდენის შემოღებით.[53]

---

49 ამ შეთქმულებათა ზოგადი დახასიათება იხ. ბაქრაძე 2011.

50 დობორჯგინიძე 2013: 236-237.

51 ბაქრაძე 2011: 6.

52 შდრ. გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" (ცაიშვილი 1975: 216).

53 I ხარისხის ოქროს ორდენით ჯილდოვდებოდნენ საპატიო წევრები, ისინი, ვინც ერთჯერადად 2500 რუბლზე მეტს შემოწირულობას გაიღებდნენ საზოგადოებისთვის, II ხარისხის ოქროს ორდენი დაწესებული იყო საზოგადოების ნამდვილი წევრებისთვის (1500 რუბლზე მეტის შემომწირველნი), III ხარისხის ვერცხლი – წევრ-თანამშრომ-

ალექსანდრე ბარიატინსკი, რომლის სახელს უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების დაარსება, ასე განსაზღვრავდა მის მთავარ მიზნებს:

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების შექმნა მართლმადიდებლური სახელმწიფოს ვალია. საქმე ეხება საკითხებს, რომლის მიმართაც რუსეთი ვერ იქნება გულგრილი, ესენია: მისი უმცროსი ძმების რელიგიური განათლება, რომლებიც ყოველდღიურად შორდებიან ქრისტეს წმინდა საყდრის წიაღს და სიდიადე რუსეთისა. [...] კერძო პირთა კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმეს, რათა შეინარჩუნოს და გაავრცელოს ქრისტიანობა კავკასიელ ტომებში. მართლმადიდებლობა რუსეთის მთავარი სახალხო ძალაა და, თავის მხრივ, ღვთის იარაღს წარმოადგენს მართლმადიდებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. საჭიროა, რომ ყოველმა რუსმა, რომელიც იღწვის მართლმადიდებლური სარწმუნოების გასავრცელებლად, სამშობლოს სადიდებლად შეძლოს თავისი წვლილის შეტანა. საჭიროა საერთო ძალისხმევა: რასაც ერთი რუსი ვერ შეძლებს, მას მთელი რუსეთი გააკეთებს."[54]

აღნიშნული საზოგადოების მიერ გახსნილი რუსულენოვანი სკოლები, რუსულ ყაიდაზე გადაკეთებული, ფრესკებშეთეთრებული ძველი ეკლესიები და ახლადგახსნილი რუსულენოვანი რელიგიური დაწესებულებები, უმდიდრესი ქართული საეკლესიო რელიკვიების ძარცვა და რუსეთში გატანა მათი რესტავრაციის საბაბით, „უსარგებლო" ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება, რუსეთში გასატანად განსაკუთრებულების შერჩევა და დანარჩენების მასობრივად დაწვა სიონის ეზოში, და ბოლოს, საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს, მათ შორის რელიგიურის, რუსიფიკაცია – ეს იყო ძალა, რომელსაც არა უბრალოდ დაეყრდნო „სიდიადე რუსეთისა" საქართველოს, ზოგადად, კავკასიის დასაპყრობად, მეტიც სწორედ

ლებისთის 500 რუბლზე მეტი შემოწირულობით და IV ხარისხის ვერცხლი – მოხალისე წევრებისთვის 50 რუბლზე მეტი შემოწირულობით.

54 [Обзор] 1910: 26.

ამგვარი ფესვდორელიგიური სატყუარათი დაეუფლა წარსულის პროექტი საქართველოში რელიგიის ისტორიულ ფუნქციას.[55]

ქართველმა სამოციანელებმა, XIX საუკუნის II მეორე ნახევარში რუსეთში განათლებამიღებულმა თერგდალეულებმა და მათმა ლიდერმა, ილია ჭავჭავაძემ მიწასთან გაასწორეს ერთმორწმუნეობის სახელით შენიღბული *წარსულის* პროექტი[56] და მის საპირისპიროდ საზოგადოებას ახალი, ევროპული მომავლის პროექტი შესთავაზეს:

„აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა, და რომელსაც დღესაც ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი, [...] ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს, რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო. ისტორია და წარმატება მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია.

---

55 დობორჯგინიძე 2013: 238.

56 ფსევდორელიგიური წარსულის პროექტი, მისი პერსპექტივები და ის „ცივილიზაცია", რომელიც საქართველოს გუბერნიების სამართავად რუსეთიდან ჩამოსულმა ოცამდე გენერალმა ჩამოიტანა ამ გაუნათლებელ ქვეყანაში სულ რაღაც სამოცდაათი წლის განმავლობაში, ილიამ მიწასთან გაასწორა სამოციანელთა სამოქმედო გეგმად წოდებულ „მგზავრის წერილებში". შდრ. „რაო, ოციოდეო! [...] ამ ერთ მუჭა ხალხში ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. [...] შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება" (ჭავჭავაძე 1960: 117).

ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს."[57]

მომავლის პროექტი, უპირველეს ყოვლისა, განათლებას, საქართველოში ცხოვრების ახალი, ევროპული წესის დამკვიდრებას დაუკავშირდა.[58] 1879 წლის 15 მაისს *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების*[59] შექმნით. ამ საზო-

---

57 ჭავჭავაძე 1889, 16. XII.

58 შდრ. „ძველი ზნეობის სიმაღლე აღარ არსებობს დღეს საქართველოში. ეს არის ნამდვილი ფაკტი, მაგრამ როცა საქართველოში ევროპიული წესი და განათლება ძირს გაიდგამს, მაშინ ჩვენ, იმედია, ნამდვილ კალლაპოტში ჩავვადრდებით. ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა, რასაკვირველია, დროებითია და ჩვენ იმედი გვაქვს ოდესმე საქართველოს ეღირსება ის, რაზედაც დღეს დრტვინვაა. [...] ევროპიელთ კარგა ხანია გაუგიათ, რომ ერთმანეთის დახმარება, კავშირი ძლიერებას შეჰქმნის და ამისთვის არის, რომ საზოგადო საქმისთვის ისე ცდილობენ, როგორც თავისთვის. ღმერთო, როდის იქნება, რომ ჩვენი საქართველო ამ მდგომარეობას მოესწროს. ვფიქრობდი ევროპიელი კაცის ცხოვრების შემხედე. ევროპიელს არ ავიწყდება, რომ მას შთამომავლობა ეყოლება და იმისთვის ყოველ მის მოქმედებას სიბეჯითისა და სინიდისიანი შრომის ბეჭედი ასვია“ (გაზეთი "დროება", 1874, 22 მარტი).

59 2015 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა (http://society.iliauni.edu.ge/), რომელშიც თანამედროვე ციფრული ჰუმანიტარიის სტანდარტებით დოკუმენტირებულია ამ საზოგადოებასთან დაკავშირებული სერიული დოკუმენტები, ქართული და უცხოური წყაროები. ამ ეტაპზე ბაზაში შესულია 1879-1937 წლების დოკუმენტების მნიშვნელოვანი

გადოების მიერ ორ ეტაპად განხორციელებული მოდერნიზაციის პროექტის, საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი საყრდენის ანალიზი სცდება წინამდებარე სტატიის ფარგლებს.

ერეკლეს მცდელობა, შეექმნა ევროპის წესზე მოწყობილი მეურნეობა და ჯარი, იმთავითვე განწირული აღმოჩნდა: ევროპის სუვერენებთან 1781 და 1782 წელს ზედიზედ გაგზავნილი ორი ელჩი ერთნაირად საეჭვო გარემოებაში გარდაიცვალა ჯერ კონსტანტინეპოლში, მერე ბერდიცკოვოში. ერეკლეს წერილებმა კი დასავლელ სუვერენებთან მხოლოდ მას შემდეგ ჩააღწია, რაც ისინი რუსეთისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა – ერეკლეს სამეფოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით.

ზემოთ განხილული XVIII საუკუნის II ნახევრის გერმანული ისტორიოგრაფიის შეფასებები, ერეკლე მეორისა და მისი შვილების შესახებ გერმანულ არქივებში დაცული წყაროები, ავსტრიის სამეფო კანცელარიასა თუ რომის პროპაგანდა ფიდეში დაცული წყაროები, ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში გამოქვეყნებული მასალა არა მარტო ადასტურებს ერეკლეს მისწრაფებას, თავის ქვეყანაში მოეწყო „ევროპიის წესზე გაწყობილი" სამხედრო თუ სამეურნეო ცხოვრება, ამასთანავე, ამ წყაროებს შემოაქვს ახალი პერსპექტივა – პრინცი ერეკლესა და მისი ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა ევროპული სახელმწიფოების თვალით: როგორ ხედავენ ევროპელები ერეკლეს ქვეყანას, როგორც მათი მიზნების, მისწრაფებების თანაზიარს ცხოვრების ყველა სფეროში. გაზვიადებისა და ხშირ შემთხვევაში სუბიექტურობის მიუხედავად, ერეკლესა და საქართველოს ევროპული პროექცია დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ეს წყაროები მოდერნიზაციისა და გლობალური კვლევების კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

ნაწილი, 1320-ზე მეტი წყაროს მონაცემები საზოგადოების 16000-მდე პირის შესახებ. ფაქტოიდების რაოდენობა 23000-ს აღემატება.

Abstract

European Projection of Georgian King Erekle the II (Prince Heraclius) and His Reign

The paper analyzes 18th-19th century European sources, including German, Austrian, British, Irish and Italian, that reflect King Erekle II's attempts to maintain closer ties with Europe and reorganize his country on a European model (cf. *ევროპიის წესზე, on European rules*). It will discuss foreign sources describing the kingship of Erekle: the equal of European sovereigns; the most powerful pretender to the Persian throne; the great reformer; the guardian of the writings on policing, trade and finances; the patron of inventions; the aide to the Voltairians.

In some cases, it is not altogether clear what exactly served the grounds for fostering such ideas about Erekle and his contemporary Georgia, from which hitherto unknown or understudied perspectives the historical or, sometimes, half legendary stories were described, and how the historical and literary cliches were generated to highlight Erekle's special role in the history of Georgia and more broadly, in the context of East-West relations.

The article will draw on the European sources to describe King Erekle II's reign in the second half of the 18th century as a period when the semantics of modernity was established in Georgia, as the onset of modernity and a shift away from the traditions of the Middle Ages. King Erekle's reforms were aimed at developing a new type of economy and army following the European pattern (cf. *ევროპიის წესზე გაწყობილი, an army modelled on European standards*), different from the traditional one, and supporting artisan communities. I discuss the fundamental outcomes of the reforms targeting the revision of the medieval model of hierarchy and attempt to show how the traditional linguistic, ethnic, religious and geographical unity was replaced by a new type of unity based on commitments and contractual relations.

The article also describes external impediments that interfered with the establishment of modernity after 1783, when a cooperation treaty was concluded between Georgia and Russia, and since when the Russian imperialist narrative began to be officially propagated in Georgia, the imperialistic purposes being skilfully disguised under the need to defend

religion and traditions. This move that proved to be highly beneficial for Russians ran counter to Erekle's vision of modernization. Everyone who, even under the conditions of the Russian domination, continued to adhere to the western perspective, were labelled as an enemy of religion and the traditional Georgian feudal society. Most fiercely persecuted were princes Iovane and Davit Bagrationi, Erekle's descendants, who, being inspired by Voltaire's ideas, translated the French Enlightener into Georgian and compiled textbooks in exact and natural sciences. The European plan of Georgia's modernization developed by Prince Iovane for Giorgi XII, who by that time still retained the title of the monarch of Kartli, was dubbed as a project undermining religion and targeting the nobility. The royal court could not even discuss it as Russia abolished kingdom in Georgia in 1801 in blatant violation of the Treaty of Georgievsk. Soon after, in 1803, eight descendants of Erekle II, including princes Davit and Iovane, who had been suspected of being Voltaireans, were exiled to Russia in order to hamper the process of modernization started by Erekle.

The project for the pseudo-traditional past was officially founded as *the Society for the Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus* (*Общество восстановления православного христианства на Кавказе*) in 1860. Its Governing Council had two chairmen: the Viceroy and the Exarch of Georgia. The Society related its activities to the name of Saint Nino, the Enlightener of the Georgians in the fourth century and reinforced this legacy by introducing the Order of Saint Nino, which was divided into four classes. Aleksandr Bariatinski, directly responsible for the establishment of the Society, described its goals in the following way:

"The creation of the Society for the Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus is the obligation of an Orthodox state. There are questions to which Russia cannot remain indifferent. They are: religious education of its younger brothers, who become distanced from the Holy Church of Christ every day, and the glory of Russia. [...] The association of private individuals must support this cause in order to preserve and spread Christianity among the Caucasian tribes. Orthodoxy is Russia's main public power and in turn, is a divine weapon in the struggle for the victory of Orthodoxy. It is important that all Russians contribute to the propagation of the Orthodox faith and the glory of their homeland. We need to make joint efforts: what a single Russian is unable to do will be done by Russia as a whole." (Обзор1910: 26).

Russian schools opened by the Society, old chuches converted to a Russian style, with frescoes whitewashed, newly opened Russian religious organizations, richest Georgian Church relics plundered and dispatched to Russia as if for the purpose of restoration, collection of "useless" old Georgian manuscripts, some of which were selected to be sent to Russia, while others were burnt collectively in the yard of the Sioni Catherdal, and finally, Russification of all the areas of social life including religion – all these were the instruments to support "the glory of Russia" in its efforts to conquer Georgia and the Caucasus in general. Moreover, it was through this pseudo-religious bait that the project of the past took hold of the historical function of religion. The work shows how purposefully Russia hindered prospects for Georgia's relations with Europe and its modernization replacing these prospects with the colonial myth of common faith and centuries-long friendship between the two Christian nations.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე 1963: ილია აბულაძე, წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, იხ. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, გვ. 47–80.

ბაქრაძე 2011: აკაკი ბაქრაძე, *ილია ჭავჭავაძე*, თბილისი

ბერძენიშვილი 1965: ბერძენიშვილი ნიკო, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, II, თბილისი

ბოედერი 1998: ვინფრიდ ბოედერი, ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში, იხ. *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, VII, გვ. 60-81, თბილისი

Borst 1957: Borst, Arno, *Der Turmbau von Babel* Geschichte der Meinungen über Ursprung und Vielfalt der Sprachen und Völker. I – IV. Stuttgart

Бурнашев 1896: Бурнашев, *Картина Грузии или описание состояния царств Карталинского и Кахетинского*, Тифлис

გაბაშვილი 1970: ვალერიან გაბაშვილი, *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან*, თბილისი

Giddens 1990: Giddens 1990: Giddens, Anthony, *The Consequences of Modernity*, Stanford University Press

გუგუშვილი 1957: Гугушвили Паата, *Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв.*,т. 1, Тбилиси

დამენია 2017: მაია დამენია, რომის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის პირველი ტომი (Roma, Archivio Storico de Propaganda Fide, Scritture Riferite nei Congressi, (SC) Georgia, vol. 1 (1626-1707)) აღწერილობა, იხ. ჟურნალი *კადმოსი* 9 (2017), 194-211, თბილისი

დობორჯგინიძე 2012: ნინო დობორჯგინიძე, ორიოდ სიტყვა ილიასეული ბარაქალას შესახებ, იხ. ჟურნალი *კადმოსი* 4 (2012), 73-115, თბილისი

დობორჯგინიძე 2013: დობორჯგინიძე ნინო, საისტორიო მეხსიერების რეკონსტრუქციისათვის (XVIII საუკუნის საქართველოს უცნობი გეგმები და მოკავშირეები), იხ. კრებული: ზურაბ *კიკნაძე – 80*, თბილისი

Doborjginidze 2014: Doborjginidze Nino, Religious Inculturation and Problems of Social History of the Georgian Language, in: Philalethes: Collected Studies Dedicated to the 135th Anniversary of Shalva Nutsubidze (1888–1969), 2014, Cornelia Horn and Basil Lourié (ed.), pp. 136-157, Leiden-Boston: Brill Publishers

დობორჯგინიძე 2015: ნინო დობორჯგინიძე, უცნობი საქართველო: იტალიის არქივებსა და მუზეუმებში დაცული წყაროების კვლევა და პუბლიკაცია, იხ. ჟურნალი *მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა* (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), II, თბილისი

დობორჯგინიძე 2016: ნინო დობორჯგინიძე, კონსტანტინეპოლის ფერიკევის ქართული კათოლიკური მონასტრის არქივი ვატიკანში (მასალები ქართული ენის სოციალური ისტორიის კვლევისთვის), იხ. *მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა* III, 2016, გვ. 106-117, თბილისი

Doborjginidze 2017: Nino Doborjginidze, Le Missioni cattoliche di Georgia nel period di Russificazione, in: ROMA E I GEORGIANI, pp. 212-231, 2017, Roma: Studium Editioni Doborjginidze 2018: Nino Doborjginidze, Historical Aspects of Modernity in Georgia, in: Giga Zedania (ed.), Modernization in Georgia. Theories, Discourses and Realities (Interdisciplinary Studies on central and Eastern Europe, Vol.

18, pp. 69-87, edited by Nicolas Hayoz, Jens Herlth & Julia Richers, Bern: Peter Lang

Doborjginidze 2019: Doborjginidze Nino, Medieval Georgian Projection of religious Historiography of Late Antiquity, იხ. *Scrinium* 15 (2019), Journal of Journal of Patrology and Critical Hagiography, pp. 259-275, Brill

დოლიძე 1965: დოლიძე ისიდორე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, თბილისი

ზედანია (რედ) 2010; ზედანია (რედ): 2012;

ზედანია, ღაღანიძე 2009: გიგა ზედანია, მერაბ ღაღანიძე (რედ.), *კრებული სეკულარიზაცია: კონტექსტი და კონცეპტები*, თბილისი

ზედანია 2010: გიგა ზედანია (რედ.), *კრებული მოდერნულობის თეორიები*

ზედანია 2012: გიგა ზედანია (რედ.), *კრებული პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ*

Zedania 2018: Giga Zedania (ed.), Modernization in Georgia. Theories, Discourses and Realities (Interdisciplinary Studies on central and Eastern Europe, Vol. 18, pp. 69-87, edited by Nicolas Hayoz, Jens Herlth & Julia Richers, Bern: Peter Lang

კალანდია 2017: გიორგი კალანდია, მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიულ პრესაში, თბილისი

მელიქიშვილი 1973: გ. მელიქიშვილი 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. 4, თბილისი

მესხია 1948: მესხია შოთა, მასალები ქართლ-კახეთის სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, თბილისი

მესხია 1959: Месхиа Шота, Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв., Тбилиси

მიქიაშვილი 1989: მიქიაშვილი ლელა, ომან ხერხეულიძე, ცხოვრება ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბილისი

Moll 1701: Moll Hermann, A System of Geography; or, A new & accurate description of the earth in all its empires, kingdoms and states. Illustrated with history and topography, and maps of every country, London: T. Childe

[Обзор] 1910: Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг.» Издание Совета Общества. Тифлис: Тип. Канц. Наместн. Е.И.В.

როგავა 1959: როგავა აპოლონ, დავით ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, თბილისი

ფურცელაძე 1964: ფურცელაძე დავით, სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბილისი

ქიქოძე 1947: ქიქოძე გერონტი, ერეკლე მეორე, თბილისი

ქოიავა 1963: ქოიავა ნიკოლოზ, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, თბილისი

ყაუხჩიშვილი 1973: სიმონ ყაუხჩიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბილისი

ცაიშვილი 1975: ცაიშვილი სარგის, *ქართული პოეზია*, ტ. 6, შეადგინა სარგის ცაიშვილმა, თბილისი

ჭავჭავაძე 1960: ჭავჭავაძე ილია, მგზავრის წერილები, იხ. *ჩვენი საუნჯე*, ტ. 7, გვ. 116-135

Henrichs 1793: Henrichs 1793: Henrichs, Herman (ed), Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und Beschreibung des gegenwärtigen Zustandes von Georgien, Flensburg und Leipzig

დანართი 1

Cod. MS. Asch. 153
გოტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა და იშვიათი გამოცემების განყოფილება.
ერეკლე მეორის, იაკობ რაინექსისა და სულხან ბეგთაბეგოვის მიმოწერა.

2

با سپه مادر عزیز مهربانم تلگراف سفارت سوئیس

تلگراف عزیزم بجای نامه‌ات

مادر مهربانم. اوضاع‌مان چطور است؟ ما همه سالم. دیروز نامه‌ای از شما
رسید و خیلی خوشحال شدیم. شما نوشته بودید که نامه‌ها و
تلگرام‌های ما زود به دست شما می‌رسد. ما هم همین‌طور فکر می‌کنیم.
ولی از وقتی که جنگ شروع شده، همه چیز عوض شده است. ما
نمی‌دانیم که نامه‌ها و تلگرام‌های ما به دست شما می‌رسد یا نه.
ما هر روز منتظر نامه‌ای از شما هستیم. ولی هیچ نامه‌ای نمی‌رسد.
دلمان خیلی برای شما تنگ شده است. ما هر روز دوستانمان را
می‌بینیم و با آن‌ها صحبت می‌کنیم. همه آن‌ها نامه‌های زیادی از
پدر و مادرشان دریافت می‌کنند. ما هم دلمان می‌خواهد نامه‌ای از
شما بگیریم. ما همه‌مان سلامت هستیم. امیدوارم شما هم سلامت
باشید. ما همه‌مان شما را دوست داریم و دلمان می‌خواهد که
زودتر شما را ببینیم. ما همه‌مان شما را دوست داریم و دلمان می‌خواهد که
زودتر شما را ببینیم.

قلعه‌سار
خیابان شاه، کوچهٔ ششم
۱۲ مهر ۱۳۰۶ ه.ق.

جناب آقای میرزا عبدالحسین برکه‌ای
کارمندان دون پرداخت‌نشدنی
مأموریت ناردر-به-دریا

عجب ترجمهٔ مأموریتی کلک‌تراشیده‌اید. من هیچ مأموریتی ندارم. هیچ‌کس به من مأموریت نداده است. من فقط آمده‌ام که شما را ببینم. شما را و دختر زیبایتان را. دیروز در بندر شنیدم که شما دارید می‌روید. گفتند کشتی‌تان امشب حرکت می‌کند. من هم آمدم که شما را ببینم. شاید برای آخرین بار. شاید هم نه. شاید هم برای همیشه. شاید هم برای همیشه نه. شاید هم برای همیشه نه. شاید هم برای همیشه ن





დანართი 2

Cod. Ms. Philol. 256
გოტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა და იშვიათი გამოცემების განყოფილება.
მარია ფრანჩესკო მაჯოს მიერ შედგენილი პირველი ქართული გრამატიკის საანბანე ნაწილი.




rpita lacerabitur, donec deiecta et prostrata
foc dissipa barbaries abore extrudetur, ac rele-
getur. Dicires quasdam ego ductiones, è codicib
liberorum excerpsi; in quibus literarum omnium etc
elementa edisces et scies qua vel jaceant in
tabula; atq ut minus laboriosè memoriæ mandent
ees in metin redegi, et hæc plurics describere &
ac memoriter pronunciare non erubescat.
Dirichon ad literas ediscendas.
ⴰⴱⴳⴷ·ⴻⵣⵤⵜ·ⵢⵣⵍⵎⵏ·ⵓⵔⵙⵜ·ⵡⵅⵚⵛⵟ·ⵉⵢⵍⵎⵏⵓⵔⵙⵜ·ⵡⵅⵚⵛⵟ·
ⵉⵢⵍⵎⵏⵓⵔⵙⵜ·ⵡⵅⵚⵛⵟ·ⵉⵢⵍⵎⵏⵓⵔⵙⵜ·ⵡⵅⵚⵛⵟ·ⵉⵢⵍⵎⵏⵓⵔⵙⵜ·ⵡⵅⵚⵛⵟ·
Aba oha Leveseh, Thichlim, Nicop Soiorzo, Tuphu
Kughhicq, Soiocizzo, Zetzi, Ciiach, Thagiallo, Thoë.
Sacris verò minusculis literis ita versus conscribes.
ⲁⲃⲅⲇⲉⲍⲏⲑⲓⲕⲗⲙⲛⲝⲟⲡⲣⲥⲧⲩⲫⲭⲱⲁⲃⲅⲇⲉⲍⲏⲑⲓⲕⲗⲙⲛⲝⲟⲡⲣⲥⲧⲩⲫⲭⲱ
ⲁⲃⲅⲇⲉⲍⲏⲑⲓⲕⲗⲙⲛⲝⲟⲡⲣⲥⲧⲩⲫⲭⲱⲁⲃⲅⲇⲉⲍⲏⲑⲓⲕⲗⲙⲛⲝⲟⲡⲣⲥⲧⲩⲫⲭⲱ
Majusculis autem sic.
ⲀⲂⲄⲆⲈⲌⲐⲒⲔⲖⲘⲚⲜⲞⲠⲢⲤⲦⲨⲪⲬⲰ
ⲀⲂⲄⲆⲈⲌⲐⲒⲔⲖⲘⲚⲜⲞⲠⲢⲤⲦⲨⲪⲬⲰ
Sed Lectorem tradita scisse satis ad rationem le-
gendi, et pronunciandi vulgares literas, mox
earū formas hic ad expressa revocemus

პირველი: Prima.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

ჰ ჯ ხ ჭ წ ძ ც ჩ შ ყ ღ ქ ფ უ ტ ს რ ჟ პ ო ნ მ ლ კ ი თ ზ ვ ე დ გ ბ ა



15

ՀՀ

ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ

ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ

ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ

ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ

ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ ՀՀ

ՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ,

ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ,

ՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ,

ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀ, ՀՀՀ,

ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ, ՀՀՀ։—



დანართი 3

Wiener Staatsarchiv, AT-OeStA/HHStA StK Vorträge 138-2 (1783.09-10).
ვენის სახელმწიფო არქივი. 1782 წლის 18 ოქტომბერს ერეკლე მეორის მიერ ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილების ფრაგმენტები.

23ᵛ

წელთა 1782
თვესა თებერვლის 18

[illegible]

მეფეო ქართლის ჯოყოლო. ჴელ სხვათა

რა თავსხმა შეძლოლებით
თჳსი ამ ქვეყანისაც აძლევდ ყდრო-ჴიის ლიტანიოსს ჯვრისწერაზედ. ესხა-
შეგვძლოლინენ. და ეგებო-მოო. ფლება წყალ-ბითია შეგვარდაგ-თა. რო ერ
სწორ-ლო-თ-თ. რაკრთისაც, ჭო-ლოს გვარის შეინახეს შეძლოლება ეგვერთხო-ო-ს
ჴე ამისთჳს შათის ლიტე-ხლოგის, და ისრულად მწყალობ-ლოგ. ეთხრეთ რო
მაგალი.
რო არ მ-ვგვებლოლიან. ლეი ეყოს-კოლი ძირება. მჴინ ჩვენ-ლად
ფლეტაენ, და მ-შჴლოლიბ-ლი ჩვენი ენაც არის. ისიც ჩჴინ ით-ლი
ფლიანი და ლაზის-ტანიანი ლიკნი. ერთის ჭირს იძრმო-ნენ. ჩვენ ძალს ჴე
ჭვი ჩვენი შენთო-ნენ. რო სწორად გვამაგრის გვარი არა ეყოფაფს, ჴე
ლიანი ჩვენი ენა ეგრეთ ლიტანიოსს ლიკნი. ერთის ჭირს იძრმო-ნენ. ჩვენ ძალს ჴე
ჭ ამისთჳს ეგრეთ ლიტანიოსს ლიკნი. ერთის ჭირს იძრმო-ნენ. ჩვენ ძალს ჴე

დამატება

იოვანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი
ხელნაწერი
(სინური პალიმსესტის ფრაგმენტები
გოტინგენის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკიდან)

გიოტინგენის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა და იშვიათი გამოცემების განყოფილებაში (Historisches Gebäude, Lesesal Handschriften und Seltene Drucke) დაცულია ხელნაწერები, მათ შორის სირიული, არაბული, კოპტური, ქართული, სომხური თუ სხვა, რომლებიც თავის დროზე სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერს ეკუთვნოდა. ისინი მეოცე საუკუნის სხვადასხვა პერიოდში შეიძინა აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ. ამ ხელნაწერთაგან ერთ-ერთია სირიულ-ქართული პალიმსესტის ფრაგმენტი (30 ფურცელი), რომელიც ამჟამად კატალოგიზირებულია პალიმსესტის ქვედა ფენის - სირიულის -მიხედვით: Cod-Ms-Syr. სირიული ტექსტის შუინაარსის მიხედვითაა დალაგებული პალიმსესტის დაშლილი ფრაგმენტები.

პალიმსესტის ზედა (ქართული) ფენა სრული ფოტოასლების საფუძველზე შეისწავლა მზექალა შანიძემ (მზექალა შანიძე, ერთი სინური ხელნაწერის კვალდაკვალ, იხ. ალმანახი მწიგნობარი, გვ. 113-126). მან გაარკვია, რომ გოტინგენში დაცული ფურცლები, 986 წელს ცნობილი ქართველი კალიგრაფის, იოვანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი ხელნაწერის ფრაგმენტები, ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკაშია დაცული (23 ფურცელი - სინას მთაზე, ერთი - ბირმინგემში, 99 - პრინსტონში, 30 - გოტინგენში, აქვეა დაცული ყდის გარე და შიდა გვერდები). როგორც მ. შანიძემ დაადგინა, აღნიშნული ფრაგმენტები სრულად ავსებს ალ. ცაგარლის მიერ 1883 წელს სინას მთაზე მოგზაურობისას ორ ხელნაწერად აღწერილ (Nr. 92 და Nr. 93) ტექსტს, ალექსანდრე კვიპრელის თხზულების ქართულ თარგმანს (იხ. თამილა მგალობლიშვილი, ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, თბილისი 1978). მ. შანიძემ ფოტოპირების მიხედვით სრულად არადგინა სხვადასხვა ადგილას გაბნეული ქართული ხელნაწერის სტრუქტურა.

პალიმსესტის ფრაგმენტების გამოსაქვეყნებლად საავტორო უფლებების შეძენა ამ პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი.



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17f 2 ხელნაწერის ყდა (გარე მხარე)



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17f 1 ხელნაწერის ყდა (შიდა მხარე)



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-21 ხელნაწერის ყდა (შიდა მხარე)



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
04 - Cod-Ms-Syr-21 ხელნაწერის ყდა (გარე მხარე)



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17a 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17a 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17a 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17a 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17b 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17b 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17c 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17c 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17d-e 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17d-e 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17d-e 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-17d-e 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19a 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19a 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19a 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19a 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19b 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19b 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19b 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19b 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19c 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19c 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19c 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-19c 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-21c 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-21c 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-21c 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-21c 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22-132-134 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22-132-134 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 146 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 146 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 147 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 147 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 148 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22-148 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 149 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-22 149 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23 122-124 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-122-124 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-126-127 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-126-127 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-126-128 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-126-128 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-130-131 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-130-131 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23- 133-135 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-133-135 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23- 136-141 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-136-141 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-136-141 3



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-136-141 4



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-142-144 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Cod-Ms-Syr-23-142-144 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
orig-Cod-Ms-Syr-23-143-145 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
orig-Cod-Ms-Syr-23-143-145 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
orig-Cod-Ms-Syr-24 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
orig-Cod-Ms-Syr-24 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Orig-Cod-Ms-Syr-25-V-1 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Orig-Cod-Ms-Syr-25-V-1 2



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Orig-Cod-Ms-Syr-25-V-2 1



გოტინგენის ბიბლიოთეკის სიძველეთსაცავი.
Orig-Cod-Ms-Syr-25-V-2 2